

მიხეილ ჩიკვილაძე
იოსებ არჩვაძე

საჯარო ფინანსები

ლექციების კურსი
(რიდერი)

2021 წ.

თემა 1. შესავალი საჯარო ფინანსებში

საჯარო ფინანსების მოქმედების სფერო;

საჯარო ფინანსები და სახელმწიფო

- ორგანული და მექანიკური თეორიები სახელმწიფოს შესახებ;
- სახელმძღვანელოს კონცეპტუალური ხედვა

სახელმწიფოს ფაქტობრივი ფუნქციონირება: სამართლებრივი ჩარჩოები, მთავრობის ზომა, ხარჯები, შემოსავლები

1. საჯარო ფინანსების არსი და მოქმედების სფერო

საჯარო ფინანსები ეკონომიკის სფეროა, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოთა/მთავრობების მიერ მათი ინსტიტუციური ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მობილიზების, განაწილებისა და ხარჯვის საკითხებს. უფრო კონკრეტულად კი, საჯარო ფინანსები სწავლობს მთავრობების მიერ მობილიზებული ფულადი სახსრების წყაროებს და ხარჯების დანიშნულების საკითხებს. აგრეთვე ამ სახსრების მობილიზებისა და ხარჯვის პროცესს და პროცესში მონაწილე და გადაწყვეტილებების მიმღები ინსტიტუტების როლსა და ფუნქციებს. ფინანსური რესურსების გარეშე ვერცერთი მთავრობა ვერ შეძლებს მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას, საზოგადოების და მისი ცალკეული სოციალური ჯგუფების ინტერესების დაცვას და რეალიზაციას.

სახელმწიფოს ამოცანების და საქმიანობის შესახებ სხვადასხვა შეხედულებები და იდეოლოგიური მოსაზრებები არსებობს, რომლებიც ინდივიდებისა და სახელმწიფოს ურთიერთობებს ეფუძნება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მიერ გადასაჭრელი მთავარი ამოცანებია:

შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს საზოგადოების კეთილდღეობა;

დაიცვას მოსახლეობა შესაძლო საფრთხეებისა და ზიანისგან;

უზრუნველყოს იმ ინსტიტუტების არსებობა და გამართული მუშაობა, რომლებიც ხელს უწყობენ ბაზრის ფუნქციონირებას;

უზრუნველყოს პირველადი მოხმარების საქონლისა და მომსახურების მიწოდება, რასაც ბაზარი გაუმართაობის გამო ვერ ახერხებს. ყველა თანხმდება, რომ ეს ის საკითხებია, რომელთა გადასაჭრელადაც დეფიციტური საჯარო ფინანსური რესურსების ხარჯვა გამართლებულია.

სახელმწიფოს მარეგულირებელი სტრატეგია მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს რესურსების განაწილებაზე, რომლის მიზანი სახელმწიფოს საგადასახადო და ხარჯვითი პოლიტიკის განხორციელებით მიიღწევა. ასე, მაგალითად, თუ სახელმწიფოს სურს, შეამციროს კორპორაციის სიდიდე, მას შეუძლია, მსხვილ კორპორაციებზე მაღალი გადასახადი დააწესოს. გარდა ამისა, სახელმწიფო რეგლამენტების უფლება აქვს, რომლის მიხედვითაც, განსაზღვრულ მოცულობაზე უფრო დიდი კომპანია არალეგალურად ჩაითვლება. საჯარო ფინანსები კორპორაციების დაბეგვრის საკითხს ინტენსიურად სწავლობს, ხოლო ანტიმონოპოლიური საკითხები მისი მხოლოდ არაპირდაპირი შესწავლის საგანია.

სახელმწიფოს, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის, არსებობისათვის აუცილებელია შესაბამისი ფინანსური ინსტიტუტის - სახელმწიფო (ქვეყნის) ბიუჯეტის არსებობა, რომელიც სახელმწიფოს საგადასახადო და ხარჯვით პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. სახელმწიფო მოსახლეობას უზრუნველყოფს მათი უსაფრთხო ცხოვრების, საქმიანობის, განვითარების საშუალებებით (თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, განათლება, ეკოლოგია და ა.შ.). შესაბამისი სახსრების გამოყოფა ხდება სახელმწიფოს ძირითადი ფინანსური გეგმის - სახელმწიფო ბიუჯეტის საფუძველზე. ბუნებრივია, სახსრების გამოყოფა, ამა თუ იმ მიმართულებით საზოგადოებრივი საჭიროების დაფინანსება, სუბსიდირება

შესაძლებელია მხოლოდ ბიუჯეტში შესაბამისი რესურსების მობილიზაციის შემდეგ. ბიუჯეტისადმი განსაზღვრული ვალდებულება, მოქმედი კანონდებლობით, აკისრია როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს. ისინი კუთვნილ გადასახადს იხდიან ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. თავისუფალი, ლიბერალური საბაზრო ეკონომიკა გულისხმობს ეკონომიკაში სახელმწიფო და კერძო სექტორების თანაარსებობას, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი წყარო საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბოლოოდ მაინც კერძო სექტორია.

თავისი საშუალო და გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარე, ზოგადად, სახელმწიფო, საგადასახადო და ხარჯვითი პოლიტიკის განხორციელებით ასტიმულირებს ამა თუ სახის წარმოებას, რეგიონის განვითარებას, საქმიანობის, პროფესიის სოციალურ და ეკონომიკურ პრესტიჟულობას, საწარმოს ზომას ან მიღებული სარგებლის (მოგების) სიდიდეს. აღნიშნული ფუნქციონალური დატვირთვის გამო შესაბამისი რესურსების მობილიზაციისა და განკარგვის წესს საჯარო ფინანსებს უწოდებენ, თუმცა ამ სიტყვის ფართო გაგებით იგი ისეთ სფეროებსაც მოიცავს, როგორცაა *დაზღვევა*, რომელიც არ არის სახელმწიფო ფინანსების ნაწილი.

სახელმწიფოს საგადასახადო და ხარჯვითი პოლიტიკას *სახელმწიფო, ფინანსურ პოლიტიკასაც* უწოდებენ. თანამედროვე აშშ-ს (ისევე, როგორც საქართველოს) საგადასახადო პოლიტიკა ევროპის ბევრ სახელმწიფოსთან შედარებით, თუ გადასახადების რაოდენობას, მათ განაკვეთებსა და გადასახადების მთლიანი მასის მშპ-სთან თანაფარდობის სიდიდით ვიმსჯელებთ, გაცილებით ლიბერალურია.

საჯარო ფინანსები შეისწავლის სახელმწიფოს საგადასახადო და ხარჯვითი პოლიტიკას, ასევე, აანალიზებს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეს პოლიტიკა. როგორი არის და შეიძლება იყოს საგადასახადო ტვირთი - როგორც მთლიანად ეკონომიკაში, ისე მის ცალკეულ სეგმენტებში, აგრეთვე მოსახლეობაზე.

საჯარო ფინანსებს ორი უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრა აკისრია:

ა) სახსრების მაქსიმალური მობილიზაცია ეკონომიკის სუბიექტების მაქსიმალური მოტივაციის უზრუნველყოფისა და შენარჩუნების პირობებში და

ბ) ლიმიტირებული საბიუჯეტო ხარჯების წარმართვა მაქსიმალურად ეფექტიანად და სამართლიანად განსხვავებული საზოგადოებრივი მიზნებისა და ამოცანების დაფინანსებისათვის, დროის მოცემულ მომენტში ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების, გამოწვევებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

ორგანული თეორია სახელმწიფოს შესახებ

სახელმწიფო ბუნებრივი ორგანიზმია. თითოეული ინდივიდი არის აღნიშნული ორგანიზმის ნაწილი, თავად სახელმწიფო კი – ორგანიზმის გული. იანგ ჩანგ-ჩი, მაო ძე დუნის ეთიკის მასწავლებელი პეკინში, ამტკიცებდა, რომ `ქვეყანა მთლიანი ორგანიზმია. იგი ადამიანის სხეულს ჰგავს. ქვეყანა არ არის მანქანა, რომელიც შესაძლოა დაიშალოს და კვლავ აიწყოს` (ჟოჰნსონ, 1983, გვ. 197). ინდივიდი მნიშვნელოვანია, როგორც მხოლოდ საზოგადოების წევრი, და მისი სიკეთე საზოგადოების მთლიანი სიკეთის ჭრილში განისაზღვრება. ამდენად, საზოგადოება ზემოქმედებს ინდივიდზე. ასე, მაგალითად, პლატონის `რესპუბლიკაში` მოქალაქის ქმედება გამართლებულია, თუ იგი საზოგადოების კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. სახელმწიფოს შესახებ ორგანული თეორიის ყველაზე სამარცხვინო მაგალითს ნაცისტები გვთავაზობენ: `ნაციონალისტური სოციალიზმი არ აღიარებს ცალკე ინდივიდს, რომელიც არსებობს საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად და საიმედოდაა დაცული სახელმწიფო ჩარევისაგან... ინდივიდის ყოველდღიური მოქმედება მთლიანობას უნდა ემსახურებოდეს. მხოლოდ ამ გზით იქნება იგი ღირებული`.

საზოგადოების მიზნების ავტორი სახელმწიფოა; იგი საზოგადოებას მათი შესრულების უნარს ანიჭებს. ცხადია, მიზნების არჩევანი მნიშვნელოვნად განსხვავებულია. პლატონი თვლიდა, რომ სახელმწიფოს მიზანი არის ოქროს

შუალედის მიღწევა, რომლის ფარგლებშიც ადამიანის ქმედება განპირობებული იქნება სრულყოფილი კეთილგონიერებით. მეორე მხრივ, ადოლფ ჰიტლერი (1971/1925, გვ. 393) მიიჩნევდა, რომ სახელმწიფოს მიზანია რასობრივი სიწმინდის მიღწევა: `სახელმწიფო სრულყოფილების მიღწევის საშუალებაა. სრულყოფილება კი ფიზიკურად და ფსიქიკურად ჰომოგენურ ქმნილებათაგან შემდგარი საზოგადოების დაცვა და განვითარებაა~. ლენინის სიტყვების თანახმად (1968/1917, გვ. 198), პროლეტარული სახელმწიფოს მიზანი `მუშა და ექსპლუატირებულ ხალხთა მასწავლებლობა, წინამძღოლობა და ლიდერობა და ამ გზით მათი სოციალიზმში შეყვანაა~.

მექანიკური თეორია სახელმწიფოს შესახებ

მექანიკური თეორიის თანახმად, სახელმწიფო არ არის საზოგადოების ორგანული ნაწილი. იგი თითქოს ადამიანებმა თავისი მიზნების მისაღწევად გამოიგონეს. ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწის, ჰენრი კლეის, აზრით (1829 წელი), `სახელმწიფოს ენდობიან. სახელმწიფო მოხელეები კი რწმუნებულები არიან. როგორც ნდობის საგანი, ისე რწმუნებულები ადამიანთათვის სარგებლობის უზრუნველსაყოფად არიან შექმნილნი~. ცენტრალურ რგოლში უპირატესად დგას ინდივიდი (და არა ჯგუფი).

დავუშვათ, სახელმწიფოს მიზანი მართლაც ხალხისათვის კეთილდღეობის მოტანაა. ჩვენ ჯერ არ განგვისაზღვრია კეთილდღეობის არსი, არც ის, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ „კეთილდღეობა~. ყველა ადამიანი ეთანხმება იმ აზრს, რომ სახელმწიფო მოსახლეობას ძალადობისაგან იცავს. ამისათვის კი სახელმწიფოს იძულების უფლების მონოპოლია ესაჭიროება. სხვა შემთხვევაში ანარქია გაძლიერდება და სიტუაცია დაემსგავსება XVII საუკუნის ფილოსოფოსის, თომას ჰობსის (1963/1651, გვ. 143), სიტყვებში აღწერილს: `ადამიანის ცხოვრება (გახდა) მარტოსული, საბრალო, საზიზღარი, სასტიკი და ხანმოკლე~. ბოლო პერიოდში სომალიში მომხდარი მოვლენები, სადაც არც ეფექტიანი ეროვნული

მთავრობა ფუნქციონირებს და დანაშაულიც ჩვეულებრივი მოვლენაა, კიდევ ერთხელ ადასტურებს ჰობესის დაკვირვების ჭეშმარიტებას. ანალოგიურად, 'ხალხთა სიმდიდრეში' ("თჰე ჭეალტჰ ოფ ნატიონს") ადამ სმითი ამტკიცებს, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას 'თავისი საზოგადოება დანაშაულისა და სხვა, დამოუკიდებელი საზოგადოების აგრესიისაგან', 'ხოლო საზოგადოების თითოეული წევრი _ სხვათა ჩაგვრისა და უსამართლობისაგან' (1977/1976, წიგნი V, გვ. 182, 198).

ყველაზე შეზღუდული ძალაუფლების მქონე სახელმწიფოსაც კი ფიზიკური იძულებისაგან მოქალაქეების დაცვა ევალება. გარდა ამისა, სმითი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ უნდა იკისროს 'განსაზღვრული სახელმწიფო საქმისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება-შენარჩუნების პასუხისმგებლობა, რომლებიც არასოდეს არ მოემსახურება ინდივიდის ან ინდივიდთა მცირე ჯგუფის ინტერესების სტიმულირებასა და შესრულებას' (1977/1976, წიგნი V, გვ. 210-211). აქ შესაძლოა გაგვახსენდეს გზები, ხიდეები, საკანალიზაციო სისტემა _ ინფრასტრუქტურა საზოგადოების საკეთილდღეოდ უნდა ფუნქციონირებდეს.

ეკონომიკური პოლიტიკა მხოლოდ ეკონომიკურ ანალიზს არ ეფუძნება. სახელმწიფოს სურვილი, განახორციელოს ან არ განახორციელოს მოქმედება, ნაწილობრივ ეთიკურ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული.

იდეოლოგიას სერიოზული ზეგავლენის მოხდენა შეუძლია სახელმწიფოს სამოქმედო არეალზე. თუმცა იმისათვის, რომ სახელმწიფო პოლიტიკის თაობაზე ჯანსაღი და გააზრებული შეხედულება ჩამოყალიბდეს, მხოლოდ იდეოლოგია არ კმარა. ადამიანს შესაძლოა სახელმწიფოს ფაქტობრივი ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია ესაჭიროებოდეს.

რა სამართლებრივი შეზღუდვებია დაწესებული სახელმწიფო სექტორზე? რაზე ხარჯავს სახელმწიფო ფულს და საიდან ფინანსდება ეს დანახარჯები? – ამაზე შესაბამისი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობა და კონსტიტუცია იძლევა პასუხს.

2. სახელმწიფო შემოსავლების განაწილება

„მთავრობის მთელი ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობის ერთი ფენიდან მაქსიმალური ოდენობის თანხა ამოიღოს და მეორე ფენას გადასცეს“.

ვოლტერის ეს ნათქვამი ადასტურებს, რომ ყველა ჭეშმარიტად პოლიტიკური საკითხი შემოსავლის განაწილებას უკავშირდება. გადაწყვეტილების მიმღებნი პოლიტიკით გათვალისწინებულ განაწილების სტრუქტურას ადგენენ. თუ ეკონომისტები განაწილების საკითხების იგნორირებას მოახდენენ, მაშინ პოლიტიკოსები ეკონომისტებს გაუწევენ იგნორირებას. შედეგად იმას მივიღებთ, რომ პოლიტიკოსები მხოლოდ განაწილების საკითხზე იქნებიან ფოკუსირებულნი და ეფექტიანობის საკითხს უყურადღებოდ დატოვებენ. როგორც წესი, ეკონომისტი, რომელიც განაწილების საკითხებს გამუდმებით თვალს ადევნებს, პოლიტიკოსს ეფექტიანობისა და განაწილების შესახებ არსებული მდგომარეობის თაობაზე მუდმივად აცნობებს. ეკონომისტებს აქვთ უნარი და გამოცდილება, სხვადასხვა მიზნების მიღწევისათვის დაითვალონ და წარმოაჩინონ ალტერნატიული ვარიანტების ღირებულებები, უნდა მონაწილეობდეს თუ არა სახელმწიფო შემოსავლის განაწილების სტრუქტურის შეცვლაში? ზოგიერთი მეცნიერის აზრით არ უნდა მონაწილეობდეს, რადგან სახელმწიფოს ყველაზე მინიმალური ინტერვენციაც კი ახდენს ზეგავლენას შემოსავლის განაწილებაზე. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი საქონლისათვის მასალის შექმნის შემთხვევაში ზოგიერთ ფირმასთან იდება კონტრაქტი, ხოლო ზოგიერთი – კონტრაქტის გარეშე რჩება. იმ ფირმის მფლობელი, რომელიც კონტრაქტს დადებს, დამატებით შემოსავალს მიიღებს. უფრო ზოგადად, სახელმწიფოს საგადასახადო და ხარჯვითი პოლიტიკა რეალური შემოსავლის განაწილების ცვლილებას უკავშირდება.

შემოსავლის განაწილების შესაფასებლად სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობა გამოიყენება.

სიღარიბის ზღვარი არის რეალური შემოსავლის ფიქსირებული განაკვეთი, რომელიც ცხოვრების მინიმალური დონის უზრუნველსაყოფად საკმარისია. 2001 წელს ოთხი წევრისაგან შემდგარი ოჯახის სიღარიბის ზღვარი აშშ-ში 18 244 აშშ დოლარი იყო, 2018 წლისთვის კი აღნიშნული მაჩვენებელი, ინფლაციის გათვალისწინებით, 25 100 დოლარამდე გაიზარდა. 2001 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა მოსახლეობის 11,7% - 32,9 მილიონი ადამიანი, 2018 წელს კი მოსახლეობის 12,3%- 39,7 მლნ. ადამიანი.

აშშ-ს ფედერალური ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნააწილი მიემართება შედარებით დაბალშემოსავლიანი და ღარიბი მოსახლეობის დასახმარებლად. 2018 წლის ფედერალური ბიუჯეტის 3/5-ზე მეტი მიმართული იყო სოციალური დანიშნულებით, მათ შორის 982 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 4.9%) - მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, მედიქარისთვის (65 წელს გადაცილებული ადამიანების სამედიცინო დახმარებისათვის) გამოყოფილი თანხა - 704 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 3.5%), მედიქეიდი (სიღარიბის ზღვარზე და მის ქვემოთ მყოფი ადამიანების სამედიცინო დახმარებისთვის) - 389 მლრდ. აშშ დოლარი (მშპ-ს 1.9%) და სხვა პროგრამები. აშშ-ის ნაერთ ბიუჯეტში ფედერალური ბიუჯეტის წილი დაახლოებით 62 პროცენტია, დანარჩენი შტატებისა და ადგილობრივი კაუნტების (მუნიციპალიტეტების) ბიუჯეტებზე მოდის, საიდანაც ასევე მნიშვნელოვანი სახსრები იხარჯება სოციალური საჭიროებისათვის, მათ შორის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის.

რატომ ნაწილდება შემოსავალი ასე არათანაბრად და მიუხედავად ეკონომიკის ზრდისა, რატომ აქვს ადგილი სიღარიბის კლავწარმოებას? ამ კითხვაზე მკაფიო პასუხი არ არსებობს. თუმცა, ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, ბოლო პერიოდში არათანაბარი განაწილების ზრდის ძირითადი მიზეზი განათლების შედეგად მიღებული ფინანსური უკუგების ზრდაა. ისეთი ტექნოლოგიური ცვლილებების შედეგად, როგორცაა კომპიუტერული ტექნიკის საყოველთაო დანერგვა,

კოლექტადამთავრებულები ბევრად მაღალ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე მათი თანატოლები, რომელთაც დაბალი განათლება აქვთ.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შემოსავლების განაწილებისა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობის გაანგარიშებები ხშირად არაზუსტია და არ ასახავს რეალურ მდგომარეობას. მაგალითად:

- შემოსავლის მაჩვენებლები მხოლოდ ოჯახთა ფულად შემოსავალს მოიცავს და არ არის გათვალისწინებული ნატურით მიღებული შემოსავლები;

- ოფიციალური ციფრები არ ითვალისწინებს გადასახადებს. შემოსავლის შესახებ არსებული მონაცემები გადასახადის გადახდამდე პერიოდს ასახავს;

- მართალია შემოსავალი წლიურად იზომება და არა დღეების, კვირების და თვეების მიხედვით, თუმცა წლიურმა შეფასებამაც კი შეიძლება ინდივიდის ჭეშმარიტი ეკონომიკური მდგომარეობა ვერ ასახოს. წლიდან წლამდე შემოსავალი შესაძლებელია მნიშვნელოვნად მერყეობდეს. თეორიული თვალსაზრისით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი იდეალური ვარიანტი იქნებოდა, თუმცა პრაქტიკულად ამ მონაცემის გამოთვლა წარმოუდგენელია.

- რთულია დაკვირვების ობიექტის განსაზღვრა. ინდივიდთა უდიდესი ნაწილი სხვასთან ერთად ცხოვრობს და, ამდენად, გარკვეული მასშტაბით, ერთობლივი ეკონომიკური გადაწყვეტილება მიიღება. რის მიხედვით უნდა შეფასდეს შემოსავლის განაწილება – ინდივიდის თუ ოჯახის?

საქართველოში სიღარიბის დაძლევა ხელისუფლების ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამ პრობლემის დაძლევის მთავარ საშუალებად კი ეკონომიკის დაჩქარებული ზრდა და საზოგადოების წევრთა ფართო ჩართულობა (ინკლუზიური ეკონომიკა) მიჩნეული. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური დანიშნულების ფუნქციონალური ხარჯების წილი 2012 წელთან შედარებით 2019 წლისთვის თითქმის 1.5-ჯერ გაიზარდა და 48 პროცენტს მიაღწია. ცალკეული კატეგორიის სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გამოიყოფა

დახმარებები, იზრდება სოციალური სუბსიდიების მოცულობა, თუმცა სახელმწიფო ბიუჯეტის შედარებით მოკრძალებული მასშტაბები - აშშ-სთან შედარებით ჯერჯერობით არ იძლევიან პრობლემის უფრო მასშტაბური, კომპლექსური და სწრაფი გადაწყვეტის შესაძლებლობას.

როგორ უნდა განისაზღვროს მთავრობის სიდიდე?

პოლიტიკოსები და ჟურნალისტები სწორედ საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის მიხედვით განსაზღვრავენ მთავრობის სიდიდეს – ზომას. თუმცა მთავრობის ზომის კოეფიციენტმა, რომელიც მასში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვითაა გამოანგარიშებული, შესაძლოა შეცდომაში შეგვიყვანოს. წარმოიდგინეთ ქვეყანა, სადაც რამდენიმე საჯარო მოხელე ამუშაებს მძლავრ კომპიუტერს, რომელიც იღებს ყველა ეკონომიკურ გადაწყვეტილებას. ასეთ ქვეყანაში, მთავრობის მოხელეთა რაოდენობის საფუძველზე, მთავრობის მნიშვნელობა სათანადოდ ვერ ფასდება. ანალოგიურად, ძალიან მარტივია, შეიქმნას სცენარი, რომელშიც ბევრი საჯარო მოხელე შედარებით სუსტ საჯარო ძალაუფლებასთან იქნება დაკავშირებული. თუმცა ხშირად საჯარო სექტორის მოხელეთა რაოდენობა სასარგებლო ინფორმაციაა. მიუხედავად ამისა, იგი ნათელს არ ჰფენს მთავარ საკითხს – რა მასშტაბით აკონტროლებს მთავრობა საზოგადოების რესურსებს?

არსებობს უფრო კეთილგონივრული და მიღებული მიდგომა, მთავრობის ზომა განისაზღვროს მის მიერ წლის განმავლობაში გაწეული დანახარჯების მოცულობის მიხედვით, რომლებიც ძირითადად სამი სახისაა:

1. საქონლისა და მომსახურების შესყიდვა. სახელმწიფო შეიძენს აღნიშნული კატეგორიის დიდ ოდენობას, რაკეტიდან მეტყვევის მომსახურებამდე.

2. შემოსავლის ხალხისათვის, ბიზნეს-ერთეულებისა და სხვა მთავრობებისათვის გადაცემა. სახელმწიფო ზოგიერთი პირისა და

ორგანიზაციისაგან იღებს შემოსავალს და მას სხვებს გადასცემს. ამის მაგალითად გამოდგება კეთილდღეობის ამალების ისეთი პროგრამები, როგორცაა სასურსათო ტალონები და ფერმერთათვის გარკვეული საქონლის წარმოებისათვის (ან წარმოების შეჩერებისათვის) გადახდილი სუბსიდიები.

3. პროცენტების გადახდა. მთავრობა ხშირად სესხულობს ფულს საკუთარი საქმიანობის დასაფინანსებლად და, როგორც მსესხებელი, ვალდებულია ამგვარი პრივილეგიით სარგებლობისათვის პროცენტი გადაიხადოს.

მთავრობა დანახარჯების კლასიფიკაციას ახორციელებს დოკუმენტში, რომელსაც ნაერთი (კონსოლიდირებული) ბიუჯეტი ეწოდება. 2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯები შეადგენდა დაახლოებით 16 მილიარდ

ინფორმაცია სახელმწიფო რეგლამენტრებით გამოწვეული ეკონომიკის დანახარჯების შესახებ წლიურ მარეგულირებელ ბიუჯეტში უნდა გამოქვეყნდეს. სწორედ ამ გზით გახდება შესაძლებელი ასეთი დანახარჯების ზუსტი აღრიცხვა.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2010-2020 წლებში
(მლნ. ლარი)

	2010	2015	2020
ხარჯები სულ	6486.7	8177.9	15923.8
მათ შორის:			
განათლებაზე	542.1	899.6	1538.8
ჯანდაცვაზე	414.8	855.1	1104.0
სოციალურ დაცვაზე	1286.6	2207.7	5508.0
ეკონომიკაზე	537.7	568.6	2066.4

4. ხშირად სასარგებლოა, სახელმწიფოს მიერ გაწეული დანახარჯი ეკონომიკის მასშტაბთან შედარებით გავანალიზოთ. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობის ზომა ორჯერ, ხოლო ეკონომიკა სამჯერ იზრდება, ითვლება, რომ მთავრობის ზომა შემცირებულია.

სხვადასხვა მიზეზით საჯარო სექტორის მასშტაბები ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, ამ თავში განხილული იდეოლოგიური აზროვნება ალბათ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მაგალითად, შვედეთში იმიტომაცა მსხვილი საჯარო სექტორი, რომ სახელმწიფო აფინანსებს ჯანმრთელობის დაცვის თითქმის მთელ სისტემას, რომელიც საზოგადოებრივ პასუხისმგებლობად ითვლება. მეორე მხრივ, აშშ-ში, ჯანმრთელობის დაცვა უფრო პირის პირადი პრეროგატივაა, ამდენად, ჯანმრთელობის დაცვაზე დანახარჯების უდიდეს ნაწილს კერძო სექტორი გასწევს.

ცხრილი

სახელმწიფო დანახარჯების პროცენტული წილი მთლიან შიდა პროდუქტთან ცალკეული ქვეყნების მიხედვით

	პროცენტი		პროცენტი
შვედეთი	53.1	ავსტრალია	31.0
საფრანგეთი	49.4	იაპონია	38.3
გერმანია	44.5	აშშ	35.1
გაერთიანებული სამეფო	38.8	საქართველო	31.9

ზოგადად, სახელმწიფო ხარჯების მოცულობა იზარდება როგორც ნომინალური, ისე რეალური თვალსაზრისით, მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, აგრეთვე მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ, განსაკუთრებით კორონავირუსის პანდემიის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების ასპექტში.

თავდაცვაზე გაწეული დანახარჯების წილი სახელმწიფო ბიუჯეტში საკმაოდ სოლიდურადაა წარმოდგენილი, თუმცა მათ წილს ზოგადად დანახარჯებში შემცირების ტენდენცია ახასიათებთ. ამისგან განსხვავებით, სოციალურ უზრუნველყოფაზე, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამალგებაზე ხარჯები იზრდება. მაგალითად, 2018 წელს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ხარჯები თავდაცვაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოების

უზრუნველყოფაზე ამ ქვეყნების მშპ-ის 3.0 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ხარჯების წილი განათლებაზე, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე 30.4 პროცენტი იყო. აშშ-ში ანალოგიური ხარჯები შეადგენენ, შესაბამისად, 4.3% და 29.4%.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დიდი ნაწილი აშშ-ში პირად შემოსავალსა და ხელფასზე დარიცხულ გადასახადებზე მოდის. ევროკავშირის ქვეყნებში საბიუჯეტო შემოსავლები თითქმის ტანხარი პროპორციებით ნაწილდება პირდაპირ, არაპირდაპირ და სოციალურ გადასახადებს შორის. საქართველოში გადასახადების წილად საბიუჯეტო შემოსავლების 9/10 გადასახადების წილად მოდის, ამასთან არაპირდაპირი გადასახადების წილი პირდაპირი გადასახადების წილს თითქმის 1.4-ჯერ აღემატება.

თემა 2. კეთილდღეობის ეკონომიკა და სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში

კეთილდღეობის ეკონომიკა

- წმინდა ბარტერული ეკონომიკა (ეუჯორთის ყუთი),
- პარეტო-ეფექტიანობა,
- პარეტო-გაუმჯობესება,
- წარმოების ეკონომიკა;

კეთილდღეობის ეკონომიკის პირველი ძირითადი თეორია;

სამართლიანობა და კეთილდღეობის ეკონომიკის მეორე ძირითადი თეორია

ბაზრის ნაკლოვანებები


კეთილდღეობის ეკონომიკა არის ეკონომიკური თეორიის განშტოება, რომლის ყურადღების ცენტრში სხვადასხვა ეკონომიკური ფორმაციების სოციალური სასურველობაა.

დავიწყოთ ყველაზე მარტივი ეკონომიკის განხილვით. იგი შედგება ორი ადამიანისაგან, რომლებიც რომლებიც ფიქსირებული მიწოდების კოეფიციენტის მქონე ორი სახის საქონელს მოიხმარენ. ამ შემთხვევაში ერთადერთი ეკონომიკური პრობლემა ორ ადამიანს შორის ორი საქონლის განაწილებაა. როგორი მარტივიც არ უნდა იყოს ეს მოდელი, აღსანიშნავია, რომ `ორი საქონელი _ ორი ადამიანის~ შემთხვევას მიყვავართ ისეთი ეკონომიკისაკენ, რომელსაც უკვე ადამიანთა და საქონელთა დიდი ოდენობა ახასიათებს. შემთხვევა `ორი ორზე~ მისი სიმარტივის გამოა განხილული.

ეს ორი ადამიანი ადამი და ევა გახლავთ, ხოლო ორი საქონელი _ ვაშლი (საკვები) და ლედვის ფოთოლი (სამოსი). ანალიტიკური მოწყობილობა ცნობილია `ეჯუორთის ყუთის სახელით, რომელიც ადამსა და ევას შორის ვაშლისა და ლედვის ფოთლის განაწილების სქემას აღწერს. სახელი XIX საუკუნის დიდი ეკონომისტის, ფრანსის ისიდრო ეჯუორთის პატივსაცემად დაერქვა.

გრაფიკი 3.1

ეჯუორთის ყუთი




3.1 გრაფიკში ეჯუორთის ყუთის სიგრძე, O_s , არის მეურნეობაში არსებული ვაშლების მთლიანი რაოდენობა; მისი სიმაღლე, O_r , ლეღვის ფოთოლთა მთლიანი რაოდენობაა. ადამის მიერ შესყიდული პროდუქცია გამოითვლება მანძილებით O წერტილიდან, ევას მიერ მოხმარებული საქონლის რაოდენობა კი - მანძილებით O' წერტილიდან. ასე, მაგალითად, y წერტილთან ადამი მოიხმარს O_u ლეღვის ფოთოლს და O_x ვაშლს, ხოლო ევა - $O'y$ ვაშლს და $O'w$ ლეღვის ფოთოლს. ამდენად, ეჯუორთის ყუთის ნებისმიერი წერტილი ადამსა და ევას შორის ვაშლისა და ლეღვის ფოთლის განაწილების მომენტია.

დავუშვათ, ადამსა და ევას აქვთ პირობითად ფორმირებული განურჩევლობის მრუდები, რომლებიც ვაშლსა და ლეღვის ფოთოლთან მათ უპირატეს დამოკიდებულებას წარმოადგენს.


გრაფიკი 3.2

განურჩევლობის მრუდები ეჯუორთის ყუთის მიხედვით



გრაფიკი 3.3

ადამისა მდგომარეობის გაუმჯობესება ევას მდგომარეობის გაუარესების ღარუე



3.2 გრაფიკში ორივე განურჩევლობის მრუდი ეჯუორთის ყუთში დევს. ადამის მრუდებს ეწოდება A, ხოლო ევას მრუდებს - E. მაღალი რიცხვები განურჩევლობის მრუდებზე მიუთითებს სარგებლის (კმაყოფილების) მაღალ დონეზე. ადამი უფრო კმაყოფილია, თუ მრუდი ემთხვევა A3-ს, ვიდრე A2-ს ან A1-ს; ევა კმაყოფილია, თუ მრუდი ემთხვევა E3-ს, ვიდრე E2-ს ან E1-ს. ზოგადად, ევას კმაყოფილება იზრდება, როდესაც მისი პოზიცია ინაცვლებს სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ადამი კი მაშინაა უფრო კმაყოფილი, როდესაც ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მოძრაობს.

ერთი ადამიანის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მეორე ადამიანის მდგომარეობის გაუარესებაა. ეს პარეტო-ეფექტიანობის სახელითაა ცნობილი.

რესურსები პარეტო-ეფექტიანობის მიხედვით მხოლოდ მაშინ ნაწილდება, როდესაც ინდივიდს არ შეუძლია გამდიდრება ისე, რომ სხვა პირის მატერიალურ მდგომარეობას ზიანი არ მიაყენოს.

პარეტო-ეფექტიანობის წერტილი მოითხოვს, რომ თითოეული პირის შემთხვევაში ორი საქონლის შენაცვლების ზღვრული განაკვეთი ტრანზფორმაციის ზღვრულ განაკვეთს უდრიდეს. პარეტო-ეფექტიანობა ეკონომიკის ეფექტიანობის შესაფასებლად ეკონომისტთა საკონტროლო წერტილია.

რა შემთხვევაში აქვს ადგილი პარეტო ეფექტიანობას?

გამოყოფენ სამ პირობას („პარეტოს პირობები“):

1. „გაცვლის ეფექტიანობის პირობა“. - გაუმჯობესება შეუძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც დოვლათის მოხმარების ჩანაცვლების ზღვრული ნორმები ყველა მომხმარებლისათვის თანაბარია;
2. „წარმოების ეფექტურობის პირობა“. - პარეტო-გაუმჯობესება შეუძლებელია, როდესაც შრომის კაპიტალით ტექნიკური ჩანაცვლების ზღვრული ნორმები თანაბარია ყველა სახის დოვლათის წარმოებაში;
3. „რესურსების განლაგების (განაწილების) ეფექტურობის პირობა“ მდგომარეობს იმაში, რომ პარეტო-გაუმჯობესება შეუძლებელია, როდესაც დოვლათის წარმოებისას ტრანსფორმაციის ზღვრული ნორმები ტოლია დოვლათის მოხმარების ჩანაცვლების ზღვრული ნორმებისა ყველა მომხმარებლისათვის.


პარეტო-გაუმჯობესება – რესურსთა ისე განაწილება, რომ ერთი ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება მეორე ადამიანის კეთილდღეობის დაქვეითებას არ იწვევდეს.

წარმოების ეკონომიკა

წარმოების შესაძლებლობათა მრუდი. აქამდე ვუშვებდით, რომ ყველა პროდუქციის მიწოდება ფიქსირებული რაოდენობით ხდებოდა. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ საწარმოო საშუალებანი გადაინაცვლებს ვაშლისა და ლეღვის ფოთლის წარმოებას შორის ისე, რომ ამ ორი პროდუქციის რაოდენობა შეიცვალოს. წარმოების საშუალებათა ეფექტიანად ფუნქციონირების პირობებში ვაშლის წარმოების ზრდა აუცილებლად გულისხმობს ლეღვის ფოთლის წარმოების შემცირებას, და პირიქით. წარმოების შესაძლებლობათა მრუდი ლეღვის ფოთლის მაქსიმალურ ოდენობას უჩვენებს, რომლის წარმოება შესაძლებელია ვაშლის მოცემულ ოდენობასთან ერთად. ტიპური წარმოების შესაძლებლობათა მრუდი 3.8 გრაფიკში ნაჩვენებია CC-ს სახით. როგორც იმავე გრაფიკში იხილავთ, ერთ-ერთი ხელმისაწვდომი ალტერნატივა ეკონომიკაში არის Ow ლეღვის ფოთლისა და Ox ვაშლის წარმოება. შესაძლოა, ვაშლის წარმოება Ox -დან Oz -მდე გაიზარდოს ხზ მანძილით. ამისათვის საჭიროა საწარმოო საშუალებების მთლიანად ამოღება ლეღვის ფოთლის წარმოებიდან და გადატანა ვაშლის წარმოებაში. ლეღვის ფოთლის წარმოება წყ მანძილით შემცირდება, თუ ვაშლის წარმოება xz -ით გაიზრდება. wy -დან wz -მდე მანძილის პროპორცია ვაშლის ლეღვის ფოთლად ტრანსფორმაციის ზღვრული განაკვეთია ($MRTaf$), რადგან იგი იმ განაკვეთს უჩვენებს, რომლითაც ეკონომიკას ვაშლის ლეღვის ფოთლად ტრანსფორმაცია შეუძლია. ისევე, როგორც $MRSas$ არის განურჩევლობის მრუდის დახრილობის აბსოლუტური ღირებულება, $MRTaf$ წარმოების შესაძლებლობათა მრუდის დახრილობის აბსოლუტური ღირებულებაა.

გრაფიკი 3.8

წარმოების
შესაძლებლობათა
მრუდი



კეთილდღეობის ეკონომიკის პირველი ძირითადი თეორია

შეიძლება შევითხვა დაისვას: შესაძლებელია კი, რომ ეკონომიკამ პარეტო-ეფექტიანობის სასურველ მდგომარეობას მიაღწიოს? პასუხი იმ დაშვებაზეა დამოკიდებული, რომელსაც გავაკეთებთ ეკონომიკის ოპერაციების შესახებ. დავუშვათ, რომ:

1. მწარმოებლები და მომხმარებლები სრულყოფილი კონკურენტები არიან (ანუ, არც ერთი მათგანი არ ფლობს საბაზრო ძალაუფლებას);
2. ბაზარი თითოეული პროდუქციისათვის არსებობს.

ასეთი დაშვების ფარგლებში ე.წ. კეთილდღეობის ეკონომიკის პირველი ძირითადი თეორია ამტკიცებს, რომ რესურსთა განაწილება სწორედ პარეტო-ეფექტიანობის მიხედვით ხდება. ფაქტობრივად საოცარი შედეგი გამოვლინდა,

რომელიც მიგვითითებს, რომ კონკურენტული ეკონომიკა რესურსების ეფექტიან განაწილებას “ავტომატურად” ახორციელებს, რასაც ცენტრალიზებული მმართველობა არ ესაჭიროება (ადამ სმითის “უხილავი ხელის” ჩრდილი). კეთილდღეობის პირველი თეორია იმ შემეცნების ფორმალიზებას ახდენს, რომელიც უკვე დიდი ხანია აღიარებულია: როდესაც საქმე საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე მიდგება, თავისუფალ საწარმოთა სისტემა ძალიან ნაყოფიერი ხდება.

კონკურენციის ძირითადი არსი ისაა, რომ ყველა ადამიანისთვის დაწესებულია თანაბარი ფასები – თითოეული მომხმარებელი თუ მწარმოებელი იმდენად უმნიშვნელოა ბაზრისათვის, რომ იგი ფასზე ზემოქმედებას ვერ ახდენს. ჩვენი მაგალითის მიხედვით, კონკურენცია გულისხმობს, რომ ადამი და ევა ლედვის ფოთლისა (Pf) და ვაშლისათვის (Pa ერთნაირ ფასს იხდიდნენ. მომხმარებლის არჩევანის თეორიის ძირითადი შედეგინ ის არის, რომ ადამის სარგებლის მაქსიმიზაციისათვის აუცილებელი წინაპირობაა:

$$MRS_{af}^{Adam} = \frac{P_a}{P_f}$$

ანალოგიურად, ევასთვის სარგებლის გასაზრდელად აუცილებელია, რომ:

$$MRS_{af}^{Eve} = \frac{P_a}{P_f}$$

3.5 და 3.6 განტოლებები ერთად გვაძლევს:

$$MRS_{af}^{Adam} = MRS_{af}^{Eve}$$

თეორიის ძირითადი შედეგი არის ის, რომ მოგების მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული ფირმა პროდუქციას სწორედ იმ წერტილამდე აწარმოებს, სადაც ზღვრული დანახარჯი და ფასი თანაბარია. ჩვენს შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ $P_a = MC_a$, ხოლო $P_f = MC_f$, ან

$$\frac{MC_a}{MC_f} = \frac{P_a}{P_f}$$

სამივე განტოლება ერთად ნიშნავს, რომ $MRS_{af}^{Adam} = MRS_{af}^{Eve} = MRT_{af}$. ეს კი პარეტო ეფექტიანობის აუცილებელი პირობაა.

პარეტო-ეფექტიანობა ზღვრულ დანახარჯთან ფასის პროპორციულობას მოითხოვს. კონკურენცია კი ამ პირობის შესრულების გარანტია. საქონლის ზღვრული დანახარჯი საზოგადოებისათვის დამატებითი დანახარჯია. 3.9 განტოლების თანახმად, ეფექტიანობის მისაღწევად აუცილებელია თითოეული საქონლის დამატებითი დანახარჯის მის ფასში ასახვა.

სამართლიანობა და კეთილდღეობის ეკონომიკის მეორე ძირითადი თეორია

თუ კარგად ფუნქციონირებადი კონკურენტული ბაზარი ეფექტიანად ანაწილებს რესურსებს, მაშინ რა როლს ასრულებს ეკონომიკაში სახელმწიფო? ასეთ ვითარებაში რაციონალურად მხოლოდ სახელმწიფოს უმნიშვნელო როლი ჩაითვლება. სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია იქნება საკუთრების უფლების დაცვა ისე, რომ ბაზარმა იმუშაოს. სახელმწიფო ადგენს კანონს და უზრუნველყოფს წესრიგს; იგი აღჭურვილია სასამართლო სისტემითა და ეროვნული თავდაცვის მექანიზმით. სხვა ყველაფერი ზედმეტია. თუმცა აღნიშნული დასკვნა კეთილდღეობის პირველი თეორიის ზედაპირულ გააზრებას ეფუძნება. სამყაროში ყველაფერი გაცილებით რთულია. ერთი მხრივ, იგულისხმება, რომ ეფექტიანობა ერთადერთი კრიტერიუმია იმის დასადგენად, კეთილგონივრულად არის თუ არა განაწილებული რესურსები. თუმცა არ იკვეთება, პარეტო-ეფექტიანობა სასურველია თუ არა.

კეთილდღეობის მეორე თეორიის მიხედვით ბაზარზე პარეტო-ოპტიმალური მდგომარეობა შეიძლება რეალიზებულ იქნას წონასწორობის სახით.

აღნიშნული თეორიის მიმდევარი ეკონომისტების მოსაზრების თანახმად, საზოგადოებამ შესაძლოა მიაღწიოს რესურსების პარეტო-ეფექტიანობის მიხედვით განაწილებას, თუ თავდაპირველ შენატანებს დანიშნულებისამებრ გამოიყენებს და შემდეგ ადამიანებს ერთმანეთთან თავისუფლად ვაჭრობის საშუალებას მისცემს. უხეშად რომ ვთქვათ, სახელმწიფო სარგებლის მიღების შესაძლებლობათა მაქსიმუმს უზრუნველყოფს, თუ იგი შემოსავალს ჯეროვნად გადაანაწილებს, ბაზარს თავისუფლად მოქმედების საშუალებას მისცემს, თავად კი გზიდან ჩამოეცლება.

მეორე თეორემაზე დასკვნის სახით:

პარეტო-ოპტიმალური წონასწორობა ბაზარზე შეიძლება რეალიზებულ იქნეს წონასწორობის სახით;

დოვლათის განაწილების ეფექტურობისა და სამართლიანობის პრობლემები განცალკევებულები არიან;

ბაზრის სასურველი ეფექტური მდგომარეობის მისაღწევად საკმარისია შემოსავლის ან ქონების გადაანაწილება;

ფასებით მანიპულირებას მივყავართ სინამდვილის დამახინჯებამდე და ამიტომ სასურველი წონასწორობის მიღწევის ამგვარი მექანიზმი შეიძლება მივიღეს არაეფექტურ წონასწორობამდე;

ბაზართან მიმართებაში გარე აგენტის ნებისმიერი მოქმედება, რომელიც გავლენას ახდენს ბაზრის აგენტების მიერ საკუთარი გადაწყვეტილების მექანიზმზე, შეიძლება მიგვიყვანოს არაეფექტურ წონასწორობამდე, რის გამოც უპირატესობა უნდა მიენიჭოს პირდაპირ გადასახადებს ირიბის ნაცვლად.

კეთილდღეობის პირველი თეორია მხოლოდ მაშინაა ქმედითი, როცა ფასს ყველა მომხმარებელი და ფირმა ეთანხმება. მაგრამ თუ ზოგიერთი ინდივიდი ან ფირმა

ფასს განსაზღვრავს (მათ აქვთ ფასებზე ზემოქმედების უნარი), რესურსთა განაწილება ძირითადად არაეფექტიანია. რატომ?

საბაზრო ძალაუფლების მქონე ფირმას შეიძლება იმის უნარი აღმოაჩნდეს, რომ ფასი ზღვრულ ღირებულებაზე მეტად გაზარდოს, თუ ბაზარს კონკურენტთან შედარებით ნაკლებ პროდუქციას მიაწვდის.

კეთილდღეობის პირველი თეორია ამტკიცებს, რომ სათანადოდ ფუნქციონირებადი კონკურენტული ეკონომიკა თავისთავად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, რესურსებს პარეტო-ეფექტიანობის მიხედვით ანაწილებს. თუმცა არ არის აშკარად გამოკვეთილი ის, რომ რესურსთა ეფექტიანი განაწილება სოციალური თვალსაზრისით სასურველია.

ეკონომიკა შესაძლოა ორი ძირითადი მიზეზით იყოს არაეფექტიანი - საბაზრო ძალაუფლება და ბაზრის არარსებობა.

საბაზრო ძალაუფლება

კეთილდღეობის პირველი თეორია მხოლოდ მაშინაა ქმედითი, როცა ფასს ყველა მომხმარებელი და ფირმა ეთანხმება. მაგრამ თუ ზოგიერთი ინდივიდი ან ფირმა ფასს განსაზღვრავს (მათ აქვთ ფასებზე ზემოქმედების უნარი), რესურსთა განაწილება ძირითადად არაეფექტიანია. რატომ? საბაზრო ძალაუფლების მქონე ფირმას შეიძლება იმის უნარი აღმოაჩნდეს, რომ ფასი ზღვრულ ღირებულებაზე მეტად გაზარდოს, თუ ბაზარს კონკურენტთან შედარებით ნაკლებ პროდუქციას მიაწვდის.

ფასის დაწესება, როგორც ქმედება, სხვადასხვაგვარად ხორციელდება. ყველაზე ექსტრემალური შემთხვევა მონოპოლიაა, როდესაც ბაზარზე მხოლოდ ერთი ფირმაა, სხვა ფირმებისათვის კი შესასვლელი ჩაკეტილია. ნაკლებად ექსტრემალური შემთხვევაა ოლიგოპოლია (რამდენიმე გამყიდველი), როდესაც ერთი ტიპის წარმოებაში ჩართულ ფირმებს შესწევთ ზღვრულ დანახარჯზე მაღალი ფასის დაწესების უნარი. და ბოლოს, არსებობს შემთხვევა, როდესაც ზოგიერთ წარმოებაში

ბევრი ფირმაა ჩართული, მაგრამ თითოეულ მათგანს აქვს საბაზრო ძალაუფლება იმდენად, რამდენადაც ისინი დიფერენცირებულ პროდუქციას აწარმოებენ. ასე, მაგალითად, ბევრი ფირმა აწარმოებს სპორტულ ფეხსაცმელს, თუმცა მომხმარებლები განასხვავებენ "Reebok"-ის, "Nike"-ისა და "Adidas"-ის პროდუქციას.

ბაზრის არარსებობა

კეთილდღეობის პირველი თეორიის მიხედვით, ბაზარი ყველა პროდუქციისათვის არსებობს. თუ ბაზარი გარკვეული საქონლისათვის არ არსებობს, მაშინ იგი ეფექტიანად ვერც რესურსებს გაანაწილებს. რეალურად, გარკვეულ პროდუქციაზე შესაძლოა ბაზარი მართლაც არ წარმოიქმნას. ავიღოთ, მაგალითად, დაზღვევა - მოულოდნელობით აღსავსე სამყაროში მეტად მნიშვნელოვანი მომსახურება. მიუხედავად ისეთი ფირმების არსებობისა, როგორცაა "Aetna" და "Allstate", არსებობს გარკვეული მოვლენები, რომლებიც კერძო ბაზარზე უბრალოდ არ იზღვევა. ასე, მაგალითად, წარმოიდგინეთ, რომ გსურთ, დააზღვიოთ გალარიბების შესაძლებლობა. შესაძლებელია კი, რომ ფირმამ, რომელიც კონკურენტულ ბაზარზე მოქმედებს, მომგებიანად ჩათვალოს "სიღარიბის დაზღვევა"? პასუხი ასეთია - არა. თუ დაგაზღვევენ სიღარიბეზე, შეიძლება აღარ იმუშაოთ. ამის თავიდან ასაცილებლად კი სადაზღვევო ფირმები თქვენს ქცევას შეამოწმებენ, რათა განსაზღვრონ, თქვენი დაბალი შემოსავალი თქვენი უიღბლობითაა გამოწვეული თუ უბრალოდ სამსახურის გაცდენით. თუმცა აღნიშნული მონიტორინგის ჩატარება ან ძალიან რთული იქნება ან შეუძლებელი. ამდენად, არ არსებობს სიღარიბის დაზღვევის ბაზარი - მისი დაზღვევა უბრალოდ შეუძლებელია.

ძირითადი პრობლემა აქ **ასიმეტრიულ ინფორმაციაშია** - გარიგების ერთ მხარეს აქვს ისეთი ინფორმაცია, რომელზედაც მეორე მხარეს ხელი არ მიუწვდება. სახელმწიფო შემოსავლის მასტიმულირებელი პროგრამების ერთ-ერთი დადებითი შედეგი ისაა, რომ ისინი სიღარიბის დაზღვევას უზრუნველყოფენ (რაც კერძო ბიზნესისათვის

შეუძლებელია). ჯილდო აღნიშნული “სადაზღვევო პოლიტიკისათვის” არის ის გადასახადები, რომლებსაც იხდით შემოსავალზე. გადარიბების შემთხვევაში შემოსავალს სახელმწიფო დახმარების სახით მიიღებთ.

არაეფექტიანობის მეორე ტიპი, რომელიც ბაზრის არარსებობის გამო შეიძლება წარმოიშვას, არის გარეგანი ეფექტი -სიტუაცია, რომელშიც ერთი ინდივიდის ქცევა მეორე ინდივიდის კეთილდღეობაზე ზემოქმედებს. ასე, მაგალითად, დავუშვათ, რომ თქვენი ოთახის მეგობარი იწყებს დიდი სიგარის მოწევას და ჰაერის დაბინძურებას (რაც თქვენზე ცუდად მოქმედებს). რატომ არის ეს ეფექტიანობის პრობლემა? თქვენი მეგობარი სიგარის მოწევასას მოიხმარს იშვიათ რესურსს - სუფთა ჰაერს. თუმცა სუფთა ჰაერის ბაზარი, რომელიც მას დაავალდებულებდა, გადაეხადა საფასური სუფთა ჰაერის დაბინძურებისათვის, არ არსებობს. ფაქტობრივად ის არაფერს არ იხდის სუფთა ჰაერში და სწორედ ამიტომ ბოროტად სარგებლობს ამით. ფასთა სისტემა კი საქონლის ალტერნატიული ღირებულების შესახებ ჯეროვან სიგნალებს ვერ გადასცემს.

კეთილდღეობის ეკონომიკა გარეგანი ეფექტის გასაანალიზებლად სასარგებლო ჩარჩოს გვთავაზობს. ზღვრული დანახარჯი ნიშნავს სოციალურ ზღვრულ დანახარჯს - იგი წარმოებაში გამოყენებული საზოგადოებრივი რესურსების ზრდად ღირებულებას აერთიანებს. ჩვენი სიგარების შემთხვევაში თქვენი ოთახის მეგობრის წევის ზღვრული დანახარჯი უფრო დაბალია, ვიდრე სოციალური ზღვრული დანახარჯი, რადგან თქვენს მეგობარს არ უხდება იმ სუფთა ჰაერის საფასურის გადახდა, რომელსაც მოიხმარს. სიგარის ფასი, რომელიც ასახავს მის პირად ზღვრულ დანახარჯს, სოციალურ ზღვრულ დანახარჯს სათანადოდ არ აჩვენებს. ამდენად, რესურსთა განაწილება არაეფექტიანია.

გარეგანი ეფექტი შესაძლოა იყოს პოზიტიური – გვთავაზობდეს სარგებელს - ან ნეგატიური. იფიქრეთ იმ მოლეკულურ ბიოლოგზე, რომელიც ახალი გენ-სპლაისინგის (გენეტიკური შეზრდის) ტექნიკის შესახებ ნაშრომს გამოაქვეყნებს,

რომელიც შესაძლოა ფარმაცევტულმა კომპანიამ გამოიყენოს. პოზიტიური გარეგანი ეფექტის შემთხვევაში სასარგებლო საქმიანობის ოდენობა, რომელიც გენერირებულია ბაზრის მიერ, არაეფექტიანად მცირე იქნება.

გარეგანი ეფექტის მონათესავე ცნებაა **საზოგადოებრივი საქონელი** - პროდუქცია, რომელიც არაკონკურენტული მოხმარებით ხასიათდება. ერთი ინდივიდის მიერ მისი მოხმარება არ ზღუდავს მეორეს, ანალოგიურად მოიხმაროს ეს საქონელი. საზოგადოებრივი საქონლის კლასიკური მაგალითი შუქურაა. როდესაც იგი ინთება, მისი სინათლით ახლოს მყოფი ყველა გემი სარგებლობს. ის, რომ ერთი პირი უპირატესად სარგებლობს შუქურის მომსახურებით, არ გულისხმობს იმას, რომ მეორეს არ შეუძლია იმავე პერიოდში ასევე მოიქცეს.

შესაძლოა, ინდივიდს იმის სტიმული ჰქონდეს, რომ დამალოს, თუ რამდენად აფასებს საზოგადოებრივ საქონელს. დავუშვათ, ჩემთვის მეტად სასარგებლოა შუქურის არსებობა, თუმცა კარგად ვიცი, რომ მას შემდეგ, რაც ნათურა აინთება, შემეძლება მისი მომსახურებით ვისარგებლო, მიუხედავად იმისა, ამ მომსახურებისათვის გადავიხდი თუ არა. ამდენად, შემეძლია განვაცხადო, რომ შუქურა აბსოლუტურად უმნიშვნელოა ჩემთვის, რაკი მექნება სხვების ხარჯზე სარგებლობის იმედი მას შემდეგ, რაც მომსახურებისათვის ისინი გადაიხდიან. სამწუხაროდ, ყველას იგივე აზრი ამოძრავებს. ამიტომ შეიძლება შუქურა საერთოდ ვერ აშენდეს, თუნდაც მისი მშენებლობა ძალიან სასარგებლო იყოს. საბაზრო მექანიზმმა შესაძლოა ვერ აიძულოს ინდივიდი, საზოგადოებრივი საქონლის მიმართ პრეფერენციები გამოავლინოს, რასაც, სავარაუდოდ, იმისკენ მივყავართ, რომ საზოგადოებრივი საქონლისათვის არასაკმარისი რესურსები გამოიყოფა.

რომ შევაჯამოთ, უნდა ითქვას, რომ **საზოგადოებრივია საქონელი**, რომელიც მოხმარების პროცესში არ იწვევს კონკურენციას.

საზოგადოებრივი საქონლის თავისებურებებია:

- საქონლის მოხმარებისათვის სხვა პირის ზღვრული დანახარჯი ნულის ტოლია
- მისი მოხმარება კონკურენციას არ იწვევს;
- პირისათვის საქონლის სარგებლობის უფლების წართმევა ან ძალიან ძვირია, ან შეუძლებელი – საქონლის მოხმარება გამორიცხვის პრინციპს არ ექვემდებარება.

კეთილდღეობის პირველი თეორია ამტკიცებს, რომ სათანადოდ ფუნქციონირებადი კონკურენტული ეკონომიკა თავისთავად, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, რესურსებს პარეტო-ეფექტიანობის მიხედვით ანაწილებს. თუმცა არ არის აშკარად გამოკვეთილი ის, რომ რესურსთა ეფექტიანი განაწილება სოციალური თვალსაზრისით სასურველია: ერთნი ამტკიცებენ, რომ გასათვალისწინებელია განაწილების სამართლიანობის პოსტულატიც. უფრო მეტიც, ეკონომიკაში ზოგჯერ ზოგიერთი საქონლისათვის არც კონკურენცია არსებობს და არც ბაზარი. ამდენად, რესურსების ბაზრის კონიუნქტურის მიხედვით განაწილება ეფექტიანი არ არის. სწორედ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა, ჩაერიოს და ეკონომიკის ეფექტიანობა გაზარდოს.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ეფექტიანობასთან დაკავშირებული პრობლემები სახელმწიფოსთვის უზრუნველყოფს ეკონომიკაში ჩარევის შესაძლებლობას, თუმცა არასოდეს მოითხოვს აღნიშნულ ჩარევას.

ის, რომ რესურსთა ბაზრის კონიუნქტურის მიხედვით განაწილება სრულყოფილი არ არის, არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს უკეთესი განაწილების უნარი აქვს. ასე, მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში იმ სახელმწიფო სამსახურის ჩამოყალიბებისთვის გაწეული ხარჯი, რომელმაც უნდა მოაგვაროს გარეგან ეფექტთან დაკავშირებული პრობლემები, შესაძლოა თავად გარეგანი ეფექტის დანახარჯს აღემატებოდეს. უფრო მეტიც, სახელმწიფო, ადამიანის მსგავსად, შეცდომებს უშვებს. ერთნი იმასაც ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო აბსოლუტურად უუნაროა იმისათვის, რომ ეფექტიანად იმოქმედოს. ასე რომ, თუ თეორიულად

სახელმწიფოს ძალუმს სტატუს-კვოს გამოსწორება, პრაქტიკულად მას არასოდეს შესწევს ამის უნარი. მიუხედავად იმისა, რომ არგუმენტი საკმაოდ ექსტრემალურად გამოიყურება, იგი ნათელს ჰფენს იმ ფაქტს, რომ ეკონომიკური თეორია მხოლოდ იმ სიტუაციის იდენტიფიცირებაში გვეხმარება, რომლის დროსაც ინტერვენციამ შესაძლოა უფრო მაღალი ეფექტიანობა მოგვითხოვს.

კეთილდღეობის ეკონომიკაში წვლილის შეტანა

დღეს ყველაზე ცხარე კამათი ეკონომიკის ორგანიზებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს. საკითხი საკმაოდ მწვავედ დგას: ეროვნული შემოსავლის რა ნაწილი უნდა დაეთმოს საჯარო სექტორს? როგორ დაფინანსდება სახელმწიფო დანახარჯები?

პირველ რიგში, ძირითადი ხედვა მეტად ინდივიდუალურია. იგი ადამიანის სარგებელსა და მისი მაქსიმიზაციის გზებზეა ფოკუსირებული. აღნიშნული მოსაზრება სოციალური უზრუნველყოფის ფუნქციის ფორმულირებაშიც მოჩანს, რომლის ძირითადი აზრი ისაა, რომ კარგი საზოგადოება ბედნიერ ადამიანთა ერთობლიობას წარმოადგენს. მისაღებია სხვა სოციალური მიზნები, როგორცაა სახელმწიფოს ძალაუფლების ზრდა, უფლის დიდება და ა.შ. კეთილდღეობის ეკონომიკას ბევრი არაფერი აქვს სათქმელი ასეთი მიზნების მქონე ადამიანებისათვის. არ არის გასაკვირი, რომ ირანელი აიათოლა ჰომეინი ამბობდა, რომ ეკონომიკა მაიმუნებისთვისაა შექმნილი.

ვინაიდან კეთილდღეობის ეკონომიკა ადამიანის უპირატესობას ცენტრალურ ადგილზე აყენებს, იგი აღნიშნული უპირატესობის სერიოზულ აღქმას მოითხოვს. ადამიანმა ყველაზე კარგად იცის, თუ რა ანიჭებს მას კმაყოფილებას. ამის საწინააღმდეგო შეხედულება, ერთ დროს მშვენივრად ფორმულირებული ტომას ო'ნილის (აშშ კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ყოფილი სპიკერი) მიერ, ასეთი იყო: „ხშირად ამერიკელებს სწორედ ის სურთ, რაც მათთვის კარგი არ არის“. თუ ვინმე დაიჯერებს, რომ ინდივიდის პრეფერენცია არაჯანსაღი და უზნეოა,

აღმოჩნდება, რომ თეორიას, რომლის მიზანი ინდივიდის სარგებლის მაქსიმიზაციაა, ვერასოდეს გამოვიყენებთ.

„დამსახურებულ საქონლად“ მიიჩნევენ ისეთ საქონელს, რომელიც საზოგადოებას აუცილებლად უნდა მიეწოდოს, თუნდაც საზოგადოების წევრები მასზე მოთხოვნას არ გამოხატავდნენ. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ სახვითი ხელოვნების მხარდაჭერა ხშირად ამ საფუძველზეა დასაბუთებული. თუ ინდივიდი არ იხდის სათანადო ღირებულებას, ოპერა და კონცერტი საჯაროდ უნდა ჩატარდეს.

ტერმინი დამსახურებული საქონელი უბრალო ფორმალურ დანიშნულებაზე მიგვითითებს – მიღებულია სუბიექტური გადაწყვეტილება, რომ ხელოვნება საზოგადოებისათვის კარგია. ამდენად, იგი ფინანსურ მხარდაჭერას იმსახურებს. დამსახურებული საქონლის მიმართ მიდგომა არ არის მხარდაჭერის ფაქტობრივი დასაბუთება – იგი ქმნის ტერმინოლოგიას, რომელიც ზუსტად მიუთითებს მხარდაჭერის სურვილზე.

კეთილდღეობის ეკონომიკის ჩარჩოსთვის დამახასიათებელი კიდეც ერთი შესაძლო პრობლემა მისი შედეგთან დამოკიდებულებაა. სიტუაცია ფასდება რესურსთა განაწილების მიხედვით და არა იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრა განაწილების ფორმა. შესაძლოა, საზოგადოება უნდა განისაჯოს იმ პროცესის მიხედვით, რომელმაც იგი განაწილების ამ ფორმამდე მიიყვანა, და არა ფაქტობრივი შედეგების მიხედვით. შეუძლია თუ არა ადამიანს თავისუფლად დადოს კონტრაქტი? არის თუ არა საჯარო პროცესები დემოკრატიული? თუ ამგვარ მოსაზრებას ავირჩევთ, კეთილდღეობის ეკონომიკა თავის ნორმატიულ მნიშვნელობას დაკარგავს.

მეორე მხრივ, კეთილდღეობის ეკონომიკის სერიოზული უპირატესობა ის არის, რომ იგი სახელმწიფო პოლიტიკის შესაფასებლად ლოგიკურ ჩარჩოს უზრუნველყოფს. ყოველივეს შემდეგ, სახელმწიფოს ნებისმიერი ინტერვენცია რესურსთა განაწილებას გამოიწვევს, კეთილდღეობის ეკონომიკის მიზანი კი განაწილების ალტერნატიული

ფორმების შეფასებაა. კეთილდღეობის ეკონომიკის ჩარჩო გვიბიძგებს, როდესაც სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ქმედებაზე ვსაუბრობთ, დავსვათ სამი არსებითი შეკითხვა:

- მოხდება თუ არა აღნიშნული ქმედების შედეგად ყველაზე სასურველი ფორმით განაწილება?
- გაზრდის თუ არა იგი ეფექტიანობას?
- გამოიწვევს თუ არა იგი მიზნობრივ დანახარჯებს?

თუ პასუხი სამივე შეკითხვაზე უარყოფითია, მაშინ სასურველია, ბაზარს თავისუფლება მივანიჭოთ. ცხადია, აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა არსებით კვლევებს და, პირველი შეკითხვის შემთხვევაში, სუბიექტურ შეფასებასაც მოითხოვს. სწორი შეკითხვის დასმა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესისათვის ფასეულ სტრუქტურას უზრუნველყოფს. იგი ინდივიდს აიძულებს, თავისი ეთიკური ფასეულობები გამოხატოს, და ზედაპირული და მხოლოდ საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად მოქმედი პროგრამების აღმოჩენას ამარტივებს.

ბაზრის ნაკლოვანებები

ბაზარი მუდმივად განიცდის გარკვეულ ჩავარდნებს, რაც ხელს უშლის „უხილავი ხელით“ ბაზრის მოწესრიგებას. სრულყოფილად ფუნქციონირებადი ბაზრის იდეალური ფორმისგან გადახრა იწვევს საბაზრო ჩავარდნებს.

გარეგანი ეფექტები

გარეგანი ეფექტების ზემოქმედებას ეკონომიკაზე მიყვავართ საბაზრო ჩავარდნამდე, რადგან პროდუქტის ან მომსახურების ფასის წონასწორობა ზუსტად არ ასახავს მოცემული პროდუქტის ან მომსახურების რეალურ ხარჯებსა და სარგებელს. გარეგანმა ეფექტებმა, რომელიც არსებობს დადებითიც და უარყოფითიც, შესაძლოა გავლენა მოახდინოს როგორც ცალკეული ინდივიდის, ისე მთლიანად

საზოგადოების კეთილდღეობაზე. მაგალითად, დაბინძურება ერთ-ერთი საყოველთაოდ ცნობილი უარყოფითი გარეგანი ფაქტორია. ნეგატიური გარე ეფექტები თავს იჩენენ ყველგან, სადაც ინდივიდუალურ საწარმოო და მოხმარების გადაწყვეტილებებს თან ახლავს ბუნებრივი გარემოსთვის ზიანის მიყენება, რომელიც არ აისახება საბაზრო ფასებში. დადებითი გარე ეფექტები წარმოიშობა, მაგალითად, ისეთი პროდუქტის ან წარმოების მეთოდის გამოგონებით, რომელსაც მოიხმარს არა მარტო გამომგონებელი, არამედ, ბაზრის ყველა დანარჩენი მონაწილეც. გამოგონების ინდივიდუალურ ხარჯებს ამ შემთხვევაში უპირისპირდება საზოგადოებრივი სარგებელი, რომელიც ბევრად აღემატება ინდივიდუალურ სარგებელს. დადებითი გარეგანი ეფექტის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ განათლება.

საბაზრო ძალაუფლება

საბაზრო ძალაუფლებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მყიდველი ან გამყიდველი ფლობს ძალას, განსაზღვროს საქონლის ან მომსახურების ფასი ბაზარზე. მონოპოლისტი არის საქონლის ან მომსახურების ერთადერთი მწარმოებელი, ხოლო საბაზრო ძალა მოქცეულია ერთი მწარმოებლის ხელში. მონოპოლისტის პირობებში, კომპანია ან ორგანიზაცია აწარმოებს ძალიან მცირე ან უხარისხო საქონელსა და მომსახურებას, ხოლო მათი ფასები ზღვრული ღირებულების ზემოთაა, მსგავსი ბაზრები კი არაეფექტურად მუშაობენ.

არასრულყოფილი ინფორმაცია ბაზარზე

ეფექტური ბაზრები მოითხოვს მაღალი გამჭვირვალობის დონესა და ინფორმაციის თავისუფალ ნაკადებს. როდესაც გარიგების ერთი მხარე მეტად ინფორმირებულია, ვიდრე მეორე, არსებობს ექსპლუატაციის საფრთხე. ხარისხის შესახებ ინფორმაციის ასინქრონულმა განაწილებამ შესაძლოა გარიგებების ჩაშლა გამოიწვიოს, მაშინ, როდესაც სრულფასოვანი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული გარიგებები თანაბრად მიმზიდველი იქნებოდა, როგორც მიმწოდებლებისთვის, ასევე მომხმარებლებისთვისაც. ბაზრის არასრულფასოვნების ეს ფორმა უარყოფითად

მოქმედებს იმ პროდუქტების მოთხოვნაზე, რომელთა სამომხმარებლო თვისებები მხოლოდ მათი მოხმარების შემდეგაა აღქმადი.

საზოგადოებრივი დოვლათი

ბაზრის წარუმატებლობის მიზეზი ჩნდება მაშინაც, როდესაც ბაზარს მომხმარებლისათვის აღარ შეუძლია სარგებლიანი პროდუქტის მიწოდება. საზოგადოებრივი დოვლათი არის საქონელი, რომელსაც მოიხმარს მოსახლეობის დიდი რაოდენობა და მომხმარებელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად მათი ღირებულება არ იზრდება. როგორც წესი, ამ მომსახურებებს მართავენ მთავრობები და გადაიხდიან კოლექტიურად დაბეგვრის გზით. საზოგადოებრივი დოვლათი კერძო დოვლათის საპირისპიროა, რომელიც არსებითად მწირია და მის საფასურს ინდივიდუალურად იხდის თითოეული მოქალაქე. საზოგადოებრივი დოვლათი ხელმისაწვდომია ყველასთვის, განურჩევლად იმისა, იხდის თუ არა ცალკეული ინდივიდი მისთვის, თუმცა შესაძლოა საზოგადოების ნებისმიერმა წევრმა ყოველგვარი გადასახადის გარეშე ისარგებლოს დოვლათით. ისეთი ადამიანები, რომლებიც უარს ამბობენ გადასახადებზე, არიან იმ ადამიანების ხარჯზე, ვინც პირნათლად იხდის სახელმწიფო გადასახადებს.

თემა 3. საზოგადოებრივი საქონელი

საზოგადოებრივი საქონლის ცნება

საზოგადოებრივი საქონლის ეფექტიანობის უზრუნველყოფა

- ეფექტიანობის უზრუნველყოფის პირობები,
- ეფექტიანობის მიღწევის პროცესში წარმოქმნილი პრობლემები,
- ფრი-რაიდერის პრობლემა

პრივატიზაცია

საზოგადოებრივი საქონელი და საზოგადოებრივი არჩევანი

საზოგადოებრივი საქონლის განსაზღვრა

რა განსხვავებაა სახელმწიფო თავდაცვასა და პიცას შორის? ამ შეკითხვის გაანალიზების შედეგად მივალთ დასკვნამდე, თუ რომელი საქონელი უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო სექტორმა და რომელი – კერძომ. დასაწყისისათვის აღვნიშნავთ, რომ ორ საქონელს შორის არსებობს ერთი უზარმაზარი განსხვავება – ორი ადამიანი ვერ შეჭამს ერთდროულად ერთ პიცას: თუ ერთი ჭამს პიცას, მაშინ იმავე პიცაზე მეორე ანალოგიურ ქმედებას ვეღარ განახორციელებს. ამის საპირისპიროდ, დაცვა, რომელსაც არმია უზრუნველყოფს, ინდივიდთა მიერ მომსახურების ერთდროულად გამოყენების შესაძლებლობას არ ზღუდავს. მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, რომ ერთ ადამიანს ადვილად შეუძლია, მეორე არც კი გააკაროს პიცას. მაგრამ შეუძლებელია ადამიანის ჩამოშორება სახელმწიფო თავდაცვის შედეგად მიღწეული კეთილდღეობისაგან

სახელმწიფო თავდაცვა წმინდა საზოგადოებრივი საქონელია, რომელიც შემდეგნაირად განისაზღვრება:

• მას შემდეგ, რაც საქონლით უზრუნველყოფა მოხდება, საქონლის მოხმარებისათვის სხვა პირის ზღვრული დანახარჯი ნულს უდრის – მისი მოხმარება კონკურენციას არ იწვევს.

- პირისათვის საქონლით სარგებლობის უფლების წართმევა ან ძალიან ძვირია ან შეუძლებელი – საქონლის მოხმარება გამორიცხვის პრინციპს არ ექვემდებარება.

ამის საპირისპიროდ, ისეთი პირადი მოხმარების საქონელი, როგორც პიცაა, მოხმარებისას კონკურენციას იწვევს და გამორიცხვის პრინციპს ექვემდებარება.

აღსანიშნავია საზოგადოებრივი საქონლის განსაზღვრის ზოგიერთი ასპექტი.

მიუხედავად იმისა, რომ საქონლის თანაბარ მოცულობას ყველა მოიხმარს, საქონლის თანაბარი შეფასება მომხმარებელთა მიერ საჭირო არ არის. წარმოიდგინეთ, რომ ლაგდება ოთახი, რომელშიც კოლეჯის რამდენიმე სტუდენტი ცხოვრობს. მას აქვს საზოგადოებრივი საქონლის კარგი თვისება – ყველას სიამოვნებს სუფთა აბაზანაში შესვლა, ამიტომ რთულია, რომელიმე სტუდენტი ამ სარგებელს ჩამოაშორო. თუმცა ზოგიერთი სტუდენტი სხვებზე მეტად ზრუნავს სისუფთავეზე. ანალოგიურად, ჩვენს მიერ მოყვანილ თავდაცვის მაგალითში ისინი, ვინც ყველაზე მეტად განიცდიან მტრულად განწყობილი უცხოელების არსებობას, სახელმწიფო თავდაცვას უფრო ფასეულად მიიჩნევენ, ვიდრე ისინი, ვინც შედარებით უსაფრთხოდ გრძნობენ თავს (სხვა თანაბარ პირობებში). მართლაც, მომხმარებელთა შეფასებანი, დადებითია თუ უარყოფითი საზოგადოებრივი საქონელი, განსხვავებულია. თითოეულ ადამიანს ერთადერთი არჩევანი აქვს – ახალი სარაკეტო სისტემის მომსახურებით ისარგებლოს. ერთნი, ვისაც სჯერა, რომ სისტემა უსაფრთხოების ხარისხს აამაღლებს, დადებითად აფასებენ სისტემას; მეორენი კი ფიქრობენ, რომ ახალი სისტემა არმიათა გადაადგილებას გამოიწვევს და სახელმწიფო უსაფრთხოების დონეს შეამცირებს, ამიტომ დამატებით რაკეტას უარყოფითად აფასებენ. ისინი სიამოვნებით გადაიხდიან იმისათვის, რომ რაკეტა მათთან ახლოს არ იყოს.

წმინდა საზოგადოებრივ საქონლად კლასიფიკაცია საბაზრო პირობებსა და ტექნოლოგიურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. კვლავ იფიქრეთ შუქურის შესახებ. როგორც კი ნათურა ინთება, ერთი გემი მისი მომსახურებით სარგებლობს, თანაც მეორე გემს ანალოგიური მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობას არ ართმევს. უფრო მეტიც, არც ერთ გემს არ შეიძლება სიგნალით სარგებლობის შესაძლებლობა წაერთვას. ასეთ პირობებში შუქურა წმინდა საზოგადოებრივი საქონელია. დავუშვათ, გამოიგონეს შემზღვევითი მოწყობილობა, რომლის ამოქმედების შედეგად გემი ვეღარ ხედავს შუქურის სიგნალს, ვიდრე სპეციალურ მიმღებ მოწყობილობას არ შეიძენს. ასეთ შემთხვევაში პრინციპი, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებრივი საქონელი გამორიცხვის პრინციპს არ ექვემდებარება, აღარ მოქმედებს. თუმცა აღარც შუქურაა წმინდა საზოგადოებრივი საქონელი. საკმაოდ შთამბეჭდავი სანახაობა კი სწორედ მაშინ იქმნება, როდესაც წმინდა საზოგადოებრივი საქონლით მომხმარებელთა მცირე ჯგუფი სარგებლობს. თუმცა მაყურებელთა რაოდენობის ზრდასთან ერთად არეალი გადაიტვირთება. სანახაობის იმავე „ოდენობას“ თითოეული ადამიანი „მოიხმარს“, მაგრამ მისი ხარისხი ადამიანთა რიცხოვნობის ზრდასთან ერთად მცირდება. ამდენად, პრინციპი, რომლის თანახმად, საზოგადოებრივი საქონლის მოხმარება კონკურენციას არ იწვევს, აღარ მოქმედებს.

ხშირ შემთხვევაში კარგი იქნება, „საჯაროობის“, როგორც ხარისხის, შესახებ ვიფიქროთ. წმინდა საზოგადოებრივი საქონელი ზუსტად შეესაბამება დეფინიციას. შერეული საზოგადოებრივი საქონლის მოხმარება გარკვეული მასშტაბით კონკურენტულია და ზოგიერთი მომხმარებლის გამორიცხვასაც იწვევს. ფაქტობრივად წმინდა საზოგადოებრივი საქონლის ძალიან ბევრი ნიმუში არ არსებობს. თუმცა წმინდა კონკურენციის ანალიზის შედეგად ფაქტობრივი ბაზრების საქმიანობის შესახებ ცოდნას მნიშვნელოვნად ვიმადლებთ. ამდენად, წმინდა საზოგადოებრივი საქონლის ანალიზი გვეხმარება იმ პრობლემების

აღქმაში, რომლებიც ხელისუფლების წინაშე დგას, რომელსაც გადაწყვეტილებების მიღება ევალება.

საქონელი შესაძლოა საზოგადოებრივი საქონლის მხოლოდ ერთ დეფინიციას აკმაყოფილებდეს და არა ორივეს. აღნიშნული კონცეფცია სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ არაკონკურენტული მოხმარებისა და მომხმარებლის გამორიცხვის შეუძლებლობის პრინციპი შესაძლოა ერთდროულად არ დაკმაყოფილდეს. წარმოიდგინეთ ქალაქის ძირითადი სატრანსპორტო მაგისტრალები პიკის საათის დროს. ძირითადად გამორიცხვის შეუძლებლობის პრინციპი მუშაობს – ტრანსპორტის მონიტორინგის თვალსაზრისით მოუხერხებელია გადასახადის ამკრეფი ჯიხურის ყველგან დამონტაჟება, რათა გზებზე მოძრაობა შეიზღუდოს. მაგრამ მოხმარება თავისთავად კონკურენტულად ითვლება – ეს საცობში მოყოლილმა ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება გამოსცადოს. მეორე მხრივ, ბევრმა შეიძლება ისიამოვნოს უზარმაზარი ნაპირით ისე, რომ სხვათა ანალოგიური სარგებელი სულაც არ შეამციროს. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები მოხმარებისას ერთმანეთს კონკურენციას არ უწევენ, მოხმარებელთა გარკვეული ნაწილის მომსახურებით სარგებლობისგან ჩამოშორება მაინც მოსალოდნელია (თუ მხოლოდ რამდენიმე მისასვლელი გზა არსებობს). კვლავ გავიმეორებთ, რომ საქონლის მახასიათებელი ტექნოლოგიურ მდგომარეობასა და სამართლებრივ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. აქ მოსახერხებელია გზის მაგალითის მოყვანა. აშშ-ში -X ასსეს-ი გამვლელი მანქანების იდენტიფიცირებისათვის რადიოტალღებს იყენებს და მძღოლს გზებით სარგებლობისათვის გადასახადს ავტომატურად დაარიცხავს. მაგალითად, შტატე ლოუტ 91 ლოს-ანჯელესის ახლოს ოთხზოლიანი გზატკეცილია, რომელიც მხოლოდ იმ მძღოლებისთვისაა ხელმისაწვდომი, რომელთა მანქანები სპეციალური მოწყობილობით არის აღჭურვილი. წარმოიდგინეთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ასეთ ტექნოლოგიას იმ მძღოლთა დასაბეგრად გამოიყენებენ,

რომლებიც გადატვირთულ ქუჩაზე გავლას შეეცდებიან – ქუჩით სარგებლობა გამორიცხვის პრინციპს დაექვემდებარება.

ზოგიერთ ცნებას, რომელიც პირობითად განსაზღვრულია, როგორც „საქონელი“, საზოგადოებრივი საქონლის ნიშან-თვისებები აქვს. პატიოსნება მნიშვნელოვანი მაგალითია. თუ თითოეული მოქალაქე კომერციულ გარიგებებში პატიოსანი იქნება, მაშინ საქმის წარმოების დროს ფასების შემცირებით მთელი საზოგადოება ისარგებლებს. ასეთი ტიპის ხარჯების შემცირება როგორც არაკონკურენტული მოხმარების, ისე გამორიცხვის შეუძლებლობის პრინციპით ხასიათდება. ანალოგიურად, შემოსავლის განაწილება საზოგადოებრივი საქონელია. თუ შემოსავალი „სამართლიანად“ ნაწილდება, მაშინ თითოეული ინდივიდი კმაყოფილია იმით, რომ ჯანსაღ საზოგადოებაში ცხოვრობს – ჩვენ არ შეგვიძლია, რომელიმე ინდივიდის აღნიშნული უფლება ხელვეყოთ. ცხადია, სამართლიანობის ცნების ირგვლივ გამეფებული წინააღმდეგობების ფონზე, ინდივიდები შემოსავლის განაწილების შეფასების მეთოდების მიხედვით განსხვავდებიან. მიუხედავად ამისა, შემოსავლის განაწილება არაკონკურენტულია და გამორიცხვის პრინციპს არ ექვემდებარება – ამდენად, იგი არის საზოგადოებრივი საქონელი. ლოს-ანჯელესში, ადგილობრივი მმართველობის ბრძანების თანახმად, რესტორნები ვალდებული არიან, ყველას უჩვენონ თავისი რესტორნის ჰიგიენური ნორმა: " " – სუფთა, " " – ჭუჭყიანი, "ჩ" – უკიდურესად ჭუჭყიანი. ინფორმაციის ასეთი განაწილება საზოგადოებრივი საქონლის ნიშან-თვისებებს წარმოაჩენს – მისი მოხმარება კონკურენციას არ იწვევს; ყველას შეუძლია, რესტორნის ჰიგიენური ნორმა ინტერნეტში, გაზეთში ან უბრალოდ რესტორნის ფანჯარაში უფასოდ ნახოს. ეს გამორიცხვის პრინციპს არ ექვემდებარება.

პირადი მოხმარების საქონელი ყოველთვის ექსკლუზიურად კერძო სექტორის მიერ არ იწარმოება. არსებობს პირადი მოხმარების საქონლის ფართო ასორტიმენტი, რომელსაც სახელმწიფო უზრუნველყოფს – ესაა საქონელი, რომლის მოხმარება კონკურენტულია, თუმცა მომხმარებლის ნაწილს მისი მოხმარების საშუალება არა აქვს (გამორიცხვის პრინციპი მოქმედებს), მაგრამ მას სახელმწიფო უზრუნველყოფს. სამედიცინო მომსახურება და ბინათმშენებლობა პირადი მოხმარების ისეთი საქონელია, რომელსაც ზოგჯერ სახელმწიფო უზრუნველყოფს. ანალოგიურად, როგორც მოგვიანებით ვნახავთ, შესაძლებელია საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველყოფა კერძო სექტორის მიერ (იფიქრეთ იმ პირებზე, რომლებიც ფულს გამოყოფენ საერთო სარგებლობის სივრცის შესანარჩუნებლად. სწორედ ამ ფულის წყალობით ულამაზესი ყვავილებითაა მოფენილი ცენტრალური პარკი და ნიუ-იორკ-სიტი). მოკლედ, ცნება „კერძო“ ან „სახელმწიფო“ მისი უზრუნველმყოფი სექტორის შესახებ არაფერს გვეუბნება.


საქონლის სახელმწიფო უზრუნველყოფა არ ნიშნავს, რომ აღნიშნული საქონელი ამ სექტორის მიერაა წარმოებული. მაგალითად, ნაგვისაგან დასუფთავება. ზოგიერთი საზოგადოება ამ მომსახურებას თავად გასწევს – სახელმწიფო სექტორის მენეჯერები ნაგვის გასატან მანქანებს ყიდულობენ, მუშებს ქირაობენ და შესაბამის გრაფიკს აკეთებენ. სხვა საზოგადოებებში აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად ადგილობრივი მმართველობა კერძო ფირმას ქირაობს, ანუ მუნიციპალიტეტი წარმოების ორგანიზებას თავად არ ახორციელებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის 37% კონტრაქტით დაქირავებულ კერძო ფირმებზე მოდის. ბიბლიოთეკებისათვის აღნიშნული მაჩვენებელი 23%-ია, ხოლო ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტისათვის – 48% (Lopez-de-Silanes, Shleiferi da Vishni, 1997).

საზოგადოებრივი საქონლის ეფექტიანი უზრუნველყოფა

რა იქნება სახელმწიფო თავდაცვის ან სხვა საზოგადოებრივი საქონლის ეფექტიანი ოდენობა? საზოგადოებრივი საქონლის ეფექტიანი მიწოდებისათვის აუცილებელი პირობების განსაზღვრის მიზნით, მე-3 თავში მოცემული ანალიზისაგან მცირედი განსხვავებით, პირადი მოხმარების საქონელი უნდა გავიაზროთ. კვლავ წარმოვიდგინოთ საზოგადოება, რომელშიც ორი ადამიანი – ადამი და ევა ცხოვრობს. პირადი მოხმარების ორი საქონელია – ვაშლი და ლეღვის ფოთოლი. 4.1A გრაფიკში ლეღვის ფოთლის რაოდენობა (f) ჰორიზონტალურ ღერძზე იზომება, ხოლო მისი ცალობითი ფასი (P_f) – ვერტიკალურ ღერძზე. ლეღვის ფოთოლზე ადამის მოთხოვნის მრუდი D_f^A -ითაა გამოხატული. მოთხოვნის მრუდი ლეღვის ფოთოლთა იმ რაოდენობას გვიჩვენებს, რომელსაც მოცემულ ფასად ადამი სხვა თანაბარ პირობებში მოიხმარს. ანალოგიურად, 4.1B გრაფიკი ლეღვის ფოთოლზე ევას მოთხოვნის მრუდია. ამავე დროს, ყოველი ინდივიდის მოთხოვნის მრუდი გვიჩვენებს, თუ რამდენს გადაიხდის თითოეული მათგანი ლეღვის ფოთლის განსაზღვრულ რაოდენობაში.

გრაფიკი 4.1

მოთხოვნის მრუდის
ჰორიზონტალური
ჯამი



დავუშვათ, გვინდა ვნახოთ, თუ როგორია ლელვის ფოთოლზე ბაზრის მოთხოვნის მრუდი. ამ მიზნით ჩვენ უბრალოდ ვაჯამებთ ლელვის ფოთლის იმ რაოდენობას, რომელზედაც, ფასის მიუხედავად, ორივე ადამიანის მოთხოვნა არსებობს. 4.1A გრაფიკში, სადაც ლელვის ფოთლის ფასი 5 დოლარია, ადამი ლელვის ერთ ფოთოლს მოითხოვს (ჰორიზონტალური მანძილი D_f^A -სა და ვერტიკალურ ღერძს შორის). 4.1B გრაფიკი მიუთითებს, რომ იმავე ფასად ევა ლელვის ორ ფოთოლს მოითხოვს. ამრიგად, ორივე ინდივიდის მიერ მოთხოვნილი ლელვის ფოთლის საერთო რაოდენობა, თუ მისი ფასი 5 დოლარს უდრის, სამია. ლელვის ფოთოლზე ბაზრის მოთხოვნის მრუდი გამოხატულია D_f^{A+E} -ით (გრაფიკი 4.1C). როგორც უკვე ვაჩვენეთ, წერტილი, სადაც ფასი 5 დოლარია, რაოდენობა კი 3, ზუსტად ბაზრის მოთხოვნის მრუდზეა განლაგებული. ანალოგიურად, მოცემული ფასის ფარგლებში ბაზრის მოთხოვნის განსაზღვრისათვის პირადი მოთხოვნის მრუდებს შორის არსებული ჰორიზონტალური მანძილისა და ფასის ვერტიკალური ღერძის შეკრებაა აუცილებელი. ეს ჰორიზონტალური ჯამის სახელითაა ცნობილი.

კვლავ ეფექტიანობის უზრუნველყოფის პირობის შესახებ


დავუშვათ, რომ ადამი და ევა ფეიერვერკის ცქერით თანაბრად ტკბებიან. ევას მიერ მისით ტკობა ადამის ანალოგიურ სიამოვნებას სულაც არ ამცირებს, და პირიქით. შეუძლებელია, ერთმა ინდივიდმა მეორის ფეიერვერკით ტკობის შესაძლებლობა შეზღუდოს. ფეიერვერკის მასშტაბი ცვალებადია, ამიტომ როგორც ადამი, ისე ევა სხვა თანაბარ პირობებში უპირატესობას დიდ ქალაქებს ანიჭებენ. დავუშვათ, დღევანდელი ფეიერვერკი 19 რაკეტისგან შედგება, თითო რაკეტის დამატება კი 5 დოლარი ეღირება. ადამს სურს, გადაიხადოს 6 დოლარი და ფეიერვერკს ერთი რაკეტა შემატოს, ხოლო ევა მზადაა, ამისთვის 4 დოლარი გადაიხადოს. არის თუ არა ფეიერვერკის ერთი რაკეტით გაზრდა ეფექტიანი?

როგორც ყოველთვის, ზღვრული სარგებელი ზღვრულ დანახარჯს უნდა შევადაროთ. ზღვრული სარგებლის გამოსათვლელად გაიხსენეთ, რომ ფეიერვერკით ტკბობა კონკურენტებს არ წარმოშობს, ხოლო მეოცე რაკეტას ორივე (ადამიც და ევაც) მოიხმარს. ამდენად, მეოცე რაკეტის ზღვრული სარგებელი არის იმ თანხის ჯამი, რომელსაც ადამი და ევა გადაიხდიან და რომელიც 10 დოლარს უდრის. ვინაიდან ზღვრული დანახარჯი მხოლოდ 5 დოლარია, მეოცე რაკეტის დამატება ნამდვილად ღირს. ზოგადად რომ ვთქვათ, თუ ინდივიდთა მიერ საზოგადოებრივი საქონლის დამატებითი ერთეულისათვის გადახდილი თანხის ჯამი მის ზღვრულ დანახარჯზე მეტია, მაშინ ეფექტიანობის გასაზრდელად ამ ერთეულის უზრუნველყოფაა სასურველი; სხვა შემთხვევაში კი – სასურველი არ არის. ამრიგად, ეფექტიანობის გასაზრდელად საზოგადოებრივი საქონლის მიწოდების გაზრდა იმ მომენტამდეა აუცილებელი, ვიდრე ბოლო ერთეულზე ინდივიდის მიერ გადახდილი თანხა ერთეულზე გაწეულ ზღვრულ დანახარჯს არ გაუტოლდება.

რაკეტის სიკაშკაშე (საზოგადოებრივი საქონელი) თანაბარი ოდენობით უნდა იქნეს მოხმარებული. თუ ადამი მეოცე რაკეტის ფეიერვერკს მოიხმარს, მაშინ იგი ევამაც უნდა მოიხმაროს. ამიტომ აზრი არა აქვს საზოგადოებრივი საქონლის იმ რაოდენობის შეჯამებას, რომელსაც ინდივიდები მოცემულ ფასად მოიხმარენ.

რაკეტის შესყიდვის ჯგუფური სურვილის გამოსათვლელად ვაჯამებთ ფასებს, რომლებსაც თითოეული ინდივიდი საქონლის განსაზღვრულ რაოდენობაში გადაიხდის. 4.3A გრაფიკში მოცემული მოთხოვნის მრუდი გვიჩვენებს, რომ ადამი მზადაა, ერთ რაკეტაში 6 დოლარი გადაიხადოს, როდესაც 20 რაკეტას მოიხმარს. ევას ერთ რაკეტაში 4 დოლარის გადახდა სურს მაშინ, როდესაც 20 რაკეტით სარგებლობს. რაკეტის შესყიდვის ჯგუფური სურვილი ერთეულზე 10 დოლარს უდრის. ამდენად, თუ D_r^{A+E} -ს 4.3C გრაფიკში

განვსაზღვრავთ, როგორც გადახდის ჯგუფურ სურვილს, ვერტიკალური მანძილი D_r^{A+E} -სა და წერტილ $r = 20$ -ს შორის 10 უნდა იყოს. სხვა წერტილები D_r^{A+E} -ზე აღნიშნული პროცედურის გამეორების შედეგად პროდუქციის თითოეული დონისათვის განისაზღვრება. საზოგადოებრივი საქონლის შემთხვევაში გადახდის ჯგუფური სურვილი ინდივიდუალური მოთხოვნის მრუდების ვერტიკალური ჯამის საშუალებით უნდა მოვიძიოთ.



პირადი მოხმარების სტანდარტული საქონლის შემთხვევაში ყველა თანაბარ ფასს იხდის და ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას, თუ რაოდენობით მოიხმარს ამ საქონელს. საზოგადოებრივი საქონლის შემთხვევაში კი ყველა სარგებლობს

თანაბარი ოდენობის საქონლით და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას, თუ რამდენს გადაიხდის.

ინდივიდმა შეიძლება საზოგადოებრივი საქონლის მიმართ ჭეშმარიტი პრეფერენცია დამალოს. ადამმა შესაძლოა იცრუოს, რომ მისთვის ფეიერვერკი არაფერს ნიშნავს. თუ ადამი ევას რაკეტის მთელ საფასურს გადაახდევინებს, მაშინ მას კვლავ შეეძლება, სიამოვნება მიიღოს სანახაობისაგან, თანაც ვაშლისა და ლედვის ფოთლის საყიდლად ბევრი ფული დაიტოვოს. ერთი ინდივიდი, რომელიც მეორეს გადაახდევინებს იმ მომსახურებისათვის, რომლის ბენეფიციარი თავადაც არის, ფრი-რაიდერის სახელითაა ცნობილი. Free Rider გადახდის გარეშე მგზავრობას ნიშნავს, თუმცა ბოლო ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ინგლისური ტერმინი მკვიდრდება, რომელიც, ზოგადად, გადახდის გარეშე სარგებლის მიღებას ნიშნავს.

ცხადია, ევასაც სურს სხვისი ხარჯით ცხოვრება. საზოგადოებრივი საქონლის შემთხვევაში „თითოეული ადამიანი შეცდება, მისაკუთროს რაიმე სარგებელი, რაც სრულიად შეუძლებელია პირადი მოხმარების საქონლის შემთხვევაში, რომლის კონკურენტულ ფასსაც თვითდამცავი მექანიზმი აქვს“ ამდენად, შესაძლოა ბაზარი არ იყოს საკმარისი იმისათვის, რომ საზოგადოებრივი საქონლის მიწოდება ეფექტიანი ოდენობით მოხდეს. ბაზარი არ ფლობს იმ ავტომატურ ტენდენციას, რომლის საშუალებითაც იგი საქონელს ეფექტიანად გაანაწილებდა.

თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლით სარგებლობა გამორიცხვის პრინციპს ექვემდებარება, ისეთი საქონლის ბაზრის მიერ წარმოება, რომელიც მოხმარებისას კონკურენციას არ იწვევს, არაეფექტიანად ითვლება. დავუშვათ, ყველას არა აქვს ფეიერვერკით ტკობის უფლება: ადამიანი ვერ იხილავს შოუს, თუ არ იყიდის უზარმაზარ კოლიზეუმში შესასვლელ ბილეთს. მოგების

გაზრდაზე ორიენტირებული მეწარმე ბილეთებს ყიდის. განსაზღვრული მასშტაბის ფეიერვერკის ჩვენების შემთხვევაში სხვა მაყურებლის მიერ ფეიერვერკით ტკბობაზე გაწეული ზღვრული დანახარჯი ნულია (რადგან ჩვენება კონკურენციას არ იწვევს). ეფექტიანობის გასაზრდელად ჩვენებაზე ადამიანთა მხოლოდ ის ჯგუფი უნდა შევუშვათ, რომელიც ფეიერვერკს ნულზე მაღალი ღირებულებით აფასებს. ადამიანს ფეიერვერკის ყურების საშუალება ექნება მანამ, სანამ მისი სარგებელი აღემატება ნულს (გაწეულ დანახარჯს). ამდენად, ეფექტიანობის ასამაღლებლად აუცილებელია ისეთი ფასის არსებობა, რომელიც ნულის ტოლი იქნება. მაგრამ ის მეწარმე, რომელიც მაყურებლისაგან მხოლოდ ნულის ტოლ ღირებულებას ამოიღებს, იძულებული იქნება, დატოვოს ბიზნესი.

არსებობს რაიმე გამოსავალი? წარმოიდგინეთ ორი ასეთი პირობა: (1) მეწარმემ საზოგადოებრივ საქონელზე თითოეული ინდივიდის მოთხოვნის მრუდი იცის; (2) რთულია ან შეუძლებელია საქონლის ერთი ადამიანიდან მეორისთვის გადაცემა. ამ ორი პირობით მეწარმეს საშუალება მიეცემა, თითოეული ადამიანისგან ინდივიდუალურად ამოიღოს ღირებულება სურვილის მიხედვით. აღნიშნულ პროცესს სრულყოფილი ფასით დისკრიმინაცია ეწოდება. ინდივიდი, რომლისთვისაც ფეიერვერკი მხოლოდ 1 პენი ღირს, ზუსტად ამ თანხას გადაიხდის – მას ფეიერვერკით ტკბობის საშუალება ექნება. ამდენად, ყველა, ვინც დადებითად შეაფასებს შოუს, დაესწრება მას, რაც უკვე ეფექტიანი შედეგია. თუმცა ინდივიდი, რომლისთვისაც ფეიერვერკი ძალიან ღირებულია, ყველაზე მაღალ ფასს გადაიხდის. ამდენად, მეწარმესაც შეეძლება ბიზნესის გაგრძელება.

სრულყოფილი ფასით დისკრიმინაცია შეიძლება პრობლემას წყვეტდეს, სანამ გავიხსენებთ, რომ პირველი პირობა თითოეული ინდივიდის პრეფერენციის ცოდნას მოითხოვს. მაგრამ თუ ვიცით ინდივიდის მოთხოვნის მრუდის მდგომარეობა, მაშინ უპირატესი ოპტიმალური მიწოდების განსაზღვრა მარტივი იქნება. შესაძლოა, არაკონკურენტული საქონლით სარგებლობის უფლება ყველა

მომხმარებელს არ ჰქონდეს (მოქმედებდეს გამორიცხვის პრინციპი), მაგრამ კერძო სექტორის მიწოდებას ეფექტიანობასთან დაკავშირებული პრობლემებისაკენ მაინც მივყავართ.

ფრი-რაიდერის პრობლემა

ერთნი ფიქრობენ, რომ ფრი-რაიდერის პრობლემას საზოგადოებრივი საქონლის არაეფექტიან მიწოდებამდე მივყავართ. ეფექტიანობის ასამაღლებლად კი საჭიროა, სახელმწიფომ ასეთი სახის საქონლის წარმოება უზრუნველყოს. აღნიშნული კონცეფცია იმით საბუთდება, რომ სახელმწიფოს შეუძლია, გარკვეული მეთოდების გამოყენებით განსაზღვროს თითოეული ინდივიდის ჭეშმარიტი პრეფერენცია, შემდეგ კი იძულების უფლების გამოყენებით აიძულოს იგი, საზოგადოებრივი საქონლით სარგებლობისათვის გადასახადი გადაიხადოს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ შესაძლოა ფრი-რაიდერის პრობლემა თავიდან აიცილოს და საზოგადოებრივი საქონლის ოპტიმალური მიწოდება უზრუნველყოს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფრი-რაიდერი არ არის ფაქტი – ეს გახლავთ ჰიპოტეზა, რომლის მიხედვით, ინდივიდი ზრდის სარგებლის ფუნქციას, რომელიც საქონლის პირად მოხმარებაზეა დამოკიდებული. არსებობს მაგალითები, როდესაც საზოგადოებრივი საქონლის მიწოდება არ ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ინდივიდი თავის პრეფერენციას მალავს. მეორე მხრივ, ხშირ შემთხვევაში ინდივიდს შეუძლია და მოქმედებს კიდევ კოლექტიურად, სახელმწიფოს იძულების გარეშე. მოხალისეთა მიერ გამოყოფილი თანხების წყალობით აშენდა მონასტრები, მუსიკალური დარბაზები, ბიბლიოთეკები, სამეცნიერო ლაბორატორიები, ხელოვნების მუზეუმები, საავადმყოფოები და მსგავსი შენობა-ნაგებობანი. არსებობს კერძო სექტორის მიერ ისეთი კლასიკური საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველყოფის აშკარა მტკიცებულება, როგორც შუქურაა.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი საქონლის მახასიათებელთა მქონე ზოგიერთი საქონლის მიწოდებას კერძო სექტორი უზრუნველყოფს, კიდევ რჩება საქონლის გარკვეული ნაწილი, რომლის მიწოდება კერძო სექტორის მიერ არ არის უზრუნველყოფილი (თუმცა, ეფექტიანობის საფუძველზე, ითვლება, რომ აღნიშნულ საქონელს კერძო სექტორი უნდა აწვდიდეს). უფრო მეტიც, საზოგადოებრივი საქონლის ის რაოდენობა, რომლის მიწოდება კერძო სექტორის მიერაა უზრუნველყოფილი, შეიძლება არც იყოს საკმარისი. ძირითადი საკითხი ისაა, რომ ფრი-რაიდერის პრობლემის მნიშვნელობა ემპირიულ შეკითხვას წარმოადგენს, რომელზე პასუხიც დამტკიცებულად არასოდეს ჩაითვლება.

დებატები პრივატიზაციის საკითხის ირგვლივ

მსოფლიოს ერები კამათობენ იმ სარგებლის შესახებ, რომელიც შესაძლოა სახელმწიფო ფუნქციების პრივატიზაციამ მოგვიტანოს. პრივატიზაცია სახელმწიფოს მიერ გასაწევი მომსახურების უფლების კერძო სექტორისათვის გადაცემას გულისხმობს, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი აღნიშნულ მომსახურებას აწარმოებს ან/და გასწევს. ჩვენ ჯერ მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს განვიხილავთ, შემდეგ კი – მის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სახელმწიფო უზრუნველყოფა თუ კერძო უზრუნველყოფა?

სახელმწიფო სექტორის მიერ უზრუნველყოფილ მომსახურებას ზოგიერთ შემთხვევაში კერძო სექტორი გასწევს. „დაცვა“ შეიძლება პოლიციამ უზრუნველყოს. ამასთანავე, გარკვეული მასშტაბით, დაცვის გაუმჯობესება საიმედო საკეტისა და სიგნალიზაციის სისტემის დამონტაჟებისა და დაცვის პერსონალის დაქირავების გზითაა შესაძლებელი, რაც ძირითადად კერძოდ

ხორციელდება. აშშ-ში კერძოდ დაქირავებული პოლიციელების რაოდენობა სამჯერ აღემატება სახელმწიფო სამსახურში მყოფი პოლიციელების რაოდენობას. დროის გასვლასთან ერთად, სახელმწიფო და კერძო უზრუნველყოფის მოდელთა თანაფარდობა არსებითად შეიცვალა. XIX საუკუნის განმავლობაში კერძო პასუხისმგებლობა განათლებაზე, პოლიციაზე, ბიბლიოთეკებსა და სხვა სახის მომსახურებაზე უფრო მაღალი იყო, ვიდრე დღეს არის. თუმცა ამჟამად უკუსვლის ტენდენცია შეინიშნება – კერძო სექტორს ის ფუნქციები გადაეცემა, რომლებიც დღემდე სახელმწიფო პასუხისმგებლობად იყო აღიარებული. ასე, მაგალითად, ზოგიერთ ქალაქში საქმიანი სამყაროს წარმომადგენლები შეკავშირდნენ და ნაგვის გამტანი კერძო ფირმები დაიქირავეს, რათა ქუჩებში სისუფთავე შეენარჩუნებინათ. ზოგიერთ საზოგადოებაში სახლის ინდივიდუალური მესაკუთრე ქირაობს კერძო კომპანიას, რომელმაც ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა უნდა უზრუნველყოს. მართლაც, დანიაში ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ორი მესამედი კერძო სექტორზე მოდის.

როგორია სახელმწიფო და კერძო უზრუნველყოფის ოპტიმალური თანაფარდობა? შეკითხვაზე პასუხის გასაცემად იფიქრეთ იმ საწარმოო საშუალებებზე, რომლებიც სახელმწიფო ან კერძო სექტორის მიერ მოსახლეობისათვის სასურველი საქონლის საწარმოებლად არის განკუთვნილი. მასწავლებელი, საკლასო ოთახი, სახელმძღვანელო, კერძო მასწავლებელი – ეს ყოველივე საწარმოო საშუალებაა, რათა საბოლოოდ მივიღოთ საქონელი, რომელსაც განათლების ხარისხს ვუწოდებთ. დავუშვათ, რომ საკითხი, რომელიც საბოლოოდ აინტერესებს ინდივიდს, საქონლის ხარისხია (ამ შემთხვევაში, განათლების დონე) და არა მის საწარმოებლად გამოყენებული კონკრეტული საშუალებანი. რა კრიტერიუმი უნდა გამოვიყენოთ თითოეული საწარმოო საშუალების მასშტაბის გამოსათვლელად? ამ საკითხზე რამდენიმე მოსაზრება არსებობს.

შედარებითი ხელფასი და მატერიალური დანახარჯი. თუ სახელმწიფო და კერძო სექტორები შრომითი რესურსებისა და მასალებისათვის განსხვავებულ თანხებს იხდიან, მაშინ სხვა თანაბარ პირობებში და ეფექტიანობის საფუძველზე უპირატესობა უფრო იაფ სექტორს მიენიჭება. ასე, მაგალითად, საჯარო სკოლის მიერ სწავლის საშუალებებზე გაწეული დანახარჯი აჭარბებს კერძო სკოლის იმავე მაჩვენებელს – საჯარო სკოლების მასწავლებლები გაერთიანებულნი არიან პროფკავშირებში, ხოლო მათი კოლეგები კერძო სექტორში – არა.

ადმინისტრაციული დანახარჯები. სახელმწიფო უზრუნველყოფის ფარგლებში ნებისმიერი ფიქსირებული ადმინისტრაციული დანახარჯი შესაძლოა ბევრ ადამიანს შეეხოს. იმის ნაცვლად, რომ საზოგადოებამ ნაგვის გადაყრის ორგანიზებაში დრო დაკარგოს, ამ საკითხს სპეციალური სამსახური არეგულირებს. რაც უფრო დიდია საზოგადოება, მით მეტია ამ დანახარჯის განაწილების შესაძლებლობა. სახელმწიფო სასკოლო სისტემა ყველა სკოლაში მსგავსი ტიპის სწავლებას გვთავაზობს, რაც დაზოგავს მშობლის დროსა და ენერჯიას, რომელიც კერძო სასკოლო სისტემის შემთხვევაში კარგი სკოლის ძიებისაკენ იქნებოდა მიმართული.

გემოვნებათა მრავალფეროვნება. ბავშვიან ან უბავშვო ოჯახებს მაღალხარისხიანი განათლების შესახებ განსხვავებული შეხედულებანი აქვთ. ადამიანი, რომელიც ძვირფას ნივთებს სახლში ინახავს, შესაძლოა საკუთრების დაცვის მომსახურებას უფრო მეტად აფასებდეს, ვიდრე ის ადამიანი, რომელიც ასე არ იქცევა. ვინაიდან ასეთი მრავალფეროვნება დღეს აქტუალურია, კერძო უზრუნველყოფა შეიძლება უფრო ეფექტიანად ჩაითვალოს, რადგან ინდივიდს შეუძლია, იგი თავის გემოვნებას ზუსტად შეუსაბამოს. როგორც რონალდ რეიგანი ამბობდა, „ასეთი სტრატეგია უზრუნველყოფს იმ მომსახურების გაწევას, რომელიც სჭირდება კლიენტს, და არა იმ მომსახურებისა, რომელიც სამთავრობო ბიუროკრატების მიერ არის შერჩეული“ ცხადია, მრავალფეროვანი გემოვნების

დასაკმაყოფილებლად გაწეული მომსახურების სარგებელი ადმინისტრაციული დანახარჯის შესაძლო ზრდის ფონზე უნდა შეფასდეს.

განაწილების საკითხები. საზოგადოების სამართლიანობის ცნების თანახმად, ზოგიერთი საქონელი ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აღნიშნული კონცეფცია საქონლის ეგალიტარიანიზმით (სამართლიანი განაწილებით) აიხსნება. ეს თეორია იმის გარკვევაში გვეხმარება, თუ რატომ გამოიყენება ასე ფართოდ სახელმწიფო სასკოლო სისტემა – ადამიანს სწამს, რომ ყველასათვის მინიმალური სასწავლო კურსი მაინც უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ანალოგიური მოსაზრება სამედიცინო მომსახურების შესახებ მიმდინარე დებატების დროსაც გამოიკვეთა.

სახელმწიფო წარმოება თუ კერძო წარმოება?

ადამიანები თანხმდებიან იმაზე, რომ გარკვეული მომსახურება სახელმწიფო სექტორმა უნდა გასწიოს, თუმცა წინააღმდეგობაში ვარდებიან მაშინ, როდესაც საუბრობენ, თუ სად უნდა მოხდეს ამ მომსახურების გაწევა – სახელმწიფო თუ კერძო სექტორში? წინააღმდეგობა ნაწილობრივ იმ ფუნდამენტური განსხვავებითაა გამოწვეული, რომელიც ეკონომიკაში სახელმწიფოს ინტერვენციის მასშტაბს ეხება ნაწილობრივ კი – სახელმწიფო და კერძო მიწოდების შედარებითი ფასების ირგვლივ შექმნილი სხვადასხვა მდგომარეობით. ერთნი ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო სექტორის მენეჯერები, კერძო სექტორში დასაქმებული კოლეგებისაგან განსხვავებით, მოგებაზე ორიენტირებულნი არ არიან და იმაზე არ ნერვიულობენ, რომ მათი კომპანია ლიკვიდირებული იქნება ან გაკოტრდება. ამდენად, სახელმწიფო სექტორის მენეჯერებს უმნიშვნელო სტიმული აქვთ,

პრივატიზაციის ოპონენტები ამტკიცებენ, რომ ეს მაგალითები კერძო წარმოების შედეგად დანახარჯების დანაზოგის მოცულობას აზვიადებს.

ფაქტობრივად, კერძო და სახელმწიფო წარმოებათა შორის მცირე სისტემური განსხვავება არსებობს. მნიშვნელოვანი მიზეზი კი აღნიშნული ორი სექტორის მიერ წარმოებული საქონლის ხარისხის განსხვავებულობაა, რაც მათ შედარებით დახასიათებას ართულებს. შესაძლოა, კერძო კლინიკაში უფრო დაბალი ფასები იყოს, ვიდრე სახელმწიფო კლინიკაში. ამის მიზეზი კი ისაა, რომ კერძო კლინიკა ისეთ პაციენტს, რომლის მკურნალობა ძვირია, არ მკურნალობს. სწორედ ამ მაგალითის შემდეგ მივდივართ კერძო წარმოების ოპონენტთა მთავარ არგუმენტამდე: კერძო კონტრაქტორი დაბალი ხარისხის (მეორად) საქონელს აწარმოებს.

საბაზრო გარემო. პრივატიზაციის ირგვლივ არსებული დებატების ბოლო მნიშვნელოვანი საკითხია ის საბაზრო გარემო, რომელშიც სახელმწიფო და კერძო საწარმოები ფუნქციონირებენ. საზოგადოების პოზიციიდან, კერძო საკუთრებაში არსებულ მონოპოლიას მეტად არაეფექტიანი შედეგის მოტანა შეუძლია, ხოლო საჯარო ოპერაციამ კონკურენციის პირობებში შესაძლოა საკმაოდ ეფექტიან მაჩვენებლებს მიაღწიოს. ამასთან, თუ კონკურენცია არსებობს, სახელმწიფო და კერძო საკუთრებებს შორის განსხვავებები მნიშვნელოვანი აღარაა.

განათლება

ბაზარი ვერ უზრუნველყოფს ეფექტიან საქონელს მაშინ, როდესაც საუბარია საზოგადოებრივ საქონელზე – იგი ქმნის გარეგან ეფექტს ან წარმოებულია მონოპოლისტურად. განათლება უპირველესად პირადი მოხმარების საქონელია, რომელიც ადამიანის კეთილდღეობას ამადლებს იმით, რომ ასწავლის მას, როგორ მიიღოს შემოსავალი და გადაწყვიტოს ცხოვრებისეული პრობლემები.

არგუმენტები, რომლებიც განათლების სფეროში სახელმწიფოს ინტერვენციას ასაბუთებს, ეკონომიკის ეფექტიანობას უკავშირდება. კეთილდღეობის ეკონომიკის მიხედვით, გასათვალისწინებელია სწავლების ერთიანობის ფაქტორიც.

განათლების ხელმისაწვდომობა სოციალური მობილურობის მნიშვნელოვანი წყაროა. ამდენად, განათლება არის მნიშვნელოვანი საქონელი, რომელიც თითოეული მოქალაქისათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

თუ განათლება საზოგადოებრივი საქონელია, მაშინ სახელმწიფოს მისი სუბსიდირება უნდა სურდეს. თუმცა სუბსიდირების საზღვრებს გავცდებით, როდესაც დაწყებითი და საშუალო სკოლა არის არა მარტო უფასო (ფინანსდება გადასახადის გადამხდელის მიერ), არამედ სავალდებულოც. ასეთი სისტემა, რომელიც ბევრ ქვეყანაში მსგავსია, მხოლოდ ეფექტიანობის საფუძველზე არ არის რაციონალური. უფრო მეტიც, რა არის ისეთი განსაკუთრებული განათლებაში, რაც მთავრობას აიძულებს, არა მხოლოდ უზრუნველყოს, არამედ აწარმოოს კიდევ იგი? ერთ-ერთი თეორიის თანახმად, სახელმწიფო განათლება ადამიანურ კაპიტალს ქმნის და ამავე დროს ადამიანებს არსებული პოლიტიკური სისტემის რწმენას უნერგავს. ადამიანი საკუთარ ადამიანურ კაპიტალზე ზრუნავს, თუმცა პოლიტიკური სისტემის მიმართ რწმენიდან არანაირ პირად სარგებელს არ იღებს. კერძო სკოლები კი იმით კონკურირებენ, რომ საკუთარ რესურსებს მოსწავლის ადამიანური კაპიტალის ფორმირებას ახმარენ. ამ მოსაზრების თანახმად, არსებული დემოკრატიული პროცესების მიმართულებით სახელმწიფოებრივი ერთგულების ფორმირება უფრო მარტივად ხორციელდება სახელმწიფო სასკოლო სისტემაში, რომელიც კონკურენციისაგან დაცულია.

რაც არ უნდა რაციონალური მხარდაჭერა მოვუნახოთ უფასო საჯარო სკოლას, გასაოცარია, რომ ეკონომიკური თეორიის მიხედვით, ადამიანებისათვის ასეთი სისტემა არ ქმნის სტიმულს, უფრო მეტი განათლება მიიღონ, ვიდრე კერძო სასკოლო სისტემაში მიიღებდნენ.

ჩვენ მნიშვნელოვანი შეკითხვის წინაშე ვდგავართ: ამაღლებს თუ არა მაღალი დანახარჯი განათლების ხარისხს?

საბოლოო ჯამში, ჩვენ ვზრუნავთ არა განათლებაზე გაწეულ დანახარჯზე, როგორც ასეთზე, არამედ იმ შედეგებზე, რომლებსაც მოსწავლე განათლების საშუალებით აღწევს. ამდენად, გვესაჭიროება იმ ურთიერთობის ცოდნა, რომელიც შესყიდულ საწარმოო საშუალებებსა და წარმოებული განათლების მასშტაბს შორის არსებობს. განათლების სხვადასხვა საშუალებათა გამოყენების დონებს შორის არსებული ურთიერთობის (მასწავლებელთა გამოცდილება წლების მიხედვით, მასწავლებელთა რაოდენობა თითოეულ მოსწავლეზე და ა.შ.) შეფასება საკმაოდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. სირთულის ნაწილი „განათლების“ შედეგის განსაზღვრას უკავშირდება, მის შეფასებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

საზოგადოებრივი საქონელი და საზოგადოებრივი არჩევანი

ცნება საზოგადოებრივი იმ საქონლის აღსაწერად გამოიყენება, რომელიც არაკონკურენტულია და მომხმარებლებს არ გამორიცხავს. იგი თითქოს წარმოადგენს წინასწარ პასუხს შეკითხვაზე, ეს საქონელი სახელმწიფო სექტორმა უნდა აწარმოოს თუ არა. მართლაც, უკვე გიჩვენეთ, რომ კერძო ბაზარი წმინდა საზოგადოებრივ საქონელს პარეტო-ეფექტიანობის შესაბამისი ოდენობით ვერ უზრუნველყოფს. მისაწოდებელი საქონლის რაოდენობის განსაზღვრისათვის კოლექტიური გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული. განათლების შესახებ დისკუსია გვიჩვენებს, რომ წმინდა საზოგადოებრივი საქონლის (მაგალითად, სახელმწიფო თავდაცვა) გარდა, არსებობს კერძო სექტორში წარმოებული საქონელი, რომელიც სახელმწიფო სექტორში წარმოებულ საქონელს შეენაცვლება. თუმცა ამ შემთხვევაში საზოგადოების მიერ სახელმწიფო უზრუნველყოფის აუცილებელი მასშტაბის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაა საჭიროა. ამდენად, საზოგადოებრივი საქონლისა და საზოგადოებრივი არჩევანის ცნებები ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული. მე-6 თავში განვიხილავთ და შევაფასებთ იმ

მექანიზმებს, რომლებიც კოლექტიური გადაწყვეტილების მისაღებად გგამოიყენება.

საზოგადოებრივი საქონლის წარმოება შესაძლოა კერძო სექტორმა, ხოლო პირადი მოხმარების საქონლის წარმოება – სახელმწიფო სექტორმა უზრუნველყოს.

თუნდაც საქონლის წარმოების სახელმწიფო სექტორის მიერ უზრუნველყოფას უპირატესობა ენიჭებოდეს, აუცილებელია სახელმწიფო და კერძო წარმოებებს შორის არჩევანის გაკეთება. მთავარი ფაქტორი იმის განსაზღვრისათვის, სახელმწიფო წარმოება უფრო ეფექტიანი იქნება თუ კერძო, საბაზრო გარემოა. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ის მასშტაბი, რომლითაც შესაძლებელია სრულყოფილი კონტრაქტების კერძო სექტორის სერვის-პროვაიდერებთან დადება.

მიუხედავად იმისა, რომ განათლებას სახელმწიფო უზრუნველყოფს, გაურკვეველია, არის თუ არა იგი საზოგადოებრივი საქონელი. უფრო მეტიც, სტატისტიკური გამოკვლევებით ირკვევა, რომ განათლებაზე დანახარჯსა და მის შედეგს შორის კავშირი საკმაოდ უმნიშვნელოა.

ზოგიერთი ეკონომისტი დარწმუნებულია, რომ საჯარო სკოლა გაუმჯობესდება, თუ კონკურენტულ გარემოში მოხვდება. ამ მიმართულების ერთ-ერთი მხარე ვაუჩერული სისტემაა, რომლის მიხედვითაც, სასწავლო ფინანსურ დახმარებას პირდაპირ მოსწავლის ოჯახი იღებს და იგი უშუალოდ სკოლისათვის განკუთვნილი არ არის. ვაუჩერი განაღდდება იმის მიუხედავად, როგორი სკოლაც არ უნდა აირჩიოს ოჯახმა.

თემა 4. შემოსავლების განაწილების კონცეპტუალური საკითხები

სახელმწიფო შემოსავლის განაწილება

- განაწილების შესახებ არსებული მონაცემების ინტერპრეტაცია

შემოსავლის განაწილების ლოგიკური საფუძველი

- მარტივი უტილიტარიზმი
- მაქსიმუმის კრიტერიუმი

დანახარჯების ზემოქმედება

- ფარდობითი ფასების ეფექტი
- ნატურით განხორციელებული ტრანსფერების შეფასება და მათი განხორციელების მიზეზები

„მთავრობის მთელი ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობის ერთი ფენიდან მაქსიმალური ოდენობის თანხა ამოიღოს და მეორე ფენას გადასცეს“ (ვოლტერი).

შეკითხვები იმის თაობაზე, თუ ვინ მოიგებს და ვინ წააგებს, აშკარად თუ შეფარვით, სახელმწიფო პოლიტიკის სადისკუსიო საგანია.

გადაწყვეტილების მიმღებნი პოლიტიკით გათვალისწინებული განაწილების სტრუქტურას ადგენენ. თუ ეკონომისტები განაწილების საკითხების იგნორირებას მოახდენენ, მაშინ პოლიტიკოსები ეკონომისტებს გაუწევენ იგნორირებას. შედეგად იმას მივიღებთ, რომ პოლიტიკოსები მხოლოდ განაწილების საკითხზე იქნებიან ფოკუსირებულნი და ეფექტიანობის საკითხს უყურადღებოდ დატოვებენ. ეკონომისტი, რომელიც განაწილების საკითხებს გამუდმებით თვალს ადევნებს, პოლიტიკოსს ეფექტიანობისა და განაწილების შესახებ არსებული მდგომარეობის თაობაზე მუდმივად აცნობებს. ეკონომისტებს აქვთ უნარი და გამოცდილება, ალტერნატიულ ღირებულებათა შედეგები წარმოაჩინონ და სხვადასხვა ეთიკური მიზნების მიღწევისათვის გაწეული დანახარჯები გამოთვალონ.

უნდა მონაწილეობდეს თუ არა სახელმწიფო შემოსავლის განაწილების სტრუქტურის შეცვლაში?

სახელმწიფოს ყველაზე მინიმალური ინტერვენციაც კი ახდენს ზეგავლენას შემოსავლის განაწილებაზე. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი საქონლისათვის მასალის შექმნის შემთხვევაში ზოგიერთ ფირმასთან იდება კონტრაქტი, ხოლო ზოგიერთი – კონტრაქტის გარეშე რჩება. იმ ფირმის მფლობელი, რომელიც კონტრაქტს დადებს, დამატებით შემოსავალს მიიღებს. უფრო ზოგადად, სახელმწიფოს საგადასახადო და სახარჯო პოლიტიკა რეალური შემოსავლის განაწილების ცვლილებას უკავშირდება.

შემოსავლის განაწილების შესაფასებლად შესაძლებელია მათი ოდენობის გამოთვლა, ვინც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. სიღარიბის ზღვარი არის რეალური შემოსავლის ფიქსირებული განაკვეთი, რომელიც ცხოვრების მინიმალური დონის უზრუნველსაყოფად საკმარისია. აშშ-ში სიღარიბის ზღვრად ოთხსულიანი ოჯახისათვის წელზე გადაანგარიშებით, შეადგენს 24250 აშშ დოლარს (თვეში – 2020.8 აშშ დოლარი). ამ ზღვარს მიღნმა აშშ-ში მოსახლეობის 10.5% იმყოფებოდა. საქართველოში სიღარიბის ზღვრის ნაცვლად ფართოდ გამოიყენება საარსებო მინიმუმის ცნება, რომელმაც ასევე ოთხსულიან ოჯახზე 2020 წელს თვეზე გადაანგარიშებით 339.0 ლარი შეადგინა.

სიღარიბე განსაკუთრებით დაუნდობელია მარტოხელა დედეების ოჯახებში – სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება მარტოხელ თეთრკანიანი დედეების 17.1%, მაშინ როდესაც ტეთრკანიანებში სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება მოსახლეობის მხოლოდ 9.6% (შავკანიანებში – 18.9%, ლათინური ამერიკის წარმომადგენლებში – 15.8%).

ციფრები ცხადყოფს, რომ სიღარიბის მასშტაბი შეერთებულ შტატებში დღეს მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე ნახევარი საუკუნის წინ. თუმცა შემცირების ტენდენციის სტაბილიზაცია ვერ ხერხდება.

რატომ ნაწილდება შემოსავალი ასე არათანაბრად? – ეს შეკითხვა დიდი ხანია ეკონომიკის ცენტრალურ ადგილს იკავებს, თუმცა მასზე მკაფიო პასუხი ჯერ კიდევ არ არსებობს. შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში ოჯახებს შორის შემოსავლის უსამართლოდ განაწილების მთავარი მიზეზი ოჯახის უფროსთა სხვადასხვა ხელფასია. საკუთრებაზე განსხვავებული შემოსავალი (პროცენტები, დივიდენდები და ა.შ.) შემოსავლის უსამართლო განაწილების გამომწვევი არაარსებითი მიზეზია. დაკვირვება, ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი შემოსავლის უსამართლო განაწილების მიზეზს ჯერ კიდევ ვერ ხსნის – შესაძლოა, ვინმემ ასეთ მიზეზად სხვადასხვა მასშტაბის გასამრჯელო დაასახელოს. გამომუშავებული გასამრჯელო ისეთ განსხვავებულ ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორცაა: ფიზიკური ძალა, გონებრივი პოტენციალი, ენერჯია, ჯანმრთელობა, განათლების დონე, ოჯახური მდგომარეობა, სქესობრივი და რასობრივი დისკრიმინაცია, სახელმწიფო კეთილდღეობის პროგრამები და იღბალი. ეკონომისტების აზრით, ბოლო პერიოდში არათანაბარი განაწილების ზრდის ძირითადი მიზეზი განათლების შედეგად მიღებული ფინანსური უკუგების ზრდაა. ისეთი ტექნოლოგიური ცვლილებების შედეგად, როგორცაა კომპიუტერული ტექნიკის საყოველთაო დანერგვა, კოლეჯდამთავრებულები ბევრად მაღალ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე მათი თანატოლები, რომელთაც დაბალი განათლება აქვთ. თუმცა ეს სიღარიბის ყველა ტიპის ასახსნელად არ გამოდგება. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, ეს ფაქტი კეთილგონივრული პოლიტიკის შემუშავების პროცესს, რომლის მიზანი შემოსავლის გადანაწილება იქნება, „დატანჯავს“.

მთლიანობაში, სიღარიბის ოფიციალურ სახელმწიფო მონაცემებთან დაკავშირებული პრობლემები შემდეგია: ა) მათში აისახება მხოლოდ ნაღდი ფულით მიღებული შემოსავალი; ბ) მათში გათვალისწინებული არ არის გადასახადები; გ) ისინი ეფუძნება შემოსავლის წლიურ გამოთვლას; დ) მათში გათვალისწინებული არ არის ოჯახის შემადგენლობის ცვლილება.

განაწილების შესახებ არსებული მონაცემების ინტერპრეტაცია

აშშ-ში აღწერის მონაცემები შემოსავლის განაწილებისა და სიღარიბის განაკვეთის შესახებ ყველაზე ფართო განხილვის საგანია. ამდენად, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ეს მონაცემები და მათი შეზღუდვების დროს გამოყენებული მეთოდები.

შემოსავლის მაჩვენებლები მხოლოდ ოჯახთა ფულად შემოსავალს მოიცავს. ამ ფაქტის მნიშვნელობის გასაგებად შემოსავლის განსაზღვრას გთავაზობთ. ინდივიდის შემოსავალი არის მოცემული პერიოდის განმავლობაში დახარჯული და დაზოგილი თანხების ჯამი. ოჯახის შემოსავალი არა მხოლოდ მიღებული ნაღდი ფულისაგან, არამედ ნატურით მიღებული შემოსავლისაგან (ანაზღაურება არა ნაღდი ფულით, არამედ საქონლით ან მომსახურებით) შედგება. ოფიციალური დეფინიცია, რომელიც ნატურით მიღებულ შემოსავალს არ ითვალისწინებს, სიღარიბის დონის არასწორ შეფასებამდე მიგვიყვანს. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ადმინისტრაცია ღარიბ მოსახლეობას ვაუჩერს ურიგებს, რომელიც ღარიბს საუკეთესო სასტუმროში ცხოვრებისა და ყველაზე ცნობილ რესტორანში საჭმლის მირთმევის შესაძლებლობას აძლევს. თუმცა ამით სიღარიბის ოფიციალური განაკვეთი არ შეიცვლება. სახელმწიფო ღარიბებს ფუფუნებას ვერ შეუქმნის. სამაგიეროდ, ის უზრუნველყოფს სასურსათო ტალონებს, დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ბინათმშენებლობის პროგრამას, სამედიცინო სამსახურის სუბსიდირებას. ჩვენი შეფასების თანახმად, სახელმწიფოს მიერ გაცემული არაფულადი სარგებლის გათვალისწინების შემდეგ სიღარიბის ოფიციალური განაკვეთი 20%-ზე მეტით შემცირდება.

ნატურით მიღებული შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა იმ დროის ღირებულებაა, რომელსაც სრულწლოვნები თავის ოჯახს მიუძღვნიან.

ოფიციალური მონაცემები არაფერს ამბობს იმაზე, რომ მარტოხელა მშობლის ოჯახისათვის და ორი მშობლის ოჯახისათვის განსხვავებული ოდენობის ეკონომიკური რესურსებია ხელმისაწვდომი, ან იმაზე, რომ ეკონომიკური რესურსების სხვადასხვა ოდენობას იღებს ოჯახი, რომელშიც ორივე მშობელი მუშაობს, და ოჯახი, რომელშიც მხოლოდ ერთი მშობელია დასაქმებული. ნატურით შემოსავალი ზოგჯერ გრძელვადიანი სარგებლობის საქონლითაა წარმოდგენილი. ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი ამ მხრივ სახლია, რომელიც მფლობელისათვის საცხოვრებელ-კომუნალური მომსახურების ნაკადს ქმნის. აღნიშნული მომსახურების ღირებულება სახლის მესაკუთის მიერ სხვა შემთხვევაში საცხოვრებელი ბინის დაქირავებაზე გაწეულ დანახარჯს უტოლდება. ამდენად, თუ ოჯახი ფლობს სახლს, რომლის დაქირავებისთვისაც მას 5 ათასი აშშ დოლარი უნდა გადაეხადა, მაშინ გამოდის, რომ ეს თანხა მის შემოსავალში უნდა იქნეს ჩართული. დაკვირვება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ 15 ათას აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ოჯახების 48% სახლებს ფლობს.

ოფიციალური ციფრები არ ითვალისწინებს გადასახადებს. შემოსავლის შესახებ არსებული მონაცემები გადასახადის გადახდამდე პერიოდს ასახავს. ამდენად, ფაქტი, რომ საგადასახადო სისტემას მაღალშემოსავლიანი ოჯახების შემოსავლის უფრო დიდი ოდენობა მიაქვს, ვიდრე დაბალშემოსავლიანი ოჯახებისა, ამ ციფრებში ნაჩვენებია არ არის.

შემოსავალი წლიურად იზომება. შემოსავლის კონცეფცია მნიშვნელოვანია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გარკვეული პერიოდის ინტერვალით იზომება. თუმცა დროის ზუსტი გრაფიკი გამოკვეთილი არ არის. დღიური ან კვირეული შეფასება აბსურდული იდეაა – შესაძლოა, თვით ყველაზე მდიდარ ადამიანსაც კი დროის მცირე მონაკვეთში ნულოვანი შემოსავალი ჰქონდეს. ყველაზე

რაციონალური იქნებოდა, შემოსავალი წელიწადში ერთხელ გაგვეზომა (სწორედ წლიურად დგება ოფიციალური მონაცემები). თუმცა წლიურმა შეფასებამაც კი შეიძლება ინდივიდის ქეშმარიტი ეკონომიკური მდგომარეობა ვერ ასახოს. წლიდან წლამდე შემოსავალი შესაძლებელია მნიშვნელოვნად მერყეობდეს. თეორიული თვალსაზრისით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი იდეალური ვარიანტი იქნებოდა, თუმცა პრაქტიკულად ამ მონაცემის გამოთვლა წარმოუდგენელია.

სხვადასხვა პერიოდების შემოსავლებს შორის არსებული განსხვავებანი შესაძლოა უბრალო აკადემიურ ფანდად ჩავთვალოთ, თუმცა ეს განსხვავებანი მეტად მნიშვნელოვანია. ინდივიდს დაბალი შემოსავალი აქვს, როდესაც ის ახალგაზრდაა, შედარებით მაღალი – როცა საშუალო ასაკშია, და ნაკლები, როდესაც ხანდაზმულია და პენსიას იღებს. ამდენად, ინდივიდები, რომელთაც იდენტური შემოსავალი აქვთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში, მაგრამ სხვადასხვა სასიცოცხლო ფაზაში იმყოფებიან, წლიურად სხვადასხვა შემოსავალს იღებენ. წლიური შემოსავლის შეფასება შემოსავლის უფრო უსამართლო განაწილებას უჩვენებს, ვიდრე ის შეფასებანი, რომლებიც სიცოცხლის მთელ ხანგრძლივობაზეა გათვლილი. ხანგრძლივი პერიოდისათვის კეთილდღეობის განაკვეთის შეფასების შედეგად ღარიბი ოჯახების წილი სიღარიბის წლიურ განაკვეთთან შედარებით სამი ან ოთხი პროცენტული პუნქტით მცირდება. ევრი ეკონომისტი თვლის, რომ რარიბთა დახმარების სახელმწიფო პროგრამები სხვადასხვა ქვეყანაში სირარიბის დონეს დაახლოებით 1.5-ჯერ ამცირებს.

რთულია დაკვირვების ობიექტის განსაზღვრა. ინდივიდთა უდიდესი ნაწილი სხვასთან ერთად ცხოვრობს და, ამდენად, გარკვეული მასშტაბით, ერთობლივი ეკონომიკური გადაწყვეტილება მიიღება. რის მიხედვით უნდა შეფასდეს შემოსავლის განაწილება – ინდივიდის თუ ოჯახის? თუ ეკონომია ერთად ცხოვრებით მიიღწევა, ეს ინდივიდის შემოსავლის გამოთვლის დროს

გათვალისწინებული უნდა იქნეს თუ არა? ასე, მაგალითად: არის თუ არა ორწევრიანი ოჯახი, რომლის შემოსავალი 30 ათასი აშშ დოლარია, ისეთივე მატერიალურ მდგომარეობაში, როგორშიც ერთწევრიანი ოჯახი, რომლის შემოსავალი 15 ათასი აშშ დოლარია? ორი ინდივიდის დანახარჯი ერთი ინდივიდის დანახარჯის ტოლი ვერ იქნება, მაგრამ შესაძლოა წყვილმა ისე იცხოვროს, რომ 1,5 ინდივიდის დანახარჯი გასწიოს. თუ ასეა, მაშინ, რეალურად, წყვილი უფრო უკეთეს მატერიალურ მდგომარეობაში ყოფილა, ვიდრე ერთწევრიანი ოჯახი.

პრობლემა მოულოდნელად ჩნდება, როგორც კი ოჯახის სტრუქტურა იცვლება. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, როდესაც ბებიას გაზრდილი შემოსავალი, ნაცვლად სრულწლოვან შვილებთან ერთად ცხოვრებისა, საკუთარ სახლში ცხოვრების საშუალებას მისცემს. წარმოიქმნება ახალი ეკონომიკური ერთეული შემოსავლის დაბალი განაკვეთით. ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ვითარება გაუარესდა – საშუალო შემოსავალი დაეცა და ეკონომიკური უთანაბრობა გაიზარდა. თუმცა ახალი საცხოვრებელი მიმართულებები ინდივიდების მდგომარეობას ზოგადად აუმჯობესებს.

ამრიგად, შემოსავლის განაწილებისა და სიღარიბის დონის სტანდარტული საზომი ბერკეტები სასარგებლო ინფორმაციას უზრუნველყოფს, თუმცა მათ გარკვეული ეჭვით უნდა მოვეკიდოთ. ეს ამკარაა, როდესაც შედარებები დროთა განმავლობაში ხდება.

შემოსავლის განაწილების ლოგიკური საფუძველი

ცხადია, შემოსავალი უსამართლოდ ნაწილდება. ინდივიდები ვერ თანხმდებიან, სახელმწიფომ განაწილების პოლიტიკა უნდა გაატაროს თუ არა. აღნიშნულ საკითხზე ქვემოთ ბევრ მოსაზრებას შეხვდებით.

მარტივი უტილიტარიზმი

ტრადიციული კეთილდღეობის ეკონომიკის პოსტულატის თანახმად, საზოგადოების კეთილდღეობა მისი წევრების კეთილდღეობაზეა დამოკიდებული. ალგებრულად, თუ საზოგადოებაში არსებობს n რაოდენობის ინდივიდი და i -ური ინდივიდის სარგებლიანობა არის U_i , მაშინ სოციალური კეთილდღეობა, w , ინდივიდების სარგებლიანობის F ფუნქციაა:

$$W = F(U_1, U_2, \dots, U_n) \quad (7.1)$$

7.1 განტოლებას ზოგჯერ უტილიტარული სოციალური კეთილდღეობის ფუნქციას უწოდებენ, რადგან იგი XIX საუკუნის სოციალური უტილიტარიზმის ფილოსოფოსებთან ასოცირდება. U_i -ს ნებისმიერი ცვლილება სხვა თანაბარ პირობებში ზრდის W -ს. ცვლილება, რომლის განხორციელების შემდეგ ერთი ინდივიდის მდგომარეობა უმჯობესდება ისე, რომ მეორე ინდივიდის მატერიალურ მდგომარეობას ზიანი არ ადგება, სოციალური კეთილდღეობის დონეს ამაღლებს.

რას ამბობს უტილიტარიზმი იმის შესახებ, სახელმწიფომ შემოსავალი უნდა გაანაწილოს თუ არა? პასუხი გულწრფელია, თუმცა არა ძალიან ინფორმაციული – სახელმწიფოს შეუძლია, შემოსავალი იმ პირობით გადაანაწილოს, რომ ამის შედეგად გაიზრდება W . უფრო კონკრეტული ინსტრუქციის მისაღებად განვიხილოთ 7.1 განტოლებისათვის დამახასიათებელი კონკრეტული პირობა:

$$W = U_1 + U_2 + \dots + U_N \quad (7.2)$$

ამ შემთხვევაში სოციალური კეთილდღეობა ინდივიდთა სარგებლიანობის უბრალო ჯამია. ეს ადიტიური სოციალური კეთილდღეობის ფუნქციის სახელითაა ცნობილი.

დავუშვათ, სახელმწიფოს მიზანია, 7.2 განტოლებაში მოცემული W მაქსიმალურად გაზარდოს. აღნიშნული სოციალური კეთილდღეობის ფუნქცია, რამდენიმე დაშვებასთან ერთად, მკაცრი შედეგების მიღების საფუძველს გვაძლევს. დავუშვათ, რომ:

1. ინდივიდებს აქვთ იდენტური სარგებლიანობის ფუნქცია, რაც მხოლოდ მათ შემოსავალზეა დამოკიდებული.

2. აღნიშნული სარგებლიანობის ფუნქციები შემოსავლის შემცირებად ზღვრულ სარგებლიანობას გამოხატავს – ინდივიდის შემოსავლის ზრდასთან ერთად მისი მატერიალური მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ უფრო მცირე პროპორციით.


3. ხელმისაწვდომი შემოსავლის მთლიანი ოდენობა ფიქსირებულია.

სახელმწიფომ ამ დაშვებებისა და ადიტიური სოციალური კეთილდღეობის ფუნქციის გამოყენების შედეგად შემოსავალი იმისთვის უნდა გადაანაწილოს, რომ სრულ თანასწორობას მიაღწიოს.

ამის დასამტკიცებლად წარმოვიდგინოთ, რომ საზოგადოება ორი წევრისაგან – პეტრესა და პავლესგან შედგება (ამ შემთხვევაში უფრო მარტივია განზოგადება, ვიდრე მრავალწევრიან მაგალითებში). 7.1 გრაფიკზე OO^1 ჰორიზონტალური მანძილის საშუალებით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი შემოსავლის მთლიანი ოდენობა გამოითვლება. პავლეს შემოსავალი O წერტილის მარჯვნივ არსებული მანძილით იზომება, პეტრეს შემოსავალი კი – წერტილის მარცხნივ არსებული მანძილით. ამდენად, OO^1 ნებისმიერი წერტილი პავლესა და პეტრეს შორის შემოსავლის განაწილებას გვიჩვენებს. ჩვენი მიზანია, „საუკეთესო“ წერტილი ვიპოვოთ.

გრაფიკი 7.1

შემოსავლის
ოპტიმალური
განაწილების
მოდელი



პავლეს შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობა O წერტილიდან ვერტიკალურად იზომება. მეორე დაშვების თანახმად, პავლეს შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობის სხივი მისი შემოსავლის დონის მიმართ ქვემოთაა დახრილი და აღნიშნულია MU_{Paul} -ით. პეტრეს შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობის სხივი MU_{Peter} -ითაა აღნიშნული (გახსოვდეთ, რომ ჰორიზონტალურ დერძზე მარცხნივ მოძრაობა არის პეტრეს შემოსავლის ზრდა). პეტრესა და პავლეს იდენტური სარგებლიანობის ფუნქციები აქვთ, ამდენად, $MU_{Peter} = MU_{Paul}$ -ის სარკისებრი გამოსახულებაა.

დავუშვათ, რომ პავლეს თავდაპირველი შემოსავალია Oa , პეტრესი კი – $O'a$. არის თუ არა სოციალური კეთილდღეობის ფუნქცია შეძლებისდაგვარად მაღალი, ან შესაძლებელია თუ არა, რომ პეტრესა და პავლეს შორის შემოსავლის განაწილების შემთხვევაში სარგებლის ჯამი გაიზარდოს? დავუშვათ, რომ პეტრეს

ab დოლარი გამოართვეს და მისცეს პავლეს. ცხადია, პეტრეს მდგომარეობა გაუარესდება, ხოლო პავლესი – გაუმჯობესდება. აქ დაისმება არსებითი შეკითხვა: რა მოუვა სარგებელთა ჯამს? პეტრე პავლეზე მდიდარია, ამიტომ პეტრეს სარგებლიანობის დანაკარგი პავლეს მოგებაზე მცირე იქნება, ამდენად, მათი სარგებლიანობის ჯამი გაიზრდება. გეომეტრიულად, თითოეული ინდივიდის შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობის სხივის ქვეშ განთავსებული არეალი ინდივიდის შემოსავლის ცვლილებით გამოწვეულ სარგებლიანობის ცვლილებას ზომავს. პავლესათვის *ab* დოლარის მიცემის შედეგად პავლეს სარგებლიანობა *abfe* არეალით გაიზარდა, პეტრესათვის *ab* გამორთმევამ კი პეტრეს სარგებლიანობა *abcd* არეალით შეამცირა. მათი სარგებლიანობის ჯამი *cefd* გამუქებული არეალით გაიზარდა.

სანამ სხვადასხვა ინდივიდის შემოსავალი და ზღვრული სარგებლიანობა არათანაბარია, სარგებლიანობის ჯამი გაიზრდება, თუ შემოსავალს უფრო დარბ ინდივიდს გავუნაწილებთ. მხოლოდ I^* წერტილში, სადაც შემოსავალი ზღვრულ სარგებლიანობას უტოლდება, ხდება სოციალური კეთილდღეობის მაქსიმიზაცია. ასეთ ვითარებაში შემოსავლის სრული თანასწორობის წერტილის ძიება უნდა გაგრძელდეს.

შეუძლებელია დავამტკიცოთ, რომ ინდივიდები თანაბარ სარგებლიანობას იღებენ შემოსავლის იდენტური ოდენობიდან. “.

განაწილების პოლიტიკის შემუშავებისას სახელმწიფო ისე უნდა მოქმედებდეს, თითქოს ყველა ინდივიდი იდენტური სარგებლიანობის ფუნქციით ხასიათდებოდეს (მიუხედავად იმისა, ნამდვილად ასეა თუ არა).

დავუშვათ, რომ შემოსავლის ზღვრული სარგებლიანობა შემოსავლის ყველა დონეზე უცვლელია. მაშინ MU_{Peter} და MU_{Paul} იდენტურ ჰორიზონტალურ ხაზზე იქნება წარმოდგენილი. პეტრესათვის დოლარის გამორთმევის შემთხვევაში მისი სარგებლიანობის დანაკარგი პავლეს მოგებას უტოლდება.

ამდენად, მათი სარგებლიანობის ჯამი შემოსავლის განაწილებაზე დამოკიდებული არ არის. სახელმწიფოს განაწილების პოლიტიკას სოციალური კეთილდღეობის შეცვლა არ შეუძლია.

ნამცხვრის ზომა სახელმწიფოს მიერ მისი ნაჭრების განაწილების შედეგად არ შეიცვლება. დავუშვათ, რომ ინდივიდის სარგებელი არა მარტო შემოსავალზე, არამედ თავისუფალ დროზეცაა დამოკიდებული. თითოეული ინდივიდი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა ოდენობის თავისუფალი დრო მოახმაროს სარგებლის მაქსიმიზაციას (ანუ რამდენი ხანი იმუშაოს). გადასახადები და სუბსიდიები, რომლებიც შემოსავლის გასანაწილებლად დაწესებული, ზოგადად ინდივიდის სამუშაო გადაწყვეტილებას ცვლის და მთლიან რეალურ შემოსავალს ამცირებს. ამდენად, საზოგადოება, რომლის მიზანი სარგებლიანობის ჯამის გაზრდაა, დილემის წინაშე დგება. ერთი მხრივ, მას შემოსავლის განაწილების გათანაბრება სურს. ასეთი ქმედებით კი ის ხელმისაწვდომი შემოსავლის მთლიან ოდენობას ამცირებს. შემოსავლის ოპტიმალური განაწილება თანასწორობის მისაღწევად გაწეულ დანახარჯს (რეალური შემოსავლის დანაკარგს) უნდა ითვალისწინებდეს.

რადიკალურად განსხვავებულ შედეგებამდე მიგვიყვანს ისეთი მკაცრის დაშვებების შესუსტება, როგორებიცაა:

1. სოციალური კეთილდღეობა არის იდენტური სარგებლიანობის ფუნქციების ჯამი, იგი დამოკიდებულია მხოლოდ შემოსავალზე;
2. არსებობს შემოსავლის კლებადი ზღვრული სარგებლიანობა;
3. შემოსავლის მთლიანი ოდენობა ფიქსირებულია, მაშინ შემოსავალი თანაბრად უნდა განაწილდეს.

მაქსიმუმის კრიტერიუმი

უტილიტარიზმის პირობებში სოციალური კეთილდღეობის ფუნქციის ფორმა ადეკვატური სახელმწიფო განაწილების პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თუ სარგებლიანობის ერთეულს ერთ ინდივიდს გამოართმევენ და მეორეს მისცემენ, სარგებლიანობათა ჯამი უცვლელია. განსაზღვრების თანახმად, ასეთია სოციალური კეთილდღეობა.

უტილიტარული სოციალური კეთილდღეობის სხვა ფუნქცია ამგვარი ლოგიკით არ ხასიათდება და, ცხადია, განსხვავებული პოლიტიკური დანიშნულებისაა. განიხილეთ სოციალური კეთილდღეობის ასეთი ფუნქცია:

$$W = \text{Minimum}(U_1, U_2, \dots, U_n) \quad (7.3)$$

7.3 განტოლების თანახმად, სოციალური კეთილდღეობა მინიმალური სარგებლის მქონე ინდივიდის სარგებელზეა დამოკიდებული. აღნიშნული სოციალური ფუნქციონის ხშირად მაქსიმალურ კრიტერიუმს უწოდებენ, რადგან მისი მიზანი მინიმალური სარგებლის მქონე ინდივიდის სარგებლის მაქსიმიზაციაა. მაქსიმალური კრიტერიუმის თანახმად, შემოსავლის განაწილება იდეალურად თანასწორი უნდა იყოს, გარდა თანასწორობიდან ისეთი გადახრისა, რომლის შედეგად ყველაზე ღარიბი ინდივიდის მატერიალური მდგომარეობა უმჯობესდება. წარმოვიდგინოთ საზოგადოება, რომლის მდიდარი ინდივიდი, პეტრე, ღარიბ პავლეს ამუშავებს. სახელმწიფო გადასახადით დაბეგრავს პეტრეს და ამონაგებს პავლეს გაუნაწილებს. პეტრე დაბეგრის შემდეგ ამცირებს წარმოებას და პავლეს ათავისუფლებს. უფრო მეტიც, პავლეს მიერ სახელმწიფოსაგან მიღებული შემოსავალი სამსახურიდან გათავისუფლებით წარმოქმნილ დანაკარგთან შედარებით მცირეა. ასეთი ჰიპოთეტური ეკონომიის პირობებში შესაძლოა, მაქსიმალური კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემდეგაც არსებობდეს არათანაბარი შემოსავალი.

შემოსავლის განაწილება პარეტო-ეფექტიანობის მიხედვით

ადიტიური და მაქსიმალური სოციალური კეთილდღეობის ფუნქციების განხილვამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ შემოსავლის განაწილების შედეგად ინდივიდთა ერთი ჯგუფის მდგომარეობა უმჯობესდება, ხოლო მეორე ჯგუფისა – უარესდება. განაწილება პარეტო-გაუმჯობესების წერტილში არასოდეს არ იქნება – იგი ისეთ ცვლილებას ვერასოდეს უზრუნველყოფს, რომლის დროსაც თითოეული ინდივიდის მატერიალური კეთილდღეობა თუ არ გაუმჯობესდება, არსებულ დონეზე მაინც დარჩება. ზუსტად ასეთ შედეგს იძლევა იმის დაშვება, რომ თითოეული ინდივიდის სარგებელი მხოლოდ მის შემოსავალზეა დამოკიდებული. ამ კონცეფციის საპირისპიროდ, წარმოვიდგინოთ მდიდარი ალტრუისტი, რომლის სარგებელი არა მხოლოდ მის შემოსავალზე, არამედ ღარიბის შემოსავალზეცაა დამოკიდებული. ასეთ ვითარებაში განაწილებამ შესაძლოა პარეტო-გაუმჯობესების წერტილს მიაღწიოს.

როცა მდიდარი (პეტრე) დოლარს ღარიბს (პავლეს) აძლევს, პეტრეს კმაყოფილება თავისი კეთილი საქციელის გამო მის ზარალს გადაწონის. ამავე დროს, დოლარის დამატებით პავლეს სარგებელიც იზრდება. ტრანსფერის შედეგად ორივე ინდივიდის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება. მართლაც, ეფექტიანობა იმას მოითხოვს, რომ შემოსავალი განაწილდეს, სანამ პეტრეს მიერ პავლესათვის დოლარის გადაცემის შედეგად გაზრდილი კმაყოფილების შეგრძნება ზუსტად უდრის პეტრეს სარგებლიანობის დანაკარგს, რაც უფრო დაბალი მოხმარებითაა გამოწვეული. დავუშვათ, პეტრეს უჭირს ასეთი ტრანსფერის თავად განხორციელება. ალბათ იმიტომ, რომ მას არა აქვს ინფორმაცია, თუ ვინ არის ნამდვილად ღარიბი. თუ სახელმწიფო პეტრეს ამ ტრანსფერით უსასყიდლოდ უზრუნველყოფს, მაშინ ეფექტიანობა გაიზრდება.

ეს პრობლემა გარეგან ეფექტს უკავშირდება. პავლეს ქცევა (ამ შემთხვევაში – მოხმარება) პეტრეს კეთილდღეობაზე ბაზრის გარედან ახდენს ზემოქმედებას. როგორც ყოველთვის, სახელმწიფოს ეფექტიანობის ამაღლება შეუძლია. თუ მოვლენებს ლოგიკურ დინებაზე მივუშვებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ

შემოსავლის განაწილება საზოგადოებრივი საქონელია, რადგან თითოეული ინდივიდის სარგებლიანობაზე არათანასწორობის ხარისხი ზემოქმედებს. დავუშვათ, რომ თითოეული ინდივიდის მდგომარეობა შემოსავლის უფრო თანაბარი განაწილების შემთხვევაში გაუმჯობესდებოდა. თუმცა არც ერთ ინდივიდს თავისთავად არ სურს, შემოსავალი ღარიბს გადასცეს. თუ სახელმწიფო იძულების უფლების გამოყენებით თითოეულ მდიდარ ინდივიდს აიძულებს, შემოსავალი ღარიბებს გადაუწილოს, ეკონომიკური ეფექტიანობა გაიზრდება.

ცხადია, ადამიანთა ცხოვრებაში ალტრუიზმი დიდ როლს ასრულებს. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს შემოსავლის განაწილების პროგრამათა უმეტესობა სწორედ ალტრუისტული მოტივებით საბუთდება. არგუმენტი იმაზე მიუთითებს, რომ იძულების გარეშე ინდივიდი ღარიბს ეფექტიან თანხაზე ნაკლებს მისცემდა. თუმცა თუ ადამიანს სურს დაეხმაროს ღარიბს, ის ასეც მოიქცევა – ამას ცხადყოფს მილიარდობით დოლარი, რომელიც ყოველწლიურად საქველმოქმედო ფონდებს ემატება.

კიდევ ბევრი მიზეზი არსებობს, რომლის გამოც ადამიანის პირად ინტერესში შემოსავლის განაწილება შედის. ჯერ ერთი, ადამიანს არაკონტროლირებადი გარემოების გამო გაღარიბების მუდმივად ეშინია. შემოსავლის განაწილების პოლიტიკა კი დაზღვევას წააგავს. როდესაც ინდივიდის მატერიალური მდგომარეობა კარგია, იგი გადასახადის ფორმით ღარიბთა საკეთილდღეოდ „პრემიას“ იხდის. თუ ცუდი დრო დადგება, გადახდილი შენატანი ინდივიდს უკან უბრუნდება და მის მდგომარეობას ამსუბუქებს. იდეა იმის შესახებ, რომ სახელმწიფომ „უსაფრთხოების ბადე“ (ეკონომიკის სტაბილური ფუნქციონირების სისტემა) უნდა უზრუნველყოს, ძალიან ძველია.

გარდა ამისა, შემოსავლის განაწილების პროგრამები სოციალური სტაბილურობის საფუძველია. თუ ღარიბი უფრო გაღარიბდა, იგი შეიძლება ანტისოციალური

ლონისპიებების (დანაშაული, მასობრივი უწყესრიგობანი) ინიციატორადაც კი იქცეს.

საზოგადოებრივი საქონელი

მნიშვნელოვანი სახელმწიფო დანახარჯი გაიწევა საზოგადოებრივი საქონლის წარმოებაზე – საქონლისა, რომლის ერთდროულად მოხმარება ერთზე მეტ ადამიანს შეუძლია. როგორც მე-4 თავში აღინიშნა, ბაზარი არ აიძულებს ინდივიდს, აღიაროს, რამდენად აფასებს საზოგადოებრივ საქონელს. მაგრამ თუ არ ვიცით, რამდენად აფასებს თითოეული ოჯახი საზოგადოებრივ საქონელს, როგორ შევძლებთ შემოსავლის განაწილებაზე მისი ზემოქმედების განსაზღვრას? სახელმწიფომ 2020 წელს თავდაცვაზე დაახლოებით 934 მილიარდი აშშ დოლარი დახარჯა. რამდენი დოლარით გაზარდა ამ ქმედებამ თითოეული ოჯახის რეალური შემოსავალი? ისარგებლა თუ არა თითოეულმა მათგანმა თანხის ერთი და იმავე ოდენობით? თუ ასე არ არის, მაშინ უფრო მეტად ღარიბმა ისარგებლა თუ მდიდარმა?

ამომწურავი პასუხების გაცემა რთულია. სამწუხაროდ, ალტერნატიული პასუხები, რომლებიც ჭეშმარიტთან ახლოს მდგარ დაშვებებს ეფუძნება, განსხვავებული შედეგებით ხასიათდება.

თუ დავუშვებთ, რომ:

ა) ოჯახის სარგებლის წილი მისი შემოსავლის პროპორციულია;

ბ) წილი ოჯახის წევრების რაოდენობის პროპორციულია.

(ა) დაშვების თანახმად, მოსახლეობის უდაბლესი ერთი მეხუთედის შემოსავალი 3,8%-ით გაიზრდება (თავდაცვაზე გაწეული ხარჯები);

(ბ) დაშვების მიხედვით კი, მისი შემოსავალი დანახარჯების 14,6%-ით გაიზრდება. შედეგები, ცხადია, საკმაოდ დელიკატურია.

ნატურით განხორციელებული ტრანსფერის შეფასება

ნატურით განხორციელებულ ტრანსფერს განვიხილავთ, როგორც დაბალშემოსავლიანი ინდივიდებისათვის გაწეულ დახმარებას: სასურსათო ტალონები, სამედიცინო დახმარების პოლისი, სახელმწიფო ბინათმშენებლობა. თუმცა საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე ინდივიდებიც ნატურით ტრანსფერისაგან იღებენ სარგებელს. ამის მაგალითია განათლება.

წმინდა საზოგადოებრივი საქონლისაგან განსხვავებით, გადაცემული ნატურის მომხმარებელი ერთდროულად რამდენიმე ადამიანი არ შეიძლება იყოს. მიუხედავად ამისა, იმის გამოთვლა, თუ რამდენად აფასებენ მას ბენეფიციარები, რთულია. ყველაზე მოსახერხებელი მეთოდი ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად ისაა, რომ ნატურით ტრანსფერის განხორციელებისას სახელმწიფოს მიერ დახარჯული ყოველი დოლარი რეციპიენტის შემოსავლის ყოველი დოლარით ზრდაზე მეტყველებს. სამწუხაროდ, არ არსებობს მიზეზი, ვირწმუნოთ, რომ ნატურით ტრანსფერს ბენეფიციარი ასეთ საფუძველზე აფასებს.

თუ ჯოუნსის მიერ ამჟამად ყველისა და სხვა პროდუქტების მოხმარების კოეფიციენტს წარსულის იმავე მაჩვენებელს შევადარებთ, ვნახავთ, რომ იგი გაზრდილია. სახელმწიფო ჯოუნსს ყველით უზრუნველყოფს, მას კი შეუძლია, ყველისათვის გადადებული ფულით სხვა პროდუქტები იყიდოს.

არის თუ არა ნაღდი ფულის ტრანსფერი ნატურით ტრანსფერთან შედარებით ყოველთვის უფრო უკეთესი? პასუხი ასეთია – ყოველთვის არა.

არ შეიძლება ზუსტად ვიცოდეთ, ნატურით ტრანსფერი შემოსავლის პირდაპირ ტრანსფერთან შედარებით ნაკლებად ფასდება თუ არა. საბოლოო პასუხი ემპირიული ანალიზის საშუალებით უნდა მოიძებნოს. მაგალითად, ღარიბთა დახმარების მიმართულებათა ზოგიერთი კვლევა მიუთითებს, რომ

ბინათმშენებლობის სუბსიდიით მიღებული თითოეული დოლარი ნაღდი ფულით მიღებული 90 ცენტის ტოლფასია.

ნატურით ტრანსფერთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ ის მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ დანახარჯს იწვევს. განხილული ყველის პროგრამის შემთხვევაში დანახარჯი ყველის შენახვაზე, ტრანსპორტირებასა და განაწილებაზე გაიწევა (გადასახადი იმდენად მაღალია, რომ ზოგიერთი საზოგადოება მონაწილეობაზე თავს იკავებს). ანალოგიურად, სასურსათო ტალონის პროგრამასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული დანახარჯის შემცირება შესაძლებელია, თუ ბენეფიციარი კუპონის ნაცვლად ჩეკს მიიღებდა, რომლითაც სურსათის ღირებულებას გადაიხდიდა.

ნატურით ტრანსფერის განხორციელების მიზეზები

თუ ნატურით განხორციელებული ტრანსფერი, ნაღდი ფულით განხორციელებულ ტრანსფერთან შედარებით, რეციპიენტს ნაკლებად აკმაყოფილებს და უფრო მაღალ ადმინისტრაციულ დანახარჯებს მოითხოვს, მაშინ რატომ ხორციელდება იგი საერთოდ?

ნატურით ტრანსფერი სიღარიბის შიშს შედარებით ანეიტრალებს. განხილვამ ცხადყო, რომ იმის იდენტიფიცირება, თუ ვინ უნდა მიიღოს დახმარება და ვინ არა, უპრობლემოდ მიმდინარეობს. რეალურად ეს ასე არ ხდება და ადამიანები, რომელთაც დახმარების მიღება არ ეკუთვნით, ზოგჯერ მისი ბენეფიციარები ხდებიან. დახმარების მიღების უფლების არმქონე პირს ნატურით ტრანსფერი ხშირად სურვილს უკარგავს, მოითხოვოს დახმარება, რადგან საშუალო შემოსავლის მქონე პირს ფულადი დახმარების მიღება ენდომება და არა იმ პროდუქტისა, რომელიც მას არ ესაჭიროება. აღნიშნული პრეზუმფცია განსაკუთრებით მართებულია, თუ მიღებული საქონლის გაყიდვა რთულია (სახელმწიფო ბინათმშენებლობისას, ბინის გაყიდვის მსგავსად). ანალოგიურად,

კეთილდღეობის რეციპიენტათვის ბარიერების შექმნა (რიგში დგომა, ოფიციალური დოკუმენტების ფართო ასორტიმენტის შევსება) დახმარების მიღების სურვილს ზოგიერთ ისეთ ინდივიდს დაუკარგავს, რომელსაც დახმარების გზით მიღებული პროდუქტი „სინამდვილეში მართლა“ არ ესაჭიროება. საქმე კომპრომისთან გვაქვს. ერთი მხრივ, ღარიბი უპირატესობას ნაღდი ფულით (500 დოლარი) განხორციელებულ დახმარებას მიანიჭებს იმავე ღირებულების ბინათმშენებლობის დახმარებასთან შედარებით. მაგრამ თუ ნატურით დახმარება შიშს ანეიტრალებს, მაშინ შესაძლებელია რესურსების უფრო მეტი არხის გაყვანა იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც ნამდვილად ესაჭიროებათ დახმარება. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ სახელმწიფომ კეთილდღეობის რეციპიენტათვის ოპტიმალურზე მეტი ადმინისტრაციული ბარიერი დააწესა. მაგალითად, 2003 წელს, ბუშის ადმინისტრაციის ბრძანებით, სკოლაში უფასო სადილის მისაღებად მოსწავლეს უნდა წარედგინა მტკიცებულება, რომ მისი მშობლების შემოსავალი საკმარისად დაბალი იყო. არის აზრი, რომ მიღებული გადაწყვეტილება ბავშვებთან მიმართებით უსამართლო იყო.

ნატურით განხორციელებული დახმარება პოლიტიკური თვალსაზრისით მიმზიდველია, რადგან იგი არა მხოლოდ ბენეფიციარს, არამედ უპირატესად პროდუქტის მწარმოებელს ეხმარება. ტრანსფერი, რომელიც ზრდის მოთხოვნას საცხოვრებელ სახლზე, ქმნის სარგებელს მშენებლობისათვის. მშენებლობაში დასაქმებულნი მზად არიან, იმ პოლიტიკურ კოალიციას დაუჭირონ მხარი, რომელიც ამ პროგრამას ატარებს. ანალოგიურად, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირები ყოველთვის სასურსათო ტალონების უდიდესი დამცველები იყვნენ. ორეგონის შტატმა რამდენიმე წლის წინ ითხოვა ნებართვა, რომ კეთილდღეობის რეციპიენტთა მიერ მისაღები სასურსათო ტალონი ნაღდი ფულით მისაღებ დახმარებად გარდაექმნა. იდეა სასოფლო-სამეურნეო შტატებიდან არჩეულმა კონგრესის წევრებმა დაბლოკეს. ანალოგიურად, საჯარო

მოხელეები, რომლებიც სხვადასხვა ნატურის სატრანსფერო პროგრამების ადმინისტრირებას ახორციელებენ, მას ყოველთვის უკავშირებენ თავის პოლიტიკურ მხარდაჭერას. მაგალითად, ბინათმშენებლობისა და ურბანული განვითარების დეპარტამენტის საჯარო მოხელეები საცხოვრებელი ბინით დახმარების შეჩერებას და ნაღდი ფულის გრანტებით მის ჩანაცვლებას ტრადიციულად, ძლიერ ეწინააღმდეგებიან.

ნატურით დახმარების შესახებ არსებული განმარტებანი ურთიერთგამომრიცხავი არ არის და ალბათ პოლიტიკის ჩამოყალიბებაზედაც ახდენს გავლენას.

მაქსიმალური კრიტერიუმის თანახმად, შემოსავლის საუკეთესო განაწილება ყველაზე დაბალი სარგებლიანობის მქონე ინდივიდის სარგებელს მაქსიმალურად ზრდის. ამ დაშვების ეთიკურობასთან დაკავშირებით წინააღმდეგობრივი შეხედულებანი არსებობს.

- შემოსავლის განაწილება შესაძლოა საზოგადოებრივი საქონლის ანალოგიურად განხორციელდეს – ყველა იღებს სარგებელს, რადგან შემოსავალი მიუკერძოებლადაა განაწილებული. ამ დროს საჭიროა სახელმწიფო იძულება, რათა შემოსავალი განაწილდეს. პარეტო-ეფექტიანი განაწილება მაშინ მიიღწევა, როდესაც ტრანსფერის შედეგად არც ერთი ინდივიდის მდგომარეობა არ უარესდება.

- შემოსავლის განაწილების შესახებ არსებული სხვა მოსაზრებანი უტილიტარულ პოსტულატებს უარყოფს. არსებობს მოსაზრება, რომ უპირველესი პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: შემოსავალი, ან გარკვეული საქონელი მაინც, თანაბრად უნდა იყოს განაწილებული. სხვები ამტკიცებენ, რომ შემოსავალი არაადეკვატურად ნაწილდება, სანამ განაწილება „სამართლიან“ პროცესს ეფუძნება.

- სახელმწიფო პროგრამას ფარდობითი ფასების შეცვლა შეუძლია, რაც სხვადასხვა ინდივიდებისათვის დანაკარგსა და მოგებას იწვევს. რთულია ფასის

ყველა ცვლილების აღრიცხვა. ამრიგად, ეკონომისტები, როგორც წესი, ძირითადად ფოკუსირებას იმ საბაზრო ფასებზე ახდენენ, რომლებზედაც პირდაპირი ზემოქმედება ხორციელდება.

- ინდივიდი არასოდეს ააშკარავებს იმას, თუ რამდენად აფასებს საზოგადოებრივ საქონელს; რთულია განისაზღვროს, როგორ ზემოქმედებს ასეთი საქონელი რეალურ შემოსავალზე.

- ბევრი სახელმწიფო პროგრამა საქონელსა და მომსახურებას (ნატურით ტრანსფერი) ნაღდი ფულით დახმარების ნაცვლად უზრუნველყოფს. რეციპიენტებს მიღებული პროდუქტისა და მომსახურების ლეგალურად გაყიდვის უფლება არა აქვთ. თუ რეციპიენტს ნაკლები პროდუქტის მოხმარების სურვილი ექნება, ნატურით ტრანსფერის ღირებულება მის საბაზრო ღირებულებაზე დაბალი იქნება.

- ნატურით დახმარების პროგრამები შესაძლოა სამეურვეო, საქონლის ეგალიტარიანიზმის, ადმინისტრაციული შესრულებადობის ან პოლიტიკური მომხიბვლელობის გამო დომინირებდეს.

თემა 5. სოციალური ხარჯების დაფინანსება

სოციალური დაზღვევის საჭიროება;

სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის სტრუქტურა;

სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის გავლენა ადამიანთა ეკონომიკურ ქცევაზე;

სახელმწიფო საპენსიო სისტემაზე გრძელვადიანი ზემოქმედების ფაქტორები;

სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა;

უმუშევრობის დაზღვევა;

საზოგადოებრივი ჯანდაცვის განსაკუთრებულობა;

აშშ-ს ჯანდაცვის ბაზარი;

სახელმწიფოს როლი ჯანდაცვის სფეროში;

სოციალური ხარჯების დაფინანსება საქართველოში

ცხოვრება აღსავსეა მოულოდნელობებით. ისეთი მოვლენები, როგორცაა ხანძარი და ავადმყოფობა, უარყოფითად მოქმედებს ადამიანზე. მდგომარეობის შემსუბუქებისა და თავდაცვის ერთადერთი გზა სადაზღვევო პაკეტის შექმნაა. პირი, რომელიც გადასახადს უხდის სადაზღვევო კომპანიას, დაზღვეულია არასასიამოვნო მოულოდნელობებისაგან. აღნიშნული პროგრამები სოციალური დაზღვევის სახელწოდებითაა ცნობილი.

ზოგიერთ მათგანს ისეთი მახასიათებლები აერთიანებს, როგორცაა:

სავალდებულო მონაწილეობა.

დაზღვევით სარგებლობის უფლება და სარგებლის მასშტაბი ნაწილობრივ ადამიანის მიერ წარსულში განხორციელებულ შენატანებზეა დამოკიდებული.

სარგებლის გადახდა იწყება ისეთი იდენტიფიცირებადი ინციდენტის შემდეგ, როგორცაა: სამუშაოდან დათხოვნა, ავადმყოფობა ან პენსიაზე გასვლა.

არ არის საჭირო პროგრამის რაციონალურობის (საჭიროების) შეფასება – სარგებლის მიღების უფლების მისაღებად ფინანსური სიძნელების მანიფესტირება აუცილებელი არ არის.

რა საჭიროა სოციალური დაზღვევა?

კეთილდღეობის პირველი თეორიის თანახმად, კერძო ბაზარი, როგორც წესი, უზრუნველყოფს საქონლის საკმარის რაოდენობას. რა არის განსაკუთრებული ისეთი საქონლის შემთხვევაში, როგორცაა „დაზღვევა“?

ასიმეტრიული ინფორმაციის არსებობას (მდგომარეობა, როდესაც გარიგების ერთი მხარე მეორე მხარისათვის მიუწვდომელ ინფორმაციას ფლობს) სადაზღვევო ბაზრის არაეფექტიანობამდე მივყავართ.

სადაზღვევო პაკეტის მყიდველის ერთადერთი მახასიათებელი, რომელზეც სადაზღვევო კომპანია ზრუნავს, მისი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობაა. კომპანიის თვალთახედვით, იდეალური კლიენტი არასოდეს კვდება. იმდენად, რამდენადაც პოტენციურმა კლიენტმა უფრო კარგად იცის თავის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ვიდრე სადაზღვევო კომპანიამ, ადგილი ასიმეტრიული ინფორმაციის არსებობას აქვს. როდესაც მზღვეველი სხვადასხვა ადამიანის სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას ვერ აკონტროლებს, იგი იძულებულია, ყველა კლიენტს ერთი და იგივე მომსახურება გაუწიოს. ვისთვის იქნება ეს მომსახურება ყველაზე ღირებული? ცხადია, იმ ადამიანებისათვის, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა პრობლემურია, მათ სადაზღვევო კომპანიის მომსახურება და მისგან მისაღები სარგებელი სჭირდებათ. სწორედ ეს ადამიანები არ სჭირდება სადაზღვევო კომპანიას კლიენტების სახით! ამდენად, სადაზღვევო კომპანიას კლიენტურის ამორჩევა თავად კომპანიის ინტერესებისათვის არახელსაყრელი პირობით უხდება. ამ პერიოდში ფასი იზრდება – რეაგირებს არახელსაყრელ შერჩევაზე, რაც, საბოლოო ჯამში, კომპანიას „კარგ“ კლიენტურას აკარგვინებს. ამის შედეგად კი პრობლემა უარესდება. ინდივიდი, რომელსაც აქვს სადაზღვევო კომპანიიდან

მიღებული სარგებლის გამოყენების განსაკუთრებული სურვილი და მაღალი მოთხოვნა დაზღვევაზე, ისეთი ფენომენის არსებობას უდებს საფუძველს, რომელიც არახელსაყრელი შერჩევის სახელწოდებითაა ცნობილი. ასიმეტრიული ინფორმაციის არსებობის პირობებში არახელსაყრელი შერჩევა ბაზრის ეფექტიანობას ამცირებს.

სადაზღვევო კომპანია ყიდის მომსახურების პაკეტს, რომელსაც ანუიტეტი ეწოდება. ანუიტეტი ინდივიდს ყოველწლიური შემოსავლით უზრუნველყოფს სიცოცხლის განმავლობაში. თეორიულად, სადაზღვევო კომპანია ხარჯავს ფულს პირებზე, რომლებიც საშუალოზე დიდხანს ცხოვრობენ, სამაგიეროდ, ფულს აკეთებს იმ პირების ხარჯზე, რომლებსაც მოკლე სასიცოცხლო ციკლი აღმოაჩნდებათ და, ამდენად, დანაკარგების გარეშე მუშაობას ახერხებს.

პრობლემა ამჯერადაც ბაზარზე არახელსაყრელ შერჩევაში მდგომარეობს. პირი, რომლის სასიცოცხლო ციკლი, როგორც ჩანს, ჩვეულებრივზე უფრო ხანგრძლივი იქნება, უფრო მეტად საჭიროებს ანუიტეტს. არახელსაყრელი შერჩევის შედეგად სადაზღვევო კომპანიის მიერ ანუიტეტზე გაწეული დანახარჯი იზრდება, ამდენად, იზრდება მისი ფასიც, რაც ანუიტეტის პოტენციურ მყიდველებს აფრთხობს და ბაზარს ამცირებს. ამდენად, ბაზარი ვერ უზრუნველყოფს პირს სათანადო თანხით, რომელიც საჭიროა მისთვის უფრო ხანგრძლივი სასიცოცხლო ციკლისათვის. სავალდებულო სოციალური დაზღვევა არახელსაყრელი შერჩევის პრობლემას ანეიტრალებს; სავალდებულო სოციალური დაზღვევის თანახმად, თითოეული პირი ვალდებულია, შეიძინოს სადაზღვევო მომსახურების პაკეტი. ამდენად, სავსებით შესაძლებელია, სოციალური დაზღვევა განვიხილოთ, როგორც ანუიტეტი, რომლის შექმნა თითოეული ინდივიდისათვის სავალდებულოა.

გარდა არახელსაყრელი შერჩევის ფაქტორისა, სავალდებულო სოციალური დაზღვევის არსებობის აუცილებლობას ბევრი სხვა ფაქტორიც იწვევს.

წინდახედულობის სიმცირე. ინდივიდს არა აქვს საკმაო წინდახედულობა იმისათვის, რომ საკუთარი კეთილდღეობისათვის დაეზღვიოს; ამდენად, მთავრობამ უნდა აიძულოს იგი, სადაზღვევო პაკეტი შეიძინოს.

მორალური რისკი (არაკეთილსინდისიერი მოქმედების საფრთხე). ინდივიდს სწამს, რომ იგი, ჩააყენებს რა საკუთარ თავს უნუგემო სიტუაციაში, მთავრობას დაავალდებულებს, დაეხმაროს მას. მაგალითად, საზოგადოება თვლის, რომ გაუმართლებელია უმწეო ხანდაზმულთა დახმარების ინსტიტუტის არსებობა, რადგან ბევრი ახალგაზრდა ამგვარ დახმარებას დაზღვევის ფორმად მიიჩნევს და საკუთარ თავს უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნის უფლებას აძლევს. ეს კი მორალური რისკის, ანუ არაკეთილსინდისიერი მოქმედების საფრთხის წინაშე გვაყენებს – ეს არის ცვლილება ინდივიდის მოქმედებაში, რაც გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ იგი დაზღვეულია (იხილეთ მესამე თავი). სავალდებულო სისტემის არსებობის ერთ-ერთი გამართლება მორალური რისკის შემცირების მცდელობაა.

სავალდებულო სოციალური დაზღვევის პირობებში ადამიანთა ერთი ნაწილი უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე კერძო დაზღვევის პირობებში იცხოვრებდა, ხოლო მეორე ნაწილი კი – უარესად. ამ თვალსაზრისით, სოციალური დაზღვევის პროგრამები შემოსავლის გადანაწილების პროგრამას წარმოადგენს. სწორედ ეს გვეხმარება, ავხსნათ პროგრამის სავალდებულო ხასიათი.

სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის სტრუქტურა

სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფა – ოფიციალურად კი „ხანდაზმულთა, მარჩენალის გარეშე დარჩენილთა და ქმედუნაროთა დაზღვევა – შიდა სახსრებით დაფინანსებული ერთ-ერთი უმსხვილესი პროგრამაა. სისტემა ასეთი სტილით მუშაობს: სისტემის წევრები და მათი დამქირავებლები სამუშაო ციკლის განმავლობაში იხდიან სახელფასო გადასახადს. პენსიაზე გასვლის შემდეგ სისტემის წევრები იღებენ დახმარებას, რომლის მოცულობა ნაწილობრივ მათ მიერ წარსულში განხორციელებულ შენატანებზეა დამოკიდებული. სახელმწიფო საპენსიო სისტემა, უზრუნველყოფს რა ინდივიდს წლიური ფიქსირებული დახმარებით პენსიაზე გასვლის მომენტიდან მთელი სიცოცხლის განმავლობაში, წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ინდივიდი მოკლე ვადაში ვერ ამოწურავს დაგროვილ თანხას (აქტივებს). საპენსიო სისტემა დახმარებას უზრუნველყოფს შრომისუუნაროთათვის, აგრეთვე მისი და პენსიონერის მეუღლისა და კმაცოფაზე მყოფი შვილებისათვის. გარდა ამისა, სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა გამანაწილებელი პროგრამის ფორმითაც ფუნქციონირებს. დღეს ვინც მუშაობს, სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის ან სხვა სახელმწიფო საპენსიო პროგრამის ფარგლებში ყველა დაზღვეულია.

ძირითადი კომპონენტები

გადასახადის გადახდის სისტემა შემოსავლის მიღებისთანავე. სახელმწიფო საპენსიო პროგრამა 1935 წელს დაიწყო. ამ დროს იგი ძალიან ჰგავდა დაზღვევის კერძო სისტემას. ინდივიდი მთელი თავისი სამუშაო ციკლის განმავლობაში ხელფასის ნაწილს ინახავდა სპეციალურ ფონდში. დროთა განმავლობაში ფონდში ხდებოდა პროცენტის დამატება, პენსიაზე გასვლის დღიდან კი ინდივიდი იღებდა ფონდში დეპონირებულ ძირითად თანხასა და აკუმულირებულ პროცენტს. ასეთი სქემა სრული დაფინანსების სახელწოდებით იყო ცნობილი. ასეთი სისტემა მალე მოიშალა. 1939 წელს სისტემამ სხვა ფორმა შეიძინა. ეს იყო შემოსავლის მიღებისთანავე გადასახადის გადახდის სისტემა. აღნიშნული სისტემის ფარგლებში, პენსიონერის დახმარების (პენსიის)

ფორმირება ამჟამად მომუშავეთა შენატანებით ხდება. პენსიონერთა თითოეულ თაობას მიეცემა პენსია, რომელიც ფორმირებულია შრომისუნარიანი და მომუშავე თაობის შენატანებით და არა - აკუმულირებული ფონდიდან. ასეთ სისტემაზე გადასვლის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ხანდაზმულთა დანაზოგის დიდი ნაწილი სრულიად დაიკარგა დიდი დეპრესიის დროს,

ცვლილებათა შედეგად 1983 წელს სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემამ ზედმეტი თანხა დააგროვა და სატრანსტო ფონდში გადარიცხა. ამდენად, უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ სისტემას მივანიჭებდით ასეთ სახელწოდებას: შემოსავლის მიღებისთანავე გადახდის სისტემა.

სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამა უზრუნველყოფს არა მარტო დაზღვევას, არამედ ინდივიდთა შორის შემოსავლის ტრანსფერს ახორციელებს. სატრანსფერო ფუნქცია დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა. კულმინაცია კი 1972 წელს უმწეოთათვის დამატებითი დახმარების უზრუნველყოფის (შუპპლემენტალ შეცურიტყ ინცომე - შში) პროგრამის დანერგვა იყო. პროგრამა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის ადმინისტრაციის მიერ იყო ადმინისტრირებული, თავისი პირობითი დეფინიციის თანახმად, არ წარმოადგენს დაზღვევას. ეს არის დახმარების პროგრამა, რომელიც ხანდაზმულებსა და შრომისუუნაროებს ფედერალური მინიმალური შემოსავლის გარანტიით უზრუნველყოფს.

დახმარების სტრუქტურა. ინდივიდის პენსია (დახმარება, რომელსაც სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა უზრუნველყოფს ინდივიდისათვის) დამოკიდებულია მისი შემოსავლის ისტორიაზე, ასაკსა და სხვა პირად ფაქტორებზე. პირველ ეტაპზე ხდება ინდექსირებული საშუალო თვიური შემოსავლის (ვერაგე ინდეხედ ონტჰლყ არნინგს - I) გამოთვლა. ეს არის

ინდივიდის საშუალო ხელფასი მისი სამუშაო ციკლის განმავლობაში¹. დაითვლება წლიური შემოსავალი და მიიღება მხედველობაში შემოსავლის ზედა ზღვარი. ზედა ზღვარი იგივეა, რაც ხელფასის მაქსიმალური მოცულობა, რომელიც წარმოადგენს საპენსიო სახელფასო დაბეგვრის საგანს.

ასაკი, როდესაც ხდება დახმარების გამოყოფა. ასაკი, როდესაც ინდივიდი ხდება უფლებამოსილი, მიიღოს სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემით განსაზღვრული საპენსიო დახმარება, ნორმალური საპენსიო ასაკის სახელწოდებითაა ცნობილი. ნორმალური საპენსიო ასაკი დამოკიდებულია ინდივიდის დაბადების წელზე. 1944-სა და 1954 წლებს შორის დაბადებული პირის ნორმალური საპენსიო ასაკი 66 წელია. აღნიშნული მაჩვენებელი ყოველ შემდგომ წელიწადზე ორი თვით იზრდება – 1960 წელსა და მის შემდგომ დაბადებული პირებისათვის კი ნორმალური საპენსიო ასაკი 67 წელია. მომუშავე უფლებამოსილია, დახმარება მიიღოს სულ მცირე 62 წლიდან, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, თვიური დახმარების მოცულობის პერმანენტული შემცირება იმდენად, რამდენადაც ნორმალურ საპენსიო ასაკად 67 წელია მიჩნეული, შემცირების განაკვეთი 30% იქნება. ანალოგიურად, მომუშავე, რომელიც ნორმალური საპენსიო ასაკის დადგომის შემდეგაც არ მიიღებს დახმარებას, მიიღებს დახმარებას, რომელიც პერმანენტული ზრდის განაკვეთით ხასიათდება. 1943 წელსა და მის შემდგომ დაბადებული მომუშავე, რომელიც არ გადის პენსიაზე ნორმალური საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგაც კი, მიიღებს დახმარებას, რომელსაც ყოველ ვადაგადაცილებულ წელიწადზე ემატება 8%.

სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის რეციპიენტთა დახმარების თანხა ნორმალური საპენსიო ასაკის მიღწევამდე 11000 აშშ დოლარი შემოსავლის ზემოთ (ეს თანხა ყოველწლიურად იცვლება, რადგან ხორციელდება მისი

ინდექსაცია საშუალო ხელფასის ზრდის განაკვეთის მიხედვით) რეციპიენტის შემოსავლის ყოველ ორ დოლარზე დაახლოებით ერთი დოლარით მცირდება. აღნიშნული პირობა შემოსავლის კრიტერიუმის სახელწოდებითაა ცნობილი.

დაფინანსება. სახელფასო გადასახადი მომუშავეს წლიური დაუბეგრავი ხელფასის პროცენტულ ნაწილს წარმოადგენს, ვიდრე შემოსავალი მიაღწევს განსაზღვრულ თანხას. გადასახადის ნაწილს იხდის დამქირავებელი, ხოლო მეორე ნახევარს კი – თავად დამქირავებული, ანუ მომუშავე.

დღეს საგადასახადო განაკვეთი 6,2%-ს უდრის (მას იხდის თითოეული დამქირავებელიც და მომუშავეც).

სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა გაცილებით მეტია, ვიდრე დაზღვევის პროგრამა. თუ დაზღვევის უზრუნველყოფა ერთადერთი მიზანი იქნებოდა, მაშინ ინდივიდი წარსულ შენატანებზე დაახლოებით იგივე მოცულობის უკუგებას მიიღებდა. კერძოდ, თითოეული ინდივიდი სამართლიან სადაზღვევო უკუგებას მიიღებდა – საშუალოდ, მიღებული დახმარება საპენსიო შენატანების მოცულობას გაუტოლდებოდა (გამოთვლა უნდა მოხდეს „საშუალოდ“, რადგან დახმარების მთლიანი მოცულობა დამოკიდებულია ინდივიდის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, რომლის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია). ფაქტობრივად, ადამიანთა ზოგიერთი ტიპი სისტემატურად იღებს სხვებთან შედარებით უფრო მაღალ უკუგებას.

სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა შემოსავალს ინდივიდთა არჩევანისა და მათი ცხოვრებისეული ფაქტორების მიხედვით ანაწილებს. სხვა თანაბარ პირობებში ქორწინებაში მყოფი ინდივიდი კმაყოფაზე მყოფი მეუღლით ბევრად მეტ დახმარებას იღებს, ვიდრე მარტოხელა ადამიანი. დაქორწინებული ინდივიდი იღებს დამატებით დახმარებას მეუღლისათვის, რომელიც მისი

საკუთარი დახმარების 50%-ის ტოლია. უფრო მეტიც, ქორწინებაში მყოფი პირის გარდაცვალების შემთხვევაში მისი დარჩენილი მეუღლე უფლებამოსილია, მთელი დახმარება მიიღოს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წყვილი, რომელშიც მხოლოდ ერთ-ერთს აქვს შემოსავალი, იღებს უფრო მეტ დახმარებას, ვიდრე ქორწინებაში მყოფი შემოსავლის მქონე მეუღლეები. წარმოიდგინეთ ოჯახი, რომელშიც ცოლს აქვს უფრო მეტი შემოსავალი მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ვიდრე მის ქმარს. თუ დახმარების თანხა, რომლის მიღების უფლება აქვს ქმარს სახელფასო ისტორიის მიხედვით, ნაკლებია მისი ცოლის საპენსიო დახმარების 50%-ზე, მაშინ ქმარს გაეზრდება საპენსიო დახმარების თანხის მოცულობა და ცოლის საპენსიო დახმარების მაქსიმუმ 50%-ს გაუტოლდება. ამ თანხას ქმარი წარსულში რომ არ ემუშავა, მაინც მიიღებდა. თუ ქმრის საპენსიო დახმარების თანხა აღემატება ცოლის საპენსიო დახმარების თანხის 50%-ს, მაშინ ქმარი იღებს მხოლოდ იმ სხვაობით, რაც არსებობს მის საპენსიო დახმარების თანხასა და ცოლის საპენსიო დახმარების თანხის 50%-ს შორის. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ შედარებით დაბალი შემოსავლის მქონე მეუღლის ხელფასი იბეგრება სახელფასო გადასახადით მთელი მისი სამუშაო ციკლის განმავლობაში, სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამიდან იგი ძალიან მცირე თანხას იღებს.

სატრასტო ფონდი

როდესაც სახელფასო საგადასახადო შემოსავლები აღემატება ბენეფიციარებისთვის გადასახდელი დახმარების თანხას, სხვაობა გამოიყენება სახელმწიფო ობლიგაციების შესაძენად, რომლებიც „დეპონირებულია“ სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის სატრასტო ფონდში. სატრასტო ფონდი საადრიცხვო მოწყობილობაა, რომელიც ფედერალურ ბიუჯეტში სახელმწიფო საპენსიო სისტემის მიერ აკუმულირებულ წლიურ ნამეტს ადრიცხავს.

ნებისმიერ მომავალ წელიწადს პენსიონერისა და მომუშავის მოხმარების მასშტაბი იმ წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობიდან გამომდინარეობს. ამდენად, სატრასტო ფონდს შეუძლია, დააფინანსოს მომავალი პენსიონერების მოხმარება პროდუქციის მოცულობის გაზრდის გზით მომავალში. ერთადერთი გზა, რომლის საშუალებითაც სატრასტო ფონდს შეუძლია მომავალში პროდუქციის მოცულობის გაზრდა, არის არსებული ძირითადი კაპიტალის გაზრდა, რადგან მაღალი ძირითადი კაპიტალი მომავალი მომუშავეების მწარმოებლურობას ზრდის.

სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემისა და დანაზოგების სტრუქტურის კვლევის ამოსავალი წერტილი არის დანაზოგის სასიცოცხლო ციკლის თეორია, რომლის თანახმადაც ადამიანი მოხმარებისა და დაზოგვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იმ დასკვნების საფუძველზე, რომელსაც ინდივიდი მთელი სიცოცხლის განმავლობაში აკეთებს. იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც ინდივიდი მუშაობს, პირი შემოსავლის გარკვეულ ნაწილს იმ მიზნით ზოგავს, რომ უზრუნველი სიბერე შეიქმნას. ასეთი თანხები ინვესტირებულია, ვიდრე დადგება მათი გამოყენების აუცილებლობა, რაც ზრდის საზოგადოების ძირითად კაპიტალს. სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა მნიშვნელოვნად ცვლის სიცოცხლის განმავლობაში დაგროვილი დანაზოგი თანხის მოცულობას. ცვლილება სამი სახის ზემოქმედებითაა გამოწვეული:

ფართო თვალსაზრისით, სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა შემოსავალს მაღალი შემოსავლის მქონე ინდივიდებიდან დაბალი შემოსავლის მქონე ინდივიდებზე ანაწილებს, მამაკაცებიდან – ქალებზე და ახალგაზრდა თაობიდან - ხანდაზმულ თაობაზე. წყვილი, რომელთაგან მხოლოდ ერთი იღებს შემოსავალს, უფრო მომგებიან მდგომარეობაშია იმ წყვილთან შედარებით,

რომელთაგან ორივე იღებს შემოსავალს, ან - ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ მარტოხელა ინდივიდებთან შედარებით.

სიმდიდრის ჩანაცვლების ეფექტი. მომუშავე გაიაზრებს, რომ სახელმწიფო საპენსიო ფონდში შეტანილი კონტრიბუციის საფასურად იგი გარანტირებულ საპენსიო შემოსავალს მიიღებს. ამდენად, ინდივიდი სახელმწიფო საპენსიო გადასახადს „დანაზოგადაც“ კი აღიქვამს; ამ იმედით იგი აღარ გააკეთებს სხვა დამატებით დანაზოგს (ან შედარებით პატარა დანაზოგს გააკეთებს). აღნიშნული ფენომენი სიმდიდრის ჩანაცვლების ეფექტის სახელწოდებითაა ცნობილი.

პენსიაზე გასვლის ეფექტი. სახელმწიფო საპენსიო სისტემამ შესაძლოა, უბიძგოს ინდივიდს, მოსალოდნელზე ადრე გავიდეს პენსიაზე. იმისათვის, რომ პირი გახდეს უფლებამოსილი, მიიღოს დახმარება, იგი აღარ უნდა მუშაობდეს. თუმცა, თუ გაიზრდება საპენსიო პერიოდი, ინდივიდს დაუფროვდება მეტი არანამუშევარი წელიწადი, რომლის განმავლობაშიც ინდივიდის მოხმარების დაფინანსება უნდა მოხდეს; ამდენად, ინდივიდს უფრო ნაკლები რაოდენობის სამუშაო წელი ექნება იმისათვის, რომ თანხების აკუმულირება მოახერხოს. პენსიაზე გასვლის ეფექტი დანაზოგი თანხის მოცულობას ზრდის.

მემკვიდრეობის ეფექტი. დავუშვათ, რომ დანაზოგის აკუმულირების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი მისი შვილებისათვის მემკვიდრეობით გადაცემა არის. მშობელს შეუძლია, გააკეთოს მეტი დანაზოგი და შვილისათვის გადასაცემი მემკვიდრეობა გაზარდოს, რითიც სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის გამანაწილებელი ეფექტის კომპენსაცია მოხდება. თავისი არსით ადამიანები დანაზოგს იმისათვის ზრდიან, რომ შვილების შემოსავალზე

სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის ზემოქმედება შეამსუბუქონ. აღნიშნული ფენომენი კი მემკვიდრეობის ეფექტის სახელწოდებითაა ცნობილი.

ბევრ ეკონომისტს სჯერა, რომ სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა როგორც მუშაობის, ასევე დანაზოგის აკუმულირების სურვილს ამცირებს. თუ საზოგადოებას სურს, ხანდაზმულები შემოსავლის გარკვეული დონით იყვნენ უზრუნველყოფილნი, მაშინ იგივე საზოგადოება მზად უნდა იყოს, გარკვეული საფასური გადაიხადოს ხანდაზმულთათვის შემოსავლის განსაზღვრული დონის უზრუნველსაყოფად (რაც თავისთავად ეფექტიანობის შემცირებასთანაა დაკავშირებული). მეორე მხრივ, თუ არსებობს იმისი შესაძლებლობა, რომ ხანდაზმულები იგივე დახმარებით სარგებლობდნენ, ხოლო საზოგადოებამ კი ნაკლები დანაკარგი მიიღოს, მაშინ სისტემის რეფორმირების საკითხი უნდა გადაისინჯოს.

სტაბილური სისტემის ფარგლებში, სადაც გადასახადი შემოსავლის მიღების მომენტში გადაიხდება, პენსიონერის მიერ მიღებული პენსიის თანხა ზუსტად ამჟამინდელი მომუშავეების მიერ გადახდილ თანხას უდრის. თუ N_b არის პენსიონერთა რაოდენობა, B კი პენსიონერის მიერ მიღებული პენსიის თანხაა, მაშინ დახმარებათა მთლიანი მოცულობა იქნება $N_b \times B$. ამჟამინდელი მომუშავეების მიერ გადახდილი გადასახადები საგადასახადო განაკვეთის (t), მომუშავეთა რაოდენობისა (N_w) და მომუშავეის საშუალო ხელფასის ნამრავლს: $(w) \div t \times N_w \times w$ წარმოადგენს. ამდენად, მიღებული საპენსიო დახმარებისა და გადახდილი გადასახადების თანაფარდობა მოითხოვს:

$$N_b \times B = t \times N_w \times w$$

განტოლების გადანაცვლების შედეგად ვიღებთ:

$$t = \left(\frac{N_b}{N_w} \right) \times \left(\frac{B}{w} \right) \quad (9.1)$$

პირველი მონაცემი მარჯვენა მხარეს დაქვემდებარებულობის განაკვეთი – პენსიონერებისა და მომუშავეების პროპორციული დამოკიდებულება არის. მეორე მონაცემი შენაცვლების განაკვეთს – საშუალო პენსიის პროპორციულ დამოკიდებულებას საშუალო ხელფასზე წარმოადგენს. დღეს დამქირავებლისა და დაქირავებულის (მომუშავის) მიერ გადახდილი კომბინირებული საგადასახადო განაკვეთი 12,4%-ია, რაც შეიძლება 2030 წელს დაახლოებით 20%-მდე გაიზარდოს. ალტერნატიულად, იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული გადასახადების გაზრდა, საპენსიო თანხის მოცულობა ერთი მესამედით უნდა შემცირდეს. იმავე პრობლემას ბევრი სხვა ქვეყანაც განიცდის. დაქვემდებარებულობის განაკვეთი იზრდება კანადაში, ავსტრალიაში, დასავლეთ ევროპის, ლათინური ამერიკისა და აზიის რიგ ქვეყნებში.

1981 წელს ჩილეში განხორციელდა სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის პრივატიზაცია. ჩილეს სისტემა სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება: (1) ყველა მომუშავე ვალდებულია, თვიური შემოსავლის 10% განათავსოს ანგარიშზე, რომელიც გახსნილია მთავრობის მიერ აკრედიტირებულ ფინანსურ სერვის-ფირმაში; (2) პენსიაზე გასვლის მომენტიდან პენსიის მიღება შესაძლოა როგორც თანდათანობით, ასევე ანუიტეტის ფორმით; (3) ინდივიდი, რომელიც ჩართულია სისტემაში საკმარისი პერიოდის განმავლობაში, გარანტირებულ მინიმალურ პენსიას იღებს, რომელიც დაფინანსებულია მთლიანი შემოსავლიდან.

ჩილეს სისტემის მომხიბვლელობა შემდეგში მდგომარეობს: ხანგრძლივი პერსპექტივით, ვალდებულებებს უკუგების გაცილებით უფრო მაღალი განაკვეთი ერიცხება, ვიდრე ეს სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში ხდება. საპენსიო ანარიცხების ინვესტირება კერძო ბაზარზე

საშუალებას მოგვცემს, უკუგების განაკვეთი გაიზარდოს და მომუშავეთა გადასახადების გაზრდის გარეშე პენსიონერს უფრო მაღალი პენსია მიეცეს.

პრივატიზაცია მომავალი პენსიონერების მოხმარების დაფინანსებას მომავალში წარმოების მოცულობის გაზრდის გზით ხელს შეუწყობს. ერთადერთი გზა ამ მიზნის მისაღწევად კი დანაზოგების გაზრდაა.

დაგროვებითი პენსია საქართველოში

საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის ივლისში მიიღო კანონი "დაგროვებითი პენსიის შესახებ"

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება: დამსაქმებლებზე; საქართველოს მოქალაქეებზე, გარდა არარეზიდენტი ფიზიკური პირებისა; საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ან/და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, გარდა არარეზიდენტი ფიზიკური პირებისა;

დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრება **სავალდებულოა** ყველა დასაქმებულისთვის, გარდა დასაქმებულისათვის, რომელსაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალების შემთხვევაში 55 წელი), შესაბამისად **ნებაყოფლობითია** ყველა დასაქმებულისათვის, რომელსაც კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალების შემთხვევაში 55 წელი).

თითოეული დასაქმებული ხდება დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე ამ კანონის ამოქმედების შემდეგ პირველი ხელფასის მიღებისთანავე.

თითოეული თვითდასაქმებული ხდება დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე კანონის ამოქმედებიდან მის მიერ პირველი საპენსიო შენატანის

განხორციელებისთანავე. თითოეული თვითდასაქმებული დაგროვებით საპენსიო სქემაში წევრიანდება ნებაყოფლობით.

დასაქმებული, რომელსაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა **40 წელი** და არ სურს იყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე, უფლება აქვს გავიდეს დაგროვებითი საპენსიო სქემიდან. ამისთვის მან წერილობით უნდა მიმართოს საპენსიო სააგენტოს და გავიდეს დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გაწევრიანებიდან ხუთი თვის განმავლობაში, მაგრამ არანაკლებ სამი თვისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასაქმებული რჩება დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილედ.

დასაქმებულს, რომელიც უარს განაცხადებს დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე, შეუძლია ნებისმიერ დროს თავიდან გაწევრიანდეს მასში. მონაწილის ხელახალი გაწევრებისას დამსაქმებლის, დასაქმებულისა და სახელმწიფოს საპენსიო შენატანების განხორციელება დაიწყება გაწევრებიდან ხელფასის პირველი გადახდისთანავე.

დასაქმებული მონაწილე, რომელსაც დროებით შეუჩერდება ხელფასის სახით თანხის მიღება, დროებით შეაჩერებს საპენსიო სქემაში შენატანების განხორციელებას და განაახლებს შეტანას ხელფასის სახით თანხის მიღების აღდგენისთანავე. **თუ მონაწილე შეწყვეტს შენატანის განხორციელებას შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის, ან ისეთი მიზეზით, როგორცაა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის, ან დროებითი ან ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო, საპენსიო აქტივები რჩება მის ინდივიდუალურ ანგარიშზე.**

თვითდასაქმებულ მონაწილეს, რომელიც შეაჩერებს საპენსიო შენატანების განხორციელებას, შეუძლია ნებისმიერ დროს განაახლოს ის.

მონაწილეს, რომელიც გადაწყვეტს საქართველოს მუდმივად დატოვებას, შეუძლია მოითხოვოს საკუთარ საპენსიო ანგარიშზე დაგროვილი თანხის მიღება ერთიანი გადახდის მოთხოვნით ან პროგრამული გატანით. მოთხოვნა დაკმაყოფილდება, თუ მონაწილე წარმოადგენს სხვა ქვეყანაში კანონიერი მუდმივი ცხოვრების უფლების

დამადასტურებელ სათანადოდ დამოწმებულ დოკუმენტს. ასეთ შემთხვევაში დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის საპენსიო ანგარიშიდან მისაღებ თანხას ჩამოეჭრება სახელმწიფოს მიერ მის სასარგებლოდ განხორციელებული შენატანის ღირებულება, ხოლო დარჩენილი მისაღები თანხის მოცულობა დაიბეგრება.

ვინ და როგორ ჩაურიცხავს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეს თანხას?

დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებული და თვითდასაქმებული პირებისთვის საპენსიო შენატანების დაფინანსება განხორციელდება დასაქმებულის, დამსაქმებლის და სახელმწიფოს მიერ.

დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებულის შენატანების დაფინანსება განხორციელდება შემდეგი სახით:

ხელფასის გაცემისას თითოეული დამსაქმებელი დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე თითოეული დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით განახორციელებს შენატანს მასზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2%-ის ოდენობით.

დამსაქმებელი ასევე დასაქმებულის სახელით, მის საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2%-ს გადარიცხავს.

დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე თვითდასაქმებული განახორციელებს შენატანს თავისი წლიური შემოსავლის 4%-ის ოდენობით. სახელმწიფო მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხავს 2%-ს დასაბეგრი ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის იმ მოცულობაზე, რომელიც ჯამურად არ აღემატება მონაწილის მიერ წლიური ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის სახით მიღებულ 24 000 ლარს, ხოლო 1%-ს მონაწილის მიერ ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის სახით მიღებულ თანხაზე 24 000 ლარიდან 60 000 ლარამდე.

სახელმწიფო არ განახორციელებს საპენსიო შენატანს მონაწილის მიერ წლიურად დასაბეგრი ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის სახით მიღებულ იმ მოცულობაზე, რომელიც აღემატება 60 000 ლარს.

საპენსიო სააგენტო არანაკლებ კვარტალში ერთხელ მიაწვდის თითოეულ მონაწილეს ინფორმაციას საკუთარ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე მთლიანი აქტივების ღირებულების შესახებ, შენატანების თარიღების და საინვესტიციო ამონაგების მითითებით.

როგორ შეგვიძლია განვკარგოთ და როდის შევძლებთ მივიღოთ საპენსიო ანგარიშზე არსებულ თანხას

საპენსიო აქტივები, რომლებიც დაგროვებითი საპენსიო სქემის თითოეული მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე იქნება, წარმოადგენს მონაწილის საკუთრებას. აღნიშნულ საკუთრებაზე განკარგვის უფლება წარმოიშობა მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევისას.

მონაწილის ქონებრივი უფლებები მის საპენსიო აქტივებზე არ შეიძლება დაგირავდეს, უფლებრივად დაიტვირთოს, მასზე საკუთრების უფლება გადაეცეს მესამე პირს ან სხვაგვარად გასხვისდეს მონაწილის მიმართ არსებული რაიმე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან უზრუნველსაყოფად.

მონაწილე, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ უფლებამოსილია, მიიღოს საკუთარ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე არსებული საპენსიო აქტივის ღირებულების შესაბამისი მოცულობის თანხა მთლიანი თანხის ერთიანი გადახდის ან პროგრამული ყოველთვიური გატანის (პროგრამულად გასაცემი თანხის ოდენობა გამოითვლება ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე მონაწილის პენსიაზე გასვლის თარიღისათვის რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულების მონაწილის სიცოცხლის მოსალოდნელ დარჩენილ ხანგრძლივობაზე გაყოფით) ფორმით.

საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, დაგროვილი თანხის ერთიანად გატანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ გახდით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი;
2. თუ ქვეყანა დატოვებთ და საცხოვრებლად გადახვედით სხვა ქვეყანაში;
3. მცირე პერიოდის განმავლობაში დაგროვებულია მცირე რაოდენობის თანხა.

მონაწილე, რომელიც გადაწყვეტს პენსიაზე გასვლას საპენსიო ასაკის მიღწევისას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს საპენსიო სააგენტოს საპენსიო ასაკის მიღწევისას პენსიაზე გასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე და საპენსიო ასაკის მიღწევამდე არანაკლებ 30 დღით ადრე მოითხოვოს საპენსიო ასაკიდან პენსიის გადახდის დაწყება.

მონაწილე უფლებამოსილია, გადადოს პენსიაზე გასვლის თარიღი საპენსიო ასაკს მიღმა და დაიწყოს პენსიის მიღება ნებისმიერ დროს საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, მონაწილემ წერილობით უნდა შეატყობინოს საპენსიო სააგენტოს პენსიაზე გასვლის თარიღი არანაკლებ ასეთ თარიღამდე 30 დღით ადრე.

საპენსიო სააგენტო დაიწყებს პენსიის გადახდას მონაწილის ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშიდან არაუგვიანეს 30 დღეში პენსიაზე გასვლის თარიღის შესახებ შეტყობინების მიღებიდან.

მონაწილეს უფლება აქვს, მიიღოს პენსია შესაძლებლობის შეზღუდვის გამო საპენსიო ასაკის მიღწევამდე, თუ მას მიენიჭება ასეთი სტატუსი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

რა მოხდება საპენსიო ასაკამდე ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში
თუ მონაწილე გარდაიცვალა, მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე არსებული თანხები გადაეცემა მის მემკვიდრეს. გადახდა შეიძლება განხორციელდეს ერთიანი გადახდით ან საპენსიო აქტივების გადატანით მემკვიდრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, მემკვიდრის არჩევანის შესაბამისად. მემკვიდრის მიერ ერთიანი გადახდით არჩევანის შემთხვევაში გასაცემი თანხა დაიბეგრება.

რა შემთხვევაში და რა პრინციპით მიიღებენ მოქალაქეები დაზოგილ თანხებს:

რეფორმის პროექტის მიხედვით, მოქალაქეები თანხებს საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, საბაზისო პენსიასთან (დღეს 180 ლარი) ერთად მიიღებენ. თანხა მათ ერთიანად არ გადაეცემათ, ფონდი მოქალაქის საპენსიო ასაკის მიღწევისას შეადგენს სპეციალურ კალენდარს, რომლითაც პენსიას გასცემს. დაზოგილი თანხა გაიყოფა საპენსიო ასაკში ყოფნის საშუალო მოსალოდნელ წლებზე.

2016 წლის მდგომარეობით, მამაკაცის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 68 წელია, ქალისთვის კი 77 წელი, ეს კი ნიშნავს, რომ დღეისთვის მამაკაცის საპენსიო ანგარიშზე დაგროვილი თანხა გაიყოფა 3 წელზე, ქალის კი, 12 წელზე. იმის გამო, რომ ქალები უფრო ადრე გადიან პენსიაზე და საშუალოდ უფრო მეტ ხანს არიან პენსიონრები, ვიდრე მამაკაცები, მათ მიერ მიღებული პენსიები საშუალოდ უფრო მცირე იქნება, ვიდრე მამაკაცების. იმის გამო, რომ დაზოგილი თანხა მოქალაქეებს საპენსიო ასაკის მიღწევისთანავე ერთიანად არ გადაეცემათ, ფონდი თანხის იმ ნაწილზე, რომელიც პენსიონერისთვის ჯერ არ გადაცემულა, საპროცენტო სარგებლის დარიცხვას აგრძელებს.

- პროექტის მიხედვით, პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მის მიერ დაზოგილი თანხა მის მემკვიდრეს გადაეცემა;
- მოქალაქეს დაზოგილი თანხის ნაადრევად მოთხოვნის უფლება ექნება თუ ის შშმ პირი გახდება;

დაზღვევა უმუშევრობისაგან

აშშ-ში უმუშევრობის დაზღვევის სისტემა მოქმედებს 1935 წლიდან. ამჟამად საშუალო კვირეული დახმარება უმუშევრისთვის დაახლოებით 258 აშშ დოლარს უდრის.

რატომ აზღვევს სახელმწიფო უმუშევრობისაგან?

კერძო ბაზარი იმ სიტუაციებში, როდესაც არახელსაყრელი შერჩევისა და მორალური რისკის ფენომენები აქტიურდება, დაზღვევის სათანადო მოცულობას ვერ უზრუნველყოფს. უმუშევრობა სრულად პასუხობს ამ პირობებს. მომუშავე, რომელსაც ყველაზე მეტად ემუქრება უმუშევრობა, უმუშევრობისაგან დაზღვევას ყველაზე აქტიურად მოითხოვს (არახელსაყრელი შერჩევა). ამდენად, კერძო ფირმა, რომელიც ცდილობდა, გაეწია ამგვარი მომსახურება, მოგების მისაღებად მაღალ სადაზღვევო გადასახადებს ითხოვდა, რაც პოტენციური კლიენტურის დიდ ნაწილს აფრთხოვდა. ამავდროულად, ის მომუშავე, რომელსაც ამგვარი სადაზღვევო პაკეტით სარგებლობის უფლება ექნებოდა, მეტი უქმე დროთი (ანუ უმუშევრობით) „დატკბებოდა“, ვიდრე სხვა შემთხვევაში (მორალური რისკი). ძალიან რთულია იმის გარკვევა, თუ ვისი ბრალეულობითაა გამოწვეული უმუშევრობა – ამდენად, სადაზღვევო კომპანიას მოუწევდა დიდი მოცულობის თანხების გადახდა უსაფუძვლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოკლედ, დაუჯერებელია, რომ უმუშევრობისაგან დაზღვევა რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიისათვის ოდესმე წარმატებულ და შემოსავლიან ბიზნესად იქცეს. არახელსაყრელი შერჩევის ფენომენი დამქირავებელს იმის სურვილს დაუკარგავს, რომ თავისი თანამშრომელი უმუშევრობისაგან დააზღვიოს. დაზღვევა უმუშევრობისაგან დამატებითი პრეფერენციაა, რომელმაც შესაძლოა, ისეთი მომუშავეებიც კი მოიზიდოს, რომლებიც სხვა შემთხვევაში არასოდეს დაინტერესდებოდნენ ხანგრძლივი მუშაობით.

სავალდებულო სახელმწიფო პროგრამა არახელსაყრელი შერჩევის პრობლემას თავიდან გვაცილებს. ამდენად, უმუშევრობისაგან დაზღვევას სახელმწიფოს მიერ ეფექტიანობის გაზრდის პოტენციალი აქვს, თუმცა სახელმწიფოს მიერ აღნიშნული დაზღვევის უზრუნველყოფა მორალურ რისკს არ ამცირებს.

დახმარება

კვირათა რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც ინდივიდს შეუძლია, ისარგებლოს დახმარებით, რთული ფორმულის საშუალებით გამოითვლება, რომელიც მუშაობის ისტორიასა და იმ შტატზეა დამოკიდებული, რომელშიც ინდივიდი ცხოვრობს. შტატების უმეტესობაში მაქსიმალური დრო 26 კვირითაა განსაზღვრული. აღნიშნული პერიოდი გაგრძელდება, თუ შტატის უმუშევრობის დონე განსაზღვრულ მაჩვენებელს აღემატება. ასე მაგალითად, 11 სექტემბრის შემდეგ, პერიოდი 13 კვირით გაიზარდა. შტატების უმეტესობა დახმარების გამოსათვლელ ისეთ ფორმულას იყენებს, სადაც შენაცვლების მთლიანი განაკვეთი – დაუბეგრავი შემოსავლის პროპორცია, რომელიც შენაცვლებულია I-ს საშუალებით – დაახლოებით 50%-ის ტოლია (არსებობს მაქსიმალური ზედა ზღვარი, რომლის გადაჭარბება აკრძალულია). I დახმარება იბეგრება ფედერალური საშემოსავლო გადასახადით, თუმცა თავისუფალია სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის გადასახადისაგან.

უმუშევრობისაგან დაზღვევის არსებობის გამო ინდივიდი შეეცდება, მუშაობა ისეთ სექტორში დაიწყოს, რომელიც მას გათავისუფლების შემთხვევაში საკმაოდ მაღალი დახმარებით უზრუნველყოფს. გარდა ამისა, უმუშევრობისაგან დაზღვევის არსებობა ინდივიდს აძლევს საშუალებას, უფრო დიდი დრო სამსახურის შერჩევას დაუთმოს, ვიდრე ამას სხვა შემთხვევაში გააკეთებდა.

ფართო თვალსაზრისით, სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა შემოსავალს მაღალი შემოსავლის მქონე ინდივიდებიდან დაბალი შემოსავლის მქონე ინდივიდებზე ანაწილებს, მამაკაცებიდან – ქალებზე და ახალგაზრდა თაობიდან - ხანდაზმულ თაობაზე. წყვილი, რომელთაგან მხოლოდ ერთი იღებს შემოსავალს, უფრო მომგებიან მდგომარეობაშია იმ წყვილთან შედარებით,

რომელთაგან ორივე იღებს შემოსავალს, ან - ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ მარტოხელა ინდივიდებთან შედარებით.

ჯანმრთელობის დაცვა უნიკალური მომსახურებაა, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს უკავშირდება. გადარჩენისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია კვებისა და თავშესაფრის საკითხის მოგვარებაც, რასაც კერძო ბაზარი ოპტიმალურად ახერხებს. ჯანმრთელობის დაცვის სექტორის კიდევ ერთი უნიკალური ნიშან-თვისება ის არის, რომ მისი მასშტაბი უკანასკნელ პერიოდში განუხრელად ფართოვდება.

რატომ ერევა სახელმწიფო ამ ბაზრის ფუნქციონირებაში? – ქვემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე მიზეზის გამო:

მწირი ინფორმაცია. მომხმარებელი შესაძენი საქონლის მახასიათებლების შესახებ, ზოგადად, კარგადაა ინფორმირებული. ასე მაგალითად: როდესაც თქვენ ყიდულობთ ვაშლს, თქვენ ზუსტად იცით, თუ როგორი გემო და სხვა ნიშან-თვისება აქვს მას. თუმცა ავადმყოფობის პერიოდში ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს აუცილებელი სამკურნალო პროცედურების შესახებ. ამ შემთხვევაში ჩვენ ნდობას ვუცხადებთ ექიმს და მითითებულ რჩევას ვასრულებთ.

არახელსაყრელი შერჩევა და მორალური რისკი. ჯანმრთელობის დაცვის ხარჯი შესაძლოა, წარმოუდგენლად მაღალი იყოს. ასეთ სიტუაციაში ადამიანს დაზღვევა სჭირდება.

ინდივიდი, რომელმაც იცის, რომ დაზღვეულია, ნაკლებად ეცდება, რისკი აიცილოს. დაზღვეულმა ინდივიდმა შესაძლოა ცხოვრების არაჯანსაღ სტილს მისდიოს: ჭამოს ბევრი “ჯუნკ ფოოდ“-ი (მაღალკალორიული, დაბალი კვებითი ღირებულების საკვები) და იმ იმედით არ ივარჯიშოს, რომ ასეთი ქმედების ყველა შესაძლო უარყოფით შედეგს დაზღვევა გაანეიტრალებს. გარდა ამისა, დაზღვეულ ინდივიდს სურს, ჭარბი სამედიცინო დახმარებით ისარგებლოს,

რადგან სადაზღვევო კომპანია იხდის ყველა ან ზოგიერთი მომსახურების გადასახადს. აღნიშნული ფენომენი მორალური რისკის სახელწოდებითაა ცნობილი.

რა ზემოქმედებას ახდენს დაზღვევა ბაზარზე?

სამედიცინო მომსახურების ფასის 10%-იანი ზრდა მოთხოვნის მოცულობის დაახლოებით 2%-ით შემცირებას იწვევს.

გარეგანი ეფექტი. ინდივიდის მიერ სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა როგორც დადებით, ასევე უარყოფით გარეგან ეფექტს წარმოქმნის. თუ თქვენ გრიპის საწინააღმდეგო აცრას გაიკეთებთ, მაშინ წარმოიქმნება დადებითი გარეგანი ეფექტი – სხვა ინდივიდების გრიპით ინფიცირების საშიშროება მცირდება. თუმცა, მეორე მხრივ, ინდივიდის მიერ ანტიბიოტიკებით ბოროტად სარგებლობის შემთხვევაში, იმუნური ბაქტერიის ახალი შტამი ვითარდება და მდგომარეობა უარესდება. გარეგანი ეფექტის არსებობის პირობებში, სახელმწიფო ინტერვენცია ჭეშმარიტად ზრდის ეფექტიანობას.

პატერნალიზმი. ინდივიდმა შესაძლოა, ვერ გაიგოს, როგორ ფუნქციონირებს სადაზღვევო სისტემა. ინდივიდმა შესაძლოა, სადაზღვევო მომსახურების პაკეტი წინდაუხედაობის გამო არ შეიძინოს. პატერნალიზმის არგუმენტების თანახმად, ინდივიდისათვის სამედიცინო სადაზღვევო მომსახურების პაკეტის შეძენა სავალდებულო უნდა იყოს, რადგან იგი ინდივიდის სარგებელს და მეტნაკლებად სტაბილურ მდგომარეობას უზრუნველყოფს. ამ მიმართულებით არსებული ბევრი მოსაზრების ფონზე არსებობს ერთი სერიოზული საზოგადოებრივი კონსენსუსი – თითოეული ინდივიდისათვის სულ მცირე ძირითადი სამედიცინო მომსახურება მაინც უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

კერძო დაზღვევა

აშშ-ში მომხმარებელი საკუთარი ჯიბიდან ჯანდაცვის ხარჯების მხოლოდ 17%-ს იხდის. დანარჩენი „მესამე მხარის“ მიერ იხდება – ჯანმრთელობის დაზღვევაში კერძო სექტორი იხდის ხარჯების 35%-ს, სახელმწიფო – 43%-ს, ხოლო ხარჯის დანარჩენი ნაწილი კი ფილანტროპული შენატანებიდან და სხვა წყაროებიდან იფარება.

დამქირავებლის მიერ უზრუნველყოფილი დაზღვევა. ამერიკის შეერთებულ შტატებში კერძო დაზღვევის მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ნიშან-თვისება შემდეგში მდგომარეობს: 65 წლამდე მოსახლეობის დაახლოებით 93%-ს დამქირავებელი კერძო დაზღვევით უზრუნველყოფს. მაგრამ, თუ ინდივიდი სურსათს ან ტანსაცმელს დამქირავებლის საშუალებით არ ყიდულობს, მაშინ რატომ სარგებლობს დამქირავებლის მიერ უზრუნველყოფილი დაზღვევით? ეს ფენომენი, როგორ ჩანს, წარმოადგენს ქვეპროდუქტს, რომელიც სახელმწიფო სახელფასო და ფასების კონტროლის სისტემას (დამკვიდრდა II მსოფლიო ომის დროს) მხედველობიდან გამორჩა. საკომპენსაციო პაკეტის ისეთი არასახელფასო კომპონენტი, როგორცაა ჯანმრთელობის დაზღვევა, გათავისუფლებული იყო კონტროლისაგან. როგორც ჩანს, დამქირავებელმა სამუშაო ძალის მოსაზიდად ასეთი სახის არაფულადი სარგებლის შეთავაზება დაიწყო. დამქირავებლის მიერ უზრუნველყოფილმა დაზღვევამ დიდი პოპულარობა შეიძინა მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა საშემოსავლო გადასახადის მარეგულირებელი კანონმდებლობის ზოგიერთი დებულება, რომელსაც ჩვენ მოგვიანებით განვიხილავთ.

დამქირავებლის მიერ უზრუნველყოფილი დაზღვევის ერთ-ერთი მახასიათებელი კი ისაა, რომ ინდივიდი სამსახურის დაკარგვასთან ერთად დაზღვევასაც კარგავს.

სახელმწიფოს როლი

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მთავრობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს. იგი უფლებამოსილია ექიმების ლიცენზირებაზე, გარემოში ჯანმრთელობის წინაშე არსებული საფრთხის მონიტორინგზე, ფლობს საავადმყოფოებს, დაავადებათა პროფილაქტიკისა და გაუვნებელყოფის მიზნით აფინანსებს კვლევებს, სათავეში უდგას ბავშვების იმუნიზაციის პროგრამებს და ატარებს ბევრ სხვა ღონისძიებას. ახლა კი კარგი იქნება, თუ ყურადღებას გადავიტანთ სახელმწიფოს როლზე ჯანმრთელობის დაზღვევის უზუნველყოფის მიმართულებით. არსებობს სამი ძირითადი პროგრამა: „მედიქეიდი“, „მედიქეარი“ და კერძო დაზღვევისათვის არაცხადი სუბსიდია, რომელიც ფედერალურ საშემოსავლო საგადასახადო სისტემაში შედის. „მედიქეიდი“ ფედერალური მთავრობის დონეზე უზრუნველყოფილი ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამაა, რომელიც განსაზღვრული დაბალი შემოსავლის მქონე ინდივიდებისათვის და ბავშვებისათვის მოქმედებს მისი წლისური ბიუჯეტი 2019 წელს 613.5 მლრდ. აშშ დოლარი იყო.

„მედიქეარი“

პროგრამა „მედიქეარი“ 1965 წელს დაინერგა. იგი 65 წლის, 65 წელს გადაცილებულ ინდივიდებსა და ინვალიდებს უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაზღვევით. პროგრამის მიზანია, ხანდაზმულთათვის მათთვის ზედმეტი ფინანსური ტვირთის დაკისრების გარეშე ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ხელმისაწვდომი გახადოს. 2020 წელს „მედიქეარზე“ გაწეულმა ხარჯებმა 858.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ეს არის მეორე უდიდესი სახელმწიფო ხარჯვითი პროგრამა სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამის შემდეგ.

„მედიქეარის“ სტრუქტურა. „მედიქეარი“ მოიცავს თითქმის მთელ მოსახლეობას, რომელიც 65 წლის ან მეტისაა. პროგრამის დარეგისტრირებულ

ბენეფიციართა რაოდენობა დაახლოებით 39.6 მილიონ ადამიანს აღწევს. პროგრამა ფედერალური მთავრობის მიერაა ადმინისტრირებული და მასში მონაწილეობის კრიტერიუმი ყველა შტატში აბსოლუტურად ერთგვაროვანია. „მედიქეიდისაგან“ (ღარიბთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა) განსხვავებით, „მედიქეარის“ საჭიროება და რაციონალურობა არ ფასდება. იმისათვის, რომ მიიღოს პროგრამით სარგებლობის უფლება, არ არსებობს იმის საჭიროება, ინდივიდმა დაადასტუროს, რომ მისი შემოსავალი განსაზღვრულ ზღვარს ქვემოთ იმყოფება.

ჯანდაცვის დაფინანსება ამჟამინდელი მომუშავეების სახელფასო გადასახადიდან ხდება. განაკვეთი უდრის 1,45%-ს როგორც დამქირავებლისათვის, ასევე დაქირავებულისათვის (მთლიანად 2,90%). გადასახადით იბეგრება ნებისმიერი შემოსავალი: ამ შემთხვევაში არ მოქმედებს ზედა ზღვარი. საგადასახადო ამონაგები I-ს სატრასტო ფონდშია დეპონირებული, საიდანაც ჯანმრთელობის დაცვის პროვაიდერებს მომსახურების გადასახადი გადაეხდებათ. „მედიქეარის“ გადასახადი შემოსავლის მიღებისთანავე გადაიხდება. დღევანდელი პენსიონერების სამკურნალო ხარჯებს დღევანდელი მომუშავეები გადაიხდიან.

კონტროლირებადი დაზღვევა. ამერიკაში სამედიცინო მომსახურებას კერძო სექტორი უზრუნველყოფს. კონტროლირებადი დაზღვევის ალტერნატივა დღეს უკვე „გაწეული მომსახურებისათვის გადასახადის გადახდის“ ტრადიციულ მიდგომაზე ცალსახად დომინირებს და იგი „მედიქეიდის“ პროგრამისათვის თანდათან უფრო სერიოზულ დატვირთვას იძენს.

უიმედო ავადმყოფთა საავადმყოფო (ჰოსპისი) და სახლში მკურნალობა. „მედიქეარის“ ბენეფიციარები უიმედო მდგომარეობაშიც კი (სიკვდილის წინ) სამკურნალო დაწესებულებათა მომსახურებას იყენებენ. სიცოცხლის უკანასკნელ წელიწადს მკურნალობაზე გაწეული ხარჯები „მედიქეარის“ დანახარჯების 27%-ს

შეადგენს. „მედიქარის“ პრინციპების თანახმად, უკურნებელი სენით შეპყრობილ პაციენტს მაქსიმალურად უნდა შეუმსუბუქდეს მდგომარეობა. „მედიქარი“ არ ითვალისწინებს მომაკვდავი პაციენტის მკურნალობას მტკივნეული და ძვირადღირებული პროცედურებით, რომელთა მიზანი პაციენტის სიცოცხლის გახანგრძლივებაა. სწორედ პირველი მოსაზრების გამო, „მედიქარის“ წესების თანახმად, უკურნებელი სენით დაავადებულ პაციენტს აქვს საშუალება, უიმედო ავადმყოფთა საავადმყოფოში (ჰოსპისში) იმკურნალოს.

ჯანმრთელობის დაზღვევის არაცხადი სუბსიდია

მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზემოქმედება ჯანმრთელობის დაცვის ბაზარზე ფედერალური საგადასახადო კანონის საშუალებით წარმოიქმნება, რომლის თანახმად, ინდივიდის ხელფასი სახელმწიფო საპენსიო, სახელფასო და საშემოსავლო გადასახადებით იბეგრება, მაგრამ არ იბეგრება დამქირავებლის მიერ სამედიცინო დაზღვევის პოლისის შეძენა. ასე მაგალითად, თუ თქვენმა დამქირავებელმა ხელფასი 2000 დოლარით გაგიზარდათ, მაშინ თქვენ მოგიწევთ გაზრდილი თანხის შესაბამისი გაზრდილი გადასახადების გადახდა. მაგრამ, თუ თქვენი დამქირავებელი ამ 2000 დოლარს თქვენი სადაზღვევო პოლისის დასაფინანსებლად გამოიყენებს, მაშინ თქვენ მიერ გადასახდელ გადასახადს არც ერთი ცენტი არ მოემატება. კანონმდებლობის შედეგის უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის დავუშვათ, რომ ინდივიდის ხელფასი იბეგრება კომბინირებული გადასახადით 38%-ის ოდენობით. გამოდის, რომ თითოეული მიღებული დოლარიდან ინდივიდის განკარგულებაში არის მხოლოდ 62 ცენტი. ამის საპირისპიროდ, ინდივიდის დამქირავებლის მიერ სადაზღვევო პოლისის დასაფინანსებლად გაღებული თითოეული დოლარით ზუსტად ერთი დოლარი ღირებულების სადაზღვევო მომსახურების შეძენა ხდება (ანუ ამ შემთხვევაში თანხა აბსოლუტურად თავისუფალია ყოველგვარი გადასახადისაგან). ფაქტობრივად, საგადასახადო კოდექსის ამ დებულების თანახმად, ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისის შესყიდვის სუბსიდირება სხვა

საქონლის მიმართ მისი ალტერნატიული ღირებულების შემცირების გზითაა შესაძლებელი. პრაქტიკულად, სუბსიდიის მოცულობა საკმაოდ დიდია. იგი დამქირავებლის მიერ უზრუნველყოფილი ჯანმრთელობის დაზღვევის შესაბამის ღირებულებას დაახლოებით 32%-ით ამცირებს. ჯანმრთელობის დაზღვევის შესაძენი თანხის გამოქვითვა საგადასახადო ბაზიდან წლიურად ამერიკის ხაზინას დაახლოებით 160 მილიარდი დოლარი უჯდება (გაუთვალისწინებელი საგადასახადო შემოსავალი).

დასკვნის სახით სეიძლება ითქვას, რომ „მედიქარის“ დანახარჯების ზრდის შესაჩერებლად რამდენიმე მეთოდი არსებობს, როგორცაა: ამჟამინდელი ბენეფიციარებისათვის უფრო დიდი ტვირთის დაკისრება, ფასების კონტროლი, კონტროლირებადი დაზღვევა, ჰოსპისით გაზრდილი სარგებლობა, სამედიცინო მომსახურების სახლში გაწევა და სამკურნალო დანაზოგის ანგარიში. გაურკვეველია, თუ რამდენად წარმატებული აღმოჩნდება ეს მეთოდები.

არსებობს მნიშვნელოვანი არგუმენტები იმის თაობაზე, რომ საგადასახადო სუბსიდია „ჭარბი“ მოცულობის სადაზღვევო მომსახურების გამოყენებას იწვევს. გარკვეული მასშტაბით, ტექნოლოგიური ცვლილება ჯანმრთელობის დაცვის ინდუსტრიაში სადაზღვევო სისტემის ხელგაშლილობით იყო გამოწვეული – ჯანმრთელობის დაზღვევის წყალობით, ინდივიდი უფლებას აძლევს საკუთარ თავს, ძვირადღირებული ახალი პროცედურებით ისარგებლოს. ასეთ ვითარებაში მწარმოებელი მზადაა, ახალი მომსახურება შექმნას. იბადება ასეთი კითხვა: იქნებ საგადასახადო სუბსიდია სათავეს ძალიან ბევრ სიახლეს უდებს? საზოგადოებრივი საქონლის თეორიის თანახმად (იხილეთ მეოთხე თავი), კერძო ბაზარი სათანადო და ჯეროვან ინოვაციას ვერ ქმნის. სამედიცინო ინოვაციების შესახებ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ იგი საზოგადოებრივი პროდუქტის ნიშან-თვისებებს ატარებს – არაკონკურენტული და საყოველთაო მოხმარებით ხასიათდება. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა, ჩაითვალოს, რომ სუბსიდია რაციონალურია. ფაქტობრივად, ზოგიერთი მტკიცებულება ცხადყოფს, რომ

სამედიცინო ინოვაციის სოციალური უკუგების მასშტაბი კერძო უკუგების მოცულობას აღემატება [ჩუტლერ ანდ ცჩელლან, 2001]. ამრიგად, ჯერ კიდევ გაურკვეველია, არაცხადი საგადასახადო სუბსიდია ამცირებს თუ არა ეფექტიანობას.

ჯანმრთელობის დაცვის არსებული სისტემის კრიტიკა ორი ძირითადი მონათესავე მიმართულებით ხდებოდა: ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა და მისი ღირებულება. წინამდებარე ნაწილი უფრო დეტალურად განიხილავს ამ ორ საკითხს.

ხელმისაწვდომობა

65 წლამდე ასაკის ამერიკელების 83%-ია დაზღვეული, ხოლო დანარჩენი 17%, ანუ 41 მილიონი ადამიანი, დაუზღვეველია. 65 წლამდე ასაკის დაუზღვეველი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი დროთა განმავლობაში იზრდება.

მოსახლეობა ამერიკის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს.

ჯანმრთელობის დაზღვევის არარსებობა და თავად ჯანმრთელობის დაცვის არარსებობა ერთი და იგივე არ არის. ზოგიერთი ინდივიდი ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებს საკუთარი ჯიბიდან გაიღებს, თუმცა დაუზღვეველი ინდივიდი საშუალოდ მკურნალობის მხოლოდ 44%-ს იხდის. უფასო მკურნალობას მათთვის უზრუნველყოფს საავადმყოფოები.

რატომ იზრდება დაუზღვეველ ინდივიდთა პროპორციული წილი? ამ შემთხვევაში მთავარი და ძირითადი ფაქტორი დაზღვევის ღირებულებაა. ჯანმრთელობის დაზღვევა თანდათან უფრო ძვირდება, ინდივიდს თავისი ხელფასიდან სადაზღვევო მომსახურების პაკეტის მისაღებად სულ უფრო მეტი

თანხის დახარჯვა უხდება. ზოგიერთ შემთხვევაში ინდივიდს არ უღირს დაზღვევაში ფულის გადახდა. მართლაც, დაზღვევით სარგებლობს იმ მომუშავეთა მხოლოდ 89%, ვისთვისაც ხელმისაწვდომია დამქირავებლის მიერ უზრუნველყოფილი დაზღვევა დაბალი შემოსავლის მქონე ინდივიდს ურჩევნია, არ ისარგებლოს დამქირავებლის მიერ უზრუნველყოფილი დაზღვევით. მისი სახელფასო გადასახადი იმდენად მცირეა, რომ მისთვის სულ ერთია, გამოაკლდება თუ არა დასაბეგრ თანხას დაზღვევის უზრუნველყოფაზე გაღებული თანხა. ამდენად, ჯანმრთელობის დაცვის სისტემაზე ხელმისაწვდომობის შემცირების ტენდენცია მკურნალობის ღირებულების ზრდის ტენდენციას მჭიდროდ უკავშირდება.

ჯანდაცვის მთლიანი ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე 2019 წელს
(აშშ დოლარებში; მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით)

	აშშ დოლარი		აშშ დოლარი
აშშ	11072	ესტონეთი	2579
შვეიცარია	7732	საბერძნეთი	2384
გაერთიანებული სამეფო	4653	თურქეთი	1337
ისრაელი	2932	საქართველო	670

ჯანდაცვაზე ხარჯების ზრდას განაპირობებს მოსახლეობის დაბერება და შემოსავლების ზრდა, აგრეთვე მესამე მხარის გადასახადის დომინანტური მდგომარეობა და ტექნოლოგიური პროგრესი. როგორც ჩანს, უკანაკნელი ფაქტორი ამ მიმართულებით ყველაზე სერიოზულ როლს თამაშობს.

შემოსავლის ზრდა ჯანმრთელობის ხარჯების დაახლოებით 10%-ით ზრდას იწვევს. მდიდარი საზოგადოება ჯანმრთელობის დაცვის უფრო და უფრო სრულყოფილ პაკეტს ითხოვს. თუმცა შემოსავლის ზრდა ერთპიროვნულად არ იწვევს ჯანმრთელობის დაცვის დანახარჯის ზრდას.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ზრდამ აშშ-ის სახელმწიფო სიმდიდრეს 1970-1990 წლებში დაახლოებით 2,8 ტრილიონი აშშ დოლარი (1992 წლის დოლარში) შემატა.

ნებისმიერი ასეთი გამოთვლა რამდენიმე მიზეზის გამო მიახლოებითია. მაგრამ, არ არსებობს მიზეზი, ვიფიქროთ, რომ სამკურნალო ხარჯების ზრდა თავისთავად ნეგატიური ფაქტორია, ან მშპ-ის ოპტიმალური პროცენტული წილი არსებობს, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების ანაზღაურებას უნდა დაეთმოს. ფასის შენარჩუნების ისეთი მექანიზმი, რომელიც ტექნოლოგიურ პროგრესს აფერხებს, საზოგადოების მდგომარეობას მხოლოდ გააუარესებს.

როდესაც საუბარია ჯანდაცვის სფეროს რეფორმირებაზე, არ დაგავიწყდეთ, რომ დაუზღვეველი პირისათვის ჯანდაცვის სისტემაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა დანახარჯის გაზრდას და ჯანდაცვის ბაზარზე მთავრობის ინტერვენციის გაძლიერებას გამოიწვევს.

მოსახლეობის სოციალური დაცვა საქართველოში (2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით)

მოსახლეობის სოციალური დაცვა - 3 839.9 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 260.5 მლნ ლარით, მათ შორის:

საპენსიო უზრუნველყოფა - 2 600.0 მლნ ლარი წინა წარდგენებთან შედარებით არ შეცვლილა (2020 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 370.0 მლნ ლარით), რაც გამოწვეულია მათ შორის საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პენსიის ზრდის ინდექსაციის წესის შემოღებით, ეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით. კერძოდ, წარმოდგენილი კანონის პროექტით 2021 წლის პირველი იანვრიდან გათვალისწინებულია 70 წლამდე ასაკის

პენსიონერებისთვის პენსიის ზრდა 20 ლარით და განისაზღვრება 240 ლარით, ხოლო 70 წლის ან მეტი ასაკის პენსიონერებისთვის პენსია იზრდება 25 ლარით და განისაზღვრება 275 ლარის ოდენობით.

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში მიმდინარე წელს შეტანილი ცვლილებების თანახმად განისაზღვრა, რომ 2021 წლიდან საპენსიო ასაკის მოსახლეობას სახელმწიფო პენსია გაეზრდება ყოველწლიურად, კანონმდებლობით დადგენილი ფორმულის მიხედვით, კერძოდ:

ა) 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისათვის მიმდინარე წლის სახელმწიფო პენსია (220 ლარი) უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლით, მაგრამ არანაკლებ 20 ლარით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად აღნიშნული წესით გამოთვლილი პენსიის ზრდა შეადგენს 15 ლარს (13.9 ლარი დამრგვალებული უახლოეს 5-ის ჯერად რიცხვამდე), რაც კანონმდებლობით გათვალისწინებულ მინიმალურ ზრდაზე ნაკლებია, შესაბამისად 2021 წელს პენსია გაიზრდება 20 ლარით.

ბ) 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისათვის მიმდინარე წლის სახელმწიფო პენსია (250 ლარი) უნდა გაიზარდოს ბოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლისა და ბოლო 6 კვარტლის რეალური ეკონომიკური ზრდის 80%-ის ჯამით, მაგრამ არანაკლებ 25 ლარით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად აღნიშნული წესით გამოთვლილი პენსიის ზრდა შეადგენს 20 ლარს (19.2 ლარი დამრგვალებული უახლოეს 5-ის ჯერად რიცხვამდე), რაც კანონმდებლობით გათვალისწინებულ მინიმალურ ზრდაზე ნაკლებია, შესაბამისად 2021 წელს პენსია გაიზრდება 25 ლარით.

პენსიის ინდექსაციის ზრდის ეფექტი 2021 წლისათვის შეადგენს 210 მლნ ლარს, ასევე, გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ივლისის თვიდან 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერების საპენსიო გასაცემლების 30 ლარით ზრდის წლიური ეფექტი და დემოგრაფიის გათვალისწინებით საპენსიო ასაკის მოსახლეობის ზრდის ეფექტი.

გაიზრდება სახელმწიფო კომპენსაციების მიმღებ პირთა კომპენსაციები, რომლებიც მიზნულია სახელმწიფო პენსიის ოდენობაზე (და არ აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზედა ზღვარს).

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - 816.0 მლნ ლარი, რაც წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 8.4 მლნ ლარით, ხოლო დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით - 23.0 მლნ ლარით;

სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში - 66.3 მლნ ლარი;

ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო მოსახლეობის სოციალური დახმარებისთვის ბიუჯეტში აისახა დამატებით 250.0 მლნ ლარით და შეადგენს 310.0 მლნ ლარს:

ჩCOVID-19-თან დაკავშირებით მიმდინარე წელს დაწყებული სოციალური პაკეტით გათვალისწინებული ღონისძიებების გაგრძელება. კერძოდ, მოსახლეობისათვის კომუნალური გადასახადების სუბსიდირებისათვის განსაზღვრული ასიგნება შეადგენს 60.0 მლნ ლარს;

65 000 – 100 000 ქულამდე სოციალურად დაუცველი ოჯახების, ასევე სოციალურად დაუცველი იმ ოჯახებისათვის, რომელთაც ყავთ 3 და მეტი შვილი და შშმ ბავშვებისა და მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისათვის - 100.0 მლნ ლარი;

6 თვის მანძილზე 200 ლარიანი დახმარება პანდემიის გამო სამსახურიდან დათხოვილ პირებზე - 150.0 მლნ ლარი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა - 1 548.6 მლნ ლარი, რაც ბიუჯეტის წინა წარდგენებთან შედარებით გაზრდილია 444.6 მლნ ლარით, ხოლო წინა წელთან შედარებით 182.3 მლნ ლარით. მათ შორის ზოგიერთი პროგრამების ასიგნება განისაზღვრა შემდეგი ოდენობებით:

თემა 6. დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზი

მიმდინარე ღირებულება

კერძო სექტორის პროექტების შეფასება

დისკონტირების განაკვეთი სახელმწიფო პროექტებისათვის

სახელმწიფო სექტორის სარგებლისა და დანახარჯის შეფასება

მოსაზრებანი განაწილების შესახებ

როგორ უნდა მიიღოს მთავრობამ გადაწყვეტილება იმის შესახებ, განახორციელოს თუ არა პროექტი? კეთილდღეობის ეკონომიკის თეორია გადაწყვეტილების მიღების წინასწარ მეთოდს უზრუნველყოფს: უნდა შეფასდეს პროექტის განხორციელებამდე არსებული და პროექტის შემდგომი სოციალური კეთილდღეობის ფუნქცია და დადგინდეს, იზრდება თუ არა იგი. თუ სოციალური კეთილდღეობის ფუნქცია იზრდება, მაშინ პროექტის განხორციელება რაციონალურია.

ეს მეთოდი კორექტულია, თუმცა არცთუ ისე სასარგებლო. სოციალური ფუნქციის დასადგენად და შესაფასებლად აუცილებელია ძალიან დიდი ინფორმაცია. კეთილდღეობის ეკონომიკა გვთავაზობს ფუნდამენტს დანახარჯისა და სარგებლის ანალიზის განსახორციელებად. ეს არის პრაქტიკულ მეთოდთა ერთობლიობა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო დანახარჯების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება.

სახელმწიფო პროექტისა და სტრატეგიის განხორციელების შედეგად კერძო სექტორი განსაზღვრული სახის საქონლის ან რესურსის დეფიციტის წინაშე დგება. ხარჯისა და შედეგის ანალიზი სისტემატურ მეთოდთა ერთობლიობას წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც პროდუქტის ან რესურსის შეფასება ხდება შესაძლებელი. ასეთი შეფასების საფუძველზე ანალიტიკოსი განსაზღვრავს, რაციონალური და სასარგებლოა თუ არა რომელიმე კონკრეტული პროექტი. დანახარჯისა და სარგებლის ანალიზი პოლიტიკოსის ბერკეტია. იგი

ეხმარება პოლიტიკოსს, მიაღწიოს იმას, რასაც კარგად ფუნქციონირებადი ბაზარი ავტომატურად ახერხებს – პროექტის დაფინანსება რაციონალურია, ვიდრე მისი ზღვრული სოციალური სარგებელი ზღვრულ სოციალურ დანახარჯს აჭარბებს.

მიმდინარე ღირებულება

პროექტის შეფასებაში, როგორც წესი, სხვადასხვა პერიოდის დანახარჯისა და სარგებლის შეფასება იგულისხმება. ასე მაგალითად, ღარიბი ბავშვის სკოლამდელი აღზრდა მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯს აწმყოში, თუმცა უკუგებას მომავალში უზრუნველყოფს.

დავუშვათ, თქვენ 100 აშშ დოლარი შეიტანეთ ბანკში და განათავსეთ ისეთ ანგარიშზე, რომელიც წლიურად 5% სარგებელს მოგიტანთ (გადასახადის

გადახდის შემდეგ). წლის ბოლოს თქვენ გექნებათ: $(1 + 0,05) \times \$100 = \105 . თქვენ თადაპირველად განათავსეთ 100 დოლარი, რომელსაც დაემატა 5 დოლარი პროცენტის სახით. დავუშვათ, რომ თქვენ თანხას შემდეგი წლისთვისაც დატოვებთ. მეორე წლის ბოლოს თქვენ გექნებათ: $(1 + 0,05) \times \$105 = \$110,25$. აღნიშნული შესაძლოა, აგრეთვე გამოისახოს, როგორც: $(1 + 0,05) \times (1 + 0,05) \times 100 = (1 + 0,05)^2 \times 100$. თუ თანხას სამი წლის განმავლობაში დატოვებთ ანგარიშზე, მაშინ მისი მოცულობა მესამე წლის ბოლოს იქნება: $(1 + 0,05)^3 \times \$100$. უფრო ზოგადად, თუ $\$R$ განათავსებულია ანგარიშზე T წლის განმავლობაში, ხოლო r კი საპროცენტო განაკვეთია, მაშინ T წლის ბოლოს მისი მოცულობა იქნება: $\$R \times (1 + r)^T$. ეს ფორმულა აწმყოში დეპონირებული თანხის მომავალ ღირებულებას გვიჩვენებს.

ფულადი ერთეულის მომავალი ღირებულების გადმოყვანა ფულადი ერთეულის მიმდინარე ღირებულებაში

დავუშვათ, რომ ვინმეს სურს თქვენგან $\$100$ -ის სესხის აღება ერთი წლის შემდეგ უკან დაბრუნების პირობით. პირი, რომელიც ამ გარიგებას გთავაზობთ, აბსოლუტურად სანდოა. ამდენად, თქვენ არ გაქვთ საბაზი, იფიქროთ, რომ გასესხებულ თანხას დაკარგავთ. თან არ დაგავიწყდეთ, რომ ინფლაცია არ არსებობს. რა მაქსიმალურ თანხას გაასესხებთ დღეს? გასესხებულ 100 დოლარს ხომ მომავალშიც 100 დოლარის მსყიდველუნარიანობა ექნება?! მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ამ თანხას თქვენ მიმდინარე წლის განმავლობაში ვერ მიიღებთ. ამ დროს თქვენ კარგავთ სარგებელს, რომელიც დაერიცხებოდა თანხას, თქვენ რომ იგი ბანკში განგეთავსებინათ. რატომ უნდა გადაიხადოთ დღეს 100 დოლარი იმისათვის, რომ მომავალში ისევ 100 დოლარი მიიღოთ, როდესაც შეგიძლიათ, 100 დოლარის ბანკში დეპონირების გზით მომავალ წელს მიიღოთ 105 დოლარი? ამდენად, მომავალში დასაბრუნებელი 100 დოლარის ფულადი ერთეულის ღირებულება დღევანდელი 100 დოლარის ფულადი ერთეულის ღირებულებაზე ნაკლებია. თანხის მომავალი მოცულობის მიმდინარე ღირებულება წარმოადგენს თანხის იმ მაქსიმალურ მოცულობას, რომლის გადახდის სურვილიც გაქვთ დღეს იმისათვის, რომ მომავალში ფულის მიღების უფლება მოიპოვოთ.

იმ თანხის დასადგენად, რომელსაც დღეს გაიღებთ იმისათვის, რომ მომავალში (ერთი წლის შემდეგ) 100 დოლარი მიიღოთ, თქვენ უნდა იპოვოთ ციფრი, რომლის $(1 + 0,05)$ -ზე გამრავლების შედეგად მიიღებთ 100 დოლარს. განმარტების თანახმად, ეს არის 100 დოლარი/ $(1 + 0,05)$, ანუ დაახლოებით 95.24 დოლარი. ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც საპროცენტო განაკვეთი 5% -ია, ერთი წლის შემდეგ მისაღები 100 დოლარის ფულადი ერთეულის მიმდინარე ღირებულებაა: $\$100 / (1 + 0,05)$.

მიმდინარე ღირებულების მომავალ ღირებულებაში (პერიოდი ერთი წლის შემდეგ) გადასაყვანად საპროცენტო განაკვეთისა და ერთის ჯამი მრავლდება

თანხის მიმდინარე ღირებულებაზე; მომავალი ღირებულების მიმდინარე ღირებულებაში გადმოსაყვანად საჭიროა თანხის გაყოფა ერთისა და საპროცენტო განკვეთის ჯამზე.

ახლა კი განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც გასესხებული თანხის დაბრუნებას ორი წლის შემდეგ გვპირდებიან. ასეთ შემთხვევაში გამოთვლების დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ 100 დოლარს 2 წლის განმავლობაში ბანკში განვათავსებთ, მაშინ მისაღები საბოლოო თანხა იქნება: $\$100 \times (1 + 0.05)^2$. იმისათვის, რომ მომავალში (ორი წლის შემდეგ) 100 დოლარი მივიღოთ, დღეს უნდა განვათავსოთ თანხა, რომელიც $(1 + 0.05)^2$ -ზე გამრავლების შედეგად ზუსტად გაუტოლდება 100 დოლარს, ანუ: $\$100 / (1 + 0.05)$, ე.ი. დაახლოებით 90,70 დოლარი.

ზოგადად, როდესაც საპროცენტო განაკვეთი წარმოდგენილია r -ის სახით, თ წელიწადში მისაღები ჯდ თანხა უბრალოდ უდრის $\$r / (1 + r)$.

ინფლაციის არარსებობის პირობებშიც კი მომავალში ფულადი ერთეულის ღირებულება უფრო ნაკლებია, ვიდრე ფულადი ერთეულის მიმდინარე ღირებულება დღეს და, ამდენად, საჭიროა მისი იმ თანხით „დისკონტირება“, რომელიც საპროცენტო განაკვეთსა და თანხის მიღების დროზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ r ხშირად მოიაზრება, როგორც დისკონტირების განაკვეთი. ანალოგიურად, $(1 + r)^T$ მომავალში T პერიოდის შემდეგ მისაღები თანხის დისკონტირების ფაქტორს წარმოადგენს.

რამდენადაც მაღალია T , სხვა თანაბარ პირობებში მით ნაკლებია მიმდინარე ღირებულება, რაც უფრო დიდი ხნის განმავლობაში გიწევთ თანხის მიღების ლოდინი, მით ნაკლები თანხის გადახდის სურვილი გაქვთ დღეს.

დისკონტირების უგულებელყოფის დროს მომავალში მისაღები თანხა უფრო მაღალი ღირებულების ჩანს ხოლმე, ვიდრე სინამდვილეში არის. ასე

მაგალითად, განვიხილოთ პროექტი, რომელიც 20 წელიწადში 1 მილიონ დოლარს მოგვიტანს. თუ საპროცენტო განაკვეთი 5%-ია, მაშინ მიმდინარე ღირებულება უდრის \$376889 [= \$1000000 / (1,05)²⁰]. იმ შემთხვევაში, თუ r = 10%-ს, მაშინ მიმდინარე ღირებულება უდრის \$148644 [= \$1400000 / (1,10)²⁰].

ცხრილი მიმდინარე ღირებულების გამოთვლა

გადასახდელი თანხა	მომავალი წლები	დისკონტირების ფაქტორი	მიმდინარე ღირებულება
R_0	0	1	R_0
R_1	1	$(1 + r)$	$R_1/(1+r)$
R_2	2	$(1+r)^2$	$R_2/(1+r)^2$
.	.	.	.
.	.	.	.
.	.	.	.
R_T	T	$(1 + r)^T$	$RT/(1 + r)^T$

ინფლაცია

როგორ შეიცვლება გამოანგარიშების მეთოდი, როდესაც მომავალში მოსალოდნელია ფასის გაზრდა?

თუ მოსალოდნელია ფასების ზრდა, მაშინ გამსესხებელს r წლიური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ფასების სტაბილურობის დროს გამოიყენებოდა, გასესხების სურვილი ეკარგება. გამსესხებელმა იცის, რომ შემცირებული ღირებულების თანხაში გათვალისწინებული უნდა იყოს ინფლაციის განაკვეთი (1 + π), მეორე წლის თანხაში – (1 + π)². საბაზრო საპროცენტო განაკვეთი იზრდება იმ თანხით, რომელიც დაახლოებით ინფლაციის მოსალოდნელ განაკვეთს უდრის, r პროცენტიდან r + π პროცენტამდე.

მნიშვნელოვანია, რომ ერთი და იმავე მეთოდით იქნეს გამოთვლილი ფულადი ერთეულის სიდიდე და დისკონტირების განაკვეთი. - დისკონტირების განაკვეთი რეალური სახით უნდა იქნეს წარდგენილი – საბაზრო საპროცენტო განაკვეთს ინფლაციის მოსალოდნელი განაკვეთი უნდა გამოაკლდეს. ალტერნატიულად, თუ ჩვენ განვახორციელებთ საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დისკონტირებას, მაშინ უკუგება გამოხატული უნდა იქნეს ნომინალური ფორმით.

კერძო სექტორის პროექტის შეფასება

დავუშვათ, რომ ფირმა ორ ურთიერთგამომრიცხავ X და Y პროექტს განიხილავს. X პროექტის რეალური სარგებელი და დანახარჯი გამოხატულია, შესაბამისად, B^X -ითა და C^X -ით; Y პროექტის სარგებელი და დანახარჯი კი – B^Y და C^Y -ით. ორივე პროექტის შემთხვევაში სარგებლისა და ხარჯის რეალიზაცია მაშინვე ხდება. ფირმას ორ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უწევს:

1. განახორციელოს თუ არა პროექტებიდან ერთ-ერთი მინც? არის თუ არა პროექტების განხორციელება დასაშვები?

2. თუ დასაშვებია ორივე პროექტის განხორციელება, რომელია უფრო უპირატესი?

იმდენად, რამდენადაც ორივე პროექტის სარგებელი და დანახარჯი დაუყონებლივ განცხადდება, ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა მარტივია. გამოთვალეთ X პროექტის წმინდა უკუგება ($B^X - C^X$) და შეადარეთ შედეგი Y პროექტის წმინდა უკუგებას ($B^Y - C^Y$). პროექტის განხორციელება დასაშვებია, თუ მისი წმინდა უკუგება დადებითი სიდიდეა, ანუ სარგებელი აღემატება დანახარჯს. თუ ორივე პროექტი დასაშვებია და ფირმას მათ შორის არჩევანის გაკეთება უწევს, მაშინ იგი უპირატესობას იმ პროექტს ანიჭებს, რომელიც უფრო მაღალ წმინდა უკუგებას მოიტანს.

ორი პროექტის მიმდინარე ღირებულების შედარება

წელი	წლიური წმინდა უკუგება		$r =$	მიმდინარე ღირებულება	
	კვლევა და განვითარება	რეკლამა		კვლევა და განვითარება	რეკლამა
0	-\$ 1000	-\$ 1000	0	\$150	\$200
1	600	-0-	0,01	128	165
2	-0-	-0-	0,03	86	98
3	550	1,200	0,05	46	37
			0,07	10	-21

შემოსავლის ნაკადის (PV^X) მიმდინარე ღირებულებაა:

$$PV^X = B_0^X - C_0^X + \frac{B_1^X - C_1^X}{(1+r)} + \frac{B_2^X - C_2^X}{(1+r)^2} + \dots + \frac{B_T^X - C_T^X}{(1+r)^T},$$

ანალოგიურად, დავუშვათ, რომ Y პროექტის შედეგად ხდება დანახარჯებისა და სარგებლის B^Y და C^Y ნაკადის დაგროვება T' დროის განმავლობაში (გაითვალისწინეთ, რომ T და T' შესაძლოა, თანაბარი ხანგრძლივობის არც იყოს). Y პროექტის მიმდინარე ღირებულებაა:

$$PV^Y = B_0^Y - C_0^Y + \frac{B_1^Y - C_1^Y}{(1+r)} + \frac{B_2^Y - C_2^Y}{(1+r)^2} + \dots + \frac{B_{T'}^Y - C_{T'}^Y}{(1+r)^{T'}}$$

ორივე პროექტი მიმდინარე ღირებულებით ახლა უკვე შეფასებულია. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია, იმავე მეთოდებით ვისარგებლოთ, რა მეთოდებითაც წინა შემთხვევაში ვსარგებლობდით. პროექტის შეფასების მიმდინარე ღირებულების კრიტერიუმი ის არის, რომ:

- პროექტის განხორციელება დასაშვებია მაშინ, როდესაც მისი მიმდინარე ღირებულება დადებითია.
- როდესაც შეუძლებელია ორივე პროექტის ერთად განხორციელება და აუცილებელია არჩევანის გაკეთება, მაშინ უპირატესობა მაღალი მიმდინარე ღირებულების მქონე პროექტს მიენიჭება.

დისკონტირების განაკვეთის დადგენა დანახარჯისა და სარგებლის ანალიზის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია. კერძო სექტორში ანალიზის დროს სამი შესაძლო საზომი არსებობს: უკუგების კერძო განაკვეთი დაბეგვრამდე, უკუგების დაბეგვრამდე და დაბეგვრის შემდგომი კერძო განაკვეთების საშუალო შეწონილი და სოციალური დისკონტირების განაკვეთი. მათ შორის არჩევანი კეთდება იმის მიხედვით, თუ რომელი სექტორია შევიწროებული (ინვესტირება თუ ხარჯვა?) და კერძო ბაზრები საზოგადოების პრეფერენციებს რა მასშტაბით ასახავს.

მიმდინარე ღირებულების კრიტერიუმის გარდა, გამოიყენება პროექტის შეფასების ბევრი სხვა კრიტერიუმი.

დისკონტირების განაკვეთი სახელმწიფო პროექტებისათვის

იმისათვის, რომ მთავრობამ განსახორციელებელი პროექტის შესახებ კეთილგონივრული გადაწყვეტილება მიიღოს, აუცილებელია, გამოთვლილ იქნეს მისი მიმდინარე ღირებულება.

სახელმწიფო სექტორი კერძო სექტორისაგან განსხვავებული მეთოდით გამოითვლის დანახარჯს, სარგებელსა და დისკონტირების განაკვეთს.

კერძო ინდივიდთა მიერ შერჩეული დისკონტირების განაკვეთი უკუგების იმ განაკვეთს უნდა ასახავდეს, რომელიც ხელმისაწვდომია ალტერნატიულ ინვესტიციებზე. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად რთულია განაკვეთზე

ასეთი დეტალური აქცენტის გაკეთება, კონცეპტუალური მოსაზრებიდან გამომდინარე, ფირმის თანხების ალტერნატიული ღირებულება რ-ის ჭეშმარიტ ღირებულებაზე მიუთითებს.

განაკვეთი, რომელიც კერძო სექტორის უკუგებაზეა დაფუძნებული

დავუშვათ, რომ ეკონომიკაში კერძო ინვესტიციის უკანასკნელი 1000 დოლარის წლიური უკუგების განაკვეთი 16%-ია. თუ მთავრობა ამოიღებს 1000 დოლარს კერძო სექტორიდან და მას პროექტში ჩადებს (ანუ ეს 1000 დოლარი სრულად კერძო სექტორის ინვესტიციიდან იქნება გაღებული), მაშინ საზოგადოება დაკარგავს იმ 160 დოლარს, რომელიც ინვესტიციას უნდა მოეტანა. ამდენად, სახელმწიფო პროექტის ალტერნატიული ღირებულება კერძო სექტორის უკუგების 16%-იან განაკვეთს წარმოადგენს. 16% დისკონტირების რაციონალური განაკვეთია, რადგან იგი ზუსტად განსაზღვრავს ალტერნატიულ ღირებულებას. არა აქვს მნიშვნელობა იმას, იბეგრება თუ არა უკუგება. მიუხედავად იმისა, უკუგების მთელი თანხა რჩება ინვესტორთან, თუ მისი განსაზღვრული ნაწილი მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში, უკუგების განაკვეთი გადასახადების გადახდამდე ზუსტად განსაზღვრავს საზოგადოებისათვის სასარგებლო შედეგის ღირებულებას, რომელიც თანხების გამოყენების შედეგად მივიღეთ.

საჯარო სექტორი ფულად რესურსს კერძო სექტორის მოხმარებისა და ინვესტირების შემცირების ხარჯზე იღებს. ამდენად, ყველაზე კეთილგონივრული იქნება, გადასახადების გადახდამდე არსებული და გადასახადების გადახდის შემდგომ დარჩენილი უკუგების განაკვეთების საშუალო შეწონილი სიდიდე გამოვიყენოთ: გადასახადების გადახდამდე არსებული უკუგების განაკვეთი ინვესტიციებიდან მიღებული თანხის პროპორციული, ხოლო გადასახადების გადახდის შემდგომ დარჩენილი უკუგების განაკვეთი კი ხარჯვის შემცირების გზით მიღებული თანხის პროპორციული იქნება.

სამწუხაროდ, რეალურ სამყაროში რთულია განისაზღვროს, სახელმწიფო პროექტისათვის გამოყოფილი თანხის რა ნაწილი მოდის ინვესტიციის შემცირების და რა ნაწილი – მოხმარების შემცირების ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ინფორმაცია თითოეული გადასახადის მოხმარებასა და ინვესტირებაზე ზემოქმედების შესახებ, პრაქტიკულად ძალიან რთულია იმის განსაზღვრა, თუ რომელი გადასახადით ხდება პროექტის განხორციელების დაფინანსება და რომელი პროექტის დაფინანსება ხდება კონკრეტულად. ფაქტობრივად, შეუძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს სიდიდეები და ერთეულები. ამგვარი ნაკლოვანების გამო დისკონტირების განაკვეთების განსაზღვრის მიმართულებით მცირდება ამ მეთოდის, როგორც პრაქტიკული გზამკვლევის, საიმედოობის ხარისხი.

სოციალური დისკონტირების განაკვეთი

სახელმწიფო დანახარჯების შეფასების დროს ითვალისწინებენ დისკონტირების სოციალურ განაკვეთს. ეს არის მაჩვენებელი, რომელიც მიუთითებს იმაზე, ამ ეტაპზე თუ რამდენად უღირს საზოგადოებას თანხის დაზოგვა (ანუ უარის თქმა თანხის გარკვეული ნაწილის დახარჯვაზე). თუმცა რატომ უნდა განსხვავდებოდეს დაზოგილი თანხის ალტერნატიული ღირებულება საზოგადოებისათვის იმ ალტერნატიული ღირებულებისაგან, რომელიც უკუგების განაკვეთების ბაზარზე არსებობს? სოციალური დისკონტირების განაკვეთი შესაძლოა, უფრო მცირე იყოს რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზის გამო:

ზრუნვა მომავალ თაობებზე. პოლიტიკოსი ვალდებულია, იზრუნოს მომავალი თაობის კეთილდღეობაზე. კერძო სექტორი კი პირიქით: მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. ამდენად, სოციალური პოზიციიდან კერძო სექტორი ზოგავს ძალიან მცირე რესურსს, ამიტომ იგი აწესებს უკუგების ძალიან მაღალ განაკვეთს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება მომავალში. ამდენად,

სახელმწიფო, როგორც მომავალ თაობათა ინტერესების ალტრუისტი დამცველი, ქმნის „ყოვლისმცოდნისა“ და ფილანტროპის საკმაოდ არარეალისტურ სურათს. ყველაზე ეგოისტი ინდივიდიც კი ახორციელებს პროექტს, რომელიც სარგებელს მომავალ თაობას მოუტანს. თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ მომავალი თაობა მიიღებს სარგებელს რომელიმე პროექტიდან, მაშინ მაღალი იქნება მოსალოდნელი შემოსავალიც, რაც, ფაქტობრივად, დღეს ხელს შეუწყობს და მიიზიდავს ინვესტიციას. კერძო ფირმა დღეს რგავს დიდი რაოდენობით ხეს იმისათვის, რომ მომავალში მიიღოს შემოსავალი ხე-ტყით ვაჭრობის შედეგად, რაც, დაგვეთანხმებით, საკმაოდ შორეული პერსპექტივაა.

პატერნალიზმი. ადამიანი არცთუ ისე შორსმჭვრეტელია, რომ სწორად შეაფასოს მომავალში მისაღები სარგებელი; იგი ამგვარი სარგებლის დისკონტირებას ძალიან მაღალი განაკვეთით ახორციელებს ხოლმე. პიგუ [1932, თავი 2] ამ პრობლემას ახასიათებს, როგორც „დეფექტიან ოპტიკურ უნარს“. სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს დისკონტირების ისეთი განაკვეთი, რომელსაც ინდივიდი გამოიყენებდა, იგი მომავალში მისაღებ სარგებელს ადეკვატურად რომ აფასებდეს. ეს არის ერთგვარი პატერნალისტური არგუმენტი – სახელმწიფო აიძულებს მოქალაქეს, ამ ეტაპზე გასწიოს შედარებით მცირე ხარჯი და დაზოგოს თანხა, ხოლო, სამაგიეროდ, მიიღოს უფრო მეტი მომავალში (სწორედ მაშინ მოქალაქე მაღლობას გადაუხდის სახელმწიფოს ამგვარი შორსმჭვრეტელობისა და გულისხმიერებისათვის). ყველა პატერნალისტური არგუმენტის მსგავსად, აქაც თავს იჩენს ფუნდამენტური ფილოსოფიური კითხვა: მაშ როდის უნდა დადგეს ის დრო, როდესაც ინდივიდი დაიწყებს სახელმწიფოს პრივილეგიებით სარგებლობას?

ბაზრის არაეფექტიანობა. როდესაც ფირმა რაიმე მიმართულებით თანხის ინვესტირებას ახორციელებს, იგი მთელ ცოდნასა და ტექნოლოგიურ „ნოუ-ჰაუს“ აგროვებს, რითიც შესაძლოა, სხვა ფირმებმაც ისარგებლონ. ამ შემთხვევაში

ინვესტიცია დადებით გარე ეფექტს, მართლაც, ქმნის. ჩვეულებრივი არგუმენტაციის თანახმად კი, ბაზარი სათანადო მოცულობის ინვესტიციას ვერ უზრუნველყოფს (იხილეთ მე-5 თავი, „დადებითი გარეგანი ეფექტი“). საბაზრო განაკვეთზე დაბალი დისკონტირების განაკვეთის გამოყენების გზით მთავრობას ამ ნაკლოვანების აღმოფხვრა შეუძლია. ყველაზე სერიოზული პრაქტიკული პრობლემა ამ თვალსაზრისით ზემოქმედების ფაქტობრივი მასშტაბის განსაზღვრაა. უფრო მეტიც, ზემოქმედების შესახებ არსებული თეორია ცხადყოფს, რომ მდგომარეობის გამოსწორების უფრო კეთილგონივრული მექანიზმი იქნება ოპტიმალური ზღვრული გარე სარგებლის მოცულობის განსაზღვრა და ამ თანხის ტოლი სუბსიდიის გამოყოფა.

სახელმწიფო სექტორის სარგებლისა და დანახარჯის შეფასება

პროექტის შეფასების შემდეგი ნაბიჯია სარგებლისა და დანახარჯის შეფასება. კერძო ფირმის შემთხვევაში, აღნიშნული ორი ფაქტორის შეფასება შედარებით უფრო სწორხაზოვნად მიმდინარეობს. პროექტის სარგებელი არის მის შედეგად მიღებული შემოსავალი, დანახარჯი კი – ფირმის გადასახადი საწარმოო საშუალებებზე. ორივე მათგანი საბაზრო ფასის მიხედვით განისაზღვრება. სახელმწიფო სექტორში შეფასების პრობლემა უფრო რთულია, რადგან საბაზრო ფასი სოციალურ სარგებელსა და დანახარჯს ვერ ასახავს. ასე მაგალითად, განვიხილოთ გზატკეცილის გაფართოების პროექტი, რომელმაც შესაძლოა, ზიანი მიაყენოს გარემოს. კერძო და სახელმწიფო სექტორი ერთნაირად ვერ განახორციელებს ამ პროექტს: სარგებლისა და დანახარჯის ანალიზი აღნიშნულ ორ სექტორში ხშირად ძალიან განსხვავებულია, რადგან სახელმწიფოს უწევს სოციალური ხარჯების (რომელიც გარეგანი ეფექტის ფაქტორსაც მოიცავს) გათვალისწინება.

დროის ფასი. არსებობს მეტად ცნობილი ნათქვამი იმის შესახებ, რომ „დრო ფულია“, მაგრამ იმისათვის, რომ ჩვენ ჩავატაროთ პროექტის დანახარჯისა და სარგებლის ანალიზი, ზუსტად უნდა ვიცოდეთ, თუ რა ღირს დრო. დროის ფასის განსაზღვრის ყველაზე გავრცელებული მეთოდია თავისუფალ დროსა და შემოსავალს შორის არსებული არჩევანის თეორიით სარგებლობა. ინდივიდი აკეთებს არჩევანს: იგი მუშაობს, ვიდრე თავისუფალი დროის სუბიექტური ღირებულება გაუტოლდება იმ შემოსავალს, რომელსაც იგი იღებს ერთსაათიანი მუშაობის შედეგად (ანუ ხელფასის განაკვეთი გადასახადების გადახდის შემდეგ). ამდენად, დაბეგრული ხელფასი დაზოგილი დროის ფასის დასადგენად გამოიყენება.

სიცოცხლის ფასი. არ არსებობს ხარჯი, რომელიც მიუახლოვდება სიცოცხლის ფასს. ასეთი სიტუაცია დანახარჯისა და სარგებლის ანალიზს ართულებს. თუ სიცოცხლე შეუფასებელია, ხოლო პროექტის განხორციელების შედეგად გადარჩება ერთი სიცოცხლე მაინც, მაშინ გამოდის, რომ პროექტის მიმდინარე ღირებულება უსასრულობამდე მაღალია. ამის შედეგად, არ არსებობს გადაწყვეტილების მიღების გზა იმის შესახებ, კეთილგონივრული იქნება თუ არა ამ პროექტის განხორციელება. ამერიკაში ყველა გზა რომ ოთხ ხაზად გაიყოს, აუცილებლად შემცირდება საგზაო კატასტროფები. არის კი ეს კარგი პროექტი? პროექტი, რომლის შედეგად მოხდება ერთი სიცოცხლის ხელყოფა მაინც, უსასრულობამდე დაბალი ღირებულებისაა. ამ კონტექსტში გაიხსენეთ შემდეგი ფაქტი: იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს საწვავის ეფექტიანობის სახელმწიფო მანდატი, მანქანის მწარმოებელი ქმნის უფრო მსუბუქ მანქანას, ვიდრე სხვა შემთხვევაში აწარმოებდა. მსუბუქი მანქანა კი კატასტროფის უფრო მეტ საფრთხესთანაა ასოცირებული. ამდენად, როგორ ფიქრობთ, ჩაითვლებოდა თუ არა დაუშვებლად საწვავის სტანდარტის პროექტი მისი დანახარჯისა და სარგებლის შეფასების საფუძველზე?

სიცოცხლის განსაზღვრული ღირებულების დადგენის მიზნით ეკონომისტები ორი მეთოდით სარგებლობენ: ერთი მათგანი დაკარგულ შემოსავლებს ეფუძნება, ხოლო მეორე კი გარდაცვალების ალბათობას.

დაკარგული შემოსავლები. ამ მეთოდის თანახმად, ინდივიდის სიცოცხლის ფასი მის მიერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიღებული წმინდა შემოსავლის მიმდინარე ღირებულებაა. თუ ინდივიდი განსაზღვრული პროექტის შედეგად გარდაიცვლება, მაშინ მისი სიცოცხლის ფასი საზოგადოებისათვის იმ პროდუქციის მოსალოდნელი მიმდინარე ღირებულებაა, რომელიც ამ ინდივიდს უნდა შეექმნა. აღნიშნული მეთოდი ხშირად გამოიყენება სასამართლოებში, როდესაც საქმე გარდაცვლილის ოჯახის წევრების მიერ მისაღებ კომპენსაციას ეხება. გამოდის, რომ საზოგადოება არაფერს დაკარგავს ხანდაზმული, ფიზიკურად სუსტი, ფიზიკურად ან გონებრივად უნარშეზღუდული მოსახლეობის ერთდროული გარდაცვალებით. ცხადია, მეთოდის გამოყენების შედეგი იმდენად არაბუნებრივია, რომ ბევრი ეკონომისტი უარს ამბობს მის გამოყენებაზე.

გარდაცვალების ალბათობა. პროექტების უმეტესობა უშუალოდ არ ზემოქმედებს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. მას პირის გარდაცვალების ალბათობის შეცვლა შეუძლია მხოლოდ. ასე მაგალითად, არავინაა ცალსახად დარწმუნებული იმაში, რომ კიბოს დაავადების შესწავლა ინდივიდის სიცოცხლეს გადაარჩენს. კვლევას მხოლოდ გარდაცვალების ალბათობის შემცირება შეუძლია. ეს განსხვავება საკმაოდ სერიოზულია. ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ მისი სიცოცხლე შეუფასებელია, გარკვეული თანხის საფასურად მუდმივად გარდაცვალების საფრთხის წინაშე აყენებს მას. ინდივიდი, რომელიც მსუბუქ მანქანას მართავს, ავტოკატასტროფაში დაღუპვის

უფრო დიდი რისკის წინაშე დგას, ვიდრე ინდივიდი, რომელიც მაღალი გამავლობის მანქანას მართავს (სხვა თანაბარ პირობებში). ინდივიდი მზადაა, საკუთარი სიცოცხლე დააყენოს დიდი რისკის ქვეშ ფულის იმ ფასად, რომელსაც იგი მსუბუქი მანქანის შეძენით დაზოგავს.

თუმცა ადამიანები მზად არიან, გადაიხადონ საკმაოდ სოლიდური თანხა დამცავი მექანიზმების შესაძენად (მაგალითად, სახანძრო სიგნალიზაცია), რომლებიც გარდაცვალების ალბათობას ამცირებს. სხვადასხვა კვლევას სხვადასხვა შედეგი მოაქვს, თუმცა ამ კვლევების შედეგად მიღებული სიცოცხლის ფასი 4-დან 9 მილიონ დოლარამდე მერყეობს. დიაპაზონი იმდენად დიდია, რომ შესაძლოა, ეს გამოთვლა სრულიად უსარგებლოც კი მოგეჩვენოთ. შეფასება ირაციონალური პროექტების გამოსადეგნად მაინც ძალიან სასარგებლოა. შემინული განათებული საავარიო გასასვლელის დამონტაჟების ღირებულება თითოეული გადარჩენილი სიცოცხლის მიხედვით 900000 დოლარია. აღნიშნული ღონისძიება ცალსახად გაივლის გამოცდას რაციონალურობაზე. მეორე მხრივ, აზბესტის მოცილების სახელმწიფო წესების ღირებულება თითოეულ გადარჩენილ სიცოცხლეზე 100 მილიონ დოლარზე მეტია.

არამატერიალური (ხელშეუხებელი) სიკეთის შეფასება

პირველი: არამატერიალურმა სიკეთემ შესაძლოა, დაამსხვრიოს მთელი თეორია დანახარჯისა და სარგებლის შესახებ. ასეთი პროექტები ყოველთვის ძალიან დიდია, ამდენად, ნებისმიერი მათგანი შესაძლოა, არარაციონალურადაც ჩაითვალოს. ჟურნალისტმა, რომელიც ბრიტანეთში არსებული დისკუსიის თაობაზე კომენტარს აკეთებდა, უნდა აშენებულიყო თუ არა გვირაბი ლა-მანშის არხის ქვეშ, ასეთი რჩევა გასცა: „აშენეთ გვირაბი. ააშენეთ არა იმიტომ, რომ სარგებლისა და დანახარჯის მოსაწყენი ანალიზი იძლევა დადებით პასუხს,

არამედ იმიტომ, რომ ბრიტანეთს გააცოცხლებს დიდი პროექტი” [ჭილ, 1985ა]. თუმცა ნებისმიერმა პროექტმა შესაძლოა, „გამცოცხლებლის“ ფუნქცია შეასრულოს. როგორ შევარჩიოთ პროექტი ასეთ შემთხვევაში? (ცხადია, არხის გვირაბი საბოლოოდ აშენდა. 1994 წელს დასრულდა მისი მშენებლობა და მისი ხარჯი 15 მილიარდ დოლარს გაუტოლდა. რეალურმა ხარჯმა წინასწარ დაგეგმილი ხარჯს თითქმის ორჯერ გადააჭარბა).

მეორე: დანახარჯისა და სარგებლის ანალიზის ბერკეტების გამოყენებით შესაძლოა, არამატერიალური სიკეთის შეფასების საზღვრები დადგინდეს.

მესამე: მაშინაც კი, როდესაც შეუძლებელია განსაზღვრული შედეგის შეფასება, მისი მიღწევის ალტერნატიული მეთოდები არსებობს. ასეთ შემთხვევაში თითოეული ალტერნატივის ხარჯის სისტემატური შესწავლა და მათ შორის უიაფესი მეთოდის შერჩევაა აუცილებელი. აღნიშნული პროცესი ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზის სახელწოდებითაა ცნობილი. შეუძლებელია, ფულადი ერთეულით შეფასდეს სახელმწიფო უსაფრთხოება. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია, ალტერნატიული იარაღის სისტემის დანახარჯი განისაზღვროს.

ისეთი საქონლის ღირებულება, რომელიც არ იყიდება, ინდივიდის ქცევის საფუძველზე განისაზღვრება. შეფასების ორი მეთოდი არსებობს: დროის დაზოგვის შედეგად მიღებული სარგებლის გამოთვლა და გარდაცვალების ალბათობის შემცირებით მიღებული სარგებლის შეფასება.

მოსაზრებანი განაწილების შესახებ

კერძო სექტორში არცთუ ისე მნიშვნელოვანია, თუ ვინ ისარგებლებს პროექტის შედეგით და ვინ გასწევს მის ხარჯს. დოლარი დოლარია, მიუხედავად იმისა, თუ ვინ მიიღებს ან დახარჯავს მას. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, უპრიანი იქნებოდა აღნიშნული მიდგომის დანერგვა სახელმწიფო სექტორისათვის. თუ პროექტის მიმდინარე ღირებულება დადებითია, მაშინ რეკომენდირებული იქნება მისი განხორციელება იმის მიუხედავად, თუ ვინ იგებს, ან ვინ აგებს. ვიდრე პროექტის მიმდინარე ღირებულება დადებითია, პირი, რომელიც იგებს, უფლებამოსილია, აანაზღაუროს იმ პირის ზარალი, რომელიც პროექტის განხორციელების შედეგად წააგებს. ამ დროს სარგებლიანობის წმინდა ზრდა ფიქსირდება. ასეთი მიდგომა ხშირად ჰიქს-კალდორის კრიტერიუმის სახელწოდებითაა ცნობილი, რომლის საფუძველზეც შეირჩევა პროექტი, რომელშიც პარეტო-გაუმჯობესების პოტენციალი დევს. არ არის აუცილებელი ფაქტობრივი კომპენსაციის განხორციელება: შეირჩევა და რაციონალურად შეფასდება პროექტი, რომლის განხორციელების დროს საზოგადოების გარკვეული ნაწილი გაიღებს ხარჯს, რაც სხვა ინდივიდს უფრო მეტი წმინდა სარგებლის მიღების საშუალებას მისცემს.

არამატერიალური სარგებელი და დანახარჯი შეუფასებელია. აღნიშნული ფაქტორი არ უნდა იყოს გათვალისწინებული დანახარჯისა და სარგებლის ანალიზში. შესაძლოა, ცალკე იქნეს გამოთვლილი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ორი ფაქტორი იმისათვის, რომ გადაწყვეტილება შეცვალოს.

დანახარჯისა და სარგებლის ანალიზს ერთობ უარყოფითი შედეგის მოტანა შეუძლია შემდეგი ტიპური შეცდომების არსებობის გამო:

„ჯაჭვური რეაქცია“ – იმისათვის, რომ საპროექტო წინადადება ჩაითვალოს უფრო მიმზიდველად, ითვალისწინებენ მეორად სარგებელსაც კი, მაგრამ მეორად ხარჯს უგულებელყოფენ.

„შრომითი ძალა“ – ხელფასი განიხილება, როგორც პროექტის სარგებელი და არა როგორც პროექტის დანახარჯი.

„გაორმაგება“ – სარგებელი შეცდომითაა გაორმაგებული.

განაწილების პრობლემის გადაწყვეტის ერთი შესაძლო გზა არსებობს: მთავრობა, ყოველგვარი საფასურის გარეშე, რაციონალური ტრანსფერის განხორციელების გზით მოგებულებსა და წაგებულებს შორის განაწილებით მიღებულ არასასურველ შედეგს გამოასწორებს. მთავრობა უწყვეტად უზრუნველყოფს შემოსავლის ოპტიმალური განაწილების დონეს, ამდენად, ხარჯისა და შემოსავლის ანალიტიკოსს მხოლოდ მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ევალება.

დავუშვათ, პოლიტიკოსს სწამს, რომ მოსახლეობის ერთი ჯგუფი შემოსავლის მიღებას ყველაზე მეტად იმსახურებს. ჩამოყალიბდება განაწილებითი პრეფერენცია, რომლის თანახმადაც, ამ ჯგუფის ერთი წევრისათვის მიცემული ერთი დოლარი უფრო ღირებულია, ვიდრე სხვა ჯგუფის წევრისათვის მიცემული იგივე თანხა. პრეფერენციის ჩამოყალიბებას უპირატესი ჯგუფის სასარგებლოდ პროექტების არაობიექტური შერჩევა მოჰყვება. განაწილებითი საკითხების ირგვლივ არსებულ დისკუსიათა დიდი ნაწილი შემოსავალზე, როგორც ადამიანთა კლასიფიკაციის საფუძველზეა ფოკუსირებული. მიუხედავად ამისა, რასობრივი, ეთნიკური და გენდერული მახასიათებლებიც გარკვეულ როლს თამაშობს.

მას შემდეგ, რაც ანალიტიკოსს უპირატესი ჯგუფის წევრობისათვის აუცილებელ კრიტერიუმს წარუდგენენ, მან უნდა განსაზღვროს, როგორ გამოთვალოს ამ ჯგუფის სარგებელი და რა განსხვავება იქნება ჯგუფის წევრებისა და საზოგადოების დანარჩენი ნაწილის სარგებელს შორის. უდრის თუ არა მდიდრის ერთი დოლარი ღარიბის ორ დოლარს? ან იქნებ 50 დოლარს? ასეთ საკითხებზე პასუხის გაცემა მთლიანად სუბიექტურ შეფასებაზეა

დამოკიდებული. ანალიტიკოსის მაქსიმუმი არის ის, რომ აიძულოს პოლიტიკოსი, ნათლად ჩამოაყალიბოს სუბიექტური შეფასება და კარგად გაიაზროს შედეგი.

განაწილებითი მოსაზრებების წარდგენის პოტენციური საფრთხე ის არის, რომ პოლიტიკური საკითხები უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ხარჯისა და სარგებლის ანალიზი. იმის მიხედვით, თუ რა პარამეტრებია გამოყენებული შეფასების პროცესში, ნებისმიერი პროექტი შეიძლება დადებითი მიმდინარე ღირებულებით შეფასდეს, იმის მიუხედავად, თუ რამდენად არაეფექტიანია იგი. გარდა ამისა, განაწილებითი მოსაზრებების გაერთიანება მნიშვნელოვნად ზრდის ხარჯისა და სარგებლის ანალიზის წინაშე არსებულ საინფორმაციო მოთხოვნილებას.

თემა 7. გადასახადები და საგადასახადო შემოსავლების განაწილება

საგადასახადო ტვირთის გადანაწილება: ძირითადი მოსაზრებები

- შემოსავლის წყარო და მისი გამოყენების მიმართულებანი
- გადასახადის განაწილება და ფასები განსაზღვრა
- გადასახადის განაწილება და საგადასახადო შემოსავლისგან კარგვა
- გადასახადის პროგრესულობის შეფასების მეთოდები

ფასის განსაზღვრის ნაწილობრივი წონასწორობის მოდელი

- საქონლის ერთეულზე დაწესებული გადასახადი
- ადვალური გადასახადი
- გადასახადი წარმოების ფაქტორებზე
- საქონლის დაბეგვრა კონკურენციის არარსებობისას
- მოგების გადასახადი
- საგადასახადო ტვირთის განაწილება და კაპიტალიზაცია

ზოგადი წონასწორობის მოდელები

- საგადასახადო წონასწორობა
- ჰარბერგერის მოდელი
- სხვადასხვა სახის გადასახადების ანალიზი
- ლაფერის მრუდი

დაბეგვრა და საგადასახადო პოლიტიკა საქართველოში

საგადასახადო სისტემის შესახებ დებატების დროს ისმება საკითხი – სამართლიანად ნაწილდება თუ არა საგადასახადო ტვირთი. ამ ნორმატიულ საკითხზე კეთილგონივრული დასკვნის მისაღებად საჭიროა, პასუხი პოზიტიურ შეკითხვას გავცეთ: როგორ მოქმედებს გადასახადები შემოსავლის განაწილებაზე?

დავუშვათ, ერთი ბოთლი ღვინის ფასი 10 დოლარია. მთავრობის მიერ დაწესებულია გადასახადი – ბოთლზე 1 დოლარი, რომელიც შემდეგნაირად უნდა შეგროვდეს: როგორც კი ღვინის შექმნა ხდება, გადასახადის შემგროვებელი (რომელიც დახლთან დგას) გამყიდველს დოლარს გამოართმევს, სანამ იგი ფულს სალაროს აპარატში ჩადებდეს. ჩვეულებრივი დამკვირვებელი დაასკვნის, რომ ღვინის გადასახადს გამყიდველი იხდის.

დავუშვათ, გადასახადის დაწესებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, გადასახადის არსებობის გამო, ერთი ბოთლი ღვინის ფასი 11 დოლარამდე გაიზარდა. ცხადია, მფლობელი ერთი ბოთლის გაყიდვით იმავე თანხას იღებს, რასაც გადასახადის დაწესებამდე იღებდა. გადასახადის დაწესების გამო მისი მატერიალური მდგომარეობა არ უარესდება. მომხმარებელი, რომელიც გაზრდილ ფასს იხდის, მთელ გადასახადს ფარავს. ახლა კი წარმოვიდგინოთ, რომ გადასახადის დაწესების შემდეგ ფასი 10,30 დოლარამდე გაიზარდა. ამ შემთხვევაში მფლობელს თითოეულ გაყიდულ ბოთლზე მხოლოდ 9,30 დოლარი დარჩება; მისი მატერიალური მდგომარეობა თითოეულ გაყიდულ ბოთლზე 70 ცენტით უარესდება. მომხმარებლის მდგომარეობაც უარესდება – მას ღვინის ერთ ბოთლში 30 ცენტით მეტის გადახდა უწევს. ასეთ შემთხვევაში მწარმოებელი და მომხმარებელი საგადასახადო ტვირთს ინაწილებენ. ჯერ კიდევ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ გადასახადის დაწესების შემდეგაც კი ერთი ბოთლი ღვინის ფასი 10 დოლარი დარჩეს. ამ დროს მომხმარებლის მდგომარეობა არ უარესდება, სამაგიეროდ, გამყიდველს უწევს მთელი საგადასახადო ტვირთის ზიდვა.

საგადასახადო ტვირთის სამართლებრივი განაწილება გულისხმობს გადასახადზე იურიდიულად პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირებას. ვის ამძიმებს რეალურად საგადასახადო ტვირთი? ფასები გადასახადის დაწესების შემდეგ იცვლება. გადასახადზე იურიდიულად პასუხისმგებელი პირის იდენტიფიკაცია გადასახადის რეალური გადამხდელის შესახებ არაფერს გვეუბნება.

საგადასახადო ტვირთის ეკონომიკური განაწილება იმ ცვლილებაზე მიუთითებს, რომელიც ინდივიდის პირად რეალურ შემოსავალში გადასახადის გადახდის გამო მოხდა.

მხოლოდ ადამიანებს შეუძლიათ, გადასახადების სიმძიმე აიტანონ

გადასახადების გადახდა მხოლოდ ადამიანს შეუძლია, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს მათი კლასიფიკაცია განაწილების სტრუქტურის გასაანალიზებლად? კრიტერიუმად ხშირად წარმოებაში მათი როლი გამოიყენება (ანუ რა საწარმოო საშუალებებით უზრუნველყოფენ საწარმოო პროცესს) (საწარმოო საშუალებები ხშირად წარმოების ფაქტორის სახელით მოიხსენიება). როგორ ცვლის საგადასახადო სისტემა შემოსავლის განაწილებას კაპიტალისტებს, მშრომელებსა და მიწის მესაკუთრეთა შორის? ეს შემოსავლის ფუნქციონალური განაწილების სახელითაა ცნობილი.

რაციონალური იქნებოდა, შეგვესწავლა, თუ როგორ ზემოქმედებს გადასახადი ადამიანთა შორის მთლიანი შემოსავლის განაწილებაზე, რასაც შემოსავლის განაწილების მასშტაბი ეწოდება. ინფორმაცია ადამიანთა მიერ კაპიტალიდან, მიწიდან, შრომიდან მიღებული შემოსავლის პროპორციის შესახებ, აგრეთვე ცვლილებანი ფუნქციონალურ განაწილებაში შესაძლოა ინტერპრეტირებული იქნეს, როგორც განაწილების მასშტაბში ცვლილება. მაგალითად, გადასახადი, რომელიც ამცირებს კაპიტალზე უკუგებას, ყველაზე მეტად დააზარალებს ინდივიდს, რომელიც შემოსავლის განაწილების მწვერვალზე იმყოფება, რადგან მდიდარ ადამიანს შემოსავლის შედარებით მაღალი წილი კაპიტალის ფლობიდან აქვს.

გააზრებული უნდა იქნეს როგორც შემოსავლის წყარო, ისე მისი გამოყენების მიმართულებანი.

ჩვენს მიერ აღწერილ ღვინის შემთხვევაში ვასკვნით, რომ გადასახადის განაწილებითი ეფექტი ინდივიდის მიერ შემოსავლის გამოყენების მიმართულებებზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. ღვინის ფასი იზრდება.

ამდენად, იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც ბევრ ღვინოს ყიდულობს, უარესდება. თუ გადასახადის გამო ღვინოზე მოთხოვნა შემცირდება, მაშინ ღვინის საწარმოო ფაქტორებს შემოსავლის დაკარგვის საფრთხე შეექმნება. ამდენად, გადასახადი შემოსავლის წყაროზე ზემოქმედებით ცვლის შემოსავლის განაწილების სტრუქტურას. დავუშვათ, ღარიბი ინდივიდი შემოსავლის დიდ პროპორციას ღვინოზე ხარჯავს, ვენახები კი მდიდართა საკუთრებაშია. შემოსავლის გამოყენების მხრივ, იგი ღარიბიდან მდიდარზე გადანაწილდება, წყაროს მხრივ კი – მდიდრიდან ღარიბზე. გადასახადის ზოგადი განაწილება სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ზეგავლენა ხორციელდება შემოსავლის წყაროსა და მისი მოხმარების მიმართულებებზე.

რეალურად, როდესაც ეკონომისტები საქონელზე დაწესებულ გადასახადს განიხილავენ, შემოსავლის წყაროს ყოველთვის გვერდს უვლიან, ხოლო საწარმოო საშუალებაზე დაწესებული გადასახადის გაანალიზების დროს – შემოსავლის გამოყენების მიმართულებების იგნორირებას ახდენენ. ასეთი პროცედურა მოსახერხებელია მაშინ, როდესაც შემოსავლის გამოყენების მიმართულებებზე საქონელზე გადასახადი ყველაზე სისტემატურად, საწარმოო ფაქტორის გადასახადი კი – შემოსავლის წყაროზე ზემოქმედებს. დაშვება ანალიზს ამარტივებს, თუმცა მისი სისწორე ყოველთვის უნდა შემოწმდეს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ანალიზისათვის გამოყენებული დრო. გადასახადის განაწილება ფასის ცვლილებაზეა დამოკიდებული. ცვლილება კი ყოველთვის დროს მოითხოვს. რეაქცია უფრო მძლავრია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ვიდრე მცირე დროის განმავლობაში. ამდენად, გადასახადების გრძელვადიანი და მოკლევადიანი განაწილება განსხვავებული იქნება. ამიტომ საჭიროა დროის იმ მონაკვეთის განსაზღვრა, რომელიც მოცემულ შეკითხვას შეესაბამება.

გადასახადის განაწილება დამოკიდებულია

საგადასახადო შემოსავლის განკარგვაზე

ბიუჯეტის დაბალანსების მიზნით გადასახადების განაწილება მათ დაწესებას და ამ გადასახადების ამონაგები თანხით სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებას გულისხმობს. ზოგადად, გადასახადის განაწილებითი ეფექტი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხარჯავს მთავრობა ფულს.

საგადასახადო შემოსავალი ხშირად განსაკუთრებული დანახარჯისათვის არც კი არის გამიზნული. ამ დროს საჭიროა განვაზოგადოთ შეკითხვა – როგორ ხარჯავს მთავრობა ფულს.

გარდა ამისა, უნდა გავანალიზოთ, თუ როგორ იცვლება გადასახადის განაწილების სტრუქტურა, როდესაც ერთი გადასახადი მეორეს ენაცვლება, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი უცვლელი რჩება. ეს გადასახადის დიფერენციული განაწილების სახელითაა ცნობილი. დიფერენციული განაწილება გადასახადებში განხორციელებულ ცვლილებებს ასახავს. ამდენად, აუცილებელი ხდება ათვლის წერტილის მოძიება.

გადასახადის აბსოლუტური განაწილება გადასახადის ეფექტს განიხილავს, როდესაც სხვა გადასახადში ან სახელმწიფოს ხარჯებში ცვლილება არ შეინიშნება. გადასახადების აბსოლუტური განაწილებით ყველაზე მეტად მაკროეკონომიკური მოდელები ინტერესდება. მოდელში სტაბილური მიზნის მისაღწევად გადასახადის დონეები იცვლება.

გადასახადის პროგრესიულობა სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ფასდება

დავუშვათ, მკვლევარმა კონკრეტულ გადასახადში ყველა ინდივიდის რეალური წილი გამოითვალა, რაც დანახარჯის ეკონომიკური განაწილებაა. ასეთი მცდელობის პრაქტიკული შედეგი გადასახადის პროპორციულ, პროგრესიულ ან რეგრესიულ გადასახადად კლასიფიკაცია გახლავთ.

განსაზღვრება პროპორციული გულისხმობს „სწორხაზოვანს“; ეს არის მდგომარეობა, როდესაც საშემოსავლო გადასახადის პროპორცია, შემოსავლის დონის მიუხედავად, მუდმივია.

პროგრესიული და რეგრესიული გადასახადის განსაზღვრებანი ბუნდოვანია. სამწუხაროდ, ისინი იმდენად ორაზროვანია, რომ ხშირად საჯარო დებატებში გაურკვევლობა შეაქვს. მათი განმარტება საშუალო საგადასახადო განაკვეთის (შემოსავალზე გადახდილი გადასახადის წილი) კონტექსტშია შესაძლებელი. თუ საშუალო საგადასახადო განაკვეთი შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება, მაშინ გადასახადი პროგრესიულია, ხოლო თუ მცირდება – რეგრესიული.

ცხრილი

საგადასახადო ვალდებულებანი ჰიპოთეტური

საგადასახადო სისტემის პირობებში

<i>შემოსავალი (დოლარი)</i>	<i>საგადასახადო ვალდებულება (დოლარი)</i>	<i>საშუალო საგადასახადო განაკვეთი</i>	<i>ზღვრული საგადასახადო განაკვეთი</i>
2,000	\$ - 200	-0,10	0,2
3,000	0	0	0,2
5,000	400	0,08	0,2
10,000	1400	0,14	0,2
30,000	5400	0,18	0,2

იმის განსაზღვრა, თუ რამდენად პროგრესიულია საგადასახადო სისტემა, უფრო რთულია, ვიდრე თავად პროგრესიულობისა. ბევრი რაციონალური აალტერნატივა არსებობს, რომელთაგან ორს გავაანალიზებთ⁴. პირველის თანახმად, რაც უფრო მეტად იზრდება საშუალო საგადასახადო განაკვეთი

შემოსავლის ზრდასთან ერთად, მით უფრო პროგრესიულია სისტემა. ალგებრულად, დავუშვათ, რომ T_0 და T_1 არის ეკონომიკური საგადასახადო ვალდებულება (იურიდიული ვალდებულებისაგან განსხვავებით) შესაბამისად I_0 და I_1 დონეზე (I_1 აღემატება I_0 -ს). პროგრესიულობის საზომი v_1 არის:

$$v_1 = \frac{\frac{T_1 - T_0}{I_1 - I_0}}{\frac{T_1 - T_0}{I_0 - I_0}} \quad (12.1)$$

მას შემდეგ, რაც გამოითვლება T_1 -სა და T_0 -ს ოდენობა და ჩაისმება 12.1 განტოლებაში, ის საგადასახადო სისტემა, რომელსაც უფრო მაღალი ღირებულება v_1 ექნება, უფრო პროგრესიულად ჩაითვლება.

მეორე ალტერნატივის მიხედვით: ერთი საგადასახადო სისტემა უფრო პროგრესიულია, ვიდრე მეორე, თუ მისი საგადასახადო ამონაგების ელასტიურობა მოგების მიმართ (ანუ საგადასახადო შემოსავლებში პროცენტული ცვლილება, რომელიც გაიყოფა შემოსავლის პროცენტულ ცვლილებაზე) უფრო მაღალია. v_2 შემდეგნაირად გამოითვლება:

$$v_2 = \frac{(T_1 - T_0)}{T_0} \div \frac{(I_1 - I_0)}{I_0} \quad (12.2)$$

საქონლის ერთეულზე დაწესებული გადასახადი

ფიქსირებული გადასახადის განაწილება დამოკიდებულია მოთხოვნისა და მიწოდების ელასტიურობაზე.

როგორც წესი, რაც უფრო ელასტიურია მოთხოვნა, სხვა თანაბარ პირობებში, მით ნაკლებია მომხმარებლის საგადასახადო ტვირთი. ანალოგიურად, რაც უფრო ელასტიურია მიწოდება, სხვა თანაბარ პირობებში, მით ნაკლები საგადასახადო ტვირთი აქვს მწარმოებელს. ელასტიურობა ეკონომიკური აგენტის მიერ

გადასახადის აცილების უნარის უხეში შეფასების საშუალებაა. რაც უფრო ელასტიურია მრუდი, ფასების ზრდის შემთხვევაში მით მარტივია მომხმარებლისათვის სხვა პროდუქტის არჩევა. ამდენად, მიმწოდებელს უფრო დიდი საგადასახადო ტვირთის ზიდვა მოუწევს. არსებობს საწინააღმდეგო შემთხვევაც, როდესაც მომხმარებელი ფასის მიუხედავად პროდუქტის იმავე ოდენობას იძენს. ასეთ დროს მთელი საგადასახადო ტვირთი მომხმარებელზე გადადის.

ადვალური გადასახადი

ეს არის გადასახადი, რომლის განაკვეთი ღირებულების პროპორციულია. საქართველოში ადვალური გადასახადის ფორმას წარმოადგენს აქციზური განაკვეთი ტამბაქოს ნაწარმზე ტამბაქოს ნაწარმის ღირებულების მიხედვით, რაც შეადგენს

გადასახადი წარმოების ფაქტორებზე: ხელფასზე, კაპიტალზე,

საქონლის დაბეგვრა კონკურენციის არარსებობისას

მონოპოლია. კონკურენციის საწინააღმდეგო ფორმაა მონოპოლია. მონოპოლია ერთადერთი გამყიდველის არსებობას გულისხმობს. ამასთან, ყველაზე ხარბი და გაუმამლარი მონოპოლისტიც კი იძულებულია, საკუთარ თავზე აიღოს საგადასახადო ტვირთის ნაწილი. როგორც ადრე, აქაც მომხმარებლის ტვირთის ზუსტი სიდიდე მოთხოვნის ელასტიურობაზეა დამოკიდებული.

ოლიგოპოლია. ორ რადიკალურ წინააღმდეგობას – სრულყოფილ კონკურენციასა და მონოპოლიას – შორის ოლიგოპოლიას აღმოვაჩინთ. ოლიგოპოლია არის ბაზარი „რამდენიმე“ გამყიდველით.

საგადასახადო ტვირთის განაწილება, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია იმაზე, როგორ იცვლება შესაბამისი ფასები გადასახადების შემოღების შემდეგ.

ოლიგოპოლიური ბაზრის მონაწილე ფირმების თვალსაზრისით, იდეალური გარემო სწორედ მაშინ იქმნება, როდესაც ფირმები წარმოებული საქონლის რაოდენობაზე ფარულად შეთანხმდებიან, რის შედეგადაც მთელი სექტორის მოგება მაქსიმალურად იზრდება. წარმოების ასეთი დონე კარტელის გადაწყვეტილების სახელითაა ცნობილი (კარტელი მწარმოებელთაგან შემდგარი ჯგუფია, რომელიც შემოსავლის მაქსიმიზაციის მიზნით კოორდინირებულად მუშაობს. ნავთობის საერთაშორისო კარტელი ჩ-ი ყველაზე ცნობილი მაგალითია). კარტელის გადაწყვეტილება თითოეულ ფირმას აიძულებს, საბაზრო ფასის გაზრდის მიზნით წარმოება შეამციროს. ფირმების წინაშე არსებული პრობლემა კი ისაა, რომ კარტელის გადაწყვეტილების მიღწევა ძალიან რთულია. რატომ? იმიტომ, რომ ფირმის წარმოების მასშტაბის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე თითოეულ ფირმას უჩნდება „თაღლითობის“ სურვილი – მას სურს, ისარგებლოს მაღალი ფასით და დადგენილ კვოტაზე მეტი პროდუქტი აწარმოოს. შედეგად, ოლიგოპოლიურ ბაზარზე საქონლის ოდენობა ყოველთვის მეტია კარტელის გადაწყვეტილების შესაბამისად დაწესებულ წარმოების კვოტაზე. ფირმების მდგომარეობა გაუმჯობესდება, თუ რაიმე მექანიზმი გამოიძებნება, რომლის საშუალებითაც ფირმა წარმოების მასშტაბს შეამცირებს.

რა მოხდება ასეთი საქონლის დაბეგვრის შემთხვევაში? ისევე, როგორც კონკურენციისა და მონოპოლიის შემთხვევაში, ფირმები თავისი საქონლის მოცულობას ამცირებენ. თუმცა, ყველა სხვა საბაზრო სტრუქტურისაგან განსხვავებით, ეს არცთუ ისე ცუდია ოლიგოპოლიური ფირმებისათვის.

მოგების გადასახადი

ფირმა შესაძლოა ეკონომიკური მოგების მიხედვით დაიბეგროს. ეკონომიკური მოგება წარმოებაში გამოყენებული ფაქტორების ალტერნატიული ღირებულების უკუგებაა, რომელსაც ფირმის მფლობელი იღებს (ეკონომიკური მოგება ჩვეულებრივზე მაღალი ან ჭარბი მოგების სახელითაა ცნობილი). მოგების მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული ფირმების შემთხვევაში მოგების გადასახადის განაწილება შეუძლებელია – მისი ტვირთი მხოლოდ ფირმის მფლობელს აწევს.

საგადასახადო ტვირთის განაწილება და კაპიტალიზაცია

მიწის განსაკუთრებული მახასიათებელი ისაა, რომ მისი მიწოდება ფიქსირებულია, ხოლო თავად მიწა ხანგრძლივი გამოყენებისთვისაა გამიზნული. დავუშვათ, წლიური საარენდო გადასახადის განაკვეთი წელს არის $\$R_0$.

ცნობილია, რომ საარენდო გადასახადი მომავალ წელს იქნება $\$R_1$, ორი წლის შემდეგ - $\$R_2$ და ა.შ. რამდენს გადაიხდის ინდივიდი მიწისათვის? მიწის კონკურენტული ბაზრის შემთხვევაში მისი ფასი რენტის მიმდინარე დისკონტირებულ ღირებულებას გაუტოლდება. ამდენად, თუ საპროცენტო განაკვეთი არის r , მაშინ მიწის ფასი (P_r) უდრის:

$$P_r = \$R_0 + \frac{\$R_1}{(1+r)} + \frac{\$R_2}{(1+r)^2} + \dots + \frac{\$R_T}{(1+r)^T} \quad (12.3)$$

სადაც T არის ბოლო წელი (შესაძლო უსასრულობა), როდესაც მიწას შემოსავალი მოაქვს.

ამდენად, გადასახადის დაწესების შედეგად მიწის ღირებულება მომავალში გადასახდელი გადასახადების მიმდინარე ღირებულებით შემცირდა. პროცესი,

რომლის დროსაც გადასახადების ნაკადი აქტივის ფასში ერთვება, კაპიტალიზაციის სახელითაა ცნობილი.

კაპიტალიზაციის გამო პირი, რომელსაც მთელი საგადასახადო ტვირთი აწევს, მიწის გადასახადის დაწესების მომენტში მიწის სამუდამო მეპატრონე ხდება. მომავალი მიწის მფლობელი საგადასახადო ორგანოებში ჩეკს გამოწერს, თუმცა გადასახადები ნამდვილად არ არის „ტვირთი“, რამდენადაც იგი შეძენის დროს გადახდილი მიწის ღირებულებითაა დაბალანსებული. კაპიტალიზაცია გადასახადის განაწილების შეფასებას ართულებს, როდესაც ეს გადასახადი ხანგრძლივი მოხმარების საქონელზეა დარიცხული, რომლის მიწოდებაც ფიქსირებულია. მიწის ამჟამინდელ მესაკუთრეთა იდენტიფიცირება ამ მიზნისათვის არ კმარა – საჭიროა ვიცოდეთ, თუ ვინ იყო მიწის მესაკუთრე გადასახადის დაწესების მომენტში.

ზოგადი წონასწორობის მოდელები

ნაწილობრივი წონასწორობის მიმზიდველობა მის სიმარტივეშია – შედარებით მცირე დროში მხოლოდ ერთი ბაზრით სარგებლობა ხდება. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა ბაზრის იგნორირების შედეგად, შესაძლოა გადასახადის ეფექტის არასრული სურათი მივიღოთ. დავუშვათ, რომ სიგარეტზე გადასახადის განაკვეთი გაიზარდა. სიგარეტზე მოთხოვნის შემცირების პროპორციულად შემცირდება თამბაქოზე მოთხოვნა. ფერმერი, რომელსაც თამბაქო თავის ფერმაში მოჰყავდა, სხვა კულტურის (მაგალითად, ბამბის) წარმოებაზე გადაერთვება. ბამბის მიწოდების ზრდასთან ერთად მცირდება მისი ფასი, რაც ზიანს მიაყენებს იმ ინდივიდებს, რომლებიც უკვე დიდი ხანია აწარმოებენ ბამბას. ამდენად, გამოდის, რომ ბამბის მწარმოებელი იძულებული იქნება, სიგარეტზე დაწესებული გადასახადის ტვირთი გაინაწილოს.

თუ იბეგრება სექტორი, რომელიც მთელი ეკონომიკის ფონზე „ვრცელია“, მაშინ განსაზღვრულ ბაზარზე დაკვირვება აღარ იქნება საკმარისი. ზოგადი წონასწორობის ანალიზი იმ გზებს განიხილავს, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა ბაზრები ურთიერთქმედებენ.

ნაწილობრივი წონასწორობის მეორე პრობლემა კი ისაა, რომ დაბეგრული პროდუქტის „მწარმოებლის“ სრულყოფილი იდენტიფიცირება არ ხდება. იფიქრეთ კვლავ სიგარეტის გადასახადზე და გაიხსენეთ ზოგიერთი პოლიტიკოსის სურვილი, ეს გადასახადი თამბაქოს მწარმოებელთა დასასჯელად გამოიყენოს. გაიხსენეთ ისიც, რომ მხოლოდ ადამიანს ძალუმს, გადაიხადოს გადასახადი. თამბაქოს მწარმოებლებს კი ძალიან ხშირად მიეკუთვნებიან აქციონერები, რომლებიც აფინანსებენ აღჭურვილობას, ფერმერები, რომლებიც ფლობენ მიწას და ამ მიწაზე მოჰყავთ თამბაქო, ქარხნის მუშები და ა.შ. საგადასახადო ტვირთის განაწილება ამ ჯგუფებს შორის ხშირად ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგადი წონასწორობის ანალიზი კი აღნიშნული საკითხის შესწავლის კარგ საშუალებას იძლევა.

სანამ ზოგადი წონასწორობის ანალიზს დავიწყებდეთ, კიდევ ერთხელ გაიხსენეთ ნაწილობრივი წონასწორობის ნაკლოვანებანი: ფასების შესაბამისი კორექციის გამო, გადასახადის სამართლებრივი განაწილება არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რეალურად ვის აწევს საგადასახადო ტვირთი.

საგადასახადო წონასწორობა

ავიღოთ ორი პროდუქტი: სურსათი (F) და სამრეწველო საქონელი (M), აგრეთვე ორი ფაქტორი: კაპიტალი (K) და შრომითი რესურსი (L). ასეთი მოდელისათვის არსებობს შესაძლო ღირებულების ცხრა გადასახადი:

$$t_{KF} = \frac{\text{სურსათის საწარმოებლად გამოყენებული კაპიტალის გადასახადი}}{\text{სურსათის საწარმოებლად გამოყენებული კაპიტალის გადასახადი}}$$

t_{KM}	=	ფაბრიკატების საწარმოებლად გამოყენებული კაპიტალის გადასახადი
t_{LF}	=	სურსათის საწარმოებლად გამოყენებული შრომითი რესურსების გადასახადი
t_{LM}	=	ფაბრიკატების საწარმოებლად გამოყენებული შრომითი რესურსების გადასახადი
t_F	=	სურსათის მომხმარებლის გადასახადი
t_M	=	ფაბრიკატების მომხმარებლის გადასახადი
t_K	=	ორივე სექტორში კაპიტალის გადასახადი
t_L	=	ორივე სექტორში სრომითი რესურსის გადასახადი
t	=	ძირითადი სასემოსავლო გადასახადი

პირველი ოთხი გადასახადი, რომლებიც ფაქტორებზეა დაწესებული, მისი ნაწილობრივი გამოყენების გამო ფაქტორის ნაწილობრივი გადასახადის სახელითაა ცნობილი.

ჰარბერგერის მოდელი

ჰარბერგერი იყო პირველი, ვინც საგადასახადო ეფექტის მიმართ ზოგადი წონასწორობის მოდელი გამოიყენა. მისი მოდელის პრინციპული დაშვებები ასეთია:

1. ტექნოლოგია. ფირმა, რომელიც ნებისმიერ სექტორში მუშაობს, საქონლის საწარმოებლად კაპიტალსა და შრომით რესურსს იყენებს. თითოეულ სექტორში ორივე საწარმოო საშუალების ერთდროული გაორმაგება წარმოების გაორმაგებას იწვევს (მუდმივი უკუგება წარმოების მასშტაბზე). თუმცა საწარმოო ტექნოლოგიები სექტორების მიხედვით განსხვავებულია. ზოგადად, საწარმოო ტექნოლოგიები განსხვავდება იმით, თუ რამდენად ადვილად შეიძლება

შრომითი რესურსის კაპიტალით ჩანაცვლება (შენაცვლების ელასტიურობა), აგრეთვე, რამდენად განსხვავებულია კაპიტალისა და შრომითი რესურსის თანაფარდობა. მაგალითად, კაპიტალი-შრომითი რესურსის შეფარდების კოეფიციენტი სურსათის წარმოების დროს ორჯერ აღემატება საფეიქრო მრეწველობის ანალოგიურ მაჩვენებელს. სექტორი, სადაც კაპიტალი-შრომითი რესურსის შეფარდების კოეფიციენტი შედარებით მაღალია, ხასიათდება, როგორც კაპიტალტევადი, სხვა დანარჩენი კი – როგორც შრომატევადი.

2. ფაქტორთა მიმწოდებლის ქცევა. კაპიტალისა და შრომითი რესურსის მიმწოდებელი ზრდის უკუგებას. უფრო მეტიც, კაპიტალი და შრომითი რესურსი მობილურობით ხასიათდება – ორივე მათგანს სექტორთა შორის მესაკუთრის სურვილისამებრ, თავისუფლად გადანაცვლება შეუძლია. შედეგად კი, კაპიტალის წმინდა ზღვრული უკუგება, ისევე, როგორც შრომითი რესურსის წმინდა ზღვრული უკუგება თანაბარი უნდა იყოს სექტორების მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან მარტივია კაპიტალისა და შრომითი რესურსის ისე განაწილება, რომ წმინდა მთლიანი ამონაგები გაიზარდოს.

3. საბაზრო სტრუქტურა. ფირმები კონკურენტულნი არიან. ისინი მუდმივად მოგების მაქსიმიზაციას ცდილობენ. ფასები (ხელფასების ჩათვლით) აბსოლუტურად მოქნილია. ამდენად, ფაქტორები გამოყენებულია. თითოეული საწარმოო ფაქტორისათვის გადახდილი უკუგება უტოლდება ზღვრული პროდუქტის ღირებულებას – ფირმის საქონლის ღირებულებას, რომელიც საწარმოო საშუალების უკანასკნელი ერთეულითაა წარმოებული.

4. ფაქტორთა მთლიანი მოწოდება. ეკონომიკაში კაპიტალისა და შრომითი რესურსის მთლიანი ოდენობა ფიქსირებულია. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ორივე ფაქტორს სექტორთა შორის გადაადგილება თავისუფლად შეუძლია.

5. მომხმარებლის პრეფერენციები. ყველა მომხმარებლის პრეფერენცია იდენტურია. ამდენად, გადასახადს არ შეუძლია განაწილებითი ეფექტი

მოახდინოს შემოსავლის გამოყენების მიმართულებებზე ზემოქმედებით. ეს დაშვება საშუალებას გვაძლევს, კონცენტრაცია მოვახდინოთ იმ ზემოქმედებაზე, რომელსაც გადასახადი შემოსავლის წყაროზე ახდენს.

6. გადასახადების განაწილების სქემა. ანალიზის საფუძველი გადასახადის დიფერენცირებული განაწილებაა. უკვე განვიხილეთ, თუ როგორ ხდება ერთი გადასახადის მეორით ჩანაცვლება. ამდენად, გადასახადის გადახდამდე და მისი გადახდის შემდეგ შემოსავლის დაახლოებით თანაბარი ოდენობები არსებობს. ამრიგად, არ არის აუცილებელი, გავანალიზოთ, თუ როგორ ცვლის აგრეგირებულ შემოსავალში განხორციელებული ცვლილება მოთხოვნას და ფაქტორის ფასს.

სხვადასხვა ტიპის გადასახადების ანალიზი

გადასახადი საქონელზე (t_F). სურსათის დაბეგვრისთანავე მისი ფასი იზრდება (თუმცა არა აუცილებლად გადასახადის ოდენობით). სწორედ ამიტომ მომხმარებელი სურსათს სამრეწველო საქონლით ანაცვლებს. შედეგად, ნაკლები სურსათი და მეტი სამრეწველო საქონელი იწარმოება. სურსათის წარმოების დაცემასთან ერთად, ამ სექტორში გამოყენებული კაპიტალისა და შრომითი რესურსის გარკვეული ნაწილი იძულებულია, სამრეწველო საქონლის წარმოების სექტორში გადაინაცვლოს. ამ ორ სექტორში კაპიტალი-შრომითი რესურსის შეფარდების კოეფიციენტი განსხვავებულია. კაპიტალისა და შრომითი რესურსის შედარებითი ფასი, რაკი სამრეწველო საქონლის წარმოებაში გადადის, უნდა შეიცვალოს, რათა სასურსათო პროდუქციიდან გამოთავისუფლებული ფაქტორების სამრეწველო საქონლის წარმოების მიერ ათვისება მოხდეს. დავუშვათ, რომ სასურსათო სექტორი კაპიტალტევადია (აშშ-ის სოფლის მეურნეობა მართლაც უფრო მეტ მანქანა-დანადგარს – ტრაქტორს, კომბაინსა და ა.შ. – იყენებს, ვიდრე წარმოების სხვა ტიპები). ამდენად, წარმოებაში

გამოთავისუფლებული საწარმოო მანქანა-დანადგარების დიდი ნაწილის ათვისება იქნება საჭირო. ერთადერთი შესაძლებლობა იმისათვის, რომ ამ კაპიტალმა საწარმოო სექტორში დაიმკვიდროს ადგილი, კაპიტალის ფასის შემცირებაა (წარმოების სექტორში უკვე ექსპლუატირებული კაპიტალის ჩათვლით). მიიღწევა ახალი წონასწორობა, სადაც ყველა ტიპის კაპიტალის მდგომარეობა უარესდება (და არა მხოლოდ სასურსათო წარმოების კაპიტალისა). უფრო ზოგადად, გადასახადი საქონელზე, რომელიც რომელიმე სექტორშია წარმოებული, ამ სექტორში ინტენსიურად გამოყენებული წარმოების საშუალების შედარებით ფასს ამცირებს.

გარდა ასეთი რაოდენობრივი დასკვნებისა, დამატებითი ინფორმაციაც გვესაჭიროება. რაც უფრო ელასტიურია მოთხოვნა სურსათზე, მით უფრო დრამატული იქნება სურსათის მოხმარებიდან სამრეწველო საქონლის მოხმარებაზე გადასვლა. ეს კი საბოლოოდ კაპიტალის უკუგებას მნიშვნელოვნად შეამცირებს. რაც უფრო დიდია სასურსათო და სამრეწველო სექტორებში დასაქმებული ფაქტორების შეფარდება, მით მეტად შემცირდება სასურსათო წარმოებიდან გამოთავისუფლებული კაპიტალის ღირებულება, რომელსაც სამრეწველო სექტორში სურს ადგილის დამკვიდრება (კაპიტალი-შრომითი რესურსის თანასწორობის შემთხვევაში, ორივე სექტორის მიხედვით, არც ერთი ფაქტორის მდგომარეობა არ გაუარესდებოდა მეორესთან შედარებით). საბოლოოდ, რაც უფრო რთულია შრომითი რესურსის ჩანაცვლება კაპიტალით სამრეწველო სექტორში, მით უფრო შემცირდება კაპიტალის უკუგების განაკვეთი.

ამდენად, ბიუჯეტის შემოსავლის მხარეს თუ გადავხედავთ, შევნიშნავთ, რომ სურსათის დაბეგვრის შედეგად ყველაზე მეტად ინდივიდი ზარალდება, რომელიც შემოსავლის დიდ ნაწილს კაპიტალიდან იღებს. რადგან ყველა ინდივიდი იდენტურია (მეხუთე დაშვება), მოხმარების მიმართულებების ანალიზში საინტერესო არაფერია. თუმცა თუ ამ დაშვებას გავაუქმებთ, მაშინ

დავინახავთ, რომ ინდივიდი, რომელიც სურსათის მნიშვნელოვან ნაწილს მოიხმარდა, იძულებულია, საკმაოდ მძიმე საგადასახადო ტვირთი ატაროს. ამდენად, სურსათზე გადასახადის ეფექტი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვისთვის იყო იგი შემოსავლის წყარო და ვისთვის – მოხმარების ძირითადი საქონელი. მაგალითად, კაპიტალისტი, რომელიც ბევრ სურსათს მოიხმარს, ორმაგად ზარალდება. მეორე მხრივ, მუშის მდგომარეობა, რომელიც დიდი ოდენობის სურსათს მოიხმარს, უმჯობესდება შემოსავლის წყაროს თვალსაზრისით, მაგრამ საქონლის მოხმარების თვალსაზრისით უარესდება.

საშემოსავლო გადასახადი (t). საშემოსავლო გადასახადი ანალოგიური განაკვეთის მქონე კაპიტალისა და შრომითი რესურსის გადასახადის ეკვივალენტურია. ვინაიდან ფაქტორთა მიწოდება ფიქსირებულია (მეოთხე დაშვება), აღნიშნული გადასახადის გადანაწილება შეუძლებელია. იგი ინდივიდის თავდაპირველ შემოსავალზე წესდება. შედეგი ნაწილობრივი წონასწორობის მოდელის ანალოგიური შემთხვევის შედეგს წააგავს: ფაქტორები გადასახადისაგან ვერ „დაიძვრნენ თავს“ (არ მიიღებენ მონაწილეობას წარმოებაში). ამიტომ ისინი მთელ საგადასახადო ტვირთს ატარებენ.

შრომითი რესურსის ძირითადი გადასახადი (t_L). შრომითი რესურსის ძირითადი გადასახადი არის გადასახადი შრომითი რესურსის ნებისმიერ გამოყენებაზე, როგორც სასურსათო, ისე სამრეწველო სექტორში. შედეგად კი შრომითი რესურსის ერთი სექტორიდან მეორე სექტორში გადანაცვლების სტიმული არ არსებობს. ფიქსირებული ფაქტორის მიწოდების შესახებ დაშვება იმაზე მიუთითებს, რომ შრომითმა რესურმამ მთელი საგადასახადო ტვირთი უნდა ატაროს.

ფაქტორის ნაწილობრივი გადასახადი (t_{KM}). როდესაც მხოლოდ სამრეწველო სექტორში გამოყენებული კაპიტალი იბეგრება, ორი თავდაპირველი ეფექტი იკვეთება:

1. წარმოების ეფექტი. ფასი სამრეწველო საქონელზე იზრდება, რის შედეგადაც მოთხოვნა მცირდება.
2. ფაქტორის შენაცვლების ეფექტი. კაპიტალი საწარმოო სფეროში ძვირდება, ამდენად, მწარმოებელი ნაკლებ კაპიტალს და მეტ შრომით რესურსს იყენებს.

ლაფერის მრუდი.

ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება ცდილობს მოძებნოს გადასახადების განაკვეთის ის ოპტიმალური დონე, როდესაც გადასახადების სიდიდე აღწევს მაქსიმუმს. გადასახადების განაკვეთის ზრდის შემთხვევაში დასაწყისში სახელმწიფოს მიერ ამოღებული გადასახადების აბსოლუტური სიდიდე იზრდება, თუმცა გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ განაკვეთის ზრდა იწვევს გადასახადების არა ზრდას, არამედ შემცირებას. თავის მხრივ, ბიზნესი კარგავს სტიმულს, გააფართოვოს ან ძველ დონეზე შეინარჩუნოს მისი მასშტაბები, ადგილი აქვს წარმოების ჯერ ზრდის ტემპის, ხოლო შემდეგ უკვე აბსოლუტური მასშტაბების შემცირებას. ბიზნესი ვარდება თავისებურ საგადასახადო ხაფანგში. ამგვარ დამოკიდებულებას მისი აღმომჩენის სახელწოდებით ეწოდება *ლაფერის მრუდი*.

ლაფერის მრუდი არის საგადასახადო შემოსავლებსა და საგადასახადო განაკვეთებს შორის გრაფიკული გამოსახულება. მრუდის კონცეფცია გულისხმობს დაბეგვრის ოპტიმალურ დონეს, როდესაც საგადასახადო შემოსავლები მაქსიმუმს აღწევს.

გადასახადების განაკვეთის ზრდის შემთხვევაში იზრდება გადასახადების აბსოლუტური სიდიდე, თუმცა გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ განაკვეთის ზრდა იწვევს გადასახადების არა ზრდას, არამედ შემცირებას.

მაღალი გადასახადები ამცირებენ საგადასახადო ბაზას და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს.

არტურ ლაფერი (*Arthur Betz Laffer*; დ. 1940 წ.) - ამერიკელი ეკონომისტი, ეკონომიკაში მიწოდების თეორიის («supply-side economics») ერთერთი ფუძემდებელი, პრეზიდენტ რონალდ რეიგანის (1981-1989წწ.) ეკონომიკური მრჩეველი.

ასეთი მდგომარეობის დადგომისას ბიზნესს უჩნდება ლეგალური სფეროდან გასვლისა და ჩრდილოვან ეკონომიკაში თავის შეფარების ცდუნება. ამ უკანასკნელისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის არა მარტო მაღალი საგადასახადო განაკვეთები, არამედ სუბსიდირების სისტემის არსებობა ამა თუ იმ ეკონომიკურ საქმიანობაზეც.

1995 წლამდე, საქართველოში ფასების სრულ ლიბერალიზაციამდე, მოქმედებდა სახელმწიფოებრივი სუბსიდირების სისტემა პურზე - მოსახლეობა თვითღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად შეიძენდა პურს, სარეალიზაციო ფასსა და თვითღირებულებას შორის სხვაობა იფარებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. რაც უფრო მეტი პურის რეალიზაციას მოახდენდა საწარმო (პურის ქარხანა, ფურნე და ა.შ.), მით უფრო დიდი იყო მისი სუბსიდირების მასშტაბები. ფასწარმოქმნის ამ სისტემის პირობებში თბილისში დღე-ღამეში ოფიციალურად ცხვებოდა დაახლოებით 500 ტონა პური.

ფასების სრული ლიბერალიზაციისა და აღნიშნული სახის ეკონომიკური საქმიანობის საგადასახადო რეჟიმში მოქცევის კვალობაზე თბილისში პურის ცხოვის ოფიციალურმა მოცულობამ დღე-ღამეში მხოლოდ... 200 ტონა(!) შეადგინა. ახსნა მარტივია - პირველ შემთხვევაში (სუბსიდირებისას) მეწარმეები ცდილობდნენ ეჩვენებინათ რაც შეიძლება მეტის წარმოება, რადგან ეს ზრდიდა მათ შემოსავლებს, მეორე შემთხვევაში კი პირიქით - რადგანაც წარმოება მოექცა დაბეგვრის რეჟიმში, მეწარმეები "იძულებული გახდნენ" დიამეტრულად შეეცვალათ თავიანთი ქცევის მოდელი და აბსოლუტურად განსხვავებით ემოქმედათ.

საქართველოში მოქმედი საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები

საქართველოში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებია ის გადასახადები, რომელთა გადახდა სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ადგილობრივი გადასახადებია საგადასახადო კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების ნორმატიული აქტებით შემოღებული გადასახადები (ზღვრული განაკვეთების ფარგლებში), რომელთა გადახდა სავალდებულოა შესაბამისი სუბიექტების ტერიტორიაზე.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება:
საშემოსავლო გადასახადი;

მოგების გადასახადი;

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ);

აქციზი;

საბაჟო გადასახადი.

ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება:

ქონების გადასახადი.

საშემოსავლო გადასახადი

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი

რეზიდენტი ფიზიკური პირი;

არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

დაბეგვრის ობიექტი რეზიდენტი ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

საქართველოში არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით საქმიანობის განმახორციელებელი არარეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებულ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

არარეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის მის მუდმივ დაწესებულებასთან, იბეგრება ამ კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე, გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს ქონების რეალიზაციით, წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც მცირდება ამ პერიოდისათვის ასეთი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებით.

ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება:

- ა) რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
- ბ) ამ კოდექსის მე-12 მუხლის მე-13 ნაწილში აღნიშნული აქტივებით მიღებული შემოსავლები; (25.05.2006. N3138)
- გ) ამ კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ან „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;
- დ) სხვა ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

გადასახადის განაკვეთი

ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 15%-ით

გადასახადისაგან განთავისუფლება

საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

- ა) არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები;
- ბ) ფიზიკური პირის მიერ მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან მიღებული პენსია განხორციელებული შენატანების ოდენობით, სახელმწიფო სტიპენდია, სახელმწიფო ბიუჯეტში ან ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივ ბიუჯეტებში გათვალისწინებული ასიგნებებით გამოყოფილი დახმარება ან ერთჯერადი განაცემი (მათ შორის, ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენების და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები); (23.12.2005. N2467)

გ) ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენების და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები;

დ) ალიმენტი;

ე) განქორწინების საფუძველზე ფიზიკური პირის მიერ მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი);

ვ) ფიზიკური პირის მიერ: (26.12.2008 N 871. ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან)

ვ.ა) 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციით მიღებული ნამეტი. აღნიშნული 2-წლიანი ვადა აითვლება საქართველოს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი (წარსადგენი) საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღის მიხედვით, ხოლო „რეალიზაციით მიღებული ნამეტი“ იანგარიშება, როგორც სხვაობა საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციის ფასსა და მასზე საკუთრების უფლების წარმოშობისას მისი შექმნის ფასს შორის, გარდა საკუთრების უფლების უსასყიდლოდ მიღებისა (სახელმწიფო პრივატიზებისას, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებისას ან სხვა შემთხვევებში), როდესაც ნამეტი იანგარიშება, როგორც სხვაობა უსასყიდლოდ მიღებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციის ფასსა და მიღების მომენტში მის საბაზრო ფასს შორის;

ვ.ბ) საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ვ.გ) 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი, გარდა ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული აქტივებისა ან/და ამ ქვეპუნქტის „ვ.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული 2-წლიანი ვადა უძრავი ქონების რეალიზაციის შემთხვევაში აითვლება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის

მიზნით წარდგენილი (წარსადგენი) საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღის მიხედვით, ხოლო „რეალიზაციით მიღებული ნამეტი“ იანგარიშება, როგორც სხვაობა ქონების რეალიზაციის ფასსა და მასზე საკუთრების უფლების წარმოშობისას მისი შეძენის ფასს შორის, გარდა საკუთრების უფლების უსასყიდლოდ მიღებისა (სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას, ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებისას ან სხვა შემთხვევებში), როდესაც ნამეტი იანგარიშება, როგორც სხვაობა უსასყიდლოდ მიღებული ქონების რეალიზაციის ფასსა და მიღების მომენტში მის საბაზრო ფასს შორის;

ვ1) საწარმოს ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების გზით ამ საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირზე წილის სანაცვლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით მიღებული ნამეტი, თუ საწარმოს წილზე ფიზიკური პირის საკუთრების უფლების წარმოშობიდან გასულია 2 წელზე მეტი. ამ შემთხვევაში საკუთრების 2-წლიანი ვადა იანგარიშება ფიზიკური პირის მიერ ამ საწარმოში შესაბამისი წილის შეძენის დღიდან, ხოლო წილის სხვადასხვა დროს შეძენის შემთხვევაში 2-წლიანი ვადა იანგარიშება შესაბამისი წილის შეძენის თარიღიდან; (26.12.2008 N 871. ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან)

ზ) საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

თ) საგადასახადო წლის განმავლობაში ფიზიკური პირისაგან 1000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება;

ი) საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება; (25.05. 2006. N3138)

კ) ფიზიკური პირისათვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხა;

ლ) იმ მეწარმე ფიზიკურ პირთა შემოსავალი, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ახორციელებენ მხოლოდ „ეკონომიკური

საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის“ (NACE) შესაბამისად განსაზღვრული ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური საქმიანობიდან ერთ-ერთს:

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის გადამხდელი

- საქართველოს საწარმო;

- უცხოური საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან;

- უცხოური პირი, რომელიც არ არის ფიზიკური პირი, ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში და არ დაასაბუთებს თავის თანამფლობელობას საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის მიხედვით;

- არარეზიდენტი იურიდიული პირები, რომელთა შემოსავლები საქართველოში არ მიეკუთვნება მათ მუდმივ დაწესებულებას;

საგადასახადო განაკვეთი

განაკვეთი დასაბეგრი მოგების მიმართ:

2008 წლის პირველი იანვრის შემდგომ პერიოდებზე 15%

არარეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოს წყაროდან მიღებულ შემოსავლებზე, მ.შ:

-რისკის დაზღვევის და გადაზღვევის საფუძველზე, საერთაშორისო კავშირგაბმულობის ტელესაკომუნიკაციო და საერთაშორისო გადაზიდვების

სატრანსპორტო მომსახურებისათვის მიღებული თანხებზე, ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებულ შემოსავლებზე და საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განხორციელებისას არარეზიდენტი ქვეკონტრაქტორების შემოსავლებზე 4%.

დივიდენდებზე, პროცენტებზე და სხვა შემოსავლებზე 10%.

დეკლარაციის წარდგენის ვადა

საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე

სურვილით გადაანგარიშების მიზნით საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე (გარდა დივიდენდებისა და პროცენტების მიმღები პირებისა)

გადასახადის გადახდის ვადა

საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე. მიმდინარე გადასახდელების: საანგარიშო წლის 15 მაისი, 15 ივლისი, 15 სექტემბერი, 15 დეკემბერი. შენიშვნა: 2008 წლის მიმდინარე გადასახდელები იანგარიშება 2007 წლის დასაბეგრი მოგების 15%-დან

შემოსავლის მიღების თარიღი (უკავდება გადახდის წყაროსთან)

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გადასახადის გადამხდელია

პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად;

არარეზიდენტი, რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და მუდმივი დაწესებულების გარეშე, დღგ-ის

გადამხდელად ითვლება ამ მომსახურებაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას სსკ-ს 241-ე მუხლის შესაბამისად;

პირი, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი, მაგრამ ახორციელებს საქონლის დასაბეგრ იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, დღგ-ის გადამხდელად ითვლება მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე.

სავალდებულო რეგისტრაცია ეკუთვნის

პირს, რომელიც:

- ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს;

- ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს აქციზური საქონლის წარმოებას ან/და იმპორტს (გარდა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილების იმპორტისა ან/და მიწოდებისა),

- ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ერთჯერადი ოპერაციის შედეგად ან/და ერთ დღეში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა აღემატება 100 000 ლარს

დღგ-ს განაკვეთები

დღგ-ის განაკვეთი შეადგენს დასაბეგრი ბრუნვის ან დასაბეგრი იმპორტის თანხის 18 პროცენტს.

დეკლარაციის წარდგენის ვადა

ყოველ საანგარიშო პერიოდზე არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა

გადასახადის გადახდის ბოლო თარიღი

ყოველ საანგარიშო პერიოდზე არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა

აქციზის გადასახადი

გადამხდელი

აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც:

აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში – თავის მიერ წარმოებულ საქონელზე (მათ შორის დამკვეთის ნედლეულით წარმოებულზე);

ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის მიწოდებას ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის – ასეთ მიწოდებაზე

ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში – თავის მიერ განხორციელებულ იმპორტზე;

ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს – თავის მიერ განხორციელებულ ექსპორტზე;*

დაბეგვრის ობიექტი

დასაბეგრი ოპერაცია:

ა) მწარმოებლის მიერ საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდება ან/და საწარმოს საწყობიდან სარეალიზაციოდ გატანა;

ბ) მწარმოებლის მიერ დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის გადაცემა დამკვეთისათვის;

გ) საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის გამოყენება არააქციზური საქონლის წარმოებისათვის;

ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის მიწოდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის;

საქართველოში აქციზური საქონლის იმპორტი;

დროებით შემოტანილი საქონელი;

აქციზური საქონლის ექსპორტი.

აქციზური საქონლის სახეობები

- 1) სპირტი და ალკოჰოლური სასმელები, ლუდი;
- 2) თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა) - ექვემდებარება აქციზური მარკებით ნიშანდებს;
- 3) მსუბუქი ავტომობილების იმპორტი;
- 4) ბუნებრივი აიროვანი კონდენსატი და ბუნებრივი აირი გარდა მილსადენისა;
- 5) ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მიღებული ბიტუმოვანი ქანებისაგან, ნედლის გარდა;
- 6) ზეთები და ქვანახშირის ფისებისაგან მაღალ ტემპერატურაზე გამოხდილი პროდუქტები;
- 7) ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები;
- 8) პიროლიზის თხევადი პროდუქტი;
- 9) მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი;
- 10) საპოხი მასალები და საშუალებები;

შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართი

ანგარიშგება

დეკლარაციის წარდგენა ხდება საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისთვის

გადახდის ვადა

აქციზი გადახდას ექვემდებარება დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისთვის;

აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული საქონლის შემთხვევაში - აქციზური მარკების შეძენისას

საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ყოველი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე – აქციზის თანხის 3%, ხოლო ბოლო გადახდა – საბაჟო რეჟიმის დასრულების დღეს;

ექსპორტისას

შენიშვნა

თამბაქოს ნაწარმი, აგრეთვე 50 გრამიდან 10 ლიტრამდე მოცულობის ჭურჭელში ჩამოსხმული ალკოჰოლური სასმელები, მ.შ ლუდი, ექვემდებარება აქციზური მარკებით ნიშანდებას

*შენიშვნა: აქციზის გადამხდელის მიერ აქციზური საქონლის ექსპორტი, შავი ან ფერადი ლითონების ჯართის გარდა, იბეგრება აქციზის ნულოვანი განაკვეთით ფიზიკური პირის მიერ საკუთრი მოხმარებისათვის წარმოებული ალკოჰოლური სასმელები, აგრეთვე 2 ლიტრი ალკოჰოლური სასმელისა და 200 სიგარეტის იმპორტი თავისუფლდება აქციზისაგან

იმპორტის გადასახადი

გადასახადის გადამხდელი

იმპორტის გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს.

დაბეგვრის ობიექტი

იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია იმ საქონლის საბაჟო ღირებულება, რომელიც გადაკვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი

დაბეგვრის განაკვეთი

იმპორტის გადასახადის 12%-იანი განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის საბაჟო ღირებულება

გადასახადის დარიცხვისა და გადახდის წესი

იმპორტის გადასახადის დარიცხვა ხდება საქონლის საბაჟო ღირებულების მიხედვით (გარდა ამ კოდექსის 273 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ხოლო გადახდა – საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას საბაჟო ორგანოების მიერ საქონლის საბაჟო დამუშავების ოპერაციის განხორციელებამდე სხვა საბაჟო გადასახდელებთან ერთად.

2. საბაჟო გადასახადის გადახდის საფუძველია საბაჟო დეკლარაცია.

გადასახადისაგან გათავისუფლება

იმპორტის გადასახადისგან თავისუფლება

ქონების გადასახადი

დასაბეგრი ქონება

საწარმოს (მ.შ. ინდმეწარმის) ქონება (გარდა მიწისა)

მიწა

ანგარიშგების ფორმა და ანგარიშგების წარდგენის ვადა

დეკლარაცია,

1 აპრილამდე

დეკლარაცია,

1 აპრილამდე

გადასახადის ოდენობას განსაზღვრავს

გადამხდელი

საგადასახადო ორგანო

საგადასახადო მოთხოვნის წარდგენის ვადა 1 ივლისამდე

გადახდის ვადა

საანგარიშო წლის 15 ივნისამდე - (საავანსო); მომდევნო წლის 1 აპრილამდე-
(დაზუსტებული)

15 ნოემბრამდე

ინფორმაციები მიიღება:

-თვითმმართველობიდან და საჯარო რეესტრიდან (მიწაზე) 01.04-მდე

- შსს-დან (ავტომობილის შესახებ) 01.06-მდე

- საჰაერო და საზღვაო ადმინისტრაციებიდან 01.04-მდე

თემა 8. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება

სახელმწიფო ვალის სიდიდის განსაზღვრა

ვალის სიმძიმე და დაფარვის წყაროები

- თაობათაშორისი თანასწორობა
- ეფექტიანობა
- მაკროეკონომიკური მოსაზრებანი

მორალური და პოლიტიკური ასპექტები

რამდენად დიდია ვალი?

თავდაპირველად უპრიანი იქნება, კარგად ჩავუკვირდეთ რამდენიმე დეფინიციას. დეფიციტი არის პერიოდის განმავლობაში დანახარჯების სიჭარბე შემოსავლებზე; თუ შემოსავალი აღემატება დანახარჯს, წარმოიქმნება პროფიციტი. სახელმწიფო ვალის შესაფასებლად აუცილებელია ყველა შემოსავლისა და ხარჯის გათვალისწინება. ამდენად, მთლიანი დეფიციტის ან პროფიციტის გამოსათვლელად აუცილებელია, საბიუჯეტო დეფიციტს (ან პროფიციტს) (რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ბიუჯეტით გათვალისწინებულ საქმიანობასთან) მივუმატოთ არასაბიუჯეტო დეფიციტი (ან პროფიციტი) (რომელიც დაკავშირებულია ბიუჯეტით გაუთვალისწინებელ, ანუ არასაბიუჯეტო საქმიანობასთან).

ახლა კი კარგი იქნება, თუ გავიაზრებთ, თუ რა განსხვავებაა დეფიციტსა და ვალს შორის. მიმდინარე პერიოდის ვალი წარმოადგენს წარსულში არსებული თითოეული საბიუჯეტო დეფიციტის ჯამს, ანუ ვალი არის წარსულში გაწეული ხარჯის კუმულაციური სიჭარბე შემოსავლებზე. გამოდის, რომ დეფიციტურ წელიწადს ვალი იზრდება, ხოლო პროფიციტულ წელიწადს კი კლებულობს.

ეკონომისტების ენაზე, ვალი „ცვლადი კაპიტალია“ (რომელიც დროში იზომება), ხოლო პროფიციტი და დეფიციტი კი „ცვლადი ნაკადებია“ (რომელიც პერიოდის მიხედვით იზომება).

აშშ ფედერალური სახელმწიფო დეფიციტი, 1970-2020

ფისკალური წელიწადი	მთლიანი დეფიციტი (-) ან მპროფიციტი, მლრდ. აშშ დოლარი	მთლიანი დეფიციტი (-) ან მპროფიციტისპროცენტული შეფარდება მშპ-სთან
1970	-2.8	0.3
1980	-73.8	-2.9
1990	-221.4	-4.0
2000	236.4	2.4
2005	-318.3	-2.5
2010	-1294.4	-8.7
2015	-442.0	-2.4
2020	-1083.4	-4.9

ფედერალური სახელმწიფო ვალი 1970-2020 წლებში

ფისკალური წელიწადი	სახელმწიფო ვალი (მლრდ. აშშ დოლარი)	სახელმწიფო ვალის პროცენტული შეფარდება მშპ-სთან
1970	283	29.4
1980	709	27.8
1990	2410	44.6
2000	3450	33.9

2005	4600	35.7
2010	9000	61.0
2015	13124	73.3
2020	16809	80.3

ინფლაციის ეფექტი. დეფიციტის სტანდარტული გამოთვლისას გადასახადი მოიაზრება, როგორც სახელმწიფო შემოსავლების ერთადერთი წყარო. მიუხედავად ამისა, როდესაც სახელმწიფო დებიტორია, ფასთა დონე კი იცვლება, ვალის რეალურ ღირებულებაში განხორციელებული ცვლილება შესაძლოა, შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ იქცეს. დავუშვათ, რომ წლის დასაწყისში თქვენ სესხულობთ 1000 დოლარს კრედიტორისაგან. თანხა არ ექვემდებარება დაბრუნებას წლის ბოლომდე. დავუშვათ, რომ წლის განმავლობაში ფასები 10%-ით გაიზარდა. ფული, რომელსაც თქვენ კრედიტორს დაუბრუნებთ, 10%-ით ნაკლები ღირებულებისაა, ვიდრე ის ფული, რომელიც თქვენ კრედიტორისაგან ისესხეთ. ფაქტობრივად, ინფლაციის შედეგად თქვენი ვალის რეალური ღირებულება 100 დოლარით (1000 დოლარის 10%) შემცირდა. გამოდის, რომ თქვენი შემოსავალი 100 დოლარით გაიზარდა ინფლაციის შედეგად, ხოლო თქვენი კრედიტორის რეალური შემოსავალი კი 100 დოლარით შემცირდა.

მთავრობა თავს უყრის ყველა იმ დანახარჯს, რომელთა ჩართვა აუცილებელია ბიუჯეტში. არ არის საჭირო, ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავდებოდეს მიმდინარე დანახარჯი და კაპიტალური დანახარჯი.

მიმდინარე დანახარჯი მოიცავს წლის განმავლობაში მომსახურების შესაძენად გაწეულ ყველა დანახარჯს, კაპიტალური დანახარჯი კი ხანგრძლივი გამოყენების საქონლის შეძენაზე გაწეულ ხარჯებს გულისხმობს (დამბა, რადარის სადგური, ავიაშხიდი).

ცალკე კაპიტალური ბიუჯეტის წარმოების შედეგად ვიღებთ უფრო ზუსტ სურათს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. რატომ? გრძელვადიანი საქონლის შეძენა არასოდეს ითვლება „დანაკარგად“. ეს არის ერთი აქტივის (ფულის) გაცვლა მეორე აქტივზე (ხანგრძლივი გამოყენების საქონელზე). ამდენად, აქტივის შეძენა არ იწვევს ორგანიზაციის დეფიციტის წარმოქმნას. გამოყენების შედეგად აქტივი განიცდის ცვეთას და სწორედ მისი ცვეთა წარმოადგენს დანაკარგს. ამდენად, სტანდარტული ბუხჰალტრული აღრიცხვის პროცედურების თანახმად, მიმდინარე ბიუჯეტში აისახება გრძელვადიანი აქტივის წლიური ცვეთა და არა აქტივის შეძენის მთლიანი ფასი.

არაცხადი ვალდებულებანი. ობლიგაცია არის მომავალში განსაზღვრული თანხის გადახდის პირობა. ამ თანხის მიმდინარე ღირებულება არის ობლიგაციის წილი ვალის მთლიან მოცულობაში. მაგრამ ობლიგაცია არ არის ერთადერთი მეთოდი, რომელსაც მთავრობა მიმართავს იმისათვის, რომ საზოგადოების წინაშე მომავალში განსაზღვრული თანხის გადახდის პირობა დადოს. აღნიშნული შესაძლოა, კანონმდებლობის საშუალებითაც მოხდეს. ყველაზე მნიშვნელოვანი მაგალითი სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფაა, რომელიც მომავალ პენსიონერებს საპენსიო დახმარებას ჰპირდება, რომელსაც მთავრობა მომავალში მისაღები საგადასახადო შემოსავლებიდან გადაიხდის.

საკანონმდებლო პირობა და ოფიციალური ვალი არ არის ერთი და იგივე: განსხვავებულია მათი სამართლებრივი სტატუსი; ვალის ცხადი ფორმები წარმოადგენს კანონიერ ვალდებულებას, სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფისა და „მედიქარის“ დახმარება კი საკანონმდებლო ცვლილებათა გატარების საფუძველზე შესაძლოა, შემცირდეს. მიუხედავად ამისა, ამ პროგრამათა პოლიტიკური მხარდაჭერა იმდენად ძლიერია, რომ მთავრობა არც

კი შეეცდება მათ არსებით შეცვლას. ამის საფუძველზე ბევრი ეკონომისტი ღრმად არის დარწმუნებული იმაში, რომ სახელმწიფო ვალმა დაპირებული სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის, „მედიქარისა“ და სხვა კუთვნილი დახმარებების პროგრამათა მიმდინარე ღირებულებაც უნდა მოიცვას.

რამდენად დიდია სახელმწიფო ვალი?

პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი აქტივი და ვალდებულებაა გათვალისწინებული გამოთვლების დროს და როგორ არის ისინი შეფასებული. ისევე, როგორც სხვა ანალოგიურ სიტუაციებში, „მართებული“ პასუხი სწორედ იმ მიზნებზეა დამოკიდებული, რომლებიც ჩვენ გვამოძრავებს. ასე მაგალითად, თუ ჩვენი მიზანი იმ ვალდებულებათა განსაზღვრაა, რომლებიც უნდა დაფარონ მომავალმა გადასახადის გადამხდელებმა, მაშინ გამოთვლის დროს რაციონალური იქნება ისეთი არაცხადი ვალდებულების გათვალისწინება, როგორცაა სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფა. თუ ჩვენი მიზანი ფისკალური პოლიტიკის ზეგავლენის შეფასებაა საკრედიტო ბაზრებზე, მაშინ უფრო სასარგებლო იქნება პირობითი დეფიციტის, ან პროფიციტის გათვალისწინება (ოფიციალური ვალდებულებების ჩათვლით). საერთოდ, დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ვალის, დეფიციტისა და გადამეტებული ციფრების ინტერპრეტაციას.

ვალის ტვირთი

საყოველთაოდ აღიარებულია ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ვალის შემცირება ჭეშმარიტად დადებითი საქმე იქნება. თუმცა ჩვენ რატომ ვიძარდოთ ეროვნული ვალის შესახებ? რატომ უნდა ვიყოთ დაინტერესებულნი მისი გაზრდით ან შემცირებით? პასუხის გაცემა ამ კითხვაზე ერთობ რთულია და სესხის დაფინანსების ხარჯების შესახებ სრული ინფორმაციის ფლობას მოითხოვს.

გარდა ამისა, აუცილებელია იმ პირების იდენტიფიცირება, ვისაც აკისრია ვალის ტვირთი.

მომავალ თაობას მოუწევს ვალის გადახდა ან მისი რეფინანსირება (რეფინანსირება გულისხმობს ახალი სესხის აღებას არსებული დავალიანების დაფარვის მიზნით). ნებისმიერ შემთხვევაში ხორციელდება ტრანსფერი მომავალი გადასახადის გამომდელისგან ობლიგაციის მფლობელზე – ვალის რეფინანსირების შემთხვევაშიც კი, აუცილებელი იქნება პროცენტის გადახდა ობლიგაციის ახალი მფლობელებისათვის. როგორც ჩანს, ვალის მთელი ტვირთი მომავალ თაობას ეკისრება. თუმცა გადასახადების ეფექტის თეორია (გარკვეულ ექვეყნებში აყენებს ასეთ ლოგიკას. მხოლოდ ის ფაქტი, რომ სამართლებრივი ტვირთი ეკისრება მომავალ თაობას, არ გულისხმობს იმას, რომ მათვე ეკისრებათ რეალური ტვირთი. როგორც გადასახადების განაწილების შემთხვევაში, მოვლენათა დინამიურობის შედეგად, ტვირთის ეკონომიკური განაწილება სრულიადაც აღარ ჰგავს ხოლმე ტვირთის სამართლებრივ განაწილებას. ისევე, როგორც განაწილების სხვა შემთხვევებში, პასუხი ეკონომიკურ ქმედებებთან ასოცირებულ დაშვებებზეა დამოკიდებული.

ლერნერის მოსაზრება

წარმოვიდგინოთ, რომ მთავრობა ფულს საკუთარი ქვეყნის მოქალაქეებისაგან სესხულობს – ვალდებულება შიდა ვალის სახელწოდებითაა ცნობილი. ლერნერის [1948] თანახმად, შიდა ვალი არ წარმოქმნის ტვირთს მომავალი თაობებისათვის. მომავალი თაობის წარმომადგენლებს უბრალოდ ერთმანეთის მიმართ ექნებათ დავალიანება. ვალის გადახდის დროს განხორციელდება შემოსავლის ტრანსფერი მოსახლეობის ერთი ჯგუფიდან (რომელიც არ ფლობს ობლიგაციებს) მეორე ჯგუფში (რომელიც ობლიგაციების მფლობელია).

მიუხედავად ამისა, არ უარესდება მომავალი თაობის, როგორც მთლიანი საზოგადოებრივი ფენის, მდგომარეობა.

მდგომარეობა რადიკალურად იცვლება, როდესაც ქვეყანა მიმდინარე დანახარჯების დასაფინანსებლად მეორე ქვეყნისაგან იღებს სესხს. ასეთი ვალი საგარეო ვალის სახელწოდებითაა ცნობილი

დავუშვათ, რომ სხვა ქვეყნიდან ნასესხები ვალი მიმდინარე მოხმარების დასაფინანსებლად გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში მომავალ თაობას ერთმნიშვნელოვნად ეკისრება ტვირთი – მისი მოხმარების დონე ვალისა და დარიცხული პროცენტის (რომელიც გადაეხდება უცხოელ კრედიტორს) თანხით კლებულობს. მეორე მხრივ, თუ სესხი კაპიტალის დასაბანდებლად გამოიყენება, მაშინ შედეგი პროექტის რენტაბელობაზე სრულადაა დამოკიდებული. თუ ინვესტიციის ზღვრული უკუგება უცხოეთში ნასესხები ფულადი სახსრების ზღვრულ ღირებულებას აღემატება, სესხისა და კაპიტალური დანახარჯების კომბინაცია, ფაქტობრივად, აუმჯობესებს მომავალი თაობის მატერიალურ მდგომარეობას. თუ პროექტის უკუგება ზღვრულ ღირებულებაზე ნაკლებია, მაშინ მომავალი თაობის ფინანსური მდგომარეობა უარესდება.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ შიდა ვალი არ წარმოქმნიდა ტვირთს მომავალი თაობებისათვის, პოპულარული იყო ეკონომისტებს შორის 1940-1950 წლებში. დღეს ეკონომისტებს უკვე სჯერათ, რომ საქმე ბევრად უფრო რთულადაა.

თანმხვედრ თაობათა მოდელი

ცხრილი

თანმხვედრ თაობათა მოდელი

2004-2024 წლები			
	ახალგაზრდა	საშუალო ასაკის	ხანდაზმული
(1) შემოსავალი	\$ 12000	\$ 12000	\$12000
(2) სახელმწიფო ვალი	-6000	-6000	
	4000	4000	4000
(3) სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი მოხმარება			
	↓	↓	
		2024 წელი	
	↓	↓	
	ახალგაზრდა	საშუალო ასაკის	ხანდაზმული
(4) სახელმწიფო ზრდის გადასახადს ვალის დაფარვის მიზნით	\$ -4000	\$-4000	\$-4000
(5) სახელმწიფო ფარავს ვალს		+6000	+6000

ლერნერის მოდელის თანახმად, „თაობაში“ შედის ყველა ცოცხალი ადამიანი მოცემული პერიოდისათვის. თაობის უფრო რაციონალური განმარტება კი ასეთია: თაობა წარმოადგენს იმ ადამიანთა ნაკრებს, რომელიც დაახლოებით ერთ პერიოდშია დაბადებული. ამ განმარტების თანახმად, მოცემულ პერიოდში

ცხოვრობს რამდენიმე თაობა – ასეთი ფენომენი თანმხვედრ თაობათა მოდელის სახელითაა ცნობილი. თანმხვედრ თაობათა მარტივი მოდელის ანალიზის შედეგად კარგად ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობს ვალის ტვირთის თაობათა შორის განაწილება.

წარმოვიდგინოთ, რომ მოსახლეობა თანაბარი რაოდენობის ახალგაზრდა, საშუალო ასაკისა და ხანდაზმული თაობისაგან შედგება. თითოეული თაობა წინა თაობაზე 20 წლით უფროსია; ყველა თაობის თითოეული წევრის ფიქსირებული შემოსავალი 12000 აშშ დოლარია 20 წლის განმავლობაში. არ არსებობს პირადი დანაზოგი – თითოეული ადამიანი მოიხმარს მთელ თავის შემოსავალს. თითქოს ასეთი სიტუაცია სამუდამოდ გაგრძელდება. 2004-დან 2024 წლამდე სამი თაობის წარმომადგენელთა შემოსავლები ცხრილის პირველ რიგშია მოცემული.

ახლა კი წარმოვიდგინოთ, რომ მთავრობა გადაწყვეტს, ისესხოს 12000 აშშ დოლარი საზოგადოებრივი მოხმარების დაფინანსების მიზნით. სესხი დაბრუნებულ უნდა იქნას 2024 წელს. მხოლოდ ახალგაზრდა და საშუალო თაობის წარმომადგენლებს სურთ, ასესხონ ფული სახელმწიფოს – ხანდაზმულ თაობას არა აქვს ამის სურვილი, რადგან მისი წარმომადგენლები თვლიან, რომ 20 წლის შემდეგ აღარ იქნებიან ცოცხლები და სესხად გაცემულ ფულს ვერ დაიბრუნებენ. დავუშვათ, რომ სესხის ნახევარს ახალგაზრდა თაობა, ხოლო მეორე ნახევარს კი საშუალო ასაკის თაობა გასცემს. ამდენად, თითოეული ინდივიდის მოხმარება 2004-დან 2024 წლამდე 6000 აშშ დოლარით მცირდება. აღნიშნული ტენდენცია კარგად არის მოცემული ცხრილის მეორე რიგში. სესხის წყალობით, სახელმწიფო ყველასათვის თანაბარ მოხმარებას უზრუნველყოფს – თითოეული ინდივიდი იღებს 4000 აშშ დოლარს (იმავე ცხრილის მესამე რიგი).

დრო გადის. მოვა 2024 წელიც. 2004 წლის ხანდაზმულთა თაობა სცენას ტოვებს. ყოფილი საშუალო ასაკის თაობა ახლა უკვე ხანდაზმულია, ახალგაზრდები საშუალო ასაკამდე მივიდნენ და გაჩნდა სრულიად ახალი თაობაც. სახელმწიფოს სჭირდება 12000 აშშ დოლარი ვალის გადასახდელად, ამიტომ იგი თითოეულ თაობას 4000 დოლარის გადასახადით ბეგრავს (მე-4 რიგი). მიღებული საგადასახადო შემოსავლების წყალობით, სახელმწიფო უბრუნებს ვალს კრედიტორებს – ახლა უკვე ხანდაზმული და საშუალო ასაკის თაობის წარმომადგენლებს (მე-5 რიგი) (სიმარტივისათვის ჩვენ ჩავთვალეთ, რომ საპროცენტო განაკვეთი ნულის ტოლია, ამდენად, სახელმწიფომ მხოლოდ ძირითადი თანხა უნდა დააბრუნოს. დადებითი საპროცენტო განაკვეთის დაწესების შემთხვევაში არ შეიცვლებოდა არსებითი შედეგი, რაც გულისხმობს იმას, რომ არ არის საჭირო მომავალი მოხმარების დისკონტირება იმისათვის, რომ მიმდინარე ღირებულება დავადგინოთ).

ცხრილის საფუძველზე ვიღებთ ასეთ შედეგებს:

1. სესხისა და მისი თანხმლები საგადასახადო პოლიტიკის წყალობით, იმ თაობის მოხმარების დონე, რომელიც ხანდაზმულად ითვლებოდა 2004 წლიდან 2024 წლამდე, იზრდება 4000 აშშ დოლარით.
2. იმ თაობათა მოხმარების დონე, რომლებიც 2004-2024 წლებში ახალგაზრდა და საშუალო ასაკის თაობად ითვლებოდა, არც იზრდება და არც მცირდება.
3. 2024 წელს დაფიქსირებული ახალგაზრდა თაობის მოხმარების დონე 4000 დოლარით კლებულობს (რაც ასე არ იქნებოდა ვალისა და მისი თანხმლები ფისკალური პოლიტიკის არარსებობის შემთხვევაში).

ფაქტობრივად, 4000 დოლარი 2024 წლის ახალგაზრდა თაობიდან 2004 წლის ხანდაზმულთა თაობას გადაეცა. 2024 წელს ვალის დაფარვა გულისხმობს ტრანსფერს იმ თაობისათვის, რომელიც ამ მომენტში ცოცხალი იქნება. ახალგაზრდა თაობა ყველაზე მეტად ზარალდება, რადგან მას უწევს ისეთი ვალის დაფარვა, რომლითაც არასოდეს უსარგებლია. აღსანიშნავია, რომ შიდა და საგარეო ვალს შორის არსებული დისტინქცია, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო ლერნერის მოდელის მიხედვით, სრულიად არარელევანტურია ამ შემთხვევაში: მიუხედავად იმისა, რომ მთელი ვალი შიდაა, იგი მაინც ქმნის ტვირთს ახალგაზრდა თაობისათვის.

18.3 ცხრილი გვაძლევს სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის ტვირთის (და სარგებლის) შედარების საშუალებას თაობათა შორის. ეს არის ერთგვარი ბუნებრივი მეთოდი, რომლის სახელწოდებაცაა თაობათაშორისი აღრიცხვა, რომელიც რამდენიმე საფეხურისაგან შედგება: 1. ვიღებთ თითოეული თაობიდან ერთ წარმომადგენელს და ვითვლით სახელმწიფოს წინაშე არსებული მისი საგადასახადო ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას. 2. ვითვლით სახელმწიფოს მიერ ინდივიდისათვის უზრუნველყოფილი ნებისმიერი დახმარების მიმდინარე ღირებულებას (სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფა, „მედიკარი“ და ა.შ.). გადასახადებისა და სახელმწიფო დახმარების მიმდინარე ღირებულებებს შორის არსებული სხვაობა თაობის ამ წარმომადგენლის მიერ გადახდილი „წმინდა გადასახადია“. სხვადასხვა თაობათა წმინდა გადასახადების შედარების გზით ვიქმნით წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ ანაწილებს სახელმწიფო შემოსავალს თაობათა შორის.

ამ მეთოდით ჩატარებული გამოთვლები ცხადყოფს, რომ დღევანდელი თაობა მომავალ თაობათა ხარჯზე იღებს სარგებელს.

თაობათაშორისი აღრიცხვის მოდელი ჩვენს ყურადღებას მიმართავს სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის არა წლიურ შედეგებზე, არამედ შედეგებზე, რომლებიც აქტუალური იქნება მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ნეოკლასიკური მოდელი

სესხის ნეოკლასიკური მოდელის თანახმად, სახელმწიფოს მიერ პროექტის ინიცირების შემთხვევაში (იმის მიუხედავად, თუ რითია დაფინანსებული იგი – გადასახადებით თუ სესხით) კერძო სექტორიდან ფულადი სახსრები საზოგადოებრივი სექტორისაკენ გადაინაცვლებს. როდესაც გამოყენებულია საგადასახადო დაფინანსება, სახელმწიფო სექტორში გადატანილი თანხა აკლდება მოხმარებას. მეორე მხრივ, როდესაც სახელმწიფო იღებს ვალს, იგი ებმება კონკურენციაში ინდივიდებთან და ფირმებთან, რომელთაც აგრეთვე ესაჭიროებათ ფული საკუთარი საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად. ასეთ შემთხვევაში ვალი ყველაზე დიდ ზეგავლენას კერძო ინვესტიციაზე ახორციელებს. სესხის დაფინანსების შედეგად მომავალი თაობა, სხვა თანაბარ პირობებში, მცირე მოცულობის ძირითადი კაპიტალის ამარა რჩება. ამდენად, მომავალი თაობა ნაკლებად პროდუქტიული იქნება და უფრო მცირე რეალური შემოსავალი ექნება, ვიდრე სხვა შემთხვევაში ექნებოდა. ამდენად, ვალი, ახდენს რა ზემოქმედებას კაპიტალის ფორმირებაზე, წარმოქმნის ტვირთს, რომელიც მომავალ თაობას ეკისრება (აღსანიშნავია, რომ ერთადერთი უცვლელი ფაქტორი სახელმწიფო სექტორის ძირითადი კაპიტალი არის. თუ სახელმწიფო სექტორი რენტაბელურ ინვესტიციას კერძო სექტორიდან ამოღებული ფულადი რესურსის წყალობით ახორციელებს, მთლიანი ძირითადი კაპიტალი იზრდება).

ის მოსაზრება, რომ სახელმწიფო ვალი ამცირებს კერძო ინვესტიციას, ნეოკლასიკური ანალიზის დროს გამოდევნის (შევიწროების) ჰიპოთეზის

სახელწოდებითაა ცნობილი – როდესაც სახელმწიფო სექტორი იწყებს ინვესტიციისათვის ხელმისაწვდომი რესურსის გამოყენებას, ხდება კერძო ინვესტიციის გამოდევნა. გამოდევნა განპირობებულია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით. როდესაც სახელმწიფო ზრდის მოთხოვნას კრედიტზე, საპროცენტო განაკვეთი (ანუ კრედიტის ფასი) მაშინვე იზრდება; საპროცენტო განაკვეთის ზრდის დროს კი კერძო ინვესტიცია უფრო ძვირადღირებული და, შესაბამისად, უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომი და გამოსაყენებელია.

რიკარდიანული მოდელი

სახელმწიფოს მიერ სესხის აღების შემთხვევაში, „ძველი“ თაობის წარმომადგენლები გაიაზრებენ იმას, რომ ამით უარესდება მათი მემკვიდრეების ფინანსური მდგომარეობა. ძველი თაობა ზრუნავს შთამომავალთა კეთილდღეობაზე; მამას სულაც არ სურს, რომ შვილის მოხმარების დონე დაეცეს. რისი გაკეთება შეუძლია ძველ თაობას? მას შეუძლია, გაზარდოს ანდერძით დატოვებული ქონება მისი შვილის მიერ მომავალში გადასახდელი თანხით. ამის შედეგად კი არაფერი შეიცვლება. თითოეული თაობა ზუსტად იმდენივეს მოიხმარს, რამდენსაც მოიხმარდა სახელმწიფოს მიერ ვალის აღებამდე. ცხრილის მოდელის თანახმად, 2004 წლის ხანდაზმული თაობა დაზოგავს 4000 დოლარს და მას 2024 წელს ახალგაზრდა თაობას გადასცემს. ამ გზით უცვლელი იქნება ორივე თაობის მოხმარების დონე.

ფაქტობრივად, კერძო ინდივიდი ანეიტრალებს სახელმწიფოს სასესხო პოლიტიკის ეფექტს თაობებზე და საგადასახადო და სესხით დაფინანსება, ფაქტობრივად, ეკვივალენტური ხდება. სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკა სრულიად უმნიშვნელოა. ასეთ მიდგომას კი რიკარდიანული მოდელი ეწოდება.

ვალის ტვირთი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გამოდევნის ვალი კერძო ინვესტიციას. თუ მართლა გამოდევნის, მაშინ მომავალ თაობებს ექნება უფრო მცირე ძირითადი კაპიტალი და, ამდენად, სხვა თანაბარ პირობებში, დაბალი რეალური შემოსავალი. რიკარიდიანული მოდელის თანახმად, თაობათა შორის განხორციელებული ნებაყოფლობითი ტრანსფერი სესხის პოლიტიკის ზეგავლენას ანეიტრალებს ისე, რომ კერძო ინვესტიციის გამოდევნა საერთოდ აღარ ხდება.

თაობათაშორისი თანასწორობა

დავუშვათ, რომ ტექნოლოგიური პროგრესის წყალობით, ჩვენი შვილიშვილები ჩვენზე მდიდრები იქნებიან. თუკი თაობის შიგნით შემოსავალი ნაწილდება მდიდრიდან ღარიბზე, რატომ არ ნაწილდება შემოსავალი მდიდარი თაობიდან ღარიბ თაობაზე? ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია ჩვენი შთამომავლების ჩვენთან შედარებით გაღარიბება (დავუშვათ, არაგანახლებადი რესურსების ამოწურვის შედეგად), მაშინ შემოსავალი ზუსტად საწინააღმდეგო მიმართულებით უნდა განაწილდეს.

ეფექტიანობა

ეფექტიანობის პოზიციიდან, აუცილებელია იმის დადგენა, თუ რომელი წარმოქმნის უფრო მძიმე ზედმეტ ტვირთს – ვალი თუ გადასახადი. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია, გავიაზროთ ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს დანახარჯის ნებისმიერი ზრდა საბოლოოდ გაზრდილი გადასახადების ხარჯზე უნდა დაფინანსდეს. გადასახადებით დაფინანსებასა და სესხით დაფინანსებას შორის არჩევანის გაკეთება, უბრალოდ, დროითი უპირატესობის დადგენის საკითხია. გადასახადებით დაფინანსების შემთხვევაში დანახარჯის გაწვევის მომენტში მსხვილი თანხის ერთჯერადი გადახდა წარმოებს. სესხით

დაფინანსების შემთხვევაში წარმოებს მცირე თანხების მრავალჯერადი გადახდა (სესხის პროცენტების გადახდა). ასე რომ, საგადასახადო შემოსავლების მიმდინარე ღირებულება ორივე შემთხვევაში თანაბარი უნდა იყოს.

ვალის ზრდა, ამცირებს რა ძირითადი კაპიტალის მოცულობას, კიდევ უფრო მეტ ზედმეტ ტვირთს წარმოქმნის. ამდენად, შრომითი მიწოდების პოზიციიდან, შესაძლოა, უფრო ეფექტიანი სესხით დაფინანსება იყოს, მაგრამ იგი ნაკლებად ეფექტიანი იქნება კაპიტალის განთავსების პოზიციიდან. აპრიორი ბუნდოვანია, თუ რომელი ეფექტია უფრო მნიშვნელოვანი; ამდენად, ჩვენ არ შეგვწევს იმის უნარი, ჩავწვდეთ, თუ რომელია უფრო ეფექტიანი – სესხით დაფინანსება თუ გადასახადებით დაფინანსება.

ამდენად, „გამოდევნის“ ჰიპოთეზა, რომელიც მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენდა ვალის თაობათაშორისი ტვირთის შესახებ გამართულ მსჯელობათა დროს, მნიშვნელოვანია ეფექტიანობის თვალსაზრისითაც. რიკარდიანული მოდელის თანახმად, გამოდევნას ადგილი არა აქვს. ამდენად, გადასახადი ახდენს ზემოქმედებას მხოლოდ შრომის მიწოდების არჩევანზე, სწორედ ამიტომ სესხით დაფინანსება, ეფექტიანობის პოზიციიდან, ერთმნიშვნელოვნად უკეთესია. თუმცა, როდესაც ადგილი აქვს კერძო ინვესტიციის გამოდევნას, მაშინ გადასახადით დაფინანსება უფრო მიმზიდველი ხდება. სანამ არ მივიღებთ რაიმე კონკრეტულ დასკვნას გამოდევნის შესახებ, ჩვენ ვერ ვიმსჯელებთ სესხით დაფინანსებისა და გადასახადით დაფინანსების ღირსებაზე, ეფექტიანობის პოზიციიდან გამომდინარე.

სახელმწიფო დანახარჯის გადასახადით დაფინანსებასა და სესხით დაფინანსებას შორის არჩევანის გაკეთების დროს აუცილებელია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება. სარგებლის მიღების პრინციპის თანახმად, თუ პროექტი სარგებელს მოუტანს მომავალ თაობებს, მაშინ მისი განხორციელება სესხით დაფინანსების გზით სრულიად რაციონალურია. გარდა ამისა, თუ

მოსალოდნელია, რომ მომავალი თაობა უფრო მდიდარი იქნება, ვიდრე დღევანდელი, მაშინ, თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარე, ადეკვატური იქნება, თუ მათზე მოხდება ტვირთის გარკვეული დოზით განაწილება.

მაკროეკონომიკური მოსაზრებანი

აქამდე ჩვენ ვუშვებდით, რომ ყველა რესურსი მთლიანად გამოყენებულია. ასეთი დაშვება ადეკვატურია ეკონომიკის გრძელვადიანი ტენდენციების დასახასიათებლად. რა არჩევანი გავაკეთოთ გადასახადისა და დეფიციტის დაფინანსებას შორის მოკლევადიან პერსპექტივაში, როდესაც არსებობს უმუშევრობის შესაძლებლობა? კეინზისეული სტანდარტული მაკროეკონომიკური მოდელის მიხედვით, არჩევანი დამოკიდებულია უმუშევრობის დონეზე. როდესაც უმუშევრობის დონე ძალიან დაბალია, დამატებით სახელმწიფო დანახარჯებს ინფლაციამდე მივყავართ, ამდენად, აუცილებელი იქნება კერძო სექტორიდან ხარჯვის ძალაუფლების ამოქაჩვა, ანუ გადასახადების გაზრდა. ხოლო, როდესაც უმუშევრობა მაღალია, მოთხოვნის სტიმულირების მიზნით დეფიციტის წარმოქმნა აუცილებელია. ამ მიდგომას ზოგჯერ ფუნქციონალური ფინანსები ეწოდება, რაც ერთობლივი მოთხოვნის ადეკვატურ დონეზე შესანარჩუნებლად გადასახადებისა და დეფიციტის გამოყენებას გულისხმობს. ამ დროს აღარ დაგვჭირდება ცალკე ზრუნვა ბიუჯეტის დაბალანსებაზე.

მორალური და პოლიტიკური ასპექტები

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, არჩევანის გაკეთება გადასახადით დაფინანსებასა და სესხით დაფინანსებას შორის მორალური საკითხია. მწვავე დეფიციტი „არ არის უბრალოდ ან უპირველესად ეკონომიკური საკითხი, იგი მორალურ ნაკლოვანებასა და საზოგადოებრივი ხასიათის სიმახინჯეებზე მიუთითებს“ [ჭილ, 1985]. მორალურობის წინაპირობა თავდაჭერილობაა;

დეფიციტი კი თავდაჭერილობის ძალიან დაბალ დონეზე მიაწინებს; ამდენად, დეფიციტი ამორალურია. არაცხადი დაშვება იმის შესახებ, რომ სესხი ამორალურია, ამ საკითხის ირგვლივ მიმდინარე პოლიტიკური დებატების დროს ხშირად განიხილება.

ეთიკური საკითხები სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების პროცესში ფრიად აქტუალურია; ამდენად, ის არგუმენტი, რომ დეფიციტი ამორალურია, სერიოზულ მოპყრობას იმსახურებს. ეს ნორმატიული მოსაზრება მთლიანად ექვემდებარება დაუმტკიცებელ პოზიტიურ ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ვალის ტვირთი გადაეცემა მომავალ თაობებს. უფრო მეტიც, გაუგებარია, თუ რატომ არის ეს კონკრეტული ნორმატიული მოსაზრება უფრო დომინანტური, ვიდრე სარგებლის მიღების პრინციპი, რომელიც სესხის აღებას მორალურ უფლებად მიიჩნევს.

ბევრი მკვლევარი დარწმუნებულია იმაში, რომ სახელმწიფო ძალიან ბევრს ხარჯავს. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, დეფიციტმა შესაძლოა, შეასრულოს სახელმწიფო დანახარჯების ეფექტიანი მუხრუჭის როლი. ნობელის პრემიის ლაურეატის მილტონ ფრიდმანის პირობითი მოსაზრების თანახმად, სახელმწიფო ხარჯების დონე ფიქსირებულია იმის მიუხედავად, არსებობს თუ არა დეფიციტი. ასეთ შემთხვევაში გადასახადების ზრდის შედეგად შესაძლებელი გახდება დეფიციტის შევსება. თუმცა ფრიდმანი ამბობს, რომ უფრო რაციონალური იქნება, წარმოვიდგინოთ ისეთი მოდელი, სადაც სახელმწიფო დანახარჯი არ იქნება ფიქსირებული – იღებს რა სახელმწიფო მეტ საგადასახადო შემოსავალს, ხარჯავს კიდევ მას.

ამრიგად, არცთუ ისე მნიშვნელოვანი იქნება, შევავასოთ სახელმწიფო სექტორის ეკონომიკური საქმიანობა ცალკე, ოფიციალური დეფიციტის ან პროფიციტის მოცულობის საფუძველზე.

დეფიციტი არ არის აუცილებლად ცუდი, ხოლო პროფიციტი კი – აუცილებლად კარგი. უფრო მნიშვნელოვანია იმის დადგენა, არის თუ არა ოპტიმალურ დონეზე სახელმწიფო მომსახურება, განსაკუთრებით, თუ ვითვალისწინებთ იმ რესურსების ღირებულებას, რომლებიც საჭიროა ამ მომსახურების გასაწევად. სახელმწიფო ხარჯვისა და დაფინანსების შესახებ ცხარე კამათი მიმდინარეობს, რაც დემოკრატიული სახელმწიფოსათვის ასე მნიშვნელოვანია. დეფიციტის შედეგებისა და დაფინანსების სხვა ფორმების გათვალისწინება მნიშვნელოვანი და ღირებულია საზოგადოებისათვის.

ეფექტიანობის პოზიციიდან, აუცილებელია შევადაროთ ზედმეტი ტვირთი, რომელიც წარმოიქმნება გადასახადებით დაფინანსების შემთხვევაშიც და სესხით დაფინანსების შემთხვევაშიც. თუ არ ხდება კერძო ინვესტიციის გამოდევნა, მაშინ სესხი ნაკლებ ზედმეტ ტვირთს წარმოქმნის, რადგან მცირე თანხების მრავალჯერად გადახდას მოითხოვს. ამის შედეგად წარმოიქმნება მცირე ტვირთი, ვიდრე ერთჯერადი და დიდი გადასახადის გადახდის შემთხვევაში. თუმცა თუ ადგილი ექნება კერძო ინვესტიციის გამოდევნას, მაშინ შესაძლოა, ყველაფერი პირიქით მოხდეს.

1. ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა არის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო, ხოლო ბიუჯეტის საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა – ბიუჯეტის მთლიანი სალდო.

2. დადებითი მთლიანი სალდო არის ბიუჯეტის პროფიციტი, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო – ბიუჯეტის დეფიციტი.

საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე. შესაბამისად, დადებითი მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ საანგარიშო პერიოდში უფრო მეტი მიმდინარე შემოსავალია ვიდრე მიმდინარე დანიშნულების ხარჯები.

უარყოფითი მაჩვენებელი კი პირიქით, გვიჩვენებს რომ საანგარიშო პერიოდის მიმდინარე შემოსავალი ნაკლებია მიმდინარე დანიშნულების ხარჯებზე და შესაბამისად, ვერ ხდება მიმდინარე დანაზოგის დაგროვება.

მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვიჩვენებს ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას.

დადებითი მთლიანი სალდო არის სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტი, უარყოფითი მთლიანი სალდო კი – დეფიციტი.

ბიუჯეტის დეფიციტი ორგვარია - ციკლური სტრუქტურული.

ციკლური დეფიციტი უკავშირდება წარმოების ციკლურ დაცემას.

სტრუქტურული დეფიციტი წარმოიშვება სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ ხარჯების გადიდებით და გადასახადების შემცირებით.

საჯარო ფინანსების ეფექტიანობის მართვის ძირითადი ბიუჯეტის სისრულე და დეფიციტის არარსებობაა.

ბიუჯეტის დეფიციტის გამომწვევი ძირითადი მიზეზები:

1. წარმოების ეფექტიანობის დაცემა ეკონომიკური კრიზისი;
2. სახელმწიფო ხარჯების არარაციონალური სტრუქტურა;
3. დაუკვირვებადი ეკონომიკის მარალი წილი და კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავება;
4. სახელმწიფო ვალის მომსახურებისათვის გადასახდელების ზრდა;
5. არაეფექტური საბიუჯეტო მექანიზმი, რომელსაც შესუსტებული აქვს ეკონომიკისა და სოციალური სფეროების სტიმულირების უნარი.

ბიუჯეტის დაფინანსების საშინაო წყაროები:

შემოსავლები სახელმწიფო და მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით მიღებული სახსრებიდან;
ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით მობილიზებული სესხებიდან;
საბიუჯეტო კრედიტი;

სახელმწიფო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული აქციების გაყიდვა;
მიწის ნაკვეთების გაყიდვა;
არასაბიუჯეტო ფონდებისა და ბიუჯეტების სახსრების ნაშთის ცვლილებები;
ძვირფასი ლითონებისა და ქვეყნის სახელმწიფო მარაგი.

ბიუჯეტის დაფინანსების საგარეო წყაროები:

უცხო სახელმწიფოებისაგან და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიღებული კრედიტები;
ადრე აღებულ კრედიტებზე გადასახდელების გადავადება;
საგარეო ობლიგაციური სესხების რეალიზაციასა და გადასახდელებს საგარეო ობლიგაციურ სესხებზე ვალის ძირითადი თანხის დასაფარავად.

ბიუჯეტის დეფიციტის დასაშვები ნორმა მთლიანი შიგა პროდუქტის 5-6 პროცენტია.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ძირითადი გზები:

1. ფულის ემისია;
2. ცენტრალური ბანკების პირდაპირი სესხები;
3. სახელმწიფო სესხების გამოშვება;
4. უცხოური სესხები.

საქართველოს, დამოუკიდებლობის გამოცხადებისას, *სახელმწიფო ვალი* პრაქტიკულად არ ჰქონია. ამასთან, კარგადაა ცნობილი, თუ რა რთულ გეოპოლიტიკურ თუ ინსტიტუციურ პრობლემებს უკავშირდებოდა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ფორმირება. სიმბოლურია, რომ ერთერთი პირველი კრედიტი 2.5 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, რომელიც დამოუკიდებელმა საქართველომ მიიღო საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისაგან (მსოფლიო ბანკი) უკავშირდებოდა 1991-1992 წლების თბილისის ომის შედეგად დაზიანებული მთავრობის სახლის (ამჟამინდელი პარლამენტის შენობა) რეაბილიტაციას. სულ, 1990-იანი წლებიდან დღემდე, საქართველოს აღებული აქვს 16 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი სახელმწიფო სესხი, რომლის 3/5 უკვე გასტუმრებულია.

მიუხედავად გავრცელებული მოსაზრებისა, **საქართველოს ეკონომიკის ზრდა ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე აღემატება სახელმწიფო ვალის ზრდის დინამიკას.** თუ სახელმწიფო ვალების თანაფარდობა მშპ-სთან 2000 წელს 66.7 პროცენტი იყო, ამჟამად იგი, მიუხედავად იმისა, რომ ლარი განიცდის საგრძნობ დევალვაციას, ხოლო სახელმწიფო ვალების დიდი ნაწილი (4/5-ზე მეტი) მოდის საგარეო ვალებზე, 45 პროცენტს არ აღემატება.

სახელმწიფო ვალების ხსენებული წილი სტაბილურად ეგზოგენური (საგარეო) წარმომავლობისაა. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და წამყვანი სახელმწიფოების როლი ჩვენი ქვეყნის ინსტიტუციურ რეფორმებსა და ეკონომიკურ განვითარებაში ფასდაუდებელია. ამასთან, საქართველოს ეკონომიკის ზრდის, საბანკო სექტორის განვითარების წყალობით შესაძლებელი გახდა ქვეყნის შიდა რესურსების მობილიზება *სახელმწიფო საშინაო ვალის* სახით. ქვემოთ მოტანილი გრაფიკი ადასტურებს, რომ სახელმწიფო ვალების შიდა და გარე წყაროების ზრდის დინამიკა ბოლო 15 წლის მანძილზე არსებითად არ განსხვავდებოდა და ისინი თითქმის პარალელურ, პროპორციულ რეჟიმში იზრდებოდა.

ზოგადად, თანამედროვე მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური სისტემა აგებულია იმ პრინციპებზე, რომ მთავარია არა ვალის სიდიდე, არამედ მისი მომსახურების შესაძლებლობა. მდიდარი ქვეყნები და მისი სუბიექტები თავიანთ საქმიანობას დიდწილად ალბულის კრედიტებით ახორციელებენ. - *სესხებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი, სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნეს-გარემო*, მათ შესაძლებლობას აძლევს საკუთარი მიმდინარე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მაქსიმალურად მოკლე ვადებსა და მინიმალური დანაკარგებით შეძლონ. კრედიტის ღირებულება აშშ-ში დაახლოებით 2.25 პროცენტია, კანადაში - 1.75%, გაერთიანებულ სამეფოში - კიდევ უფრო ნაკლები - 0.75%, ავსტრალიაში - 3.4, ისრაელში - 2.4

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში საქართველოსთან შედარებით (საქართველო საშუალოდ - 7.2%) დაახლოებით 2.5-ჯერ უფრო დაბალია. მაგრამ ეს პრინციპი აგრეთვე გულისხმობს ალბულის ვალების მიზნობრიობის, ათვისებისა და დაფარვის ვადების მკაცრ დაცვას.

რადგანაც ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მასშტაბებით, მოსახლეობის რიცხოვნობით და ეკონომიკური სიძლიერით, მათი შედარება სახელმწიფო ვალების მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ ორი კრიტერიუმით:

ა) ვალის თანაფარდობით ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტთან და

ბ) ვალის სიდიდით მოსახლეობის ერთ სულზე.

მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოს სახელმწიფო ვალები 2018 წლის ბოლოს 5.0 ათას ლარს აღწევდა და მათი მოცულობა ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე 5.4-ჯერ გაიზარდა (2018 წ. %-ით 2000 წ.-თან = 543.7%).

იმის გათვალისწინებით, რომ *ქვეყნის ნომინალური მშპ უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე სახელმწიფო ვალები*, ამ უკანასკნელის თანაფარდობა ქვეყნის ეკონომიკის მოცულობასთან შემცირდა 2000 წლის 67.7 პროცენტიდან 2018 წლის 45.1 პროცენტამდე, თუმცა გავლილი თითქმის ორი ათწლეულის მანძილზე

საქართველოს ჰქონია პერიოდი, როდესაც აღნიშნული თანაფარდობა გაცილებით ნაკლებიც იყო (იხ. ქვემოთ ცხრილი).

ცხრილი 1

**საქართველოს სახელმწიფო ვალის თანაფარდობა
მთლიან შიგა პროდუქტთან 2000-2020 წლებში
(პროცენტი)**

	2000	2005	2007	2010	2015	2018	2020
პროცენტი	67.7	40.0	25.5	42.4	41.5	45.1	57.7

ამასთან, პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო არ მიეკუთვნება აღნიშნული ინდიკატორით არც „ლიდერებს“ (ამ მხრივ აშკარად გამოირჩევა უკრაინა) და არც „აუტსაიდერებს“, რაზეც მრავლისმეტყველ ინფორმაციას ქვემოთ დიაგრამა იძლევა.


გაცილებით მაღალია სახელმწიფო ვალების თანაფარდობა განვითარებული ქვეყნების მიხედვით, რომელთათვისაც, „როგორც წესი“, სახელმწიფო ვალის თანაფარდობა ქვეყნის ეკონომიკის წლიურ სიდიდეს საგრძნობლად აღემატება. სახელმწიფო ვალების თანაფარდობა მთლიან შიგა პროდუქტთან განვითარებულ ქვეყნებში 4-ჯერ და მეტად აღემატებოდა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს (Kovzanadze, 2018, 185-187).

ბოლო მონაცემებით, მსოფლიოს ქვეყნების ჯამური მთლიანი ეროვნული პროდუქტი 83.86784 ტრილიონი აშშ დოლარია ხოლო სახელმწიფო საგარეო ვალის სიდიდე მსოფლიო პროდუქტის 98 პროცენტს აღწევს. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოები, როგორც წესი, უარს არ ამბობენ საგარეოსთან ერთად საშინაო ვალების აღებაზეც, მთლიანი სახელმწიფო ვალის სიდიდე მრავალ ქვეყანაში ამ ქვეყნების მთლიან შიგა პროდუქტს საგრძნობლად აღემატება.

მეორე კრიტერიუმი - *სახელმწიფო ვალის სიდიდე მოსახლეობის ერთ სულზე* - აჩვენებს თუ რა სიმძიმის ვალი მოდის ქვეყნის თითოეულ მცხოვრებზე. ქვემოთ მოტანილი გვაქვს გრაფიკი, რომელიც აჩვენებს საქართველოს მოსახლეობის ერთ

სულზე სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალის ჯამურ სიდიდეს საქართველოს ეროვნულ ვალუტასა და აშშ დოლარებში 2000 წლის შემდეგ.

დიაგრამა



რადგანაც საქართველოს სახელმწიფო ვალის დიდი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია აღებული, ამიტომ ხსენებულ ორივე კრიტერიუმზე დიდ გავლენას ახდენს *ეროვნული ვალუტის კურსი*. - ამ კურსის სიდიდე და სახელმწიფო ვალის სიდიდეები ერთმანეთთან ფაქტობრივად, უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში არიან. - რაც უფრო მყარია ეროვნული ვალუტა, მით უფრო მსუბუქია სახელმწიფო ვალის ტვირთი, ხოლო ეროვნული ვალუტის კურსის დაცემის შემთხვევაში შესაბამისი პროპორციით იზრდება (თვით ახალი ვალების აუღებლობის პირობებშიც კი) ვალის ტვირთი.

მთავრობის მიერ აღებული საშინაო და საგარეო ვალის ჯამური სიდიდე რომ არ აღემატებოდეს მშპ-ის 60 პროცენტს, ეს მოთხოვნა არა მარტო აფიქსირებს აღნიშნული თანაფარდობის ზღვრულ მიზანშეწონილ სიდიდეს, არამედ იგი ნორმატიულ დატვირთვასაც ატარებს, რამეთუ დაფიქსირებულია საქართველოს ორგანულ კანონში „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ (2011 წ.).

საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი (არასახელმწიფო სექტორის - კომერციული ბანკებისა და ბიზნეს სექტორის ჩათვლით) 2019 წლის დასაწყისის მდგომარეობით დაახლოებით 4.8 ათასი აშშ დოლარია, მათ შორის უშუალოდ სახელმწიფოს (მთავრობისა და ეროვნული ბანკის) - დაახლოებით 2.0 ათასი აშშ დოლარი. ქვეყნის საშინაო ვალის სიდიდე მოსახლეობის ერთ სულზე 1054 ლარია, ანუ მთლიანობაში (საშინაო და საგარეო ვალი) მოსახლეობის ერთ სულზე არ აღემატება 5 ათას ლარს (4974 ლარი), რაც ლარისა და დოლარის ოფიციალური კურსით 2.0 ათასი აშშ დოლარიც კი არ არის (\$1978).

ბევრია ეს თუ ცოტა?

შედარებისათვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაგალითად, აშშ-ის ერთ მოქალაქეზე ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის სიდიდე 58.2 ათასი აშშ დოლარია, გერმანიაში - 65.6 ათასი აშშ დოლარი, საფრანგეთში - 87.2 ათასი აშშ დოლარი, გაერთიანებულ სამეფოში - 127.0 ათასი აშშ დოლარი...

რა თქმა უნდა, ამ ქვეყნების ეკონომიკები საქართველოზე გაცილებით დიდები და ძლიერებია, თუმცა მოსახლეობის ერთ სულზე ვალის სიდიდით ისინი გაცილებით მეტად გვისწრებენ, ვიდრე წარმოებული მშპ-ით. ამიტომაც ვალის რეალური სიმძიმის განსაზღვრისათვის მის სიდიდეს ქვეყნის მთავარ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს - მთლიან შიგა პროდუქტს უდარებენ. ამ მაჩვენებლით კი მსოფლიოს 188 სახელმწიფოს შორის საქართველო (მშპ-ის 110%) არც თუ სახარბიელო - 36-ე

ადგილზე იმყოფება, „სადღაც“ სლოვენიასა და ბუტანს შორის. შედარებისათვის: აშშ საგარეო ვალი ამ ქვეყნის მშპ-ის 115%-ია, გერმანიისა, შესაბამისად, 141%, საფრანგეთის - 213%, გაერთიანებული სამეფოსი - 313%, ნიდერლანდების კი - 522%.

ვალეების მეშვეობით დამატებითი ფინანსური რესურსები მობილიზების საგარეო და საშინაო გზებიდან ქართული სახელმწიფო, მისი ხელისუფლება უპირატესობას **საგარეო ვალეებს** ანიჭებს - მათი უფრო მსხვილმასშტაბიანი მიღების შესაძლებლობის გათვალისწინებით. ამგვარი სესხების აღების კრედიტორები არიან *საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები* (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და ა.შ.) ან *კონკრეტული სახელმწიფოები* (აშშ, გერმანია, იაპონია, კუვეიტი, თურქეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და ა.შ.). ბოლო მონაცემებით, **საგარეო სესხების 73.7% აღებულია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისაგან, 17.0% - სხვა სახელმწიფოებისაგან, 9.2% კი - გამოშვებული ფასიანი ქაღალდებია** (ე.წ. ევრობონდები).

ყველა საგარეო ვალის საშუალო საკონტრაქტო ვადა 22.2 წელია, საიდანაც საშუალო შეღავათიანი პერიოდი (ანუ დრო, რომლის განმავლობაში არ ხდება ვალის მომსახურება) - 8.1 წელი, საპროცენტო განაკვეთი (2.20%) კი საკმაოდ ახლოსაა განვითარებული ქვეყნების ინფლაციის მაჩვენებელთან. მაგალითად, 21-ე საუკუნის გავლილი 18 წლიდან აშშ-ში ინფლაციის მაჩვენებელი 9 წლის მანძილზე 2.2%-ზე მეტი იყო.

სახელმწიფო ვალის მომსახურების **ზღვრულ მაჩვენებლად მიჩნეულია მშპ-ის 5 პროცენტი** (ამჟამად საქართველოსათვის 2019 წლის მდგომარეობით ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2.2%-ია). ამასთან, 2021 წლისთვის, როდესაც დადგება საქართველოს უახლეს ისტორიაში ზემოხსენებული ყველაზე „ეგზოტიკური“ საგარეო ვალის - ე.წ. ევრობონდების (500 მლნ. აშშ დოლარის) გადახდის დრო, *საგარეო ვალეების*

მომსახურების თანაფარდობა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებთან პრაქტიკულად გაორმაგდება და 2018 წლის 8.5%-ის ნაცვლად 16.5%-ს მიაღწევს.

რაც შეეხება სახელმწიფო ვალით მობილიზებულ შიდა რესურსებს, ვისა აქვს ქვეყანაში იმდენი ფინანსური რესურსი, რომ მთავრობის მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს?! - დღევანდელი მოცემულობით, მხოლოდ კომერციულ ბანკებს.

საქართველოს მთავრობას მიმოქცევაში გამოშვებული აქვს 6- და 12-თვიანი სახაზინო ვალდებულებები, 2-, 5- და 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციები. წლიური საშუალო სპროცენტო განაკვეთი, 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით, 8.3% იყო, ანუ საგარეო ვალების საშუალო წლიურ საპროცენტო განაკვეთთან (2.20%) შედარებით თითქმის 3.8-ჯერ უფრო მაღალი. ამის გამოცაა, რომ 2018 წელს, მიუხედავად სამთავრობო ვალების მთლიან მოცულობაში შედარებით დაბალი წილისა (1/5-ზე ნაკლები), საშინაო ვალის მომსახურებაზე მომსახურების მთლიანი თანხის თითქმის ნახევარი (47.0%) მოდიოდა. მთლიანობაში, საშინაო და საგარეო ვალის მომსახურებაზე მხოლოდ პროცენტის სახით 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტმა 520 მლნ. ლარზე მეტი გადაიხადა (275.8 მლნ. ლარი - საგარეო და 244.3 მლნ. ლარი - საშინაო ვალის პროცენტის სახით). 2012 წლის შემდეგ, საქართველომ მარტო საგარეო ვალის პროცენტის სახით უკვე გადაიხადა 500 მლნ. აშშ დოლარზე მეტი და 2023 წლამდე კიდევ გადასახდელი აქვს თითქმის კიდევ ერთი ამდენი (468.1 მლნ. აშშ დოლარი).

ქვემოთ მოტანილი ცხრილი მკაფიო წარმოდგენას იძლევა ბოლო 4 და მომდევნო ოთხი წლის მანძილზე საგარეო ვალის მომსახურებაზე გაღებული ხარჯების მოცულობას.

ცხრილი

საქართველოს საგარეო ვალის მომსახურება 2016-2023 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)

	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	2019 წ.	2020 წ.	2021 წ.	2022 წ.	2023 წ.	სულ 2016- 2023 წწ.

სულ	222.9	275.6	388.7	459.6	417.0	874.8	441.9	472.6	3553.1
მათ შორის:									
ძირითადი თანხა	140.5	180.9	282.6	331.1	298.1	766.7	340.7	361.1	2701.7
პროცენტი	82.4	94.6	106.0	128.5	118.9	108.1	101.1	111.5	851.1

მთლიანობაში, **2016-2023 წლების მანძილზე, შიდა და გარე ვალების მომსახურებაზე სახელმწიფოს მოუწევს დაახლოებით 17.5 მლრდ. ლარის გაღება** (ანუ 2023 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელზე მეტი), მათ შორის მხოლოდ პროცენტის სახით - არანაკლებ 4.2 მლრდ. ლარის.

უახლოეს წლებში გათვალისწინებულია, როგორც საგარეო, ისე საშინაო ვალის ზრდა, ამ უკანასკნელის რამდენადმე უფრო სწრაფი ზრდის გამო (2023 წლის საგარეო ვალის მოცულობა 2016 წელთან შედარებით გაიზრდება 56.9%-ით, მაშინ როდესაც საშინაო ვალის მოცულობა - 103.3%-ით. შედეგად, სახელმწიფო ვალის მთლიან მოცულობაში საგარეო ვალის წილი, მართალია, შეინარჩუნებს წამყვან როლს, თუმცა მისი წილი რამდენადმე შემცირდება - 2016 წლის 79.1 პროცენტიდან 2023 წლის 74.8 პროცენტამდე.

ზოგადად, საერთაშორისო სესხები - ეს არის „ქუჩა ორმხრივი მოძრაობით“. - სახელმწიფოები და მისი ბიზნეს-სუბიექტები ერთ შემთხვევაში გამოდიან როგორც კრედიტორები, მეორე შემთხვევაში კი - როგორც სესხის ამღებები. ამიტომ, მართალია, საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო მასშტაბით ჯერჯერობით მხოლოდ „ხელი აქვს გაშვერილი“ და სხვა ქვეყნებისადმი კრედიტორის მუნდირი ჯერ არ მოუვრგია, მაგრამ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ საწარმოებს, აგრეთვე ქვეყნის კომერციული ბანკებსა და ბიზნეს სტრუქტურებს 2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, სხვა ქვეყნების სუბიექტებზე გაცემული აქვთ დაახლოებით **7.4 მლრდ. აშშ დოლარის სესხები**. შესაბამისად, საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა (სხვაობამ აღებულ და გაცემულ სესხებს შორის) 10.4 მლრდ. აშშ დოლარი (28.1 მლრდ. ლარი) შეადგინა, რაც ბოლო ოთხი კვარტლის მშპ-ის 64.4 პროცენტია.

აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი „მხოლოდ“ 3.9 მლრდ. აშშ დოლარია (10.6 მლრ. ლარი) - ქვეყნის მშპ-ის ¼-ზე ნაკლები (24.2%).

სახელმწიფო მიერ აღებულ სესხებზე საუბარი არასრული იქნებოდა, თუ არ შევხებოდით მათი გამოყენების ეფექტიანობის საკითხს, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, კორელაციას ქვეყნის ეკონომიკის, ერთი მხრივ, და სახელმწიფო ვალების მატების, მეორე მხრივ, სიდიდეთა შორის.

ზემოხსენებული თანაფარდობის შემცირების ერთერთ მიზეზად, აღებული სესხების ფუნქციონალური დანიშნულების სპეციფიკის გარდა, შეიძლება დასახელდეს საქართველოს შიდა ფასების მსოფლიო ბაზრის ფასებთან დაახლოების პროცესი, რის გამოც აღებული სესხების საინვესტიციო მულტიპლიკატორული ეფექტიანობის დონე ამჟამად თითქმის ორჯერ უფრო დაბალია, ვიდრე 2000-იანი წლების დასაწყისში.

როდესაც საუბარია სახელმწიფო ვალზე, ამ დროს მხედველობაში მიიღება არა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების - მთავრობის, არამედ ეროვნული ბანკის მიერ აღებული სესხებიც. ამასთან, ქვეყნის მთლიან ვალში სახელმწიფო ვალი არა თუ არაა ერთადერთი, არამედ მოცულობითაც აღარაა ძირითადი. - 2019 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალი 17.8 მლრდ. აშშ დოლარია, რაც საქართველოს ბოლო ოთხი კვარტალის მაძილზე ქვეყანაში შექმნილი მთლიანი შიგა პროდუქტის 110 პროცენტი. აქედან უშუალოდ სახელმწიფო სექტორის წილად მოდის მთლიანი საგარეო ვალის მხოლოდ 41.9 პროცენტი - 7.4 მლრდ. აშშ დოლარი (20.0 მლრდ. ლარი), რომლიდანაც სამთავრობო სექტორის ვალია 5.4 მლრდ. აშშ დოლარი (14.4 მლრდ. ლარი; მთლიანი ვალის 30.3 პროცენტი), ეროვნული ბანკის ვალდებულებები - 376.4 მლნ. აშშ დოლარი (1.0 მლრდ. ლარი; მთელი ვალის 2.1 პროცენტი), ხოლო სახელმწიფო კომპანიების სესხები -1696.5 მლნ. დოლარი; მთელი ვალის 9.5%).

საგარეო სესხების დანარჩენი, ანუ დიდი ნაწილი (თითქმის 3/5) მოდის არასახელმწიფო სექტორზე - კომერციულ ბანკებზე, ბიზნესსა და კომპანიათაშორის სესხებზე. ანუ, ამ ვალის გასტუმრებაზე პირდაპირი პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია. - ისინი მთლიანად შესაბამისი კომერციული საბანკო თუ ბიზნეს-სტრუქტურების პასუხისმგებლობითაა აღებული. კონკრეტულად, კერძო საბანკო სექტორის საგარეო ვალი 4.2 მლრდ. აშშ დოლარია, სხვა სექტორების საგარეო ვალი კი - 5.4 მლრდ. აშშ დოლარი (14.7 მლრდ. ლარი; მშპ-ს 33.6 პროცენტი) და კომპანიათაშორისო ვალი - 2.4 მლრდ. აშშ დოლარი (6.5 მლრდ. ლარი; მშპ-ს 14.9 პროცენტი).

განსხვავებით სახელმწიფო ვალის მშპ-ისთან თანაფარდობისა და სახელმწიფო ვალის ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებისა, არ არსებობს კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავდა ქვეყნის მთლიან საგარეო ვალებში *სახელმწიფო ვალების ოპტიმალურობის დონეს*. - მეტ-ნაკლებად თანაბრად განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების საგარეო ვალების სტრუქტურაში სახელმწიფო ვალების წილი აბსოლუტურად გასხვავებულია. - ზოგ ქვეყანას საკმაოდ სოლიდური საგარეო ვალი აქვთ, რომლის მოცულობა ჯერადად აღემატება შესაბამისი ქვეყნის მშპ-ს (მაგალითად, გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები, იაპონია...), თუმცა იმის გამო, რომ ამგვარი ვალების დიდი ნაწილი ყალიბდება არასახელმწიფო ინსტიტუტების, კერძო ბიზნესისა და კომერციული ბანკების საგარეო ეკონომიკური აქტიურობის გამო, უშუალოდ სახელმწიფოს წილი საგარეო ვალების მთლიან მოცულობაში საკმაოდ მოკრძალებული გამოდის.

თემა 9. ფედერალური სისტემის საჯარო ფინანსები

საზოგადოების ფორმირება

ოპტიმალური ფედერალიზმი

დეცენტრალიზებული სისტემის უარყოფითი მხარეები და უპირატესობანი

მთავრობათაშორისი გრანტები

- როგორ უნდა განაწილდეს პასუხისმგებლობა მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის?
- არის თუ არა ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება დეცენტრალიზებული მთავრობის მიერ?
- არის თუ არა ადგილობრივი გადასახადი საუკეთესო გზა იმ მომსახურების ასანაზღაურებლად, რომელიც უზრუნველყოფილია შტატებისა და ადგილობრივი მთავრობების მიერ?

ფედერაციული სისტემა მთავრობის რამდენიმე დონისგან შედგება, რომელთაგან თითოეული საზოგადოებრივ საქონელსა და მომსახურებას უზრუნველყოფს და განსაზღვრულ გადაწყვეტილებებს იღებს. ფისკალური ფედერალიზმი „მთავრობის სხვადასხვა დონის როლს და მათი ურთიერთდაკავშირების გზას“ განსაზღვრავს. ერთი ფედერაციული სისტემა უფრო დეცენტრალიზებულია, ვიდრე მეორე, როდესაც გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება ვრცელი იურისდიქციების ორგანოთა ხელშია. სისტემის ცენტრალიზების ყველაზე მიღებული საზომი ცენტრალიზაციის კოეფიციენტი, რომელიც ცენტრალური მთავრობის მიერ გაწეული მთლიანი პირდაპირი სახელმწიფო დანახარჯის პროპორციაა („პირდაპირი“ სახელმწიფო დანახარჯი შედგება ყველა დანახარჯისაგან, გარდა სხვა სამთავრობო ერთეულებისათვის გაკეთებული ტრანსფერებისა). ცენტრალიზაციის კოეფიციენტი ვარირებს ქვეყანათა მიხედვით.

საფრანგეთში მაჩვენებელი 81%-ია, კანადაში – 43%, ხოლო შეერთებულ შტატებში კი – 51%.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალიზაციის კოეფიციენტი არ არის ყველაზე საიმედო ინდიკატორი. ასე მაგალითად, შტატი და ადგილობრივი მთავრობა გასწევს დანახარჯს საჯარო ბიბლიოთეკებში კომპიუტერების შესაძენად, თუმცა გარკვეული ფულადი რესურსი ფედერალური მთავრობიდანაც მოდის გრანტის ფორმით. ბავშვთა დაცვის აქტის თანახმად, თითოეულმა ბიბლიოთეკამ უნდა დაამონტაჟოს ის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც გამოავლენს არასაბავშვო (იგულისხმება ვულგარული) მასალას. ბიბლიოთეკა, რომელიც არ შეასრულებს ამ მოთხოვნას, ვერ მიიღებს გრანტს. ბიბლიოთეკების უმეტესი ნაწილი ნამდვილად ასრულებს ამ მოთხოვნას. ისმება კითხვა: ვინ არის პასუხისმგებელი? თუ ადგილობრივი და შტატების მთავრობის ხარჯვითი ნაწილი შეიზღუდება ცენტრალური მთავრობის მიერ, მაშინ ცენტრალიზაციის განაკვეთი გადაჭარბებით შეაფასებს ცენტრალიზაციის დონეს ქვეყანაში. ფაქტობრივად, შტატების და ადგილობრივი ხარჯების მნიშვნელოვანი მოცულობა ნამდვილად ცენტრალური ხელისუფლების მიერ არის ნაკარნახევი. ფედერალური ხელისუფლების მანდატით, ხელისუფლების ქვემდგომი რგოლი განსაზღვრულ მომსახურებას გასწევს, თუმცა ფინანსური მხარდაჭერის შესაბამისი ზრდის გარეშე.

მნიშვნელოვან ქმედებათა ფართო არჩევანი (განათლებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ჩათვლით) შტატებისა და ადგილობრივი მთავრობის ხელშია. მეორე მხრივ, ფედერალურ მთავრობას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა თავდაცვისა და სახელმწიფო საპენსიო ფონდის მართვაზე. მთავრობის სამივე დონე ხარჯავს ფულადი სახსრების მნიშვნელოვან წილს საზოგადოების კეთილდღეობაზე (დახმარების პროგრამებზე).

საზოგადოების ფორმირება

თუ საზოგადოების მიზანი მოქალაქეთა კეთილდღეობის ამაღლებაა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს იგი? პირველ რიგში, განვიხილოთ დამოკიდებულება თითოეული წევრის მთლიან დანახარჯსა და წევრთა რაოდენობას შორის განსაზღვრული ზომის შერჩეული პარკის პირობებში. ცხადია, რაც უფრო დიდია საზოგადოება, მით უფრო მეტი ადამიანი გაინაწილებს პარკის დანახარჯს და მით ნაკლები იქნება თითოეული წევრის დანახარჯი. თუ საზოგადოების წევრთა რაოდენობის ზრდასთან ერთად თითოეულ დამფუძნებელზე ხარჯი განუხრელად შემცირდება, მაშინ რატომ არ მოვიწვიოთ საზოგადოებაში ინდივიდთა მაქსიმალური რაოდენობა? პრობლემა ის არის, რომ რაც უფრო მეტი წევრი შეუერთდება საზოგადოებას, მით უფრო გადაიტვირთება პარკი. ზღვრული გადატვირთვის დანახარჯი ზრდადი გადატვირთვის ფულად დანახარჯს აფასებს, რომელსაც თითოეული წევრი წარმოქმნის. დავუშვათ, ზღვრული გადატვირთვის ხარჯი იზრდება წევრთა რაოდენობასთან ერთად. საზოგადოება წევრთა რაოდენობას ზრდის მანამ, ვიდრე საწევროს ზღვრული კლება ყოველ ადამიანზე გადატვირთვის ხარჯის ზღვრულ ზრდას უტოლდება.

ახლა კი პრობლემის მეორე მხარეს შევხედოთ: რამდენად დიდი უნდა იყოს პარკი, რომ საზოგადოების წევრთა მოცემული რაოდენობა დააკმაყოფილოს? დიდი პარკი უფრო დიდ სარგებელს უზრუნველყოფს, თუმცა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა „დიდი ზომის“ საქონელი, ზღვრული სარგებლიანობის კლებას განიცდის. გაზრდილი პარკის ფარდობის ზღვრული ხარჯი თითოეული წევრის მიხედვით არის დამატებითი მიწის ფასი გაყოფილი იმ წევრების რაოდენობაზე, რომელიც ხარჯს ინაწილებს. ფართობი უნდა გაიზარდოს იმ წერტილამდე, სადამდეც თითოეული წევრის ზღვრული სარგებელი თითოეული წევრის ზღვრულ დანახარჯს გაუტოლდება.

ახლა სურათის ორივე ნაწილი ერთად განვიხილოთ და დავახასიათოთ ოპტიმალური საზოგადოება ან კლუბი. ოპტიმალური საზოგადოება არის ისეთი ერთეული, რომლის წევრთა რაოდენობა და გაწეული მომსახურების ხარისხი ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ პირობას: ზღვრული ხარჯი და მისი შესაბამისი ზღვრული სარგებელი თანაბარია. იგი მიუთითებს იმაზე, თუ როგორაა საზოგადოების წევრთა რაოდენობა დამოკიდებული იმ საზოგადოებრივი საქონლის ტიპზე, რომლის მოხმარება სურს მოსახლეობას; აგრეთვე, იგი გვიჩვენებს იმ მასშტაბს, რა მასშტაბითაც აღნიშნული საქონელი ექვემდებარება გამოდევნას, საქონლის წარმოების ხარჯს და ა. შ.

აუცილებელია პასუხის გაცემა ადგილობრივი საჯარო ფინანსების ადეკვატური ანალიზისათვის:

- როგორ უნდა მოხდეს საზოგადოებრივი მომსახურების დაფინანსება? რაიონულმა კლუბმა შესაძლოა, დააწესოს საწევრო გადასახადი, მაგრამ ქალაქში, როგორც წესი, საზოგადოებრივი საქონლით სარგებლობისათვის გადასახადები მოქმედებს.
- კლუბი (ან შემოსაზღვრული საზოგადოება), უბრალოდ, გაუშვებს არაწევრებს და ამით აიცილებს ფრირაიდერის პრობლემას. თუმცა როგორ მიაღწიოს ამ მიზანს ქალაქმა?
- როდესაც მოსახლეობა რაიონის მასშტაბით გაერთიანდება სხვადასხვა კლუბში (საზოგადოებაში), არის თუ არა საზოგადოებრივი საქონლის მთლიანი განაწილება თანასწორი და ეფექტიანი?

საზოგადოების ფორმირების კლუბისებური მოდელი მიუთითებს, რომ საზოგადოების ზომა და საზოგადოებრივი საქონლის რაოდენობა დამოკიდებულია გემოვნებაზე, საზოგადოებრივი მომსახურების გაწევის ღირებულებასა და გადატვირთვის ხარჯზე.

ტიბოს მოდელი

ზოგადად, ბაზარი ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივ საქონელს ეფექტიანად. პრობლემის საფუძველი კი ის არის, რომ ბაზარი ვერ აიძულებს ინდივიდს, წარმოაჩინოს ჭეშმარიტი პრეფერენცია საზოგადოებრივი საქონლის მიმართ. თითოეული მოქალაქე ხასიათდება ფრირაიდერობისადმი მიდრეკილებით. აქედან გამომდინარე, მთავრობის ინტერვენცია განსაზღვრული დოზით აუცილებელია.

ტიბოს სტატია [1956] მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანთა უნარი, გადაადგილდნენ იურისდიქციებს შორის, ადგილობრივი საზოგადოებრივი საქონლის პრობლემას საბაზრო ჭრილში გადაწყვეტს. წონასწორობის შემთხვევაში ადამიანები საზოგადოებებში ნაწილდებიან იმის საფუძველზე, თუ რა არის მათი მოთხოვნა საზოგადოებრივი მომსახურების მიმართ. თითოეული ინდივიდი საზოგადოებრივი მომსახურების მისთვის სასურველ დონეს იღებს; ამდენად, მისი მატერიალური მდგომარეობა ვერ გამოსწორდება რომელიმე სხვა იურისდიქციაში საცხოვრებლად გადასვლის შედეგად. ამდენად, მყარდება პარეტო ეფექტიანი წონასწორობა და ეფექტიანობის მისაღწევად არ არის საჭირო ხელისუფლების ჩარევა.

ტიბოს დაშვებები

ტიბოს პროვოკაციული მტკიცებულება იმის შესახებ, რომ კვაზი-საბაზრო პროცესი საზოგადოებრივი საქონლის პრობლემას ანეიტრალებს, უამრავი კვლევის საგანს წარმოადგენს. კვლევათა უმეტესობის მიზანი სათანადო გარემოთა ნაირსახეობის დადგენა იყო, რომელთა ფარგლებში ადამიანს აქვს უნარი, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება და ამ გზით განაპირობოს საზოგადოებრივი საქონლის ეფექტიანი მიწოდება. აი, მთავარი პირობა ამისათვის:

ხელისუფლების ქმედება არ წარმოქმნის გარეგან ეფექტს. თანმხვედრი ზემოქმედება იწვევს არაეფექტიანობას.

ინდივიდები სრულად მობილურნი არიან. ნებისმიერ პირს შეუძლია, სრულიად უფასოდ გადაადგილდეს იმ იურისდიქციაში, რომლის საზოგადოებრივი მომსახურებაც საუკეთესოდ აკმაყოფილებს მის გემოვნებას. იგი არ არის შეზღუდული სამუშაო ადგილის მიხედვით და არც მისი შემოსავალი იცვლება.

ინდივიდს აქვს სრულყოფილი წარმოდგენა თითოეული საზოგადოების მომსახურებისა და გადასახადების შესახებ.

არსებობს უამრავი საზოგადოება; ამდენად, ინდივიდს არ გაუჭირდება იმ საზოგადოების მოძებნა და შერჩევა, რომლის მიერ უზრუნველყოფილი საზოგადოებრივი მომსახურება ყველაზე კარგად აკმაყოფილებს მის მოთხოვნებს.

საზოგადოებრივი მომსახურების ერთეულის ფასი მუდმივია, ამდენად, თუ ორმაგდება საზოგადოებრივი მომსახურების მოცულობა, ორმაგდება მისი მთლიანი ღირებულებაც. გარდა ამისა, საზოგადოებრივი მომსახურების გაწევის ტექნოლოგია ისეთია, რომ რეზიდენტთა რაოდენობის გაორმაგების შემთხვევაში ორმაგდება გაწეული მომსახურების მოცულობაც. ტიბოს წონასწორობის შემთხვევაში ეფექტიანობას ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები უზრუნველყოფს..

საზოგადოებრივი მომსახურება დაფინანსებულია პროპორციული საკუთრების გადასახადით. საგადასახადო განაკვეთი ვარირებს იურისდიქციათა მიხედვით.

საზოგადოება უფლებამოსილია, მიიღოს და გაატაროს გამორიცხვითი დარაიონების მუნიციპალური წესი. ეს არის დებულება, რომელიც კრძალავს მიწის განსაზღვრული ფორმით გამოყენებას. ტიბოს წონასწორობის თანახმად, საზოგადოება დასახლებული და იზოლირებულია საზოგადოებრივი საქონლის მიმართ წევრთა მოთხოვნის საფუძველზე. თუ შემოსავალი პოზიტიურ თანაფარდობაშია საზოგადოებრივი მომსახურების მოთხოვნასთან, საზოგადოების დასახლება შემოსავლის მიხედვით ნამდვილად გამოიღებს შედეგს.

მაღალშემოსავლიან საზოგადოებებში საკუთრების დონე მაღალია, ამდენად, საზოგადოებას შეუძლია, დააფინანსოს განსაზღვრული მოცულობის სახელმწიფო ხარჯვითი ნაწილი და დაიბეგროს შედარებით დაბალი საკუთრების საგადასახადო განაკვეთით. დაბალშემოსავლიანი ოჯახი ცდილობს, საცხოვრებლად მდიდარ საზოგადოებაში გადავიდეს და შედარებით მომცრო საცხოვრებელი აიშენოს. დაბალი საგადასახადო განაკვეთების წყალობით, დაბალშემოსავლიან ოჯახს შედარებით მცირე საგადასახადო ვალდებულება ეკისრება; მიუხედავად ამისა, ასეთი ოჯახი სარგებლობს მაღალი დონის საზოგადოებრივი მომსახურებით. რაც უფრო მეტი რაოდენობის დაბალშემოსავლიანი ოჯახი გადასახლდება მდიდარ საზოგადოებაში, მით უფრო შემცირდება თითოეული ოჯახის დასაბეგრი ბაზა. თუმცა საგადასახადო განაკვეთები უნდა გაიზარდოს: გაზრდილ მოსახლეობას მეტი საზოგადოებრივი მომსახურება სჭირდება, რომელიც საგადასახადო შემოსავლებით უნდა დაფინანსდეს.

ტიბოს მოდელი და რეალური სამყარო

ტიბოს მოდელი ერთობ შორსაა რეალური სამყაროს სურათისაგან. ადამიანები არასოდეს არიან სრულყოფილად მობილურნი; არც იმდენი საზოგადოებაა ამჟვეყნად, რომ თითოეული ოჯახი მისთვის სასურველი მომსახურებით მაქსიმალურად დააკმაყოფილოს და ა.შ.

ტიბოს მოდელი ხაზს უსვამს მობილურობის, საკუთრების გადასახადისა და ადგილობრივი სახელმწიფო ფინანსების დარაიონების წესების მნიშვნელოვან როლს. განსაზღვრული პირობების არსებობისას „დანიშნულების ადგილას ყოფნის გზით ხმის მიცემა“ (რაც გულისხმობს ინდივიდის გადაადგილებას მისთვის საუკეთესო საზოგადოებაში) საზოგადოებრივი საქონლის პარეტო-ეფექტიან განაწილებას განაპირობებს.

მიუხედავად ამისა, ასე სწრაფად ტიბოს მოდელისათვის ყურადღების მიუქცევადობა არ იქნება სწორი. გავიხსენოთ, რომ ამერიკული ეკონომიკა, მართლაც, მნიშვნელოვანი მობილურობით ხასიათდება. ყოველწლიურად ამერიკელთა 16% სხვა ადგილას გადადის საცხოვრებლად.

ოპტიმალური ფედერალიზმი

როგორია ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა ოპტიმალური განაწილება ფედერაციული სისტემის მთავრობათა დონეებს შორის? გადაწყვეტილებები ხარჯვისა და დაბეგვრის შესახებ, რომელიც უმუშევრობისა და ინფლაციის დონეზე მოქმედებს, მიღებულ უნდა იქნეს ცენტრალური მთავრობის მიერ.

კეთილდღეობის ეკონომიკის ფარგლებში კითხვა ასე დაისმება: რომელი სისტემა ზრდის მაქსიმუმამდე სოციალურ კეთილდღეობას – ცენტრალიზებული თუ დეცენტრალიზებული? სიმარტივისათვის ჩავთვალოთ, რომ არსებობს მხოლოდ ორი დონის მთავრობა – „ცენტრალური“ და „ადგილობრივი“.

დეცენტრალიზებული სისტემის უარყოფითი მხარეები

განვიხილოთ რაიონული ერთეული, რომელიც რამდენიმე მცირე საზოგადოებისაგან შედგება. თითოეული საზოგადოების მთავრობა იღებს გადაწყვეტილებებს იმ მიზნით, რომ სოციალური კეთილდღეობის ფუნქცია მაქსიმუმამდე მხოლოდ საზოგადოების წევრების სარგებლის საფუძველზე გაზარდოს – მხედველობაში არ მიიღება გარეშე პირი. როგორ განსხვავდება საზოგადოების მთავრობის მიერ ამ გზით მიღებული შედეგები იმ შედეგებისგან, რომელსაც ცენტრალური მთავრობა სახელმწიფო სოციალური კეთილდღეობის

ფუნქციის შედეგად მიიღებს, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება თითოეული მოქალაქის სარგებლიანობა?

ეფექტიანობა. დეცენტრალიზებული მთავრობის სისტემამ შესაძლოა, გამოიწვიოს რესურსების არაეფექტიანი განაწილება რამდენიმე მიზეზის გამო.

გარეგანი ეფექტი. საზოგადოებრივი საქონელი, რომლითაც სარგებლობს მხოლოდ კონკრეტული საზოგადოების წევრი, ადგილობრივი საზოგადოებრივი საქონლის სახელწოდებითაა ცნობილი. თუმცა ერთი საზოგადოების ქმედება ხშირად ახდენს ზემოქმედებას სხვა საზოგადოების წევრთა კეთილდღეობაზე. თუ ერთ ქალაქში მაღალი დონის სწავლებაა, ქალაქიდან ინდივიდის ემიგრაციის შედეგად სარგებელს მიიღებს სხვა ქალაქი (მას ეყოლება უფრო კარგად განსწავლული სამუშაო ძალა). ქალაქები ერთმანეთზე უარყოფითადაც მოქმედებს. ვიქტორია და ბრიტანული კოლუმბია ჭუჭყიან წყალს პირდაპირ ზღვაში უშვებენ, ნარჩენი სიეტლში (ვაშინგტონი) ჩაედინება, რომელთა მოქალაქეები ნამდვილად წუხან ამ ფაქტის გამო. მოკლედ, საზოგადოება ახდენს როგორც დადებით, ასევე უარყოფით გარეგან ეფექტს მეორე საზოგადოებაზე. თუ თითოეული საზოგადოება მხოლოდ თავის წევრთა კეთილდღეობაზე ზრუნავს, მაშინ, როგორც წესი, ასეთი გარეგანი ეფექტი იგნორირებულია ხოლმე. ამდენად, სტანდარტული არგუმენტის თანახმად, რესურსები არაეფექტიანადაა განაწილებული.

მასშტაბის ეკონომია საზოგადოებრივი მომსახურების გაწევის დროს. განსაზღვრული საზოგადოებრივი მომსახურების გაწევის დროს, მომხმარებელთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, საზოგადოების წევრის ხარჯი კლებულობს. ასე მაგალითად, რაც უფრო მეტი ადამიანი სარგებლობს ბიბლიოთეკით, მით უფრო დაბალია თითოეული მომხმარებლის მიერ გასაწევი ხარჯი. თუ

თითოეული საზოგადოება დააფუძნებს ბიბლიოთეკას, მაშინ მომხმარებლის დანახარჯი აუცილებელზე მაღალი იქნება. ცენტრალურ იურისდიქციას ყველა პირობა აქვს ბიბლიოთეკის დაფუძნებისათვის; ხალხი კი მასშტაბის ეკონომიით ისარგებლებს.

არაეფექტიანი საგადასახადო სისტემა. ეფექტიანი დაბეგვრა შემდეგი პრინციპის დაკმაყოფილებას მოითხოვს: ის საქონელი, რომელიც არაელასტიური მოთხოვნით ხასიათდება, უფრო მაღალი განაკვეთით უნდა დაიბეგროს და პირიქით. დავუშვათ, რომ კაპიტალის მიწოდება მთელი ქვეყნის მასშტაბით ფიქსირებულია და იგი მობილურია ქვეყნდერაგიულ იურისდიქციებს შორის. თითოეული იურისდიქცია კარგად იაზრებს იმას, რომ თუ იგი მაღალი განაკვეთით დაბეგრავს კაპიტალს, მაშინ კაპიტალი, უბრალოდ, სხვაგან გადინაცვლებს, ამის შედეგად კი გაუარესდება იურისდიქციის მდგომარეობა. სწორედ ამიტომ კეთილგონიერი იურისდიქცია ძალიან დაბალი განაკვეთებით ბეგრავს კაპიტალს, ზოგჯერ კი გამოყოფს სუბსიდიასაც.

რეალურ სამყაროში, ცხადია, მთლიანი კაპიტალი არ არის ფიქსირებული. არაფერია ცნობილი იმის შესახებ, თუ როგორ რეაგირებს ფირმის გადაწყვეტილებანი ადგილმდებარეობის შესახებ განსხვავებული ადგილობრივი საგადასახადო განაკვეთების მიმართ. თუმცა სტატისტიკა ცხადყოფს, რომ იურისდიქციის ფარგლებში დასაქმების ზრდა ბიზნესის საგადასახადო განაკვეთთან უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია თუმცა ძირითადი აზრი მაინც უცვლელი რჩება: დეცენტრალიზებულ საზოგადოებათა მიერ დაწესებული გადასახადები არ არის ეფექტიანი, სახელმწიფო პოზიციიდან გამომდინარე. საზოგადოება გადასახადს იმის მიხედვით შეარჩევს, თუ რომელი მათგანის ექსპორტირება იქნება შესაძლებელი საზოგადოების გარეთ.

გადასახადების გადაცემის მნიშვნელოვანი შედეგი არის ის, რომ საზოგადოება შეიძენს ძალიან დიდი რაოდენობის ადგილობრივ საზოგადოებრივ საქონელს. ეფექტიანობის დასაკმაყოფილებლად კი საჭიროა ადგილობრივი საქონლის შექმნა იმ წერტილამდე, სადაც ზღვრული სოციალური სარგებელი ზღვრულ სოციალურ დანახარჯს უტოლდება. თუ საზოგადოებას შეუძლია, საგადასახადო ტვირთის ნაწილი სხვა იურისდიქციას დააკისროს, მაშინ საზოგადოების აღქმული ზღვრული ხარჯი უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ზღვრული სოციალური ხარჯი. როდესაც საზოგადოება აწესებს ისეთ ზღვრულ სოციალურ სარგებელს, რომელიც აღქმულ ზღვრულ ხარჯს უტოლდება, მაშინ შედეგად ვიღებთ ადგილობრივი საზოგადოებრივი საქონლის არაეფექტიანად დიდ მოცულობას.

მასშტაბის ეკონომია გადასახადების ამოღების დროს. ინდივიდუალურმა საზოგადოებამ შესაძლოა, ვერ ისარგებლოს მასშტაბის ეკონომიით გადასახადების შეგროვების საქმეში. თითოეული საზოგადოება ვალდებულია, განსაზღვრული ფულადი რესურსით უზრუნველყოს საგადასახადო სამსახურები. დანაზოგის აკუმულირება შესაძლებელია საერთო საგადასახადო ორგანოს ფუნქციონირების შემთხვევაში. ალბათ, უფრო უპრიანია, გავინაწილოთ ერთი კომპიუტერის ხარჯი, რომელიც რამდენიმე საზოგადოების საგადასახადო დეკლარაციებს აღრიცხავს, ვიდრე თითოეულმა საზოგადოებამ თავისი კომპიუტერი შეიძინოს. ცხადია, ასეთი ეკონომიის მიღწევა შესაძლებელია იურისდიქციათა თანამშრომლობის შედეგად ყოველგვარი ფაქტობრივი კონსოლიდაციის გარეშე.

თუ მაღალშემოსავლიან ინდივიდს აქვს არახელსაყრელი საგადასახადო პირობებიდან თავის დაღწევის და იმ შტატში გადასვლის უფლება, სადაც შედარებით დაბალი საგადასახადო განაკვეთები მოქმედებს, მაშინ მაღალი გადასახადების მქონე შტატში დამქირავებელს დაქირავებულთა შენარჩუნების

მიზნით მაღალი დაუბეგრავი ხელფასის გადახდა მოუწევს. საკმარისია, შტატმა გაზარდოს საგადასახადო განაკვეთი, რომ მაშინვე იზრდება დაუბეგრავი ხელფასი.

მოკლედ, მთლიანობაში დეცენტრალიზაციის უარყოფით მხარედ ითვლება საზოგადოებებს შორის არსებული გარეგანი ეფექტი, მასშტაბის ეკონომიის უგულვებელყოფა საზოგადოებრივი საქონლის უზრუნველყოფის დროს, არაეფექტიანი დაბეგვრა და შემოსავლის გადანაწილების დაბალი პოტენციალი.

დეცენტრალიზებული სისტემის უპირატესობანი

შედეგის მორგება ადგილობრივ გემოვნებაზე. ზოგიერთ მშობელს სურს, რომ მისმა შვილმა ისეთ სკოლაში ისწავლოს, რომელშიც სპორტული პროგრამები მოქმედებს; მშობელთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს არ არის საჭირო. ადამიანთა ერთ ნაწილს უყვარს პარკები; მეორე ნაწილს – არა. ცენტრალიზებული ხელისუფლება უზრუნველყოფს ერთსა და იმავე საზოგადოებრივ მომსახურებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, მიუხედავად ადამიანთა განსხვავებული გემოვნებისა.

ადგილობრივი ხელისუფლება უფრო ახლოს იმყოფება ხალხთან და, ამდენად, მოსახლეობის პრეფერენციების მიმართ უფრო მგრძობიარეა, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლება.

რაც უფრო მეტი პრეფერენცია არსებობს ერთ არეალში, მით უფრო დიდია დეცენტრალიზებული გადაწყვეტილების შედეგი.

ფედერალიზმის თეორია ცხადყოფს, რომ რელიგიური მრავალფეროვნების მქონე შტატებში უნდა მოხდეს ალკოჰოლის მარეგულირებელი პოლიტიკის დეცენტრალიზება.

მთავრობათაშორისი კონკურენციის ზრდა. ხშირად მთავრობებს არა აქვთ იმის სტიმული, რომ გასწიონ მინიმალური ხარჯი წარმოებაზე (იხ. მე-6 თავი). კერძო ფირმის მენეჯერი, რომელიც არ არის ორიენტირებული დანახარჯის მინუმამდე შემცირებაზე, საბოლოოდ ტოვებს ბიზნესს. ამის საპირისპიროდ, მთავრობის მაღალი თანამდებობის პირები აგრძელებენ ასეთი მეთოდით საქმიანობას. თუ მოქალაქეს საცხოვრებლად საზოგადოების ამორჩევის შესაძლებლობა ექნება, მაშინ იგი შეარჩევს იმ საზოგადოებას, რომელსაც კარგი მენეჯერი ჰყავს. ასეთმა საშიშროებამ შესაძლოა, შთააგონოს მთავრობის მაღალი თანამდებობის პირს, რომ მან უნდა უზრუნველყოს მაქსიმალურად ეფექტიანი წარმოება და იყოს უფრო მეტად პასუხისმგებელი თავისი მოქალაქეების მიმართ. აუცილებელია, აღინიშნოს, რომ, სხვა თანაბარ პირობებში რაც უფრო დეცენტრალიზებულია ქვეყნის ფისკალური სისტემა, მით ნაკლებად კორუმპირებულია მისი მთავრობა.

სრულად დეცენტრალიზებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს სოციალური კეთილდღეობის მაქსიმიზაციას. ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შემდეგი პირობის დაკმაყოფილება: მთელი ქვეყნისათვის თანაბრად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქონელი (მაგალითად, სახელმწიფო თავდაცვა) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სახელმწიფო დონეზე, ადგილობრივი საზოგადოებრივი საქონელი კი ადგილობრივ დონეზე უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

თუმცა რა გავაკეთოთ იმ საზოგადოებრივ საქონელთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვანია არა მთელი ქვეყნისათვის, არამედ რამდენიმე საზოგადოებისათვის? ერთ-ერთი გზა ერთი რეგიონალური მთავრობის ქვეშ მათი გაერთიანებაა. თეორიულად, მთავრობა იზრუნებს მოქალაქეთა კეთილდღეობაზე და, თანაც, დაარეგულირებს გარეგან ეფექტებს. თუმცა დიდი მთავრობითი იურისდიქცია ადგილობრივი გემოვნების განსხვავებათა მიმართ ნაკლებად სენსიტიური იქნება.

მკაფიოდაა გამიჯნული პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი საქონლის წარმოებაზე – ადგილობრივი საზოგადოებრივი საქონელი უნდა უზრუნველყოს ადგილობრივმა მთავრობამ, ხოლო სახელმწიფო საზოგადოებრივი საქონელი კი – ცენტრალურმა ხელისუფლებამ.

მოკლედ, მთლიანობაში დეცენტრალიზაციის ღირსებად ითვლება საზოგადოებრივი მომსახურების მორგება ადგილობრივ გემოვნებაზე, ადგილობრივ მთავრობას შორის არსებული კონკურენციის სასარგებლო ეფექტი და ექსპერიმენტის ჩატარება დაბალი ხარჯების გაწევის გზით ქვეფედერალურ დონეზე.

მთავრობათაშორისი გრანტები

ფედერალური გრანტი შტატისა და ადგილობრივი ერთულის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წამოადგენს. მთავრობის ერთი დონიდან მეორე დონეზე გრანტის გადაცემა ფედერალურ სისტემას შორის ფისკალური რესურსების გაცვლის ძირითადი მეთოდია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გრანტების, როგორც ადგილობრივი საჯარო ფინანსების ელემენტის, მნიშვნელობა. ფედერალური და შტატების მთავრობისგან მიღებული გრანტები მთლიანი ადგილობრივი შემოსავლების 34%-ს შეადგენს. გრანტების საშუალებით ხდება, ფაქტობრივად, ყველა სამთავრობო ფუნქციის დაფინანსება, სურსათის შემოწმებიდან დაწყებული, სოფლად მოსახლეობის ხანძრისგან დაცვით დამთავრებული.

რატომ იზრდება მთავრობათაშორისი ტრანსფერები? ეს შეკითხვა ძალიან ახლოს დგას ასეთ ფუნდამენტურ შეკითხვასთან: საერთოდ, რატომ იზრდება სახელმწიფოს ხარჯვითი ნაწილი?

გრანტების ზრდა იმითაა გამართლებული, რომ უკანასკნელ ათწლეულში ძალიან სწრაფად გაიზარდა განათლების, ტრანსპორტირებისა და პოლიციის სექტორი, ანუ ის სფეროები, რომლებიც ტრადიციულად უზრუნველყოფილია შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლის სტრუქტურა, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია გაყიდვისა და საკუთრების გადასახადზე, ვერ აკმაყოფილებდა დანახარჯების ზრდის ასეთ ტემპს. ამის საპირისპიროდ, ავტომატურად გაიზარდა ფედერალური საშემოსავლო გადასახადები, რაც, ალბათ, განპირობებული იყო ფედერალური საშემოსავლო გადასახადის პროგრესიული ბუნებით და ინფლაციით. ამდენად, „წარუმატებლადაა შერჩეული“ („მეუთავსებელია“) ფულის შეგროვებისა და საჭიროების ადგილები. ცენტრალური ხელისუფლების მიერ შტატებსა და ადგილობრივ ხელისუფლებათაზე გაცემული გრანტები ამ შეუსაბამობის გამოსწორების გზაა.

გრანტების ტიპები

გრანტის სტრუქტურა განსაზღვრავს მის ეკონომიკურ ზემოქმედებას. ძირითადად არსებობს გრანტის ორი სახეობა: პირობითი და უპირობო გრანტი.

პირობითი გრანტი ზოგჯერ კატეგორიული გრანტის სახელწოდებითაც არის ცნობილი.

ფედერალური გრანტების უმეტესობა გაცემულია განსაკუთრებული მიზნებისთვის, ხოლო ფულის ხარჯვის წესები კი დეტალურადაა აღწერილი. ასე მაგალითად, ფედერალური ხელისუფლება ამლევს გრანტს შტატს ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის საწინააღმდეგო პროგრამის დასაფინანსებლად, წესებში კი ყველაფერი დეტალურადაა განსაზღვრული სისხლში ალკოჰოლის კონცენტრაციიდან დაწყებული, დროის იმ ხანგრძლივობამდე, როცა შეეძლება

დამნაშავე მძღოლს მართვის მოწმობის დაბრუნება. ასეთი შეზღუდვები არ არის ატიპიური.

არსებობს პირობითი გრანტის რამდენიმე ტიპი.

შემხვედრი გრანტები. დონორის მიერ განსაზღვრული საქმიანობის დაფინანსებისათვის გაცემული თითოეული დოლარის მისაღებად აუცილებელია, ბენეფიციარის მიერ დახარჯულ იქნეს ფულის განსაზღვრული რაოდენობა. ასე მაგალითად, როდესაც საზოგადოება დახარჯავს ერთ დოლარს განათლებაზე, მაშინ ფედერალური მთავრობაც დახარჯავს ერთ დოლარს ამ მიმართულებით.

ჩაკეტილი შემხვედრი გრანტები. შემხვედრი გრანტის დონორის დანახარჯი საბოლოოდ დამოკიდებულია რეციპიენტის ქმედებებზე. თუ სმოლვილი -ს მოხმარებას მნიშვნელოვნად გაზრდის, ცენტრალური ხელისუფლების კონტრიბუცია ერთობ მაღალი იქნება და პირიქით. იმისათვის, რომ დანახარჯზე დაწესდეს ზედა ზღვარი, დონორმა შესაძლოა, კონტრიბუციის მაქსიმალური თანხა განსაზღვროს.

არაშემხვედრი გრანტი. ამ შეთხვევაში დონორი რეციპიენტს აძლევს განსაზღვრულ თანხას, რომელიც უნდა დაიხარჯოს საზოგადოებრივ საქონელზე.

რატომ გამოყოფს ცენტრალური ხელისუფლება უპირობო გრანტს შტატებისა და ადგილობრივი ერთეულებისათვის? როგორც წესი, ასეთი გრანტი უფრო თანასწორს ხდის შემოსავლის განაწილებას. თუმცა ერთგვარად ბუნდოვანია ასეთი არგუმენტი. სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი ღარიბთა დახმარებაც რომ იყოს, მიზნის მიღწევის საუკეთესო გზა ღარიბი საზოგადოებების დახმარება მაინც არ იქნებოდა. ღარიბ საზოგადოებაშიც კი ცხოვრობენ მდიდრები. ამდენად, თუ სახელმწიფოს მიზანი ღარიბთა დახმარებაა, რატომ არ აძლევს ფულს პირდაპირ მას?

ამ კითხვის ერთ-ერთი შესაძლო პასუხი ის არის, რომ, ცენტრალური ხელისუფლების აზრით, ღარიბი მოიხმარს საზოგადოებრივი საქონლის უდიდეს წილს, რისი მნიშვნელოვანი მაგალითიც განათლებაა. საქონლის ეგალიტარიანიზმი საჯარო სექტორის საქონელზე ვრცელდება. თუმცა უპირობო გრანტის შემთხვევაში ჩვენ არასოდეს ვიქნებით დარწმუნებულნი იმაში, რომ მთელი ფული უპირატესად საქონლის შესაძენად იქნება დახარჯული (ზუსტად იგივე ჭეშმარიტება არსებობს პირობითი გრანტების მიმართაც).

საჭიროების შეფასება. ნებისმიერ შემთხვევაში გადანაწილებითი საგრანტო პროგრამა მოითხოვს შემდეგი პირობის დაკმაყოფილებას: დონორმა უნდა განსაზღვროს, თუ რომელ საზოგადოებას „ესაჭიროება“ ფული და რამდენი. ფედერალური ლიმიტი კონგრესის მიერ შემუშავებულ რთულ ფორმულებს ეყრდნობა. შტატის მიერ მიღებული გრანტის თანხის რაოდენობა დამოკიდებულია ისეთი ფაქტორებზე, როგორიცაა: ერთ სულზე შემოსავალი, ქალაქად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა და შტატის საშემოსავლო გადასახადის ამოღების კოეფიციენტი. სწორედ ამ პირობითი ეკონომიკური ფაქტორების (და ზოგჯერ მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების) საფუძველზე დგინდება, თუ რა მოცულობის თანხა უნდა გადაეცეს ადგილობრივ ხელისუფლებას.

იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რა თანხას მიიღებს საზოგადოება ფედერალური ხელისუფლებისაგან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიცაა საგადასახადო ძალისხმევა, რაც გამოხატულია ამოღებული გადასახადების შეფარდებით საგადასახადო პოტენციალთან. საზოგადოება, რომელიც ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ გაზარდოს გადასახადი, მაგრამ მაინც ვერ მოუხერხებია საზოგადოებრივი

მომსახურების ძალიან მაღალი დონის დაფინანსება, ნამდვილად იმსახურებს გრანტს. სამწუხაროდ, შეფასების ასეთი საფუძველი ან ძალიან ცოტას, ან საერთოდ არაფერს გვეუბნება საზოგადოების ჭეშმარიტი ძალისხმევის შესახებ. დავუშვათ, სმოლვილი ახორციელებს საგადასახადო ტვირთის ექსპორტირებას – მის მიერ დაწესებული გადასახადით არარეზიდენტი პირები იბეგრებიან. ამ შემთხვევაში მაღალი საგადასახადო განაკვეთი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რა საგადასახადო ძალისხმევა არის ქალაქში.

წებოვანი ქალაქის ეფექტი

ჩვენი საზოგადოების განურჩევლობის მრუდების ანალიზის დროს ერთი მეტად სერიოზული შეკითხვა იბადება ხოლმე: ვისი განურჩევლობის მრუდებია ეს მრუდები? საშუალო ამომრჩევლის თეორია გვეუბნება, რომ პრეფერენცია განისაზღვრება საზოგადოების საშუალო ამომრჩევლის მიხედვით. ბიუროკრატები და არჩეული ოფიცირები საშუალო ამომრჩევლის სურვილების შესრულების მიმართულებით პასიურ როლს ასრულებს.

საშუალო ამომრჩევლის კანონის სწორხაზოვანი შედეგი არის ის, რომ საზოგადოების შემოსავლის ზრდა 1 დოლარით ზუსტად ისევე ახდენს ზემოქმედებას სახელმწიფო დანახარჯებზე, როგორც 1 დოლარი უპირობო გრანტის მიღება.

საზოგადოების მიერ გრანტის ფორმით მიღებული 1 დოლარი იწვევს უფრო მეტ საზოგადოებრივ დანახარჯს, ვიდრე ის დოლარი, რომლითაც უბრალოდ გაიზარდა საზოგადოების შემოსავალი. შეიძლება ითქვას, რომ გრანტის ფორმით მიღებული დოლარი საზოგადოებრივ ხარჯს ზრდის 40 ცენტით, ხოლო, უბრალოდ, პირადი შემოსავლის სახით მიღებული დამატებითი 1 დოლარი კი – მხოლოდ 10 ცენტით. ასეთი სიტუაცია წებოვანი ქალაქის ეფექტის

სახელწოდებითაა ცნობილი; ფული იმ სექტორში რჩება, რომელშიც მოხვდება თავდაპირველად.

მთავრობათაშორისი გრანტი განათლებაზე

შტატი ორი ძირითადი გრანტის საშუალებით აფინანსებს სკოლას: ფუნდამენტური დახმარება თითოეულ მოსწავლეს დანახარჯის მინიმალური დონით უზრუნველყოფს, საკუთრებაში არსებული ადგილობრივი ქონების მიუხედავად. რაიონის სიმძლავრეთა გამათანაბრებელი გრანტები (District Power Equalization - DPE) კი მიუთითებს იმაზე, თუ რა თანხა უნდა იქნეს გამოყოფილი ადგილობრივი საკუთრების საგადასახადო შემოსავლიდან იმისათვის, რომ თითოეული მოსწავლის მიხედვით დაწესებულ ლიმიტზე ქვემოთ არ დაფიქსირდეს საკუთრებაში არსებული ქონება.

გრანტის საშუალებით ხდება სკოლის დაფინანსების ცენტრალიზაცია. იმ სისტემის ნაცვლად, რომელშიც ყველა ადგილობრივი ერთეული თვითონ აფინანსებს სკოლას საკუთრების გადასახადის საშუალებით, იქმნება სისტემა, რომელშიც შტატი ზრდის ფულად სახსრებს საშემოსავლო გადასახადის წყალობით და სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით ფულად რესურსს ღარიბი რაიონებისაკენ მიმართავს.

ტიბოს მოდელის თანახმად, ინდივიდი ირჩევს საზოგადოებას განათლებაზე (და სხვა საზოგადოებრივ მომსახურებაზე) არსებული მოთხოვნის მიხედვით და იხდის კიდევ განათლების ხარჯს საკუთრების გადასახადის ფორმით. ცენტრალიზებული დაფინანსება ანადგურებს იმ კავშირს, რომელიც არსებობს ინდივიდის მიერ შვილის განათლებაზე გადახდილ თანხასა და მიღებულ შემოსულობას შორის და, ალბათ, ასუსტებს ამომრჩეველთა მხარდაჭერას საზოგადოებრივი განათლების, როგორც მთლიანი სექტორის, მიმართ. არსებობს

მოსაზრება, რომლის თანახმადაც, განათლების დაფინანსების მექანიზმის რეფორმირება, ფაქტობრივად, გამოიწვევს განათლების ხარჯების შემცირებას.

ძალაუფლებისა და პოლიტიკის საკითხები ყოველთვის აქტუალურია, როდესაც საუბარი ფედერალიზმის შესახებ მიმდინარეობს. ეკონომიკური ძალაუფლება ყოველთვის პოლიტიკური ძალაუფლების განაწილების შესაბამისად ნაწილდება.

თემა 10. საქართველოს საბიუჯეტო მოწყობა, საბიუჯეტო პროცესი და საბიუჯეტო სისტემა

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, მისი სამართლებრივი საფუძვლები და ძირითადი პრინციპები;

სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა და დამტკიცება

ბიუჯეტის არსი, ისევე როგორც ნებისმიერი ეკონომიკური კატეგორიისა, ვლინდება მის ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებში:

- სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა;
- სახელმწიფო საერთაშორისო საქმიანობა (საერთაშორისო ხელშეკრულებების რეალიზაცია, კრედიტების დაბრუნება, საგარეო ვალის მომსახურება, ბუნების დაცვის სფეროში ვალდებულებათა შესრულება და ა. შ.);
- ეროვნული თავდაცვა;
- სამართალდამცავი საქმიანობა და სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირება;
- ფუნდამენტური გამოკვლევების განხორციელება და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესისადმი ხელშეწყობა;
- რეალური სექტორის განვითარება;
- საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაცია და პრევენცია;
- განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ინფორმაციული მომსახურების განვითარება;
- სოციალური პოლიტიკის განხორციელება.

საბიუჯეტო სისტემა:

ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში წამყვანი როლი განეკუთვნება სახელმწიფო ბიუჯეტს, რომლის შედგენა და გამოყენება ატარებს მკვეთრად გამოხატულ ბალანსურ ხასიათს. ბიუჯეტის ბალანსური მეთოდი იძლევა საშუალებას განი-

საზღვროს საჭირო თანაფარდობა ფულადი შემოსავლების და ხარჯების (გასავლების) მოცულობებს შორის. სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ხდება ეროვნული შემოსავლის გადანაწილება ეკონომიკის და სოციალური სფეროს დარგებსა და ქვეყნის ტერიტორიულ ერთეულებს შორის.

ქვეყნის ბიუჯეტების ერთიანობა, დაფუძნებული სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაზე, ქვეყნის ყველა დონის ბიუჯეტების (ცენტრალური, ფედერალური, რეგიონული, მუნიციპალური წარმონაქმნის და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების) სამართლებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების ნორმების ერთობლიობა.

საბიუჯეტო სისტემა განისაზღვრება ქვეყნის ადმინისტრაციულ-ერიტორიულ მოწყობით, ეკონომიკური ურთიერთობებით და სამართლებრივი ნორმებით. შესაბამისად, ფედერალურ სახელმწიფოში სამდონიანი საბიუჯეტო სისტემა არსებობს, ხოლო უნიტარულ ქვეყნებში უნიტარული საბიუჯეტო სისტემა.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობითა და სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, *ფედერალურია* და მოიცავს:

- * საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს;
- * აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებს;
- * საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს.

კონსოლიდირებული ბიუჯეტი არის ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონკრეტული სუბიექტების ბიუჯეტს პლუს მუნიციპალური წარმონაქმნების ყველა ბიუჯეტის ნაკრები.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2005 წლამდე კონსოლიდირებული იყო საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტი და სპეციალური სახელმწიფო ფონდები.

აღსანიშნავია ის, რომ სპეციალური სახელმწიფო ფონდების შექმნის წესი, შემოსავალი და ხარჯები განისაზღვრებოდა სპეციალური კანონით და ბიუჯეტის წლიური კანონით.

როგორც წესი, სპეციალური სახელმწიფო ფონდების არსებობა გარკვეულად ართულებს საბიუჯეტო საშუალებების მართვას. საგადასახადო შემოსავლების იმ ნაწილს, რომელიც მიმართულია სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში *მიზნობრივი დანიშნულება* გააჩნია. აღნიშნული თავის მხრივ ეწინააღმდეგება ბიუჯეტის უნივერსალურობის პრინციპს. რომლის მიხედვითაც ბიუჯეტის შემოსულობები (გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა) არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად. ამასთან, სპეციალური სახელმწიფო ფონდების ანგარიშზე შემოსული თანხების კონტროლი გაძნელებულია.

2005 წლიდან „სპეციალური სახელმწიფო ფონდები“ გაუქმდა და მის ნაცვლად სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში შეიქმნა ცალკეული ანგარიშები. აღნიშნული განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების სისტემური კლასიფიკაციის საფუძველზე. რაც საბიუჯეტო ხარჯების მართვის საშუალებას იძლევა.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის პრინციპები

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს (მოქმედების წესს), რომელიც საფინანსო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა და რომელთა დაცვა სავალდებულოა საბიუჯეტო სისტემის ყველა მონაწილისათვის საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე.

საბიუჯეტო სისტემის აგებისა და ფუნქციონირების

ძირითადი პრინციპები:

- საკანონმდებლო პრინციპი - ბიუჯეტების სამართლებრივი ფორმა;

- საბიუჯეტო სისტემის ერთიანობის პრინციპი;
 - საბიუჯეტო სისტემის დონეების შორის შემოსავლებისა და ხარჯების გამოჯვანის პრინციპი;
 - ბიუჯეტების დამოუკიდებლობის პრინციპი დამოუკიდებლობა – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
 - სხვადასხვა დონის ბიუჯეტების, სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდებისა და შემოსავალ-გასავლის ასახვის სისრულის პრინციპი;
 - ბიუჯეტის დაბალანსების პრინციპი;
 - საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობისა და ეკონომიურობის პრინციპი;
 - საბიუჯეტო ხარჯების საერთო (ერთობლივი) დაფარვის პრინციპი;
 - საბიუჯეტო საქმიანობის გამჭვირვალობის (საჯაროობის) პრინციპი;
- გამჭვირვალობა – ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის;
- ბიუჯეტის სანდოობის პრინციპი;
 - საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობის პრინციპი;
 - ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა დონის (ტერიტორიული ერთეულების, რეგიონებისა და მუნიციპალური წარმონაქმნების), საბიუჯეტო უფლებამოსილებათა თანასწორობის პრინციპი.

საბიუჯეტო სისტემის აგების პრინციპების ერთობლიობა წარმოადგენს სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების აკუმულაციის, განაწილებისა და გამოყენების მნიშვნელოვან ასპექტებს.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ყველა მონაწილემ უნდა დაიცვას შემდეგი პრინციპები:

ა) **ყოვლისმომცველობა** – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში;

ბ) **გამჭვირვალობა** – ბიუჯეტების პროექტების წარმომადგენლობით ორგანოებში განხილვის პროცედურების საჯაროობა საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტებისა და მათი შესრულების შესახებ ანგარიშების გამოქვეყნება; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის;

გ) **ანგარიშვალდებულება** – საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე;

დ) **დამოუკიდებლობა** – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დამოუკიდებლობა, რომელსაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი, აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) **ერთიანობა** – საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, აღრიცხვის ერთიანი სისტემით, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით ხელმძღვანელობა;

ვ) უნივერსალობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ზ) კონსოლიდირება – ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა და გადასახდელების გადახდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშების მართვა სახელმწიფო ხაზინის მიერ და მათი განთავსება საქართველოს ეროვნულ ბანკში ან/და სხვა საბანკო დაწესებულებებში.

თ) დაბალანსება – აღნიშნული პრინციპი ითვალისწინებს ყველა დონის ბიუჯეტის დაბალანსებას.


საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, რომელიც ძალაშია 2010 წლის 1 იანვრიდან, განსაზღვრავს საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს და არეგულირებს:

- ა) ბიუჯეტის პროექტის მომზადების–,
- ბ) ბიუჯეტის დამტკიცების–,
- გ) ბიუჯეტის შესრულების–,
- დ) ბიუჯეტის ანგარიშგების–,
- ე) ბიუჯეტის კონტროლის

პროცესებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები არის ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნება როგორც სახელმწიფო ფულადი საშუალებების მიზნობრივი განაწილებით დარგობრივი და ტერიტორიული დანიშნულებით, ასევე საშინაო და საგარეო ვალდებულებების შესრულებით.

საქართველოს საბიუჯეტო მოწყობის სქემა



საბიუჯეტო პროცესის ეკონომიკური არსი:

ფინასური სისტემის რგოლებს შორის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონის გათვალისწინებით მეკ-ის ცენტრალიზებულ განაწილებასა და გადანაწილებაში; სხვადასხვა დონის ბიუჯეტების შედგენასა და შესრულების უზრუნველყოფაში.

საბიუჯეტო პროცესი სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და შესრულების სახელისუფლებო ორგანოების კანონმდებლობით რეგლამენტირებული საქმიანობაა. მისი შინაარსი განისაზღვრება ქვეყნის სახელმწიფო და საბიუჯეტო მოწყობით, შესაბამისი ორგანოებისა და იურიდიული პირების საბიუჯეტო უფლებებით.

საქართველოს სასაბიუჯეტო სისტემა ეფუძნება ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, ეკონომიკურ ურთიერთობებს და იურიდიულ ნორმებს.

საბიუჯეტო პროცესი მოიცავს საბიუჯეტო

საქმიანობის ოთხ ძირითად სტადიას:

1. ბიუჯეტის პროექტის შედგენა;
2. ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება;
3. ბიუჯეტის შესრულება;
4. შესრულებული ბიუჯეტის დამტკიცება.

საბიუჯეტო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილება და

პასუხისმგებლობა

1. ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისთვის პასუხისმგებელია:

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტისათვის – საქართველოს მთავრობა;
- ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.

2. ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებაზე და ბიუჯეტის კონტროლზე უფლებამოსილია:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტისათვის – საქართველოს პარლამენტი;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;

გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

3. ნაერთი ბიუჯეტის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებისთვის პასუხისმგებელია:

ა) საქართველოს ნაერთი ბიუჯეტისათვის – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ნაერთი ბიუჯეტისათვის – შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო ორგანო.

4. საქართველოს საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე საბიუჯეტო პროცესის ერთიანობისა და ამ კოდექსთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ფინანსთა მინისტრი გამოსცემს სათანადო სამართლებრივ აქტებს.

საჯარო ფინანსების დაგეგმვით სახელმწიფო:

1. განსაზღვრავს ფინანსური რესურსების წყაროებს, მოცულობას და მიზნობრივ გამოყენებას;

2. უზრუნველყოფს ოპტიმალური ღირებულებითი პროპორციების დაწესებას და განაწილებას ცალკეული დარგების, რეგიონებისა და ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ ფონდებს შორის;

3. ავლენს მატერიალურ, ფინანსურ დაშრომით რესურსებს ეკონომიკაში და სახავს გზებს მათ სამეურნეო ბრუნვაში ჩასართავად;

4. აწესებს საწარმო-ორგანიზაციების საქმიანობაზე სისტემატურ კონტროლს.

საჯარო ფინანსების დაგეგმვის ძირითადი სტრუქტურული მიმართულებები:

1. საგადასახადო დაგეგმვა;

2. საბიუჯეტო ხარჯების დაგეგმვა;

საზოგადოებრივი კეთილდღეობა გულისხმობს ისეთ კეთილდღეობას, რომლებსაც ადამიანები უნდა მოიხმარდნენ ან ღებულობდნენ მათი შემოსავლების მიუხედავად.

სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკა არის სახელმწიფოს ხარჯები და გადასახადების სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები.

სტაბილიზაციის პოლიტიკა ნიშნავს მთავრობის მიერ ეკონომიკურ სივრცეზე კონტროლის დაწესებას, რათა მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა მაქსიმალურად მიუახლოვდეს მის პოტენციურ დონეს და შენარჩუნებულ იქნეს ინფლაციის დაბალი ტემპები.


ქვეყნის საბიუჯეტო სისტემაში წამყვანი როლი განეკუთვნება სახელმწიფო ბიუჯეტს, რომლის შედგენა და გამოყენება ატარებს მკვეთრად გამოხატულ ბალანსურ ხასიათს. ბიუჯეტის ბალანსური მეთოდი იძლევა საშუალებას განი-საზღვროს საჭირო თანაფარდობა ფულადი შემოსავლების და ხარჯების (გასავ-ლების) მოცულობებს შორის. სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ხდება ეროვნული შემოსავლის გადანაწილება ეკონომიკის საქართველოს საბიუჯეტი კოდექსით განსაზღვრულია ის ძირითადი ზოგადი ხასიათის მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც საუძვლად უდევს ქვეყნის საბიუ-ჯეტო სისტემას და სავალდებულოა საბიუჯეტო იერარქიის ყველა დონის ბიუჯეტი-სა-თვის. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის ნორმები, რომლებიც არეგულირებენ საბიუჯეტო კლასიფიკაციას, პროგრამულ და კაპიტალურ ბიუჯე-ტ-ებს, ყველა დონის ბიუჯეტების შემოსულობებს და გადასახდელებს, ბიუჯეტის დეფიციტს და პროფიციტს, აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიას, ბიუ-ჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენას, ბიუჯეტის საკასო შესრულებას, ბიუჯე-ტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულებას, სესხის და გარანტიების გაცემასა და სახელმწიფო ვალის ლიმიტირებას. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, 2011 წლიდან გათვალის-წი-ნებულია პროგრამული ბიუჯეტისა და კაპიტალური ბიუჯეტის შედგენა. პროგრა-


მული ბიუჯეტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების, ღონისძიებების და მათი ბიუჯეტების, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების ერთობლიობა. კაპიტალური ბიუჯეტი არის საინვესტიციო ხასიათის პროგრამული ბიუჯეტი.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შემუშავებას წინ უსწრებს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, რომელიც თავისი შინაარსით არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი გეგმა. იგი იძლევა ინფორმაციას მაკროეკონომიკური და ფისკალური პროცესების პროგნოზების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში კომპლექსურად აისახება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარამეტრები მაკრო-, რეგიონულ და მიკრო-ქრილში. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენას ხელმძღვანელობს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. მასში მონაწილეობას იღებენ საქართველოს ეროვნული ბანკი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულები - გუბერნატორები, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, მხარჯავი დაწესებულებების, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების, სამეცნიერო ცენტრების, მასმედიის წარმომადგენლები და ა.შ.

საბიუჯეტო შემოსულობები სქემატურად შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ (სქემა 2).

სქემა





საქართველოს საბიუჯეტო სისტემა ეფუძნება რიგ პრინციპებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა საბიუჯეტო სისტემის ყველა მონაწილისათვის საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე. ამ პრინციპებს შორის მთავარია: საბიუჯეტო სისტემის ერთიანობის პრინციპი; საბიუჯეტო სისტემის დონეებს შორის შემოსავლების და ხარჯების გამიჯვნის პრინციპი; დამოუკიდებლობის პრინციპი; ყოვლისმომცვე-ლო-ბის პრინციპი; გამჭვირვალობის პრინციპი; უნივერსალობის პრინციპი; კონსოლი-დი-რების პრინციპი; ანგარიშვალდებულების პრინციპი.

ბიუჯეტის სტრუქტურა

ბიუჯეტის სტრუქტურა, მის შინაგან ფორმას, შემადგენლობასა და აგებულებას ასახავს. ბიუჯეტის ეფექტური მართვა მოითხოვს, რომ ბიუჯეტი განხილულ იქნეს, როგორც მთლიანობაში ისე მისი შემადგენლი ძირითადი ელემენტების მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ საბიუჯეტო ურთიერთობის პროცესში ხდება ფულადი რესურსების ფონდების მობილიზება და გამოყენება, ბიუჯეტი შედგება ორი მთავარი ნაწილისაგან შემოსულობებისა და გადასახდელებისაგან.

ა) ბიუჯეტის შემოსულობები:

სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტების და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობები. აქედან:

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებია:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა) მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადები;

ა.ბ) მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები – სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული მოგება, ადმინისტრაციული გადასახდელები (მათ შორის, მოსაკრებლები), ჯარიმები და საურავები, ბიუჯეტიდან გაცემული სესხების დაბრუნებით მიღებული და სხვა არასაგადასახადო შემოსავლები (კაპიტალური შემოსავლების გარდა);

ბ) გრანტები – საშინაო და საგარეო წყაროებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები ან სასაქონლო ფორმით მიღებული მონეტიზებული გრანტები;

გ) სესხები – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში, ქვეყნის შიგნით და გარეთ აღებული სესხები.

ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების შემოსულობებია:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა) მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები;

ა.ბ) მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები;

ბ) გრანტები – საშინაო და საგარეო წყაროებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები;

გ) სესხები – ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული და ამ კანონით განსაზღვრული სხვა სესხები.

ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობებია:

ა) შემოსავლები, მათ შორის:

ა.ა) მიმდინარე საგადასახადო შემოსავლები;

ა.ბ) მიმდინარე არასაგადასახადო შემოსავლები;

ბ) გრანტები – საშინაო და საგარეო წყაროებიდან ფულადი ფორმით მიღებული გრანტები;

გ) სესხები – ცენტრალური ბიუჯეტიდან, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან მიღებული და ამ კანონით განსაზღვრული სხვა სესხები.

ბიუჯეტის გადასახდელები

ბიუჯეტის გადასახდელებია: სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების გადასახდელები. კერძოდ:

ა) ხარჯები, მათ შორის:

ა.ა) მიმდინარე ხარჯები - ხელფასები, დახმარებები, საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული სხვა ხარჯები, მიმდინარე ტრანსფერები, სუბსიდიები, პროცენტის დაფარვა და საბიუჯეტო კლასიფიკაციით გაწეული სხვა მიმდინარე ხარჯები;

ა.ბ.) კაპიტალური ხარჯები - კაპიტალური აქტივების შექმნა, კაპიტალური ტრანსფერები და საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული სხვა კაპიტალური ხარჯები;

ბ) დაკრედიტება, სააქციო კაპიტალში მონაწილეობა;

გ) ვალის ამორტიზაცია - სესხის ძირითადი თანხის დაფარვა.

ასიგნება არის ფისკალური წლის განმავლობაში, ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობის ფარგლებში, საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მიზნებისათვის, ხარჯების გაწევის უფლებამოსილება.

განასხვავებენ პროგნოზირებულ და ფიქსირებულ ასიგნებას. პროგნოზირებული ასიგნება წარმოადგენს ასიგნებას, რომელიც დაკავშირებულია ვალის მომსახურებასა და ამორტიზაციასთან ან/და სახელმწიფოს მიერ გარანტირებულ სესხზე გადახდასთან. პროგნოზირებული ასიგნების ზევით ვალდებულების აღება მოითხოვს წლიურ საბიუჯეტო კანონში სათანადო ცვლილებების შეტანას.

ფიქსირებული ასიგნება წარმოადგენს პროგნოზირებულის გარდა ყველა სხვა ასიგნებას. ფიქსირებული ასიგნების ზევით ხარჯის გაწევა და ვალდებულების აღება დაუშვებელია.

სახელმწიფო ბიუჯეტის მდგომარეობისა და მისი მაკროეკონომიკურ სფეროზე ზემოქმედების შეფასების მიზნით საჭიროა მკვეთრად იქნეს გამიჯნული შემოსავლები და ხარჯები. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ *ყველა შემოსავალი წარმოადგენს შემოსულობებს, მაშინ როდესაც ყველა შემოსულობა არ შეიძლება მივაკუთნოთ შემოსავალს.*

შემოსავალს მიეკუთვნება მხოლოდ ის შემოსულობები, რომელიც ვალდებულებების დაფარვასთან არ არის დაკავშირებული. ასე მაგალითად შემოსულობები რომელსაც მთავრობა იღებს კრედიტის სახით შემოსავალს არ მიეკუთვნება, რამდენადაც ის დაბრუნებას ექვემდებარება.

ყველა გადასახდელი ასევე არ წარმოადგენს ხარჯებს. მაგალითად კრედიტის დაბრუნება არ შეიძლება ბიუჯეტის ხარჯებს მივაკუთნოთ, რამდენადაც ის გამომდინარეობს კრედიტით წარმოქმნილ ვალდებულებიდან. მეორეს მხრივ, პროცენტის გადახდა ხარჯების მუხლს მიეკუთვნება.

გადასახდელი ოპერაციები შეიძლება იყოს ორმხრივი და ცალმხრივი. ორმხრივი საგადასახდელი ოპერაციების შემთხვევაში ფულის გადახდა ხდება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. ცალმხრივი ოპერაციების შემთხვევაში ფულის რაიმეს სანაცვლოდ გადახდა არ ხდება. ასეთია მაგალითად ტრანსფერები, სუბსიდიები და გრანტები.

**სახელმწიფო ბიუჯეტის (სბ) განხილვისა და დამტკიცების
ფუნქციური კალენდარი**

N	ვადები	პროცესი
1	1 მარტი	ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ეროვნულ ბანკთან ერთად, იწყებს მუშაობას ძირითადი მიმართულებების დოკუმენტზე
2	15 აპრილამდე	ფინანსთა სამინისტრო საქართველოს მთავრობას წარუდგენს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს
3	1 მაისამდე	მთავრობა, პრეზიდენტთან შეთანხმებით, ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს წარუდგენს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს და სხვა კომიტეტებს
4	1 ივნისამდე	საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი, შესაბამისი კომიტეტების დასკვნების საფუძველზე, ამზადებს დასკვნას და უგზავნის მთავრობას
5	15 ივნისამდე	საქართველოს მთავრობა ამტკიცებს კადრებისა და ხარჯების ზღვრულ მოცულობას
6	მეხუთე პუნქტის შესრულებიდან 5 დღის განმავლობაში	ფინანსთა სამინისტრო ყველა ძირითად მხარჯავ სუბიექტს უგზავნის საბიუჯეტო ცირკულარს (განაცხადს)
7	15 აგვისტომდე	საბიუჯეტო ცირკულარზე დაყრდნობით, მხარჯავი სუბიექტების ხელმძღვანელები საბიუჯეტო განაცხადს წარუდგენენ ფინანსთა სამინისტროს
8	30 აგვისტომდე	ფინანსთა სამინისტრო ამოწმებს საბიუჯეტო განაცხადებს და იხილავს

		მხარჯავ სუბიექტებთან ერთად
9	5 სექტემბრამდე	მხარჯავ სუბიექტებსა და ფინანსთა სამინისტროს შორის შეთანხმებული საკითხები წარედგინება მთავრობას საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად
10	15 სექტემბრამდე	ფინანსთა სამინისტრო ამზადებს ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს მას საქართველოს მთავრობას
11	1 ოქტომბრამდე	მთავრობა, პრეზიდენტთან შეთანხმებით, პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს სბ–ის შესახებ კანონპროექტს, თანდართული მასალებით
12	22 ოქტომბრამდე	საქართველოს პარლამენტი საკომიტეტო განხილვის შედეგებს, კონტროლის პალატისა და ეროვნული ბანკის დასკვნებთან ერთად უგზავნის საქართველოს მთავრობას
13	5 ნოემბრამდე	საქართველოს მთავრობა სბ–ის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებს, გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, ხელმეორედ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.
14	15 ნოემბრამდე	პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები ეგზავნება საქართველოს მთავრობას
15	30 ნოემბრამდე	საქართველოს მთავრობა სბ–ის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტებს პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.
16	არა უგვიანეს დეკემბრის III პარასკევსა	საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის სბ–ის პროექტს. სბ–ის კანონის პროექტი მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით.
17	სბ–ის კანონის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში	მხარჯავი დაწესებულებები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ ინფორმაციას მათთვის სბ–ით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის შესახებ.
18	სბ–ის კანონის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას და არსებული რესურსების გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტების (გადასახადების ნაწილში) კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის შესახებ.
19	საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 3	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით და მხარჯავი დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს სბ–ის შესრულების წლიურ ანგარიშს, რომელიც წარედგინება საქართველოს პარლამენტს

	თვისა	
20	არა უგვიანეს 15 ივნისისა	სბ–ის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვისა და საქართველოს კონტროლის პალატის მოხსენების მოსმენის შემდეგ საქართველოს პარლამენტი იღებს დადგენილებას ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

საქართველო საბიუჯეტო კოდექსი:

მუხლი 37. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მომზადება

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იხილავს საბიუჯეტო განაცხადებს და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს განსახილველად წარუდგენს საქართველოს მთავრობას არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტსა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განახლებულ დოკუმენტს წარუდგენს არა უგვიანეს 25 სექტემბრისა.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მხარჯავ დაწესებულებას შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უფლებამოსილია საქართველოს მთავრობას წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საკუთარი ვარიანტი, რომელთან დაკავშირებითაც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 38. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა

1. საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტს არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად.
2. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად საქართველოს პარლამენტს განსახილველად წარედგინება ბიუჯეტის პროექტის შესაბამისი ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი.
3. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების მიხედვით:
- ბ.ა) ხარჯები, მათ შორის, შრომის ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი ასიგნებები;
- ბ.ბ) არაფინანსური აქტივების ზრდა;
- ბ.გ) ფინანსური აქტივების ზრდა;
- ბ.დ) ვალდებულებების კლება;
- გ) მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას ხარჯების და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით;
- დ) სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;
- დ1) „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების ზღვრული მოცულობების ფარგლებში პროგნოზირებულ ძირითად ფისკალურ მაჩვენებლებს;
- ე) სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
- ვ) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების მოცულობას;
- ზ) სახელმწიფო ვალის და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული სესხების ზღვრულ მოცულობას;
- თ) დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;
- ი) პრიორიტეტებს, რომელთა ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს;

კ) მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილი დამატებული ღირებულების გადასახადის მთლიან მოცულობაში თითოეული მუნიციპალიტეტის წილის პროცენტულ მაჩვენებელს.

4. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა.ა) ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) პროგნოზებს და მათ აღწერას;

ა.ბ) ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებს და მათ აღწერას;

ა.გ) ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;

ბ) მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვა;

გ) წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი;

დ) დამატებითი ინფორმაცია ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;

ე) ინფორმაცია ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ1.ა“ და „ბ2.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის/ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;

ვ) ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ.

5. ამ მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული ინფორმაცია, გარდა იმავე ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, წარდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის.
6. ამ მუხლის მე-3 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია წარდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.
7. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი თანდართული მასალებით და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საქართველოს პარლამენტში წარდგენისთანავე.
8. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები, გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულისა, მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა და არ მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ.
9. ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ1.ა“ და „ბ2.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტები მტკიცდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 39. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

1. საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თანდართული მასალებით და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს განიხილავენ საქართველოს პარლამენტის კომიტეტები და ფრაქციები. კომიტეტების დასკვნები ეგზავნება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.
2. საკომიტეტო განხილვების დროს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებს წარადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი ან მისი მოადგილე, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით სამინისტროებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების

და ქვეპროგრამების და მათი დაფინანსების თაობაზე ინფორმაციას წარადგენს შესაბამისი მინისტრი ან მისი მოადგილე საქართველოს ფინანსთა მინისტრთან ან მის მოადგილესთან ერთად.

3. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნას საქართველოს პარლამენტი არაუგვიანეს 22 ოქტომბრისა უგზავნის საქართველოს მთავრობას. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტზე დასაგეგმის შემდგომ სამ საბიუჯეტო წელზე გამოთქმული შენიშვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა.

4. საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებს გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად არა უგვიანეს 5 ნოემბრისა ხელმეორედ წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი განიხილება პლენარულ სხდომაზე.

5. პლენარულ სხდომაზე წლიური საბიუჯეტო კანონის პროექტსა და მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვის შესახებ მოხსენებას წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან საქართველოს მთავრობის რომელიმე წევრი პრემიერ-მინისტრის შესაბამისი აქტით მიღებული დავალებით. საქართველოს პარლამენტი ასევე ისმენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოხსენებებს.

6. საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის დასკვნა საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვისას გამოთქმული შენიშვნების ამსახველ სტენოგრამასთან ერთად არაუგვიანეს 20 ნოემბრისა ეგზავნება საქართველოს მთავრობას.

7. საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტს და მის შესაბამის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების

დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტს პლენარულ სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციასთან ერთად არა უგვიანეს 30 ნოემბრისა წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

8. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს საქართველოს პარლამენტი კენჭს უყრის არაუგვიანეს დეკემბრის მესამე პარასკევსა. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი მიიღება საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ერთი მოსმენით.

9. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ ამ კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“-„ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

10. საქართველოს პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შესაძლებელია შეტანილ იქნეს საქართველოს მთავრობის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს კანონის შესაბამის შესწორებულ პროექტს. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შესაძლებელია ასევე შეტანილ იქნეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მისი განხილვისას იმ შემთხვევაში, თუ გამოთქმულ შენიშვნას დაეთანხმება მომხსენებელი.

11. თუ საქართველოს პარლამენტი დეკემბრის მესამე პარასკევამდე ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს, შესაძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის იმავე ვარიანტს ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წევრთა შემთანხმებული კომისიის მიერ გადამუშავებულ პროექტს ხელახლა ეყაროს კენჭი 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 31 დეკემბრისა.

თემა 11. საბიუჯეტო ფედერალიზმი საქართველოში

საბიუჯეტო უფლებამოსილებათა გამიჯვნა ცენტრალურ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის. ბიუჯეტების გამოთანაბრება და ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობები საქართველოში. საჯარო ფინანსების კონტროლი.

საბიუჯეტო ფედერალიზმი, საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნა ცენტრსა და რეგიონებს შორის, ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ისეთი სისტემაა, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული საბიუჯეტო იერარქიის ყველა დონის საბიუჯეტო-საფინანსო ინტერესები და საგადასახადო განვითარების შესაძლებლობები.

საბიუჯეტო ფედერალიზმი არეგულირებს საგადასახადო შემოსავლებს და ახდენს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ხარჯების განაწილებას ქვეყნის ცენტრალურ და ტერიტორიულ სახელისუფლებო ორგანოებს შორის.

საბიუჯეტო ფედერალიზმი არის საფინანსო სფეროში ხელისუფლების ფედერალურ ორგანოებს, ფედერაციის სუბიექტების ხელისუფლების ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა განაწილების კრიტერიუმი.

საზოგადოებრივი თანხმობა სხვადასხვა დონის ხელისუფლებას შორის წარმოადგენს პოლიტიკურ კონსოლიდაციას. **პოლიტიკური კონსოლიდაცია გულისხმობს აგრეთვე** საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევას რეგიონებს შორის ფინანსური რესურსების განაწილების საკითხებზე.

სხვადასხვა დონის ბიუჯეტთა დამოუკიდებლობა გულისხმობს ხელისუფლების და მართვის ყოველ დონეზე შემოსავლების საკუთარი წყაროების მიმაგრებას.

ფედერალიზმის ეკონომიკური პრინციპი მდგომარეობს უფლებამოსილებათა დაყოფაში საკუთრებასთან მიმართებაში;

საბიუჯეტო ფედერალიზმის სისტემა უზრუნველყოფს: პოლიტიკურ კონსოლიდაციას; ტერიტორიულ ინტეგრაციას; ეკონომიკურ ეფექტიანობას;

ზოგადად საბიუჯეტო ფედერალიზმის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ეფექტიანობა.

საბიუჯეტო ფედერალიზმისთვის დამახასიათებელია:

- ა) ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა;
- ბ) მინიმალური საბიუჯეტო უზრუნველყოფის დონეების გამოთანაბრება;
- გ) საბიუჯეტო სისტემის ყველა დონის გამოთანაბრება;

განასხვავებენ საბიუჯეტო სისტემის შემდეგ ორგანიზაციულ ტიპებს: ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და კომბინირებული.

საბიუჯეტო სისტემის ორგანიზაციის კომბინირებული ტიპისთვის დამახასიათებელია ფედერალური ცენტრის მაღალი პასუხისმგებლობა რეგიონის სოციალ-ეკონომიკური განვითარების პირობების შექმნაზე; ჰორიზონტალური და ვერტიკალური საბიუჯეტო გამოთანაბრების მექანიზმების გამოყენება; რეგიონების საბიუჯეტო რეგულირებისა და გამოთანაბრებისთვის საბიუჯეტო ტრანსფერტების მნიშვნელოვანი როლი;

საბიუჯეტო ფედერალიზმის მოდელებია დეცენტრალიზებული და კოოპერატიული მოდელები

საბიუჯეტო სისტემის ორგანიზაციის კომბინირებული ტიპისთვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

1. ფედერალური ცენტრის მაღალი პასუხისმგებლობა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობების შექმნაზე;

2. რეგიონების საბიუჯეტო რეგულირებისა და გამოთანაბრებისათვის ზემდგომი ბიუჯეტიდან ქვემდგომი ბიუჯეტებისათვის საბიუჯეტო ტრანსფერების მნიშვნელოვანი როლი;
3. ჰორიზონტალური და ვერტიკალური საბიუჯეტო გამოთანაბრების მექანიზმის გამოყენება.

ფედერალური სისტემები ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- ა) საბიუჯეტო სისტემის თითოეული დონის დადგენილი ავტონომიითა და რეგლამენტირებული სუვერენიტეტით;
- ბ) მართვის ყოველი დონის ნათლად ჩამოყალიბებული უფლებამოსილებებით;
- გ) იერარქიის არსებობით;

ბიუჯეტის ვერტიკალური გამოთანაბრება - ხელისუფლების ყველა დონის ხარჯვითი ვალდებულებების მოცულობისა და მისი საშემოსავლო წყაროებს შორის შესაბამისობის დადგენა და დისბალანსის კომპენსირება ზემდგომი ორგანოებიდან ტრანსფერების ხარჯზე.

ბიუჯეტის ჰორიზონტალური გამოთანაბრება - საგადასახადო ტვირთის პროპორციული განაწილება ფედერაციის სუბიექტებს შორის (მუნიციპალურ წარმონაქმნებს) შორის სხვადასხვა ტერიტორიების საგადასახადო შესაძლებლობების უთანაბრობის სალიკვიდაციოდ ან, უკიდურეს შემთხვევაში, მის შესამცირებლად.

ვერტიკალური გამოთანაბრება აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ჰორიზონტალურს, რაც ნიშნავს გადასახადებისა და დოტაციების პროპორციულ განაწილებას ტერიტორიულ ერთეულებს შორის უთანაბრობის აღმოსაფხვრელად სხვადასხვა ტერიტორიების შესაძლებლობათა მიხედვით.

საბიუჯეტო ფედერალიზმის პრინციპები:

1. საბიუჯეტო სისტემის ყველა დონის ბიუჯეტებს შორის დამოუკიდებლობა;

2. ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ყველა მონაწილის ინტერესთა დაბალანსება;
3. ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო უფლებების საბიუჯეტო უფლებათა თანასწორობა ცენტრალურ ბიუჯეტთან ურთიერთდამოკიდებულებაში;
4. ბიუჯეტებს შორის შემოსავლის წყაროებსა და საბიუჯეტო სისტემის ყოველი დონის ხარჯვითი ვალდებულებების საკანონმდებლო გამიჯვნა;
5. მინიმალური საბიუჯეტო უზრუნველყოფის დონეების გამოთანაბრება;

საბიუჯეტო ფედერალიზმმა უნდა უზრუნველყოს:

1. ეკონომიკური ეფექტიანობა;
2. საბიუჯეტო პასუხისმგებლობა;
3. სოციალური სამართლიანობა;
4. პოლიტიკური კონსოლიდაცია;
5. ტერიტორიული ინტეგრაცია.

საბიუჯეტო ფედერალიზმის ძირითადი ამოცანები:

1. ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო მოწყობის მოწესრიგება; ხარჯვითი უფლებამოსილების მკვეთრი გამიჯვნა და დაუფინანსებელი მანდატების შემცირება;
2. საბიუჯეტო უფლებამოსილების მკვეთრი და სტაბილური გამიჯვნა და შემოსავლების წყაროების მიმაგრება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებზე;
3. რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსური მხარდაჭერის ობიექტური და გამჭვირვალე მექანიზმის შექმნა და განვითარება;

4. რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე საჯარო ფინანსების მართვის ხარისხის ამაღლება.
5. საბიუჯეტო გამოსანაზრება ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ დონეებზე.

ფედერალიზმის პოლიტიკური პრინციპი მდგომარეობს ფედერაციის შემადგენელი ერთეულების მთლიანობის უზრუნველყოფის პირობებში ფედერალურ წარმონაქმნთა შორის კანონით მინიჭებულ სახელისუფლებო უფლებამოსილებათა კონსტიტუციურ განაწილებაში.

ფედერალიზმის ეკონომიკური პრინციპი მდგომარეობს უფლებამოსილებათა დაყოფაში საკუთრებასთან მიმართებაში, ფედერაციასა და მის სუბიექტებს შორის ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო, სტრუქტურული, საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში.

ფედერაციული სისტემები ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1. იერარქიის არსებობით;
2. მართვის ყოველი დონის ნათლად ჩამოყალიბებული უფლებამოსილებით;
3. თითოეული დონის დადგენილი ავტონომიითა და რეგლამენტირებული სუვერენიტეტით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტები

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ფინანსური რესურსები წარმოადგენს ფულადი საშუალებების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება რეგიონის (თვითმმართველი ერთეულის) ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნით.

ადგილობრივი (რეგიონული) ფინანსების გამოყენების ძირითადი მიმართულებაა უპირატესად სოციალური და ნაწილობრივ საწარმოო ინფრასტრუქტურის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა.

რეგიონული ორგანოების ყურადღების ცენტრში ტერიტორიული ერთეულების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარებაა.

ადგილობრივი (რეგიონული) ფინანსების ერთერთი რგოლია ბიუჯეტგარეშე (სპეციალური) ფონდები.

რეგიონების ბიუჯეტებს საფუძვლად უდევს ადგილობრივი დაქვემდებარების ორგანიზაციების და დაწესებულებების, საოჯახო მეურნეობების ხარჯთაღრიცხვები.

რეგიონების ბიუჯეტების ფორმირება წარმოებს ადგილობრივი გადასახადებითა და მოსაკრებლებით, არასაგადასახადო შემოსავლებით, ზემდგომი ბიუჯეტების ანარიცხვებით.

ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობის რეგულირება ქვეყნის საბიუჯეტო პოლიტიკის ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა და სხვ.

საბიუჯეტო სისტემის ფარგლებში მოქმედი

საბიუჯეტო ურთიერთობათა სახეები:

1. მიმაგრებული გადასახადები (ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე);
2. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები, რომლებიც იყოფა მყარი ნორმატივებით სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის (მარეგულირებელი გადასახადები);
3. ფინანსური ტრანსფერტები ზემდგომი ბიუჯეტიდან, რომელთა კონკრეტული მიზნობრივი დანიშნულებაა ღარიბი ტერიტორიისათვის ფინანსური დახმარება;

4. დოტაციები;
5. სუბვენციები;
6. ზემდგომი ბიუჯეტების მიზნობრივი პროგრამები;
7. ურთიერთანგარიშსწორება;
8. საბიუჯეტო სესხები;
9. რეგიონების შიგნით ფინანსურ ურთიერთდამოკიდებულებათა განკერძოებული სისტემები და სხვ.

საბიუჯეტო დაფინანსების ფორმებია საბიუჯეტო ასიგნება, საბიუჯეტო ტრანსფერი და საბიუჯეტო სესხი.

საბიუჯეტო დაფინანსების მეთოდებია: სახარჯთაღრიცხვო დაფინანსება; პროგრამული დაფინანსება და კაპიტალური დაფინანსება. ამგვარ მეთოდს არ წარმოადგენს საბიუჯეტო ტრანსფერი.

საბიუჯეტო ურთიერთობათა სახეს განეკუთვნება: მიმაგრებული გადასახადები; დოტაციები; სუბვენციები.

ერთი დონის ბიუჯეტიდან სხვა დონის ბიუჯეტისათვის ფულადი სახსრების გადაცემის ფორმები:

დოტაცია;

სუბსიდია;

სუბვენცია;

სპეციალური ტრანსფერი.

საქართველოში ადგილობრივი ბიუჯეტების დახმარების ფორმებია: დოტაცია; სუბსიდია;

სუბვენცია; საბიუჯეტო სესხი.

ერთი დონის ბიუჯეტიდან სხვა დონის ბიუჯეტისათვის ფულადი სახსრების გადაცემა:

- მისი ხარჯვის კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრის გარეშე - დოტაცია¹;
- მიზნობრივი ხარჯვისა და წილობრივი მონაწილეობის პირობით ფულადი სახსრების გადაცემა - სუბსიდია².
- მიზნობრივი ხარჯვისა და ვადების მითითებით - სუბვენცია³;

ტრანსფერტების განაწილება ხელს უწყობს ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევას; საბიუჯეტო პასუხისმგებლობის ამაღლებას და პოლიტიკური კონსოლიდაციის მიღწევას.

საბიუჯეტო ტრანსფერტის ფუნქციები:

1. ქვედა დონის ბიუჯეტებისათვის საერთო სახელმწიფოებრივი დანიშნულების მომსახურებაზე ხარჯების ანაზღაურება, თუკი ეს ხარჯები აღემატება სხვა შემონატანებს ამ ბიუჯეტში;

¹ დოტაცია . *dotatio* - სახელმწიფო ფულადი დახმარება, რომელიც ეძლევა წარმოებას, ორგანიზაციას ზარალის დასაფარავად ან სხვა მიზნებისათვის. სახელმწიფოს მიერ უსასყიდლოდ გადაცემული ფულადი სახსრები ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისთვის, საწარმოებისთვის და ფიზიკური პირებისთვის. იგი მათ ეძლევათ ზარალის დასაფარავად ან სხვა მიზნებისთვის.

² სუბსიდია *L. subsidium* - დახმარება - ფულადი ან ნივთიერი დახმარება, რომელსაც უწევს სახელმწიფო ადგილობრივ ორგანოებს, ფირმებს, ცალკეულ პირებს ან სხვა სახელმწიფოებს. ფულადი ან სხვა მატერიალური სახის დახმარება, რომელსაც საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო გასცემს ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთის გარკვეული ნაწილის დასაფარავად, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატორული გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით.

³ სუბვენცია

განსაზღვრული დონისძიებებისათვის მიზნობრივად გამოყოფილი ფულადი დახმარებები, რომელიც მიზნობრიობის ან ვადის დარღვევის შემთხვევაში ექვემდებარება დაბრუნებას.

1. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის ან მეურნეობის ცალკეული სფეროსათვის სახელმწიფო ფინანსური დახმარების სახეობა, რომელიც გაიცემა მიზნობრივი დანიშნულებით (დოტაციისაგან განსხვავებით);

2. ფულადი თანხა, რომელიც ბიუჯეტის ზემდგომი დონიდან გამოიყოფა განსაზღვრული ვადით და კონკრეტული მიზნით შესაბამისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გათანაბრებისთვის. დოტაციისგან განსხვავებით იგი მკაცრი მიზნობრივი დანიშნულებით და ვადის დადგენით ხასიათდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სუბვენცია დაბრუნებას ექვემდებარება.

2. რეგიონებში ეკონომიკურ დაქვეითებასთან დაკავშირებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა;
3. ადგილობრივი ხელისუფლების სტიმულირება საგადასახადო პოტენციალის ზრდისთვის მათი საქმიანობის აქტივიზაციის მიმართულებით.

მინიმალური საბიუჯეტო უზრუნველყოფა არის სახელმწიფო ან მუნიციპალური მომსახურების მინიმალურად დასაშვები ღირებულება ფულად გამოსახულებაში, რომელიც გაიცემა შესაბამისი ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით;

ტრანსფერტების განაწილების მთავარი მიზანია დაბალი საბიუჯეტო უზრუნველყოფის მქონე ტერიტორიული ერთეულების შესაძლებლობათა ზრდა.

საბიუჯეტო ტრანსფერტის ფუნქციაა:

- ა) სახელმწიფო ქვედა დონის ბიუჯეტებისათვის საერთო–სახელმწიფოებრივი დანიშნულების მომსახურებაზე ხარჯების ანაზღაურება;
- ბ) ჰორიზონტალურ დისპროპორციებთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების დაძლევა;
- გ) ადგილობრივი ხელისუფლების სტიმულირება;

საბიუჯეტო ტრანსფერტის განაწილებამ

ხელი უნდა შეუწყოს:

1. ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევას, რეგიონის გრძელვადიანი ინსტიტუციური სტიმულების ფორმირებას;
2. საბიუჯეტო პასუხისმგებლობის მიღწევას;
3. პოლიტიკური კონსოლიდაციის მიღწევას.

ერთი და იმავე საწყისი მონაცემებისა და მოცულობის ტერიტორიული ერთეულების საბიუჯეტო გამოთანაბრება შეიძლება მოხდეს ორი პრინციპით:

1. **პროპორციული გამოთანაბრებით** - ტრანსფერტების განაწილება საბიუჯეტო უზრუნველყოფის საშუალო დონიდან ჩამორჩენის პროპორციულად;
2. **გამოთანაბრება გარანტირებულ მინიმუმამდე** - ტრანსფერტების განაწილების შემდეგ ყველა დოტაციური რეგიონის საბიუჯეტო უზრუნველყოფა თანაბრდება მაქსიმალურად შესაძლებელ დონემდე.

ტრანსფერტების მიმღებ რეგიონებში ეკონომიკურ ეფექტიანობა მიიღწევა ორი გზით: რეციპიენტი რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა, ტრანსფერტის ზომის მიუხედავად, ვერ გაუსწრებს საბიუჯეტო უზრუნველყოფის დონით რეგიონს, რომელიც არ იღებს ამ ტრანსფერტს და მეორეც, დოტაციურ რეგიონში საკუთარი შემოსავლების ზრდა არ იწვევს იმავე პროპორციით ტრანსფერტის შემცირებას.

ქვეყნის სუბიექტის ბიუჯეტისთვის ფინანსური დახმარების გაწევა დამოკიდებულია საგადასახადო პოტენციალის ინდექსსა და საბიუჯეტო ხარჯების ინდექსს შორის თანაფარდობაზე.

საგადასახადო პოტენციალის ინდექსი არის რეგიონის ეკონომიკის საგადასახადო შემოსავლების გენერირების შესაძლებლობების შედარებითი რაოდენობრივი შეფასება მისი განვითარების დონისა და სტრუქტურის გათვალისწინებით.

საბიუჯეტო ხარჯების ინდექსი გვიჩვენებს, თუ რამდენად მეტი ან ნაკლები საბიუჯეტო სახსრები უნდა დაიხარჯოს მოსახლეობის ერთ სულზე ერთი და იმავე მოცულობის მისაწოდებლად ობიექტური რეგიონული ფაქტორებისა და პირობების გათვალისწინებით, ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით.

თუ რეგიონის საგადასახადო პოტენციალის ინდექსი მეტია საბიუჯეტო ხარჯების ინდექსზე, მაშინ ესა რეგიონი ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსურ დახმარებას ვეღარ მიიღებს.

საქართველოში მოქმედებს სამი სახის ტრანსფერტი: კაპიტალური, მიზნობრივი და სპეციალური.

მიზნობრივი ტრანსფერტი არის დელეგირებულ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები.

სპეციალური ტრანსფერი არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ, აგრეთვე კონკრეტული კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი სახსრები. მოკლედ, **სპეციალური ტრანსფერი გაიცემა** სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ; კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად; მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად.

კაპიტალური ტრანსფერი გამოიყოფა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად. კაპიტალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი

მუხლი 65. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა

1. თითოეულ მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი.
2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისგან, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისგან და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისგან.

3. მუნიციპალიტეტის ორგანოების დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია ამ კოდექსით გათვალისწინებული საკუთარი შემოსულობებით და საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრით, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში დელეგირებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლებით.

4. საქართველოს ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ მუნიციპალიტეტის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.

მუხლი 66. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი და არასაკუთარი შემოსულობები

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული დამატებული ღირებულების გადასახადი და საქართველოს კანონმდებლობით მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილი სხვა შემოსულობები.

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება სპეციალური, მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსულობები.

მუხლი 67. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების საერთო მოცულობის 2%-ს.

2. სარეზერვო ფონდიდან თანხებს მერის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს საფინანსო ორგანო.

მუხლი 68. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში იქმნება წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი, რომლის განკარგვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.
2. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ოდენობა განისაზღვრება წლიური ბიუჯეტით.

მუხლი 69. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში

1. ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე ასიგნებების გადანაწილება, გარდა ამ კოდექსის 67-ე და 68-ე მუხლების შესაბამისად გამოყოფილი ასიგნებებისა, შეიძლება მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით.
2. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება.
3. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს ამ პრიორიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული

გადასახდელების 5%-ს, გარდა ამ კოდექსის 67-ე და 68-ე მუხლების შესაბამისად გამოყოფილი ასიგნებებისა.

4. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (პროგრამის/ქვეპროგრამის დამატება, პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელების შეცვლა) პროგრამულ კლასიფიკაციაში.

5. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით განახორციელოს ცვლილებები (მათ შორის, პროგრამული კოდის ან პროგრამის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში. ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, უნდა წარედგინოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს.

6. ამ კოდექსის 67-ე და 68-ე მუხლების შესაბამისად გამოყოფილი ასიგნებებით წლიური ბიუჯეტის დაზუსტება და ამ მუხლის მე-2–მე-5 ნაწილებით გათვალისწინებული ცვლილებები უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

7. ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ1.გ“ და „ბ2.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების დაზუსტება ხორციელდება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

საბიუჯეტო წლისათვის .

მუხლი 78. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

1. ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისთვის.
2. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
3. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო არაუგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მუნიციპალიტეტის მერს.
4. ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს.
5. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ განხილვისას ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.
6. თუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ – საკრებულომ არ დაამტკიცა მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი ან მერის მიერ საკრებულოს შენიშვნების გაუზიარებლობის შემთხვევაში – ბიუჯეტის პირვანდელი რედაქცია, საკრებულო უფლებამოსილია სიითი შემადგენლობის 3/5-ით დაამტკიცოს საკრებულოს ფრაქციის ან საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მიერ ინიცირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ საკრებულოს მიერ ამ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მერისათვის გაგზავნილი შენიშვნები ან მათი ნაწილი.

7. ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს მთავრობა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს და მუნიციპალიტეტის მერს ვადამდე უწყვეტს უფლებამოსილებას და შემოიღებს პირდაპირ სახელმწიფო მმართველობას. ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირის/ორგანოს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

71. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ უნდა შეიცავდეს ამ კოდექსის 77-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

8. ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 20 დღისა მუნიციპალიტეტი (გარდა ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტისა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს.

81. ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ1.გ“ და „ბ2.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბიუჯეტი მტკიცდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. წლიური ბიუჯეტი უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს საზოგადოებისათვის.

**მუხლი 79. მიზნობრივი ტრანსფერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში
გათვალისწინება**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მუნიციპალიტეტის ორგანოებს ყოველი წლის 5 ოქტომბრამდე აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს.

2. საქართველოს საკანონმდებლო აქტების ან/და ხელშეკრულების საფუძველზე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პარამეტრების საფუძველზე ამზადებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების გაანგარიშებებს, მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობას და ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარუდგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს – საკრებულოს, რომელიც იხილავს მათ და განხილვის შედეგების გათვალისწინებით მზადდება სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს შორის (საჭიროების შემთხვევაში) ხელშეკრულების პროექტი სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების შესახებ.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და შესაბამის სახელმწიფო ორგანოს შორის (საჭიროების შემთხვევაში) ფორმდება დელეგირების ხელშეკრულებები.

4. ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის მიზნობრივი ტრანსფერის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებისა და გამოყენების წესებს განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო.

მუხლი 791. სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის წესი

1. სპეციალური ტრანსფერი გამოიყოფა სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. სპეციალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური

რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება. მუნიციპალიტეტმა ტრანსფერი შესაძლებელია გამოყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხმარდება ტრანსფერის გამცემი მუნიციპალიტეტის მიზნებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობას/საქართველოს სამინისტროებს ან/და საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას/საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს მიმართოს ფინანსური დახმარების სახით სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. ამ მიმართვაში აღინიშნება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა.

3. ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტისათვის სპეციალური ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პროცენტდურით.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის წინადადება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის შესახებ შესაძლებელია წარედგინოს სხვა მუნიციპალიტეტს.

მუხლი 792. კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის წესი

1. კაპიტალური ტრანსფერი გამოიყოფა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად. კაპიტალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან. მუნიციპალიტეტმა კაპიტალური ტრანსფერი შესაძლებელია გამოყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხმარდება ტრანსფერის

გამცემი მუნიციპალიტეტის მიზნებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობას/საქართველოს სამინისტროებს ან/და საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას/საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს მიმართოს ფინანსური დახმარების სახით კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. ამ მიმართვაში აღინიშნება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა.

3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის კაპიტალური ტრანსფერი გამოიყოფა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პროცენტით.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის წინადადება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის შესახებ შესაძლებელია წარედგინოს სხვა მუნიციპალიტეტს.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

კარი V

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და ეკონომიკური საფუძვლები

თავი XII

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 89. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არის შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების

შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, წარდგენის, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტში ცვლილების შეტანის, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესები განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 90. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამოუკიდებლობა

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა მუნიციპალიტეტის, ისე ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტებისგან.

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამოუკიდებლობას განაპირობებს საკუთარი შემოსულობები და საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისთვის გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლებამოსილება.

მუხლი 91. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება

1. მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად არაუგვიანეს 15 ნოემბრისა მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ამ კანონისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.

2. მუნიციპალიტეტის საკრებულო ბიუჯეტის პროექტს მისი წარდგენიდან 5 დღის ვადაში აქვეყნებს საჯარო განხილვისთვის.

3. მუნიციპალიტეტის საკრებულო საჯაროდ განიხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

4. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულო არაუგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მუნიციპალიტეტის მერს.
5. ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა მუნიციპალიტეტის მერი წარუდგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
6. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვისას ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.
7. თუ მუნიციპალიტეტის საკრებულომ არ დაამტკიცა მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი ან მერის მიერ საკრებულოს შენიშვნების გაუზიარებლობის შემთხვევაში – ბიუჯეტის პროექტის პირვანდელი რედაქცია, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედით დაამტკიცოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მიერ ინიცირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ საკრებულოს მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მერისათვის გაგზავნილი შენიშვნები ან მათი ნაწილი.
8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დასაგეგმი წლის დაწყებამდე დაუმტკიცებლობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია თითოეულ პრიორიტეტზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არაუმეტეს გასული საბიუჯეტო წლის ასიგნებების ერთი მეთორმეტედისა. ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საქართველოს მთავრობა ამ კანონით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერს ვადამდე უწყვეტს უფლებამოსილებას.
9. წლიური ბიუჯეტი ქვეყნდება და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის.

მუხლი 92. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა:

ა) შემოსავლები;

ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული სახსრები);

გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);

დ) ვალდებულებები (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს საკუთარ შემოსულობებსა და არასაკუთარ შემოსულობებს.

3. მუნიციპალიტეტს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს საკუთარი შემოსულობები.

4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება კაპიტალური, სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები, სესხი და „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მიღებული გრანტი.

5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსავლების ადმინისტრირება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 93. ადგილობრივი გადასახადისა და მოსაკრებლის განსაზღვრა და ადმინისტრირების წესი

1. ადგილობრივი გადასახადის ოდენობას (განაკვეთს) კანონით დადგენილი წესით განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2. ადგილობრივი მოსაკრებლის ოდენობას (განაკვეთს) განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

3. ადგილობრივი გადასახადების ადმინისტრირებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციებიდან მისაღები სახსრების ამოღებას უზრუნველყოფენ შესაბამისი სამსახურები, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. აკრძალულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის.

მუხლი 94. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის გამოსაყოფი ტრანსფერის სახეები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის გამოსაყოფი ტრანსფერის სახეებია:

ა) კაპიტალური ტრანსფერი;

ბ) მიზნობრივი ტრანსფერი;

გ) სპეციალური ტრანსფერი.

მუხლი 96. კაპიტალური ტრანსფერი

1. კაპიტალური ტრანსფერი გამოიყოფა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად. კაპიტალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან. მუნიციპალიტეტმა კაპიტალური ტრანსფერი შესაძლებელია გამოყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხმარდება ტრანსფერის

გამცემი მუნიციპალიტეტის მიზნებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობას/საქართველოს სამინისტროებს ან/და საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას/საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს მიმართოს ფინანსური დახმარების სახით კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. ამ მიმართვაში აღინიშნება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა.

3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის კაპიტალური ტრანსფერი გამოიყოფა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პროცენტდურით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის წინადადება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფის შესახებ შესაძლებელია წარედგინოს სხვა მუნიციპალიტეტს.

მუხლი 97. მიზნობრივი ტრანსფერი

1. მიზნობრივი ტრანსფერი გადაეცემა ერთი ბიუჯეტიდან სხვა ბიუჯეტს დელეგირებული უფლებამოსილების ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

2. მიზნობრივი ტრანსფერი შეიძლება გადაეცეს:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

მუხლი 98. სპეციალური ტრანსფერი

1. სპეციალური ტრანსფერი გამოიყოფა სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად. სპეციალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება. მუნიციპალიტეტმა ტრანსფერი შესაძლებელია გამოყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხმარდება ტრანსფერის გამცემი მუნიციპალიტეტის მიზნებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობას/საქართველოს სამინისტროებს ან/და საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას/საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს მიმართოს ფინანსური დახმარების სახით სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნით. ამ მიმართვაში აღინიშნება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის მოთხოვნის საფუძველი და ტრანსფერის მოცულობა.

3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის სპეციალური ტრანსფერი გამოიყოფა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პროცენტით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის წინადადება სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის შესახებ შესაძლებელია წარედგინოს სხვა მუნიციპალიტეტს.

5. სპეციალური ტრანსფერის გამოყოფის შესახებ წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი არასაკმარისია.

მუხლი 99. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების საერთო მოცულობის 2 პროცენტს.
2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხას მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, გამოყოფს მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

მუხლი 100. მუნიციპალიტეტის მიერ სესხის აღება და გრანტის მიღება

1. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საქართველოს მთავრობის ნებართვით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და საკუთარი სახელით, კაპიტალური ინვესტიციის განსახორციელებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით აიღოს სესხი/სასესხო ვალდებულება იურიდიული პირისგან.
2. მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სესხის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასული 3 საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების საშუალო წლიური ოდენობის 10 პროცენტს, ხოლო თბილისის მიერ სესხის აღების შემთხვევაში აღებული სესხის საერთო მოცულობიდან ყოველწლიურად დასაფარავი სესხის მომსახურების (ძირითადი თანხა და პროცენტი) მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს თბილისის წლიური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების 5 პროცენტს. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენება დაუშვებელია.

3. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულზე მეტი მოცულობით აიღოს სესხი მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსა და მის მიერ კონტროლირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან.

4. საქართველოს მთავრობის ნებართვას საჭიროებს აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ სხვა პირის სასარგებლოდ თავდებობა ან რაიმე სხვა გარანტიის გაცემა.

5. მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, საქართველოს მთავრობის ნებართვით, საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად, კანონით დადგენილი წესით მიიღოს გრანტი. გრანტის მიღების ნებართვის მისაღებად საქართველოს მთავრობას შუამდგომლობით მიმართავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. საქართველოს მთავრობის ნებართვა საჭირო არ არის, თუ:

ა) გრანტი საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე მიიღება;

ბ) გრანტის გამცემია საქართველოს სამინისტრო ან „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

გ) გრანტის მიმღებია თბილისი.

6. საქართველოს მთავრობის ნებართვა გაიცემა საქართველოს მთავრობის განკარგულებით.

7. ამ მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის სახელითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინასწარი თანხმობით, ამ მუხლით დადგენილი წესითა და პირობებით იღებს და შესაბამის ხელშეკრულებას აფორმებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

მუხლი 101. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელება საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა:

ა) ხარჯები;

ბ) არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციებისთვის მიმართული სახსრები);

გ) ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით განხორციელებული ოპერაციებისთვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);

დ) ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისთვის მიმართული სახსრები).

2. მუნიციპალიტეტი მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის მიმართავს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტს.

მუხლი 102. დამოუკიდებლობა გადასახდელების მიმართულებების განსაზღვრისას

მუნიციპალიტეტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის დასაფინანსებელი გადასახდელების მიმართულებებს.

მუხლი 103. შემოსავლების კომპენსირება

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ამ გადაწყვეტილების მიღების წლის განმავლობაში ზრდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის

გადასახდელების ოდენობას ან ამცირებს მის შემოსავლებს, კომპენსირებული უნდა იქნეს შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ან ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან.

თემა 12. ბიუჯეტის შესრულება და კონტროლი

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა; ანგარიშგება ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

საქართველოს ხაზინის როლი, ფუნქციები და ადგილი საბიუჯეტო სისტემაში.

სახელმწიფო ბიუჯეტის კონტროლი

სახელმწიფო შემოსულობები წყაროების მიხედვით:

სახელმწიფო შემოსავლები:

- გადასახადები (საშემოსავლო, დღგ, მოგების, აქციზი, იმპორტის, სხვა);
- შემოსავლები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ძირითადი კაპიტალის ელემენტების რეალიზაციიდან;
- გრანტები;
- სხვა შემოსავლები.

სახელმწიფო სესხები.

ფულის ემისია.

ბიუჯეტის შემოსავლების წყაროები:

- მიმაგრებული შემოსავლები – შემოსავლები რომლებიც ჩაირიცხება შესაბამის ბიუჯეტში;
- მარეგულირებელი შემოსავლები – სახსრები, რომლებიც საბიუჯეტო სისტემის ზედა რგოლიდან გადაეცემა ქვედგომ ბიუჯეტს მიმაგრებულ შემოსავლებზე ზევით გაწეული ხარჯების დასაფარავად.

სახელმწიფო სესხები, როგორც საბიუჯეტო შემოსავლის წყარო:

1. სახელმწიფო ობლიგაციების და სხვა ფასიანი ქაღალდების თავისუფალი გაყიდვა;
2. ბანკების მეშვეობით ფასიანი ქაღალდების გაყიდვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფის ქვეშ.

ფულის ემისია, როგორც საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვის წყარო.

ბიუჯეტის შემოსავლები ამოღების მეთოდების მიხედვით:

1. საგადასახადო;
2. არასაგადასახადო;

ბიუჯეტის შემოსავლები გადასახადების

სახეების მიხედვით:

I. გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზარდზე.

1. ფიზიკური პირებიდან

საშემოსავლო გადასახადი

2. გადასახადი კორპორაციებიდან, საწარმოებიდან

მოგების გადასახადი

II. გადასახადი საქონელსა და მომსახურებაზე

1. დამატებული ღირებულების გადასახადი
2. აქციზი

III. საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაზე

იმპორტის გადასახადი

IV. სხვა გადასახადები

სახაზინო სამსახური - საქართველოს ფინანსთა სამინისტროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.

სახაზინო ორგანოები მოვალეობა:

- ბიუჯეტის შესრულება;
- საბიუჯეტო ანგარიშების მართვა;
- საბიუჯეტო სახსრების მართვა.

სახაზინო ორგანოების სტრუქტურის მართვის სამი დონე:

დონე - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;

დონე - სახელმწიფო სახაზინო ტერიტორიული ერთეულების რეგიონული ორგანოები;

დონე - სახელმწიფო ხაზინის საქალაქო და რაიონული ორგანოები.

სახელმწიფო ხაზინის ძირითადი ფუნქციები:

1. სახელმწიფო და სხვა დონის ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა, ანგარიშგება და ანგარიშსწორება;

კანონით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება, აღრიცხვა და ანგარიშგება;

3. სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის წარმოება, სადაც ჩაირიცხება ბიუჯეტის ყველა შემოსულობა და სრულდება ყველა გადასახდელი, მართვა და ოპერირება;

4. ასიგნებათა დაშვება მხარჯავი დაწესებულებების დაქვემდებარებაში მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების დონეზე, სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ვალდებულებების მიღება, შემოწმება და დარეგისტრირება.

სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე მიზნობრივი ფულადი გრანტის სახით ჩარიცხული თანხის ხარჯვა, აღრიცხვა და ანგარიშგება;

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსიდან:

თავი VII. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

მუხლი 46. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისთვის პასუხისმგებლობა

1. საბიუჯეტო ორგანიზაციები პასუხისმგებელი არიან ასიგნებების შესაბამისად გადახდების განხორციელებისათვის და თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შემოსულობების მობილიზებისათვის.
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრი ზედამხედველობს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ორგანიზებასა და მართვას.
3. საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია გააკონტროლოს საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვის კანონიერება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

მუხლი 47. სახელმწიფო ბიუჯეტის განწერა

1. მხარჯავი დაწესებულებები სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ ინფორმაციას მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების კვარტალური ან/და ყოველთვიური საორიენტაციო განწერის შესახებ.
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო იხილავს წარმოდგენილ ინფორმაციას და არსებული რესურსების გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 დღისა იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტების (გადასახადების ნაწილში) კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერის შესახებ.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური ან/და ყოველთვიური განწერისას ასიგნებების დაფინანსების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თავისუფალი ნაშთი იმ პირობით, რომ წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ნაშთის ცვლილების წლიური ოდენობა უცვლელი დარჩება.

4. წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა საჭიროებს ახალი განწერის დამტკიცებას ან არსებულ განწერაში ცვლილებების შეტანას.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენისას მხარჯავი დაწესებულებები ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით ასევე წარადგენენ ინფორმაციას მათი და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული, ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ1.ა“ და „ბ2.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლების (გარდა საბიუჯეტო შემოსავლებისა) და შემოსავლების ამ წყაროებიდან გასაწევი გადასახდელების თაობაზე, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ კოდექსის 39-ე მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ, ამ კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

6. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას ამ მუხლით გათვალისწინებულ ვადაში ასევე წარადგენენ ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ1.ა“ და „ბ2.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, რომლებიც არ არიან სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები ან მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციები.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბიუჯეტის განწერის კორექტირება ხორციელდება დადგენილი წესით, მისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შესაბამისობისა და შემდგომი დაზუსტების მიზნით.

თავი VIII. სახელმწიფო ბიუჯეტის აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

მუხლი 53. სახელმწიფო ბიუჯეტის აღრიცხვა და ანგარიშგება

1. სახელმწიფო ხაზინა ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების დასაფინანსებლად საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად გადახდების აღრიცხვას, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გადახდის განხორციელების ყველა ეტაპის შესახებ. სახელმწიფო ხაზინა ასევე აღრიცხავს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებულ შემოსულობებს და დაბრუნებულ ზედმეტად გადახდილ თანხებს.

2. სახელმწიფო ხაზინა ყოველი თვის დასრულებიდან 20 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშგებას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით და წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

მუხლი 54. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა

ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტს წარუდგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს:

ა) მაკროეკონომიკისა და საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე მოვლენებს;

ბ) შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

მუხლი 55. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშისა და ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

1. მხარჯავი დაწესებულებები და ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ1.ა“ და „ბ2.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების შესაბამისად, დადგენილ ვადებში ამზადებენ საბოლოო ანგარიშებს და ანგარიშგებებს, რომლებიც ეგზავნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით და მხარჯავი დაწესებულებებიდან და სხვა შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს, რომელიც წარედგინება საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობა საბიუჯეტო წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში გადასცემს მას სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

2. საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მისთვის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ამ ანგარიშის შესახებ მოხსენების დასრულების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებისთანავე, მაგრამ საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 თვისა.

მუხლი 56. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს წლიური ბიუჯეტის შესრულების შესახებ არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) მაკროეკონომიკურ მიმოხილვას;

გ) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან;

დ) სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის;

ე) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 30%-ს;

ვ) მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, თუ ასეთი შეუსაბამობა აღემატება 15%-ს;

ზ) ინფორმაციას საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულების მდგომარეობის შესახებ (მათ შორის, საბიუჯეტო წლის ბოლოსათვის დაუფარავი სახელმწიფო ვალების შესახებ);

თ) წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს;

ი) ამ კოდექსის მე-6 მუხლის „ბ1.ა“ და „ბ2.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების წლიურ მაჩვენებლებს;

კ) მუნიციპალიტეტის მიერ მიღებულ საგადასახადო შემოსავლებს;

ლ) ინფორმაციას „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესების ზღვრული მოცულობების ფარგლებში ძირითადი ფისკალური მაჩვენებლების შესრულების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციაში აისახება მონაცემები წლის განმავლობაში სამინისტროებისა და უწყებების მიერ ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული სახსრების შესახებ, რომელთა აღრიცხვა/ხარჯვა საბიუჯეტო წლის განმავლობაში ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

მუხლი 57. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შემოწმება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მისთვის გადაცემიდან 50 დღის ვადაში საქართველოს მთავრობას აცნობებს ამ ანგარიშის შესახებ მოხსენების დასრულების თაობაზე და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ.

მუხლი 58. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვისა და ამ ანგარიშის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენების მოსმენის შემდეგ საქართველოს პარლამენტი საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე იღებს დადგენილებას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის თაობაზე.

მუხლი 184. სახელმწიფო ხაზინა

1. სახელმწიფო ხაზინა პასუხისმგებელია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების სრულად და სწორად აღრიცხვისთვის, გამჭვირვალობისა და ანგარიშგებისთვის.
2. სახელმწიფო ხაზინას საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილი აქვს ერთიანი ანგარიში. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია გახსნას დამატებითი ანგარიშები სხვა ბანკებში.
3. სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშისა და სხვა ანგარიშების მართვისა და ოპერირების კონტროლის, აგრეთვე ამ ანგარიშებიდან ფულადი სახსრების ჩამოწერაზე ნებართვის გაცემის უფლება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, აქვს მხოლოდ სახელმწიფო ხაზინას.
4. სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები ინახება სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინის სხვა ანგარიშებზე.
5. სახელმწიფო ხაზინა ყოველი თვის ბოლოს ამზადებს ანგარიშგებას ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.
6. სახელმწიფო ხაზინის თანხმობის გარეშე დაუშვებელია საბიუჯეტო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშის გახსნა, გარდა ამ კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია

გააუქმოს საბანკო ანგარიშის გახსნის ნებართვა და დახუროს ანგარიში. საბიუჯეტო ორგანიზაცია უზრუნველყოფს მის მიერ მიღებული ყველა შემოსულობის სრულად და დაუყოვნებლივ აღრიცხვას სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

7. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია თავის საქმიანობაში გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტები.

8. საბიუჯეტო ორგანიზაცია უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს ან/და ამობეჭდოს სახელმწიფო ხაზინაში ელექტრონულად წარდგენილი და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის მიერ დადასტურებული ნებისმიერი დოკუმენტი.

9. სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის უსაფრთხოების ნორმები, წესები და მომსახურების პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

10. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია დამატებითი საბიუჯეტო შემოსულობების მიღების მიზნით თავის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები განათავსოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.

11. სახელმწიფო ხაზინა უფლებამოსილია შეთანხმების საფუძველზე მომსახურება გაუწიოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ საწარმოს.

მუხლი 19. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ბიუჯეტის შესრულებისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შემოწმება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოწმებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების

რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შესრულებასა და ბიუჯეტების ასიგნებების ხარჯვას.

აუდიტის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზნებია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვას და ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, ასევე საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.

2. აუდიტის სამსახურის საქმიანობის პრინციპებია:

- ა) ობიექტურობა;
- ბ) დამოუკიდებლობა;
- გ) საჯაროობა;
- დ) პროფესიონალიზმი.

აუდიტის სამსახური ამოწმებს:

ა) საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯვასა და შესრულებას;

ბ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების პროექტების შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობასა და კანონიერებას;

გ) სახელმწიფო ვალის ფორმირებასა და მართვას, სახელმწიფო კრედიტების გაცემას;

დ) საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში;

ე) საქართველოს ეროვნულ ბანკსა და საქართველოში რეგისტრირებულ საკრედიტო და საფინანსო დაწესებულებებში სახელმწიფო სახსრების მოძრაობის კანონიერებას;

ვ) საქართველოს დიპლომატიური სამსახურის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას;

ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრებისა და ქონების ხარჯვასა და გამოყენებას. წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის (საჯარო სამართლის კორპორაციის) საქმიანობას აუდიტის სამსახური ამოწმებს სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ გადაცემული ქონების ან/და სახსრების ხარჯვისა და გამოყენების ფარგლებში. ამ ქვეპუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოსა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის) მიმართ;

თ) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების მართვასა და განკარგვას;

ი) იმ კერძო სამართლის იურიდიული პირის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას, რომელშიც სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა ან/და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული ფლობს წილის/აქციების 50 პროცენტზე მეტს.

ინფორმაცია საქართველოს 2019 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების

შესრულების შესახებ

2019 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა

12 705 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 12 907 343.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.6%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 11 310 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 11 417 838.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 101.0%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 460 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 493 096.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 107.2%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 935 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 996 408.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106.6%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 206 026.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (160 000.0 ათასი ლარი) 128.8%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 125 623.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (100 000.0 ათასი ლარი) 125.6%-ია.

სრული ინფორმაცია 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების თაობაზე საიტზე:

http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/146232/2019_bijetis_shesrulebis_wliuri_an_garishi